

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტი

ვარლამ დონდუა

# ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ი ე ბ ა ნ ი

III



„მეცნიერება“  
თბილისი  
1985.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ვარლამ დონ-  
დუას (1895—1969) „საისტორიო ძიებათა“ პირველი  
ტომი გამოიცა 1967 წელს, ხოლო მეორე ტომი —  
1973 წელს. წინამდებარე მესამე ტომში ქვეყნდება  
XVIII საუკუნის ქართული კულტურის, საქართვე-  
ლო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიის, ქართული  
წყაროთმცოდნეობის პრობლემებისადმი მიძღვნილი  
გამოკვლევები, აგრეთვე XVIII—XX საუკუნეთა გა-  
მოჩენილი საზოგადო მოღვაწეებისა და მეცნიერთა  
შესახებ სხვადასხვა დროს დაწერილი ნარკვევები.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი რ. კიკნაძე

რეცენზენტები — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: გ. პაიქაძე,  
გ. ჯამბურია

## საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

### პოლიტიკური ვითარება

პოლიტიკური დაშლილობა ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას XVIII ს-შიც შემოჰყვა. დაუძღვრებულ სამეფო ხელისუფლებას ძველებურად ეურჩებოდნენ ადგილობრივი მთავრები და ერისთავები. ესენი თავთავიანთ სამთავროებში უგვირგვინო მეფეებად მოჩანდნენ.

მეორე მხრივ, საქართველოს ძლიერ ასუსტებდა ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობა. ქართლისა და კახეთის მეფეები ირანის შაჰის ვასალებად ითვლებოდნენ. მათ ეკისრებოდათ ყოველწლიური ხარკი, ეგრეთ წოდებული „ფეშქაში“. საფეშქაშო გამოსაღების დასაფარავად იხარჯებოდა, კერძოდ, „საური“ — მეფის სალაროში შემავალი გადასახადი, რომელიც კისრად აწვა უმთავრესად გლეხკაცობას.

ყიზილბაშთა მოძალეობის ცოცხალ ნიშნად რჩებოდა თბილისის შიდა ციხეში ჩაყენებული შაჰის შეიარაღებული რაზმი. ყიზილბაშთა ხელში თბილისის ციხე ავაზაკების, ქურდ-ბაცაცებისა და ტყვის მსყიდველთა ბუნაგად იყო ქცეული. ხანდახან, საჭიროების ძალით, ქართველთა მეფეც ეწვეოდა ხოლმე ციხეს (მაგალითად, შაჰის შიკრიკებთან შესახვედრად), მაგრამ ისიც სულ იმის შიშში უნდა ყოფილიყო, ანაზღად რამე მახეში არ გაბმულიყო ყიზილბაშების ვერაგობის შედეგად.

შაჰს უნდა დაემტკიცებინა ქართველთა მეფის მემკვიდრე ტახტზე. მაგრამ გამეფება მას ეღირსებოდა მხოლოდ აუცილებელი პირობის, მამა-პაპათა. რჯულის უარყოფისა და მუსლიმანობის მიღების შესრულებით.

XVIII ს-ის დასაწყისს ირანის შაჰმა ქართლის მეფობა ისევ გიორგი XI-ს მიუბოძა, რომელიც თავისთან ირანშივე დაიტოვა დიდ სამხედრო თანამდებობაზე; ქართლში კი მეფის მოადგილედ („ჯანიშინად“) გიორგის ძმისწული ვახტანგ ლევანის ძე დანიშნა. იმავე დროს კახეთის მეფის მოადგილედ გამოცხადებულ იქნა ერეკლეს ძე დავითი, რომელსაც მუსლიმანური სახელი იმამყულიხანი ერქვა.

ვახტანგის „ჯანიშინობა“ გაგრძელდა რვა წელს (1703—1711 წწ.). ამ ხნის განმავლობაში ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა. ვახტანგმა

გარს შემოიკრიბა ღირსეული თანამშრომლები, რომელთა შორის იყო ცნობილი მწიგნობარი სულხან-საბა ორბელიანი.

ქართლის მმართველმა წრეებმა გავლენა მოიპოვეს იმერეთის სამეფოშიცა და კახეთშიც. ირანი ამ დროს დიდ პოლიტიკურ გასაჭირს განიცდიდა. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ავღანები აჯანყებულნიყვნენ. რადგან ქართველი ბაგრატიონები მეთაურობდნენ ავღანთა წინააღმდეგ ირანის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, შაჰიც იძულებული იყო ქართველ პატრიოტთა სურვილისათვის ანგარიში გაეწია და მხარი დაეჭირა მათი პოლიტიკური ნაბიჯებისათვის ქართლში.

საქმე იქამდე მივიდა, რომ შაჰმა თბილისის მეციხოვნე ყიზილბაშებიც კი არ დაიცვა: ქართველმა ხელისუფლებამ შეზღუდა მეციხოვნე ყიზილბაშთა თვითნებური მოქმედება, წაართვა მათ ძარცვა-რბევის საშუალება და მოშალა ტყვის სყიდვა. მეფის ხელისუფლების განსაზღვრულად, თვითნება თავადებისა და, საერთოდ, ურჩი ძალების ასაღამავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეგრეთწოდებული „მცველი ჯარის“ შექმნას. ჯარის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ თავადიშვილები, აზნაურები და მსახურები. იგი შედგებოდა სამი რაზმისაგან, რომელთაც მეთაურობდნენ თავ-თავისი „უზბაშები“, ანუ ასისტავები. მცველი ჯარი უზრუნველყოფდა ვახტანგის პიროვნებისა და სასახლის დაცვასაც და, საერთოდ, სამეფოში საპოლიციო-საჯანდარმო წესების შესრულებასაც. ასეთი სამხედრო ღონისძიების გამო ჯანიშინს, ზოგი გავლენიანი ფეოდალი გადაემტერა. მეტადრე შუღლი ჩაიღო გულში არაგვის ერისთავის სახლმა.

გიორგი XI 1709 წელს ავღანელებთან ბრძოლას შეეწირა და ქართლის მეფობა ერგო მის ძმისწულს, ქაიხოსრო ლევანის ძეს. მაგრამ აღარც მას დასცალდა მეფობა: გიორგის მსგავსად ისიც ავღანეთში დაიღუპა 1711 წელს.

ამის შედეგად, 1712 წელს ვახტანგს დაუდგა შაჰის კარზე გამოცხადების ჯერი.

ვახტანგის მეფედ დამტკიცება უაღრესად მტკივნეული გამოდგა. ისპაჰანში ის მტკიცედ დაადგა ქრისტიანობას და უარი თქვა მუსლიმანობის მიღებაზე. ამან ხელი გაუხსნა მის მტრებს როგორც საქართველოში, ისე ირანში. მის მოწინააღმდეგე ქართველ ფეოდალთა დასში შეკავშირებული აღმოჩნდნენ თვით ვახტანგის ძმებიც — იესე და სვიმონი. სვიმონი ვახტანგის მიერ ქართლს იყო დატოვებული როგორც ქვეყნის „განმეგ“, მეფის მოადგილე. გამუსლიმანებული იესე მეთოფეთა მეთაური („თოფჩიბაში“) იყო და თბილისის ყიზილბაშურ მეციხოვნე ჯარში გავლენა ჰქონდა. მან ეს მეციხოვნეები აუჯანყა ძმას სწორედ მაშინ, როცა ვახტანგი შაჰის კარზე დიდ ხიფათში იყო ჩავარ-



დნილი. ვახტანგს იმედი ჰქონდა, რომ რაჭულის გამოუცვლელად მოახერხებდა ქართლში გამეფებას. მაგრამ შაჰმა ჯანიშინი ირანში დაიტოვა, ხოლო ქართლის მეფედ მისი ძმა, გამუსლიმანებული იესე დაამტკიცა.

ვახტანგმა ირანიდან საიდუმლო კავშირი გააბა საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის მთავრობასთან. სათანადო საქმის მოსაგვარებლად დასავლეთ ევროპაში 1713—1714 წლებში იმოგზაურა, როგორც ქართლის ელჩმა, სულხან-ლავა ორბელიანმა. ს.-ს ორბელიანის ელჩობას ქართლისათვის სასურველი პოლიტიკური შედეგი არ მოჰყოლია და იმედგაცრუებულმა ვახტანგმა, თავისი თანამოაზრეების გავლენით, დათმობა არჩია. მან გარეგნულად აღიარა შაჰმადის რაჭული და ამ საშუალებით 1716 წ. მიიღო ქართლის მეფობაცა და ირანის სპასალარობაც, ხოლო 1719 წ. სამშობლოში დაბრუნებაც შეძლო.

ქართლის მმართველმა წრეებმა ვახტანგის მეთაურობით ხელახლა მოიკრიბეს სამხედრო-პოლიტიკური ძალა და მედგრად შეუტეეს მოწინააღმდეგეებს. მეფემ ჭერ კიდევ ირანიდან დაბრუნებამდე დაიწყო მოლაპატრებთან ანგარიშის გასწორება: დააპატიმრა რეაქციონერთა სულის ჩამდგმელი იესე და ზოგი სხვაც. ზოგნი კი სამშობლოს საზღვრებიდან გააძევა. მეფის ლაშქარს ომი მოუხდა ქსნის ერისთავის შანშეს დასამორჩილებლადაც.

რაც დრო გადიოდა, ქართლისა და კახეთის ჯარს სულ უფრო ხშირად უხდებოდა დაღესტნის მხრიდან მომხდურ ფეოდალთა მტაცებლური რაზმების უკუქცევა. რადგანაც ქართულად დაღესტანს („დაღესტან“ თურქ.-სპარს. სიტყვა-სიტყვით „მთიანეთს“ ნიშნავს) ძველიდანვე „ლეკეთი“ ერქვა, ამიტომ იქიდან საქართველოში რაზმებად შემოსეულ აბრაგებსაც ყველას განურჩევლად „ლეკებს“ უწოდებდნენ. ეს რაზმები მიზნად ისახავდნენ სოფლებისა და ქალაქების დარბევას, ადამიანების ტყვედ წასხმა-გასყიდვას, ხალხის სარჩო-საბადებლის გატაცებას. დაღესტნიდან მომავალი აბრაგების ამ ავაზაკურ თავდასხმებს მედგრად ებრძოდა ქართველი გლეხობა. მაგრამ მათ წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას მეტად აძნელებდა ფეოდალური ქვეყნების შეუთანხმებლობა.

ქართლის პოლიტიკურ მესვეურებს კახეთთანაც და იმერეთთანაც ჰქონდათ საერთო საქმისთვის სასარგებლო ურთიერთობა. პირადად ვახტანგი იმერეთის თავგაცებზე ახდენდა გავლენას. ქსნის საერისთავოს დასამორჩილებლად გამართულ ლაშქრობაში, ვახტანგის მოწოდებით, მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ საქართველოს ძლიერმა თავადებმაც. იმავე დროს, თბილისის სამეფო კარის თაოსნობით, იმერეთს გამეფდა ქართლის მეფის კანდიდატი ალექსანდრე გიორგის ძე.

ქართლის მესვეურთა ავტორიტეტის ზრდის დიდ ანგარიშს უწვევდნენ სამეფოს გარეთაც. ვახტანგს შაჰისაგან მიენიჭა სამხრეთ აზერბაიჯანის სპასპეტობა და დაეკისრა გალაშქრება შირვანს, რომელიც სულ მთლიანად მოეცვათ დაღესტნელ ფეოდალთა მძარცველურ რაზმებს.

### რუსეთთან ურთიერთობის გამოცოცხლება

სწორედ იმ დროს თბილისს მოვიდა ცნობა, რომ რუსეთის ძლიერი ლაშქარი, პეტრე დიდის მეთაურობით, უკვე ჩამოსულიყო ჩრდილო კავკასიაში, მდ. სულაკზე, და ემზადებოდა ირანში შესაჭრელად. პეტრე იმპერატორს უკვე გაეფრთხილებინა შაჰი, რომ რუსეთის მხედრობა აპირებდა იარაღით დაეცვა ირანში რუსეთის ინტერესები, რუსი ვაჭრების ქონება და სიცოცხლე. პეტრეს იმედი ჰქონდა, რომ ქართველები ცხოველ მონაწილეობას მიიღებდნენ საომარ მოქმედებაში შაჰის წინააღმდეგ. როდესაც ომი მოახლოვდა, ასტრახნის გუბერნატორი ვოლინსკი 1721 წელს ატყობინებდა ვახტანგს, რომ პეტრეს კეთილი სწადია ქართველებისათვის, ფიქრობს მფარველობა გაუწიოს მათ და ამიტომ ქართველებმაც და კავკასიის სხვა „ქრისტიანმა ხალხებმაც უნდა იმოქმედონ რუსეთის სასარგებლოდ“. ეს ეხებოდა ქართველებსაც და სომხებსაც. ამრიგად, თითქოს ხორცს ისხამდა ქართველი ხალხისათვის დიდი ხნის სანუკვარი აზრი ირანის კლანჭებიდან გამოსხნის შესახებ.

ომის დაწყების წინ პეტრემ მანიფესტით მიმართა თავისუფლებითა თვის მებრძოლ ხალხებს. კავკასიაში ქართლის მეფე უძლიერესი იყო ფეოდალ ხელისუფალთა შორის და მომავალ ომში სწორედ მას ეკისრებოდა ხელმძღვანელი როლი. პეტრეს გეგმის თანახმად, ქართული ლაშქარი, სომხების მხარდაჭერით, სასწრაფოდ უნდა შეჭრილიყო ირანის საზღვრებში, განჯის მიმართულებით გაეკვლია გზა კასპიის სანაპიროსაკენ და სადმე დარუბანდსა და ბაქოს შუა შეერთებოდა რუსეთის მხედრობას, როცა ამასობაში რუსები იქ გაჩნდებოდნენ.

1722 წ. აგვისტოში რუსის მხედრობას დარუბანდი უომრად ჩაბარდა და ამით მას ამიერკავკასიაში შემოსასვლელი კარი გაეღო. პეტრეს არმია კიდევაც დაიძრა სამხრეთისაკენ. ამ დროს ქართველთა 40-ათასიანი ლაშქარი და მისი დამხმარე სომეხთა ძლიერი რაზმები უკვე განჯის სახანოში ჩასული და მტკვრის პირას დაბანაკებული იყვნენ.

მაგრამ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ბაქოსკენ გალაშქრება აღარ მოხერხდა. საგარეო და შინაური მდგომარეობის მოულოდნელი გართულების გამო მახლობელ აღმოსავლეთში მოქმედების პეტრესეული

გეგმა საგრძნობლად შეიზღუდა. ვახტანგს გადმოსცეს ცნობა პეტრეს ბანაკიდან, რომ ქართველთა ლაშქარს დასკირდებოდა ადგილზე მოცდა, სანამ იმპერატორის ახალი მითითება არ მოვიდოდა. რუსის სარდლობამ შეწყვიტა არმიის წინსვლა და მისმა მთავარმა ძალამაც იწყო უკან, ასტრახანისკენ დახევა. ასეთი პირობებში ვახტანგის ლაშქარმა ველარ გაბედა სამხედრო მოქმედების დაწყება და თბილისს დაბრუნდა.

რაკი აშქარა გახდა, რომ ქართველებს და მათთან ერთად სომხებსაც პეტრესთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ჰქონდათ, ირანის ხელისუფალნი და მათი მოყმე ხანები, აგრეთვე ოსმალები და მათი აგენტები— დაღესტნელი ფეოდალები, ყველა ვახტანგის დასაღუპავად ალესილი— შურს იძიებდა. შაჰმა ვახტანგს „ორგულობისთვის“ ქართლი ჩამოართვა და ის 1723 წელს თავის ერთგულს, კახეთის მეფე კონსტანტინეს უწყალობა. აღარავინ იცოდა, ვინ ვის დაასწრებდა ქართლში იარაღით შემოჭრას — ირანელთა მომხრე კონსტანტინე თუ თურქეთის ფაშა. იმავე დროს ქართლის მმართველ წრეებშიც კვლავ იჩინა თავი პოლიტიკურმა შუღლმა. ვახტანგის რუსეთთან მეგობრობა სახიფათოდ მიიჩნია მისმა შვილმა ბაქარმა, რომელმაც, მამის საწინააღმდეგოდ, ისევ შაჰთან დაკავშირება განიზრახა.

ამავე დროს, კონსტანტინემ, დაღესტნელთა რაზმების დახმარებით, ორჯერ მოაწყო მძლავრი თავდასხმა თბილისზე, ავლაბრის მხრიდან. მეორედ დაეცემისას, 1723 წ. გაზაფხულზე, მან აიღო თბილისი. კონსტანტინეს დაღესტნელმა მოკავშირეებმა ქალაქი ისე სასტიკად გაძარცვეს, რომ შემდეგ მას რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აღარ დაბრუნებია თავისი ძველი კეთილდღეობა. კონსტანტინეს და მის დამხმარე დაღესტნელთა რაზმებს დარბეულ თბილისში, 1723 წ. ივნისს ანაზღაურებად თავს წაადგნენ თურქები არზრუმის ფაშის მეთაურობით. ფაშასთან შეთანხმებით, ქართლის გამგებლობა იკისრა ვახტანგის ძემ ბაქარმა, მაგრამ მან თურქთა მკაცრ ზედამხედველობას და გადასახადებს ვერ გაუძლო, მთაში გაიხიზნა და ერთ ხანს, ბამასა და ძმებთან ერთად, პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდა დამპყრობელთა წინააღმდეგ. მაშინ თურქებმა ქართლში გაამეფეს ვახტანგის ძმა იესე. ასეთ ვითარებაში ვახტანგი, პეტრეს თანხმობით, ოჯახითა და დიდი ამალითურთ (სულ 1200 კაცის თანხლებით), 1724 წლის ივლისის 15-ს გაემგზავრა მოსკოვს. გამგზავრებულთა უმეტესობა მოსკოვში არჩილის დროიდან არსებულ ქართველთა კოლონიას შეუერთდა და იქ გაიდგა სამუდამო ბინა, თუმცა რუსეთში დიდხანს იმედობდნენ, რომ ვახტანგი და მისი მხლებლები თავის ქვეყანას დაუბრუნდებოდნენ და მას თავისუფლებას მოუპოვებდნენ.

ქართველი ხალხი, ვახტანგის სამეფო კარის ქართლიდან რუსეთს წასვლის შემდეგ, საკუთარი ძალ-ღონით იცავდა მამულს. ბაგრატიონ-

თა სახლის გამაჰმადიანებულ წარმომადგენლებსაც კი უჭირდათ რაიმე სიკეთეს გამოარჩენოდნენ სულთნის სამსახურს, ფაშებთან შეთანხმებას. კონსტანტინე კახთ ბატონი ერთხანს თანამშრომლობდა თბილისის ფაშასთან, შველოდა და უადვილებდა მას ურჩი მოსახლეობის მოთოკვას, მეტადრე თავადების აჯანყებათა ჩაქრობას, მოთარეშე აბრაგების განიარაღებას. მაგრამ თურქებმა იცოდნენ კონსტანტინეს ერთგულება ირანელთადმი და ამიტომ მოკლეს იგი.

თანდათან ირან-ოსმალეთის ომის სასწორი ისევ ირანელთა მხარეზე გადაიხარა. სახელმწიფოებრივმა სარდალმა ნადირ-ყულიმ ირანში ხელთ აიღო ძალაუფლება, რის შემდგომაც მალე, 1736 წელს, შაჰის წოდებაც მიითვისა. ნადირ-შაჰი მტკიცედ მართავდა ქვეყანას. ოსმალების ბატონობა იმდენად საშიშარი და დამაზარალებელი გამოდგა მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნებისათვის, რომ ამიერკავკასიაში თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები ნადირის ოსმალებზე გამარჯვებას ერთგვარი თანაგრძნობითაც კი შეხვდნენ.

რაკი ოსმალეთი მარცხდებოდა და კასპიის სანაპიროზე მისი გაბატონების საშიშროება ქრებოდა, რუსეთი შედარებით ადვილად მოურიგდა ირანს და ნაწილ-ნაწილ დაუთმო მას კასპიის სანაპირო, რომელიც რუსთა ლაშქარმა 1723 წელსა და მის მომდევნო ხანებში დაიპირა. ამას გარდა, რუსებმა წინასწარ მიიღეს ირანის თანხმობა, რომ ოსმალთა უკუქცევის შემდგომ ქართლში ისევ ვახტანგი გამეფდებოდა. ასეთ ვითარებაში ქართლისა და კახეთის მმართველი წრეები გაბედულად დაუკავშირდნენ ირანს.

#### კულტურა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

ქართული კულტურის წარმატებები, შედარებით XVII საუკუნესთან, უფრო მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი გახდა. ახლა ადრინდელზე მეტი ნაყოფიერებით გრძელდებოდა ხალხის კულტურულ მონაპოვართა გამოტანა ნანგრევებიდან, მათი მოვლა. შერყეული სარწმუნოების, ცოდნის განსამტკიცებლად უბრუნდებოდნენ ქართველი ხალხის ისტორიის შესწავლას, „ზნეთსწავლულების“, მართლმსაჯულების, სიტყვიერების გადარჩენილი ძეგლთა თავმოყრას. კულტურის მუშაკები მშობლიური ქვეყნის საუნჯეებთან ერთად ეცნობოდნენ მოძმე და სხვა ხალხების მონაპოვრებსაც.

სწავლა-აღზრდის საერთო მიმართულებას, ბუნებრივია, განსაზღვრავდა არსებული ბატონყმური, ფეოდალურ-ეკლესიური საზოგადოების ინტერესები. ადამიანთა მოღვაწეობის უმადლეს მიზნად იგულისხმებოდა სამეფოს დაცვა და შინაგანი სიმტკიცისათვის — ქრის-

ტიანული ზნეობის უშლელობა. ამასთან იყო შეგუებული სამართალიც, საერო და სასულიერო ხელისუფლების პრაქტიკაც, დიდაქტიკის, ანუ აღზრდის საფუძვლებიც. სოციალურ მორალს ზედ ესვა ბექედი მძაფრი კლასობრივი ფორმულისა: „ყმისა ყველა (ყველაფერი) ბატონისა არს“ (ვახტანგის კანონებით), რასაც ემატებოდა ეკლესიის მითითება: „დასაბამი სიბრძნისა — შიში უფლისა“. ექსპლუატირებულ ხალხს ღვთის შიშს უნერგავდნენ, რომ წინააღმდეგობა არ გაეხდინა ბატონისათვის. ცალკეული მოწინავე პირების ღვაწლით ითესებოდა შედარებით ჰუმანური იდეებიც.

იმ დროის უდიდესი ჰუმანისტი იყო სულხან ორბელიანი (1658—1725 წწ.), მონაზვნობაში საბად წოდებული. ამ მრავალმხრივმა მოღვაწემ თავისი წვლილი შეიტანა სწავლა-აღზრდის საქმეშიც. კერძოდ, წარმატცი მოკლე-მოკლე არაკების კრებული („სიბრძნე-სიკრუის წიგნი“) საგანგებოდ შეადგინა ყმათათვის საკითხავად. მისი სიტყვით, ეს წიგნი ბავშვებისათვის ცოდნის მიმცემიც იქნებოდა და „ამოდ საკითხავიც“, ესე იგი ადვილად შესათვისებელი. ორბელიანი ისწრაფვოდა უკუეგდო იმდროინდელ სკოლაში მიღებული უვარგისი ხერხები ცოდნის გადაცემისა (ძნელად გასაგები და გრძელი საზეპიროები, ისიც ხალხისათვის უჩვეულო ხუცურით ნაწერი). სკოლა, ჩვეულებრივ, სასულიერო პირების ხელთ იყო და თავსდებოდა მონასტრის ზღუდეებში ან კერძო ოჯახში (მღვდელთან, დიაკონთან ან სხვა წიგნის მცოდნესთან); ანბანის ამოსაღებ და მერმე საკითხავ წიგნად იხმარებოდა „დავითნი“ (ლოცვა-საგალობლების წიგნი; მიეწერება ძველ ებრაელთა მეფეს დავითს. — X ს. ძვ. წ. აღ.). ამისთანა წიგნებში მკითხველი ვერ ისწავლიდა ცხოვრების ავ-კარგს, შიგ ვერ დაინახავდა ვერც თავის ქვეყანას და საზოგადოებას, ვერც ჩვეულებრივ ადამიანებს, ორბელიანის არაკებში კი გამოხატული არიან ასეთი ადამიანები, მათ შორის მეფეც, მოხელეებიც, მათი საქმიანობა, ინტერესთა შეჯახება, უბრალო მომაკვდავების ჭირ-ვარამი.

ქართველმა მოღვაწემ გერმანემ შეადგინა და დაბეჭდა სახელმძღვანელო წიგნი სათაურით: „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლა მოწაფისა“ (1711 წ.). მისი მიზანი იყო მიეცა ოსტატისათვის წერაკითხვის უადვილესი გზით გადაცემის საშუალება. ასეთ საშუალებად მან ჩათვალა ხუცური ანბანის ნაცვლად ხალხისათვის უფრო ცნობილი მხედრული ანბანის ხმარება, საკითხავი და დასაზეპირებელი მასალის შემოკლება. გერმანეს თავისი ხალხის სიყვარული ამოქმედებდა; მას, მისივე სიტყვით, არ უნდოდა ქართველი მოსწავლეები სხვა მოსწავლეებს ჩამორჩენოდნენ ცოდნით, იმ სხვებთან კამათში უვიცობით ენა დაბმოდათ.

მოსწავლე შრომით აღწევდა საშუალო განათლებასა და უმაღლეს-საც. იმდროინდელი განათლებული პირები (სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI და სხვები) ფლობდნენ მშობლიურს გარდა სხვა ენებსაც — სპარსულს, თურქულს, სომხურს, ეუფლებოდნენ რუსულსაც; იძენდნენ დროის შესაფერ კოდნას — საღვთისმეტყველო-საფილოსოფიოს, საისტორიოს, მათემატიკურს.

უჩვეულო სიცხოველ დაეტყო სამეცნიერო ინტერესებს. მრავალ სასარგებლო წამოწყებათა ინიციატორმა ვახტანგ VI-მ, სულხან-საბა ორბელიანის აღზრდილმა, შეადგინა „მეცნიერ კაცთა“ კომისია ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით. კომისიამ „ქართლის ცხოვრების“ არსებული ხელნაწერები შეკრიბა, ერთ-ერთი მათგანი, დანარჩენების გამოყენებით, რამდენადმე შეავსო, თანაც XIV—XVIII საუკუნეთა ისტორია, რომელიც არსად ჩანდა, ახლად შეადგინა სხვადასხვა წყაროების (სიგელ-გუჯრების, წარწერების, ქრონიკების) მიხედვით.

ვახტანგის სამეცნიერო სკოლაში აღიზარდა ქართული საისტორიო მწერლობისა და გეოგრაფიული მეცნიერების დიდი წარმომადგენელი, ვახტანგ VI-ის შვილი ვახუშტი ბაგრატიონი (1696—1757, დაახლ.). მისი კაპიტალური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წარმოადგენს ქართველი ხალხის ისტორიის კრიტიკული განხილვის პირველ ცდას. ვახუშტის შეგნებით, ისტორიის აუცილებელი შემადგენელი ნაწილები უნდა ყოფილიყვნენ გეოგრაფია, გენეალოგია, ქრონოლოგია და პრაგმატოლოგია (ამბავთა თხრობა). ვახუშტის ნაშრომიც ან ნაწილებისაგან შედგება.

ვახუშტი ბაგრატიონს ნაშრომის წერაში ასულდგმულებდნენ მაღალი პატრიოტული მისწრაფებანი, ისტორიულ ქეშმარიტებათა ქომაგობა, სასწავლო-აღმზრდელიობითი იდეები. ბეჯითთა წასაქეზებლად ის ნაშრომს იწყებს ფილოსოფოსის სიტყვებით: ის დრო და საათი, რომელსაც სწავლას არ ვახმართ, სავალალოდ იყარგებაო. ვახუშტის ნათელი რწმენით, ისტორიას პირუთვნელად უნდა დაეგმო ქვეყნის ორგულნი და გაემხნევებინა საშობლოსათვის თავდადებული ადამიანები. მისი სიტყვით, ისტორიაში კეთილსა და ბოროტს დიახაც ერთი ფასი არ აქვთ; მატთანე აღიდებს კეთილის მოქმედს და გმობს და სავილიშვილოდ ათახსირებს უკეთურ ადამიანებს. ვახუშტის თავისი ნაშრომის დასრულება მოუხდა მოსკოვში (1745 წ.), სადაც ის ქართულ კოლონიაში ცხოვრობდა.

ვახუშტის თაობის იყო ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე, რომლის საინტერესოდ დაწერილ მოკლე ქრონიკაში ამბების აღწერა მოყვანილია 1739 წლამდე.

ისტორიოგრაფიასთან ერთად მნიშვნელოვანი წარმატება ჰქონდა გეოგრაფიულ მეცნიერებას რუკათმწერლობის ჩათვლით. სწორუპოვა-

რი გეოგრაფიული ნაშრომი, რომელიც ასახავს საქართველოს მიწა-წყალს, ეკუთვნის ვახუშტის კალამს. ვახუშტი კარგად იყო დაუფლებული იმდროინდელ გეოგრაფიულ მეცნიერებას, რუსთა და უცხოელთა გეოგრაფიულ გამოცდილებას. ვახუშტის მიერ შედგენილმა ატლასებმა გზა გაიკვლიეს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის საზღვრებში და თუ პოლიტიკურ წრეებში. მისი რუკების საფუძველზე XVIII ს-ში მოხერხდა სხვა ატლას-რუკების დაბეჭდვა.

კიდევ უფრო ადრე ს.-ს. ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი რუკა (საქართველო და მომიჯნავე მხარეები) გადაეცა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიას. ამას გარდა, იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის ბრძანებით შედგა დასავლეთ საქართველოს დეტალური რუკა (1737 წ.), რომლის მიხედვით რუსეთის დაინტერესებული პირები ეცნობოდნენ ლიხა-იმერეთის ციხე-ქალაქებს, ბუნების სიმდიდრეს.

დასავლეთ ევროპის გეოგრაფიისა და ბურჟუაზიული კულტურის ცოდნის დანერგვას საქართველოში ხელს უწყობდა ს.-ს. ორბელიანის ნაშრომი „მოგზაურობა ევროპაში“ (ავტორის მოგზაურობა მოხდა 1713—1716 წწ.). ცნობილია ორბელიანის დეაწლი ფილოსოფიაში, მათემატიკაში.

დასრულებული სახე მისცა სულხან-საბა ორბელიანმა თავის უკვდავ ჭართულ ლექსიკონს (იწერებოდა 1685—1716 წლების მანძილზე). ამ ნაშრომში გამოვლენილია ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრე, დიდი ცოდნით არის განმარტებული ძველი ქართული სიტყვების მნიშვნელობა. გამოყენებულია სომხური, თურქული, ბერძნული, იტალიური სალექსიკონო მასალა. კულტურის მოამაგემ ორბელიანმა ამ ლექსიკონის შესრულებით ცხადპყო ქართული ფილოლოგიის მაღალი განვითარება.

ვახტანგმა, თავის მხრივ, სპარსულიდან თარგმნა ასტრონომიული ნაშრომი, რომელიც ეკუთვნის თემურ ლენგის სწავლულ შვილიშვილს ულუღბეგს (XV ს.). სპარსულიდან ვახტანგის მიერ თარგმნილი კოსმოგრაფიის კურსი „ქმნულების ცოდნის წიგნი“ დაიბეჭდა თბილისის სტამბაში (1721 წ.). ვახტანგს თავისი წვლილი შეუტანია ქიმიის დარგშიც.

საერთო წარმატებებმა მაშინდელ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში წინ წამოსწიეს სამართლის, მართლმსაჯულების საკითხები. მეფის ხელისუფლება შეეცადა მოეწესრიგებინა არსებული ბატონყმური ურთიერთობა, დაედო გარკვეული იურიდიული ნორმები, რომლებსაც უნდა დამორჩილებოდნენ „უფალიც“ და „მონაც“, აზნაურიც და გლეხიც, ეკლესიისა თუ მეფის მიხედვით. ეს აუცილებელი იყო თვითონ გაბატონებული კლასის დღის

გასაგრძელებლად. ამის შესაბამისად განათლებული მეფის — ვახტანგის მეთაურობით ჩამოაყალიბეს 270 მუხლად ეგრეთ წოდებული „აღწერილი განაჩენი“, ხალხის ენაზე — „ვახტანგის კანონები“ (აღწერილი დაწერილს ნიშნავს; განაჩენი შედგენილია 1705—1709 წლებში). ამ კანონთა წიგნში ჩანს ქართველი ხალხის დიდი საკანონმდებლო გამოცდილება, იურიდიული ენის სიზუსტე, ტერმინოლოგიის მრავალფერობა, ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა ხასიათი, ქვეყნის გარკვეული პროგრესიც. მის შედგენაში მონაწილეობდნენ უწარჩინებულესი სამღვდელონი, საერო ფეოდალთაგან — მუხრანბატონი, ამილახორი, ერისთავები ქსნისა და არაგვისა და სხვები. არისტოკრატიული შემადგენლობა სავსებით შეეფერებოდა „განაჩენის“ კლასობრივ მიზნებს.

მემამულეები და მათი მეურნეობა, საქართველო უგლებოდ ვერ იარსებებდნენ (ეს ლექსად გამოთქვა მეფე არჩილმა), ამიტომ ვახტანგის კანონი გლუხეკაცსაც ქომაგობდა, იმდენად მაინც, რომ გლუხობა ფიზიკურად არ გადაშენებულიყო. გლუხს მისი ბეგარა მოეთხოვება — და სასტიკადაც. საერთოდ, „ყმისა ყველა ბატონისა არის“. მაგრამ უნდა აღკვეთილიყო გლუხის მომთხრელი „უღების დაღება“, ესე იგი გლუხისათვის იმის დაკისრება, რაც კანონით არ სდებია ვალად. „უღების დაღება კაცის კვლის ოდენი არისო“. სამართალი მოითხოვდა, დიდსა და მცირეს — ყველას სცოდნოდა თავისი უფლება და მოვალეობა, ხოლო ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა ზუსტად უნდა შეფარდებოდა მის ქონებრივ მდგომარეობას. ვახტანგის სამართალში სამ-სამ ხარისხად იყვნენ დანაწილებული თავადებიც და აზნაურებიც: დიდებული თავადი (ასეთად ირიცხებოდნენ: არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი, ორბელიშვილი; სომხითის მელიქიც), შუა თავადი, მესამე თავადი; განდიდებული აზნაური, შუა აზნაური, მესამე აზნაური. მეტი პატივი და დიდება ენიჭებოდა მეტი მამულის მქონეს, ნაკლები პატივი — ნაკლების მქონეს. თავადის სიცოცხლეს მეტი ფასი ჰქონდა, აზნაურისას ნაკლები, გლუხს უმცირესი. დიდებული თავადის მკვლელობა 8-ჯერ უფრო ძვირად დაუჯდებოდა დამნაშავეს, ვიდრე განდიდებული აზნაურისა, და 16-ჯერ უძვირესად, ვიდრე გლუხისა. რადგანაც სისხლი მოკლული თავადისა, მოკლული აზნაურისა და მოკლული გლუხისა მეტ-ნაკლებად ფასობდა, ამის მიხედვით შემუშავდა იურიდიული თქმა: თავადს „მეტი სისხლი სდის“, აზნაურს (და მით უფრო გლუხს) ნაკლები სისხლი სდისო.

ვახტანგმა შეადგინა აგრეთვე სახელმწიფოს მმართველობის მოსაწესრიგებელი წიგნი „დასტურლამალი“ (დასტური მოქმედებისა, მოწესრიგება მოხელეთა საქმიანობისა). 223 თავში განსაზღვრულია მეფის, დარბაზისა და ჰროვინციათა მოხელეების უფლება-ვალდებულებები.



ბანი. დასტურლამალი, სამართლის წიგნივით, ქართული კულტურის შესასწავლად უხვ ცნობებს იძლევა.

მეფე არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული რეალისტური სკოლა, როგორც ვიცით, დიდი მოვლენა იყო. არჩილის ლექსთა კრებული („არჩილიანი“) შეიქმნა კულტურულ-ისტორიული ინტერესის მქონე ნაწარმოებით — „მეფეთა“ (ესე იგი მეფეთა ქება და მეფეთა „სამხილებელი“). აქ დახასიათებული არიან ავი და კარგი მეფეები, კარგთა შორის პეტრე პირველი. „თვით პეტრე ცარი — ვნახე, რაც არი, დიდი რუსეთის მტკიცედ მპყრობელი“. არჩილი აქებს რუსეთის ძლიერებას, მისი ჯარის გამართულობას.

ს.-ს. ორბელიანმა „სიბრძნე-სიცრუის წიგნის“ შედგენის გარდა, ვახტანგთან ერთად თარგმნა ძველი ინდოეთიდან გავრცელებული არაკთა წიგნი — „ქილილა და დამანა“. წიგნი ითარგმნა სპარსული დედნიდან (ლექსჩართული პროზით). „სიბრძნე-სიცრუის წიგნივით“, ამასაც აღმზრდელობითი დანიშნულება ჰქონდა. შიგ წერია, რომ ადამიანს აღამაღლებს არა გვარი და აზნაურობა ან სიმდიდრე, არამედ ცოდნა-მეცნიერება, კარგი აღზრდა. ამ წიგნში გლეხის ჰირ-ვარამიც არ არის დავიწყებული. ყმების „უხამსად მომკვლევი“ ფეოდალი შედარებულია მსუნაგ კატასთან, რომელიც საკბილოს არ ინდობს. „საბრალო გლეხი“ იღუპება „უწყალოსა და უსამართლოს“ ბატონის ხელში.

ლირიკულ პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ვახტანგ VI-მ, არჩილის უმცროსმა თანამეკალმემ. მის ლექსებში აღიბეჭდა ავტორის — სამშობლოდან გადახვეწილი მეფის სულისკვეთება, საქართველოს პოლიტიკური კრიზისებით გამოწვეული სევდა, პატრიოტული მისწრაფებანი; სურათებისათვის მასალას მას აძლევს ქართლის შიწა-წყალი, ყოფა, ზოგან რუსეთის ღინამდვილე, საკუთარი სამეფო მოღვაწეობა.

საისტორიო ეპოსს ეკუთვნის „კათალიკოსბაქარიანი“ იესე ტლაშაძისა. ამ პოემაში აღწერილია კახეთისა და ქართლის საბედისწერო ურთიერთბრძოლა (1723—1724 წწ.), ბაქარ ვახტანგის ძის მონაწილეობა ამ ბრძოლაში და კათალიკოს დომენტის, ვახტანგის ძმის, თავდასაყვალის.

იმავე რიგის ნაწარმოებია პოემა „ვახტანგისანი“ ფავლენიშვილისა, რომელშიც ვალექსილია ვახტანგისა და მისი ამაღლის რუსეთს გამგზავრების ვრცელი ამბავი. დაახლოებით იმავე ხანის ამბებს განეკუთვნა თავის დროზე (XVIII ს-ის მეორე ნახევარი) დაწერილი პოემა დავით გურამიშვილისა — „ქართლის ჰირი“.

ხელოვნებასაც ჰქონდა თავისი რამდენადმე საყურადღებო მიღწევები. ხუროთმოძღვრებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს საქართველოს

კუთხეებში დაზიანებული შენობების აღსადგენად, ახლის შესაქმნელად. კერძოდ, აღდგენა-შეკეთება დასჭირდა მცხეთის სვეტიცხოველს, თბილისში ციხე-გალავანს, სიონის ტაძარს, რასაც ზედვე მოწმობს ვახტანგის 1710 წლის წარწერა; თბილისში როსტომის განთქმული სასახლის ახლოს ვახტანგ VI-მ აიშენა ძვირფასი სასახლე სპარსული სტილისა, რომელიც მერმე ოსმალებმა დააქციეს (1725 წ.). ვახუშტის მოწმობით, სასახლე შიგნით მოსარკული, მოოქრული და მოხატული, დამშვენებული იყო მარმარილოთი, ლაქვარდით. იქვე აშენდა ვახტანგის ძმის, სვიმონ ბაგრატიონის სასახლე და ა. შ.

მშენებლები ხელმძღვანელობდნენ საამშენებლო დახაზული პროექტებით.

მრავალი ნიმუში მოიპოვება ტრადიციული ოქრომჭედლობისა, ხატვისა, ქარგვისა, ოქრომჭედლების მიერ გამოსახული არიან, მაგალითად, ვახტანგის თანამედროვე იმერთა მეფე ალექსანდრე და მისი დედოფალი ქართულ სამოსელში (გელათის ხატზე). ოქრონაჭედი სახეებით შემკულია წიგნების ყდებიც (სახარება). სუფთა ნაქარგის ნიმუშს წარმოადგენს კახეთის მეფის ერეკლე I-ის ასულის, ელენეს ნახელავი „გარდამოხსნა“ (მიცვლილი ქრისტეს გამოსახულება).

საქართველოში პირველი სტამბის ორგანიზატორთა რიცხვში უმეტესი სახსოვარი დარჩა ვახტანგ VI-ს, როგორც საქმის ინიციატორს. სტამბის მოწყობილობა, აგრეთვე სპეციალისტი-ინსტრუქტორი, უნგრეთის მიხაილ სტეფანეშვილი, რუმინეთიდან (ელახეთიდან) მიიღეს იქ მოღვაწე მწიგნობრის ანთიმოზ ქართველის ხელისწყობით. 1708 წლიდან წიგნმა იწყო გამოსვლა. იწვრთნებოდნენ ქართველი ასოთამწყობები, კორექტორები; რედაქტორობდნენ ნიკოლოზ ორბელიანი, გერმანე და სხვები. დღემდე დაცულია ამ სტამბის ოცი გამოცემის ნიმუშები (1708—1722 წწ.), უმთავრესად საეკლესიო წიგნები, „დაბადების“ ნაწილები — „დავითნი“, „სახარება“ და ა. შ.

ვახტანგმა თავს იღვა „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტირება და დაბეჭდვა (1712 წ.).

! წიგნი, წერა-კითხვა ბატონყმურ საზოგადოებაში უშუალოდ გაბატონებული კლასისათვის. ხელმისაწვდომ სიკეთედ რჩებოდა, მაგრამ წიგნის ასეთი შეზღუდული გამოყენება მაინც მთელი ხალხის პროგრესის საწინდარი იყო.

პირველად დაიბეჭდა წიგნში:

საქართველოს ისტორია, I. დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958..

## ქართული კულტურა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

### ქართული საზოგადოება XVIII ს-ის მეორე ნახევარში

მოცემულ ხანაში საქართველოში წინა დროზე უფრო გაძლიერდა ცხოვრების გადახალისების იდეა. ახლა მეტ მიმზიდველობას იჩენდა პროგრესული „ევროპია“ (ესე იგი დასავლეთი ევროპა და მასთან ერთად რუსეთიც). დახავსებული აზიის, ირან-ოსმალეთის საპირისპიროდ, დასავლეთი ევროპა ჰბადებდა ახალ იდეებსა და ინტერესებს. აღმავალმა ბურჟუაზიამ იქ შეიმუშავა თავისი ფილოსოფია ანუ სიბრძნე — მეცნიერება, რომელსაც ახლებურად უნდა გაერკვია ბუნებისა, საზოგადოებისა, აზროვნების განვითარების საერთო კანონები.

ბურჟუაზიული მოაზროვნეები გახდნენ განმანათლებლები, ხალხთა განვითარებისათვის შეუდგნენ მეცნიერების ყოველგვარი დარგის თავმოყრა-გარჩევას მრავალტომიან წიგნში, რომელსაც შეერქვა ენციკლოპედია („წიგნში მოქცეული საგანმანათლებლო საგნები“). ფეოდალურ საქართველოში, ისევე როგორც რუსეთშიც, უმეტესად პოპულარული შეიქნა, კერძოდ, ის შეხედულება, რომ ქვეყანას იხსნის განათლებული აბსოლუტიზმი ანუ სოციალური წოდებებისაგან დამოუკიდებელი, შეუზღუდველი მონარქია, რომლის სათავეში უნდა იყოს განათლებული, გონიერი მეფე. ფეოდალური სამეფოს გასაძლიერებლად მან უნდა გაატაროს ზოგ-ზოგი რეფორმა. შეზღუდოს მთავართა ავადები, ცენტრს დაუმორჩილოს მათი სამფლობელოები, ხელი შეუწყოს ვაჭრობას, მრეწველობას, ცოდნის გავრცელებას. პროგრესული საქართველო მზად იყო სწორედ განათლებული აბსოლუტიზმი დაეცა.

ქართულ მწერლობაში თანდათან იკვლევდნენ გზას მეტ-ნაკლებად მოწინავე შეხედულებები, სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები, თანდათან გავრცელდა სიტყვები: საზოგადოება (მონარქიის საპირისპიროდ) და რესპუბლიკა; გამოჩნდნენ თაყვანისმცემლები ბურჟუაზიული ენციკლოპედისტებისა; მოექმდნენ თანამგრძობელნიცა და განმაქიქებელნიც მაშინ ახალგაზრდა ნაპოლეონსა და „უღმერთო“ ვოლტერს; ცნობილი გახდა განმანათლებელი მონტესკიე და მისი „ქანონთა სული“, ყურადღების საგნად იქცნენ გაზეთი, ბიბ-

ლიოთეკა, თეატრი; განახლება შემოვიდა სკოლაში, სასწავლო პროგრამებში; საზოგადოებაში გამოჩნდა ახალი ტიპის ოჯახი, ევროპულად აღზრდილი ქართველი ქალი, პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილე, უკვე „უმანდილოდ“ მავალი. ახალი ინტერესების გამოძახილი, ფრანგი ფილოსოფოსის მონტესკიეს ნააზრევის ანარეკლი რამდენადმე ჩანს ალექსანდრე ამილახერის (1750—1801 წწ.) ნაწარმოებშიც — „ბრძენი აღმოსავლეთისა“. „ბრძენს“, ნამდვილად კი ავტორს, გამოთქმული აქვს ცალკეული პროგრესული იდეები: სახელმწიფო უნდა ჰქმნიდეს ისეთ კანონებს, რომელნიც შეეფერებიან ხალხის ზნე-ჩვეულებას; გლეხი პოლიტიკურად უქანასკნელი კაცია, მაგრამ მისი შრომა ქვეყანას სიცოცხლეს ანიჭებს, ამიტომ გლეხს ეჭირება დაზოგვა და გამხნევება; ადამიანმა ადამიანი, გლეხი იქნება თუ აზნაური, არ უნდა შეურაცხავოს, რადგან ერთი მეორეს სჭირდება, რადგან ადამიანები ერთნაირად იშობიან და ერთნაირად იხოცებიან; მეფის უფლება უნდა იყოს არა „უსამძღვრო“; მეფეს უპყრია ის უფლება, რომელიც მას პირობით დაუთმო ხალხმა (და არა ღმერთმა), ხალხს კიდევაც შეუძლია წაართვას ეს უფლება ბოროტ მეფეს, რათა გადასცეს ღირსეულ სამეფო კაცს. ალექსანდრე ამილახვარი თითქოს კვალში მისდევს შედარებით მოწინავე ბურჟუაზიულ განმანათლებლებს. მისი აზრითაც, მეფის უფლება „განიყოფების მრავალ უფლებად“, მაგრამ ამილახერის პროგრამით მეფის უფლებას ინაწილებენ თავიანთ შორის არა წოდებანი (აზნაურობა, სამღვდლოება და ბურჟუაზია), არამედ მხოლოდ თავადები. „რჩევულნი კაცნი“, ეს შეეფერებოდა თავადურ რეაქციას. ამილახერის პროექტით უნდა შეზღუდულიყო აბსოლუტური მონარქია ფეოდალების სასარგებლოდ.

ახალი იდეები მეტ-ნაკლებად მოქმედებდნენ საქართველოს ყველა წრეში. თვითონ ერეკლე მეფე პოლიტიკისა თუ კულტურის სარბიელზე იღვწოდა როგორც „განათლებული მონარქი“. მაშინდელი დიდი მეცნიერის ანტონ I-ის სიტყვით, ერეკლე იყო ფილოსოფიაში განსწავლული, ყოველ დიდ წამოწყებათა „მიზეზი“ და ინიციატორი. პროგრესული მისწრაფება ახასიათებდა იმერეთის სინამდვილესაც. მეფე სოლომონ I-ის კარზე გავლენა ჰქონდათ იმ დროის მოწინავე კაცებს. ალექსანდრე ამილახვარმა თავისი ნაწარმოები—პროექტი „ბრძენი აღმოსავლეთისა“ სოლომონ I-ს მიართვა (1780 წლის ახლოს) სახელმძღვანელოდ.

ევროპის მომხრეებს იმ დროის ფილოსოფოსი კათალიკოსი ანტონი წამქეზებლად მოეველინათ. საზოგადოებაში განმანათლებლურ იდეებთან ერთად ინტერესი გააღვივა დასავლეთ ევროპაში გაბატონებულმა კათოლიკურმა სარწმუნოებამაც. თავის დროზე ამ სარწმუნოების

გავლენა განიცადეს სულხან-საბა ორბელიანმა, ანტონმა, მაგრამ საპლედლოთა უმრავლესობამ მკაცრად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ.

საზოგადოებრივ აზრთა კიდილი უფრო მწვავედ გამოიხატებოდა საგარეო პოლიტიკის სფეროში. უმთავრესი იყო რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება. რუსეთის ორიენტაციის მომხრეები თავგამეტებით ებრძოდნენ ირანის, ოსმალეთის მოიმედებებს, „თათრული“ ტრადიციების მიმდევრებს. პროგრესის მცველთა მთელი თაობების ღვაწლით უკვე არჩეული და საკმაოდ გაყაფული იყო ერთადერთი სწორი გზა, გზა—„ევროპიისკენ“, რუსეთისკენ წამყვანი. ამ გზას ადგა ერეკლეც, დიდი „მოსწრაფე თავისი ხალხის ევროპულ რიგზე გარდაქმნისა“. ის მოქმედებდა იმ რწმენით, რომ რუსეთთან კავშირი იყო სურვილი მთელი „ჩვენი ქვეყნის, დიდთა და მცირეთა“. შთამომავლობამ (ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე და სხვები) ერეკლეს მრავალმხრივ მოღვაწეობაში ყველაზე უფრო დასაფასებლად მიიჩნია ქართველი ხალხის რუსეთთან დაკავშირება. ერეკლეს წერილობით მემკვიდრეობაში უდაოდეს ძეგლად რჩება მისი ხელმძღვანელობით შედგენილი 1783 წლის ტრაქტატი, ანუ „მეგობრობითი პირობა“. ევროპისადმი მიდრეკილებამ უკარნახა ერეკლეს ფართოდ გამოეყენებინა რუსეთის კულტურული მონაპოვრები სამართლისა, სწავლა-განათლებისა, ლაშქრის ორგანიზაციის სფეროში.

თანამედროვეები ერთხმად აღიარებდნენ ერეკლეს ხელმძღვანელობის პოლიტიკურსა და სამხედრო ღირსებებს. რუსეთის გამოჩენილი მოღვაწის პოტიომკინის დახასიათებით, ერეკლეს ჰქონდა გამჭრიახი თვალი, გონებამახვილი დიპლომატის თვისებები, იშვიათი მომთმინეობა; ის იყო საოცრად გამრჩელი, მთელი ღამეობით ფხიზელ-მღვიძარე, მუდამ სახელმწიფო საქმეებზე მდგომი და ა. შ. დამფასებელთა შორის იყვნენ ოსმალთა და ირანელთა მბრძანებლებიც, დასავლეთ ევროპის ოფიციალური პირები.

ანტონ კათალიკოსმა, ერეკლეს უახლოესმა თანამშრომელმა, თავისი ცოდნით ძალზე შეუწყო ხელი სამეფოში სხვადასხვა დიდ ღონისძიებათა განხორციელებას, რუსული ორიენტაციის პოპულარიზაციას ქართველობაში, რუსული ენისა და განათლების დანერგვას. რუსულ კულტურას ის უშუალოდ ეზიარა რუსეთში ყოფნისას (1756—1764 წწ.). საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად ანტონი ნაყოფიერად იბრძოდა ქართული ენის, ტრადიციული სარწმუნოების, ქრისტიანული მორალის დასაცავად.

პოლიტიკურ წრეებში დიდი გავლენით იყო მოსილი გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე (1751—1817 წწ.), რუსეთის მომხრეთა აქტიური მეთაური, მეფე ემიკალასბაში (გენერალ-ლეიტენანტი) და ყაზახის მოურავი. მამამისსაც, რევაზ ჭავჭავაძეს, იცნობდნენ როგორც მეფის

თანამებრძოლს, ნადირ-შაჰის ვალაშქრებაში ინდოეთს ერეკლესთან ერთად მონაწილე. გარსევანის ოჯახი, მისი მეუღლე მარიამი. ცოლისძმები სოლომონ ივანეს ძე ავალიშვილი და გიორგი (დრამატურგი, ეგვიპტეში ნამგზავრი და მოგზაურობის აღმწერი) ქართველ განათლებულ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ. მათ კარგად იცნობდნენ რუსულ წრეებშიც. გარსევანი, ქართლ-კახეთის მეფის ელჩი პეტერბურგის საიმპერატორო კარზე (1784—1802 წწ.), განუხრელად იბრძოდა ტრაქტატის პირობების დასაცავად. ერეკლე მას აღიღებდა როგორც საქუთარ „შვილს“ და ყოველ საქმეში მეფის „სარწმუნო“ კაცს.

საზოგადოებაში გავლენიან პირად ითვლებოდა ერეკლეს მრჩეველი და „მსაჯული“ სოლომონ ლიონიძე (1754—1811 წწ.). მამამისი ანდრია თელავის სამეფო კარის მღვდელი იყო. სოლომონიც მეფის მდივანი გახდა და ნამსახურობის გამო ერეკლემ ქართველი თავადების წოდებაში ჩაირიცხა. სოლომონი აღმოსავლურ ენებს გარდა რუსულსაც ფლობდა. მან ქართულად თარგმნა სავარჯიშო წიგნი „რაზლოვორი“ ანუ „სასაუბრო“. ის მხარს უჭერდა რუსეთთან კავშირს 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე. მისი თაოსნობით დაიდო, როგორც ვიცით, ქართულ სამეფოებს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება (1790 წ.). სოლომონის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა კარგად ჩანს იმ ვრცელ სამგლოვიარო სიტყვაში, რომელიც მან დიდი სიმკვეერით წარმოთქვა ერეკლეს დაკრძალვის დღეს. ამ სიტყვაში სოლომონმა დაახასიათა ქვეყნისათვის თავდადებული მეფე, როგორც „ჭერკულესი“ სარდალი, რომელმაც თავისი მაგალითით „საიგავოდ აქო, აღიდა სიმხნე ქართველთა ცათამდე“. რუსეთის პროგრესული როლის შესაფასებლად მან რიტორიკულად მიმართა ქართველობას: სანამ საქართველოს „დიდის როსიიდან გამოჰყავს ლაშქარი, ციმბირიდან მოჰყავს სამხედრო გუნდი, ვის შეუძლია შენი დამდაბლებაო!“. მეფის შემეკვიდრეებში მას არ ეგულებოდა ერეკლეს ტოლი კაცი და ამიტომ ყოყმანობდა: „ვის დროშას ვემსახურო“ და „ვისთვის ვიცოცხლო“.

### სწავლა-განათლება და მეცნიერება.

#### ლიტერატურა და ხელოვნება

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში სახელმწიფო სკოლები დაარსდა. ასეთი იყო ფილოსოფიის სემინარიები, შექმნილი თბილისსა (1755 წ.) და თელავს (1782 წ.). მათი სასწავლო გეგმები რუსეთიდან იყო გადმოღებული. სემინარიებს განაგებდნენ რექტორები, რომელთაც სამეფო სალაროდან ეძლეოდათ ხელფასი. რექტორთაგან ხალხმა სხვებზე უფრო დაიმახსოვრა თელავის სემინარიის მმართველი დავით ალექსის ძე მესხიშვილი, რომელსაც პირდაპირ დავით რექტორს

ეძახდნენ. თბილისის სემინარია მოთავსებული იყო ანჩისხატთან. იქ ასწავლიდნენ, საეკლესიოს გარდა, „თავისუფალ“ საგნებსაც: გრამატიკას, პიტიკას, რიტორიკას, ლოგიკას, კატეგორიებს (არისტოტელისას), ფიზიკას, მეტაფიზიკას, ზნეობით ფილოსოფიას. სემინარია ფლობდა მდიდარ წიგნსაცავს. თბილისში დაარსდა რუსული ენის შემსწავლელთა სკოლაც (1778 წ.).

სასკოლო მოღვაწეთა უფროს თაობას ეკუთვნოდნენ ანტონ I, უილიპე ყაითმაზაშვილი (თბილისის სემინარიის პირველი რექტორი), ანტონის მოწაფე გაიოზი (თელავის სემინარიის პირველი რექტორი), დავით რექტორი და სხვები. სასკოლო სახელმძღვანელოების, სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის შექმნაში ანტონს ხვდა ხელმძღვანელობა და დიდი სააგრორო შრომა.

საქართველოში მეცნიერული მუშაობა მოიცავდა ცოდნის მაშინ საყოველთაოდ ცნობილ დარგებს. ამათ რიცხვში ისტორიოგრაფია თავის საპატიო ადგილს ინარჩუნებდა. ვახუშტის დიდი საქმის გამგრძელებელთა შორის ერეკლეს მეფობის აღწერას მიუძღვნეს თავიანთი ნაშრომები პაპუნა ორბელიანმა, ომან ხერხეულიძემ და ზოგმა სხვამ. მაინც უმნიშვნელოვანესია პაპუნას ნაშრომი. პაპუნა მკაფიოდ და საქმის კარგი ცოდნით აღწერს, მეტადრე, პოლიტიკურსა და სამხედრო ამბებს. ავტორი მწუხარედ აღწერებს მკითხველს, რომ მას უხდება ქართული ხალხის მეტად მძიმე თავგადასავლის თბრობა, ის წერს, რომ თითქმის „არაოდეს ყოფილ არიან ესევეთარნი იწროებანი საქართველოს ცხოვრებაში“, დამპყრობელთა ასეთი „მალიადნი ცვალებანი“. პაპუნა განმარტავს თავისი ნაშრომის პატრიოტულ-აღმზრდელით მნიშვნელობას; ის ისტორიას წერდა იმ მიზნით, რომ „მოზარდულთა“ (ე.ე. იგი მოზარდმა თაობამ) შეისწავლონ თავიანთი სამშობლოს მიერ გადატანილი „ჭირნი და იწროებანი“ და ფხიზელ დარაჯად მოევიწიონ მას მომავალში.

ანტონს, სხვა თავის ნაშრომთა შორის, შეუდგენია სკოლებში სახმარებლად „მოკლე ისტორია საქართველოსი“. მისი ორიგინალური ლექსად დაწერილი შრომა „წყობილსიტყვაობა“ შეიცავს ქართველი ხალხის ღვაწლმოსილ წინაპართა ისტორიული საქმეების აღწერა-შექებას. აზნაურთა სოციალური წრიდან გამოსულმა და მერმე გათავადებულმა იესე ბარათაშვილმა თავის შვილებს უძღვნა საგულისხმო „ანდერძი“, ერთგვარი სწავლა-დარიგება იმის შესახებ, თუ „უგვაროთა“ ახალი თაობა რა ხერხებით უნდა დაწინაურებულიყო ფეოდალურ საზოგადოებაში, რა მომჭირნეობა, თადარიგი და შეძენისმოყვარეობა იყო მისთვის საჭირო. ეს შრომა გამოხატავდა საზოგადოებაში ჩასახული ახალი ძალების მისწრაფებებს, საერთოდ, იმდროინდელ ისტორიულ ვითარებას. ერეკლეს მეფობის ხანა რამდენადმე ასახა ალექსანდრე

ამილახვარმა თავის წიგნში „გეორგიანული ისტორია“ (საქართველოს ის უცხო ერთ გეორგიას უწოდებს). მეფისაგან პოლიტიკურ ბრძოლაში დამცირებულმა თავადმა ამილახვარმა ამ შრომაში ერეკლე შურისძიებით გაიციხა. ეს წიგნი მან დასტამბა პეტერბურგში (1770 წ.). ერეკლეს და გიორგის მეფობის დრო და მომდევნო წლები აღწერეს დავითმა და მისმა ძმებმა ბაგრატიმა და თეიმურაზმა, გიორგი მეფის შვილებმა.

სასწავლო-სამეცნიერო შრომები მიედღვნა ფიზიკას, მათემატიკას, ასტრონომიას, რომელნიც თანდათან ფანტავდნენ შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ჩამორჩენილობას, ცრუმორწმუნეობას. ანტონმა თარგმნა გერმანელი ფილოსოფოსის ვოლფის ფიზიკა (ლომონოსოვის რუსული გამოცემის მიხედვით). ჩვენ დრომდე დაცულია მათემატიკის ვრცელი კურსი (არითმეტიკა, გეომეტრია და სხვ.), შედგენილი იოანე ბაგრატიონის მიერ.

ფილოსოფიის დარგში ითარგმნა არაერთი ნაშრომი განმარტებებით. ანტონი იღვწოდა არისტოტელეს (IV ს. ძვ. წ.), პროკლეს (V ს.) და სხვა ფილოსოფოსთა ძველი ქართული თარგმანების აღდგენისათვის ან ახლად თარგმნისათვის. გადმოაქართულა, კერძოდ, ბაუმეისტერის (XVIII ს.) დამუშავებული კურსი ლოგიკისა, მეტაფიზიკისა და სხვ. მანვე შეადგინა „სპეკალი“ (ასე ისახელებოდა ყოველი პატიოსანი თვალი), რომელშიც გადმოცემულია ფილოსოფიის დარგები, დიალექტიკა, ფსიქოლოგია და სხვ. ამ წიგნში წარმოდგენილი არიან, არისტოტელეს, პლატონის და სხვა ფილოსოფოსთა გარდა, ქართველი სიბრძნისმეტყველნიც (იოანე პეტრიწი), სომეხნიც (სვიმეონ ჯულფელი). ანტონის ამ ნაშრომს წინ უძღვის მისი თანამოკალმის, ტიმოთე გაბაშვილის წინასიტყვაობა.

ეს იყო მეცნიერებათა მიღწევების შეკრების ერთ-ერთი საინტერესო ცდა. ამით მზადდებოდა ნიადაგი ქართული ენციკლოპედიის შესაქმნელად. შემდეგში იოანე ბაგრატიონმა (1772—1830 წწ.) კიდევ განახორციელა ეს დიდი საქმე, შექმნა ძველებური (ანბანზე დაუწყობლად) ენციკლოპედია, რომელსაც პირობით სახელად ჰქვია „კალმა-სობა“.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მხატვრული ლიტერატურა გამდიდრდა პოეზიის ახალი ნიმუშებით. დავით გურამიშვილის (1705—1792 წწ.) დიდი პოეტური შემოქმედება გაიშალა მისი მშფოთვარე ცხოვრების მეორე ნახევარში, უკვე უკრაინაში (დაახლოებით 1763 წლიდან). ლიტერატურაში რეალისტური ტენდენციების დამამკვიდრებელი არჩილის გამაგრძელებელმა დავითმა შექმნა ლექსთა ძვირფასი კრებული, რომელიც ცნობილია პოეტისავე სახელით — „დავითიანი“.



დავითი კარგი განათლებისა და მაღალი პატრიოტული გრძნობის მქონე მწერალი იყო. ის ზედმიწევნით იცნობდა ქართველი ხალხის ჭირ-ვარამს, მის ისტორიას.

დავითი ზრუნვით მიმართავს მოძმეებს და სთხოვს — არ დადუპონ თავიანთი მომავალი, არც ომში და არც შიმშილში არ გადააგდონ სწავლა-განათლება. მისი შაირით, „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“. გურამიშვილმა გამოიჩინა ისტორიკოსის კარგი ალღო. პოემაში „ქართლის ჭირი“ მან მხატვრულად აღწერა ვახტანგ VI-ის ჭირნახული მეფობა, პეტრე იმპერატორთან მისი ურთიერთობა, მოსკოვს გადასახლება; ქართლ-კახეთში ფეოდალური შფოთი; თბილისის ალება კახთა მეფის კონსტანტინეს მიერ და ა. შ. „დავითიანში“ აისახა დიდი პოეტის დრამატული თავგადასავალი, მისი დაღესტნელ აბრაგთა მიერ ტყვედ გატაცება, მოსკოვს გაქცევა, რუსეთს მისი სამხედრო სამსახური, ომებში მონაწილეობა; 30 წლის განმავლობაში ცხოვრება უკრაინის ქალაქ მირგოროდის რაიონის სოფ. ზუბოვკაში, სადაც ის გარდაიცვალა. დავითმა შეისწავლა რუსული და უკრაინული ენები, კარგად გამოიყენა სლავ ხალხთა ლექსთწყობის წესები ქართული პოეტური ფორმების გასამდიდრებლად.

ქართული ლექსთწყობის ძველი წესების გადამხალისებელი პოეტი იყო დავითის თანამედროვე მამუკა ბარათაშვილი. მან დაწერა პოეტური ფორმების შესასწავლი წიგნი „კაშნიკი“.

ბესიკი ანუ ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაშვილი (1750—1791 წწ.) თავისი-დროის სახელმწიფო პოეტი იყო. 1777 წლიდან ის ირიცხებოდა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის კარზე; დიპლომატიური დავალებით იმგზავრა ირანსა და რუსეთს; ერთ ხანს დაპყრო კრემენჩუგს (უკრაინა, პოლტავის ოლქი), კიშინიოუსა და იასას (სადაც დაიკრძალა კიდევეა).

ბესიკს, გარდა სატრფიალო ლირიკისა, ეკუთვნის რამდენიმე პოემა, რომლებშიც ასახულია ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ერთი მათგანი, „ასპინძისათვის“, ავტორმა მიუძღვნა ამ ბრძოლის მონაწილეს, ერეკლეს სიძესა და თანამებრძოლს, სარდალ დავით ორბელიანს. პოემაში ჩანს მეფე ერეკლე მისი ჭარით: „თვით მეფე, ქართველ და კახნი ომის ხალისით ხლდებოდენ“ (ე. ი. ტოკაძენენ). ჩანს რუსული მხედრობაც:

რუსნიცა წითელ-მწვანითა და ლურჯით შეხამდებოდნენ,  
თითბრის ჩანთანი ბრწყინავდენ, ვარსკლავთა ეგვანებოდენ.

ჩანს ბრძოლის ველიდან უკან წამოსული ტოტლებენიც:

ღრადი ჭარით გამობრუნდა — მით სახელი ვერა იქო —  
სხვა პასუხი არვის მისცა: სითაც მოველ წავალ იქო.

წარმტაცი ფერებით არის დახატული ომის მსვლელობა. ღაჯით სარდლის გმირობა და ქართველთა გამარჯვება. სხვა პოემაში მოთხრობილია ბრძოლა, სოლომონ იმერთა მეფის მიერ ძლევამოსილად გადახდილი.

პოეტი საიათნოვა (დაიბ. 1712 წ. ახლოს — გარდ. 1801), ტომით სომეხი, დაიბადა ქვემო ქართლს და აღიზარდა თბილისს. ის იყო ქალაქის მოსახლეობაში განთქმული აშული (დამკერველ-მომღერალი). ლექსებს ერთნაირი ხალისით წერდა სომხურადაც, ქართულადაც და აზერბაიჯანულადაც. ისე შეეზარდა ქართველობას, რომ აზერბაიჯანულად გამოთქვა: „ჩემი სამშობლო თბილისია, მხარე ქართლისა“. ერთ დროს (1758—1765 წწ.) საიათნოვა მეფე ერეკლეს ჰყავდა კარის აშულად. საიათნოვამ ერთ თავის ქართულ ლექსში აღნიშნა, რომ ის იყო:

მეფეთაგან მეჯლისს მიწოდებული,  
თავადებთან პატივცემით შვებული,  
ალისფერი კაბით განშვენებული.

სხვა ლექსში იგი თავმომწონედ აცხადებს, „საქართველოს მეფის საზანდარი ვარო“.

ქართველი ხალხის დიდ სიყვარულს ხელოვნებისადმი მოწმობენ დღემდე მეტ-ნაკლებად შემორჩენილი იმდროინდელი ძეგლები ხუროთმოძღვრებისა (საცხოვრებელი შენობები, ციხე-გალავნები და კოშკები), ძეგლები ქანდაკებისა, მხატვრობისა და ა. შ. იმდროინდელი ხუროთმოძღვრების ნიმუშები არ არის ისეთი დიდებული და მოხდენილი, როგორც, მაგალითად, ადრეფეოდალური ხანის ან განვითარებული ფეოდალიზმის საუკუნეთა ძეგლები, მაგრამ მათ მაინც აქვთ დიდი მიმზიდველობა, ეტყობათ ქართველ ხელოვანთა შემოქმედებითი გამბედაობა, ახალი ფორმების ძიების უნარი.

ნინოწმიდას (საგარეჯოს რაიონი) ეკლესიის ეზოში დგას საბატუსი შვილისეული სახლი, რომელიც ამ სასულიერო პირისთვის აუგიათ (XVIII ს-ის 70-იან წლებში). ამ სახლის ზოგი დეტალი უკვე ევროპული არქიტექტურის მიბაძვით არის გაკეთებული.

ირანის ბატონობის პირობებში ქართულ ხუროთმოძღვრებაში თავი იჩინა სპარსულმა გავლენამ. მაგალითად, თლილი ქვის ნაცვლად ზოგ ნაგებობას, სპარსულის მიბაძვით, ამკობს უფრო იაფფასიანი აგურის პერანგი. აგურის პერანგით არიან მოსილი ქარვასლები, კერძოდ, „თეკლას ქარვასლა“, აბანოები და სხვ. აგურის პერანგიანი თაღებისათვის ნიშანდობლივია ისრისებური ფორმა. აგურის წყობა, კუთხეები და საფასადო წიბოები ქმნიან ერთგვარ სახეებს, ფიგურებს და კარგ საერთო შესახედაობას.

თბილისი დამშენებული იყო მდიდრული შენობებით. სასახლეთა-

გან — ვახტანგისეული დააქციეს თურქებმა (1725 წ.); მეორე, როსტომისეული, ემსახურებოდა ერეკლე II-საც. ამ სასახლეში ერეკლემ, სხვათა შორის, რუსული ღუმელი გააკეთებინა რუს ოსტატს. ეს სასახლე აღა-მაჰმად-ხანმა დაანგრია. თბილისის სასახლეთაგან დღემდე შემორჩენილია ერეკლეს მეუღლის დარეჯან დედოფლის ციხე-კოშკი ავლაბარს, რომელსაც „საჩინო“ ეწოდება და რომელიც შექმნილია ერეკლეს მეფობაში (1776 წ.). ამ თავისებურ სასახლეს თან ახლავს კარის ეკლესია და სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობანი. ერეკლემ თელავს ააშენა ციხე და სასახლე.

ამ გამუდმებული ომიანობის ხანაში, ქართლ-კახეთის სამეფოში შენობათა დაქვევა და დაზიანება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამიტომ ქართველი ხალხის ნივთიერი სახსრები და ენერგია დიდი დაზოგვით უნდა დახარჯულიყო და უფრო გადაუდებელს, აღდგენით სამუშაოებს უნდა დასჯერებოდნენ. კერძოდ, თბილისში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა ჩატარებული, მაგალითად, დედაციხის, ნარიყალას სიმაგრე-კოშკების აღსადგენად. მეტეხის მტრისაგან განთავისუფლებას (1748 წ.) მოჰყვა მისი გალავნისა და იქვე ეკლესიის აღდგენა. ამას მეტყველებს ერეკლეს სახელით ტაძრის კედელზე ამოჭრილი წარწერა. ასეთივე აღდგენითი მუშაობა ტარდებოდა საქართველოს ყოველ კუთხეში. იმავე დარეჯანის მიერ თბილის-ბოლნისის გზაზე (XVIII ს. დამლევს) აგებულ იქნა ქოლაგირის ციხე, რომელსაც აქვს სწორკუთხი გალავანი და დიდი ბურჯები. მკადიჯვარს, მუხრანსა და ღუშეთს შორის, არის დიდი ეკლესია, რომლის გალავანიც აშენებულია 1746 წელს.

1777 წელს აღდგენილ იქნა არაერთხელ დაზიანებული ცაიშის ტაძარი (სამეგრელოში). 1752 წელს რაჭის ერისთავმა როსტომმა სოფ. წესთან ააშენა ბარაკონის ტაძარი. ეს არის ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესია, თლილი ქვის პერანგიანი, მდიდრულად მოჩუქურთმებული.

თბილისის მოსახლეობამ მტერზე გამარჯვებით გამოწვეული ზეიმი ფერადოვანი და შინაარსიანი იცოდა. ზეიმის საყოველთაო მათწყებელი იყო ზარბაზნების სროლა. ღამ-ღამობით ქალაქს აშუქებდა „ჩირალვანი“ (ილუმინაცია). მეფეს მისალოცავი სიტყვით მიმართავდა ესა თუ ის ორატორი. იყო „მეჯლისი და ლხინი“. სახალხო გასართობებში ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ყეენობა. ხალხს მოქმედ პირად სასაცილო როლში გამოჰყავდა ყეენი (ირანის შაჰი). მიმზიდველი იყო ყაბახიც. „ყაბახი“ ერქვა მაღალ სვეტს, რომლის კენწეროზე იდგმებოდა ისრის მოსახვედრებელი ნიშანი, მაგალითად, ვერცხლის თასი. თასის გადმომგდები მიისრე დაჯილდოებული რჩებოდა. იცოდნენ ჩოგანბურთიც (ცხენბურთი).

პირველად დაიბეჭდა წიგნში:

საქართველოს ისტორია, I. დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1968.

## დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია

საქართველოს ისტორია — მისი ხალხის დიდი შემოქმედების, სასწაულებრივად გმირული ბრძოლის შედეგია. მას ქმნიდნენ „უკუნი-თი უკუნისამდე“ ხალხის მასები, „უბრალო ადამიანები“ თავიანთი დაუფასებელი, სიცოცხლის მომნიჭებელი შრომით, სისხლით, ოფლით, სიბრძნითა და სულგრძელობით. მათ სრბოლას პროგრესის უღვეველ გზაზე, კლასობრივი საზოგადოების პირობებში მუდამ „ძნელად სავალ-ზე“, მეთაურთა რიგებში ერთმანეთს სიხარულითა და განწირულე-ბით სცვლიდნენ, თაობიდან თაობაში, ხალხის საუკეთესო შვილები, დავით გურამიშვილის სიტყვით რომ ითქვას, „ჩვეულნი“, მათ შორის ეგრეთ წოდებული სულიერი კულტურის ქურუმებიც.

ამათ დასს ეკუთვნის წინამდებარე ნაშრომის მიზეზიც — დიდი დავით გურამიშვილი, ისევე როგორც ეკუთვნიან მათ კრებულს სულ-ხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ძველი საქართველოს უდიდესი ის-ტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი და სხვები. ისინი ოთხნივე ერთი დროის მოღვაწენი იყვნენ, თანამედროვენიც და თანამოაზრენიც, თა-ვიანთი დროის უმაღლეს ზნეობრივ და გონებრივ მისწრაფებათა ურ-თიერთგამზიარებელნი. ამ თვალსაზრისით, მკითხველი გამართლებუ-ლად ჩაგვითვლის, თუ ამ ოთხთა სახელს სათანადო შესწორებით მივეუ-ყენებდით „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ტაეპს: „მათ სამთა გმირთა მნათობთა სკირთ ერთმანეთის მონება“.

ჩვენი ბრწყინვალე ოთხეულის ასეთი იდეური თანამოსაგრეობა, ვფიქრობთ, საკმაოდ ნათლად ჩანს წინამდებარე ნაშრომის მთელ სიგრ-ძეზე. აქ კი, რათა „ხარკი მივართვათ“ თვითონ სულხან-საბას დიდ პროგრესულ მისწრაფებებს, მკითხველს მოვაგონებთ მის ქეშმარიტად ტვირთმძიმე დიპლომატიურ მოგზაურობას, რომელმაც საქვენოდ და საშვილიშვილოდ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ქართველი ხალხი აუჯანყდა აზიურ დესპოტურ ბატონობას, უშიშრად დაგმო ყიზილბა-შობა და ოსმალობა; ამ აჯანყებას მიმართულებას აძლევდნენ, ჩვენს შემთხვევაში, მეფე ვახტანგ VI და მისი თანამშრომელი მწიგნობარი სულხან-საბა ორბელიანი.

დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირფესვი-

ნი კვლევისათვის ნიადაგი კარგად არის შემზადებული. ამ დიდ საქმეში დღესდღეობით უმნიშვნელოვანესი წვლილი ისევ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეებს აქვთ შეტანილი. როგორც შოთა რუსთაველი საქართველოს განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქისათვის, ასევე დავით გურამიშვილი გვიანფეოდალური ხანისათვის „წინამძღვარია“ („კორიფე“). ის ენციკლოპედისტია. ქართული კულტურის ერთ-ერთმა აღმშენებელმა მოამაგემ, აკადემიკოსმა ბროსემ (1802—1880 წწ.) რუსეთის აკადემიის გენერალურ ასამბლეაზე (1837 წ.) წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც მან მიუძღვნა საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურას, დავით გურამიშვილის ქმნილების შესახებ, კერძოდ, განაცხადა: ეს არის მთელი „ენციკლოპედია, რომელიც საკმაოდ კარგად წარმოგვიდგენს იმ ქვეყნის განათლების მდგომარეობას, სადაც ერთ კეთილშობილს (ჩვენს შემთხვევაში: დავით გურამიშვილს. — ვ. დ.) შეეძლო ყოფილიყო ამოდენი ცოდნის მფლობელი“<sup>1</sup>.

ამიტომ ბუნებრივია სამეცნიერო ინტერესთა ის მრავალმხრივობა, რომელიც ახასიათებს „დავითიანის“ ირგვლივ წარმოებულ შეუნელებელ კვლევით მუშაობას<sup>2</sup>. ეს კარგად შეიმჩნევა, თუნდაც რომ საკითხის შესწავლის ისტორიას ზოგადად გადავხედოთ. ალ. ბარამიძემ ჯერ კიდევ 1931 წ. მიზნად დაისახა „გურამიშვილის პრობლემის“, როგორც თვითონ წერდა, „ხელახლა დასმა“<sup>3</sup> და მომდევნო წლებში არაერთი საინტერესო შრომაც მიუძღვნა დიდ მწერალს<sup>4</sup>. სახელმძღვანელო მნიშვნელობისაა კ. კეკელიძის კაპიტალურ „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ შესული სათანადო ნაკვლევი (ტ. II, თბ., 1958), რომელსაც ამ ბოლო დროს დავმატა „დავითიანისადმი“ მიძღვნილი მისივე საგულისხმო კომენტარები<sup>5</sup>. სათანადო ლიტერატურას მონოგრაფიული ხასიათის ნარკვევი შესძინა გ. ნატროშვილმა. რუსეთ-საქართველოს და უკრაინა-საქართველოს ურთიერთობას ასახავენ საარქივო

<sup>1</sup> ფრანგულ დედანში იკითხება: „... une encyclopédie, représentant assez bien l'état de l'instruction dans un pays où un noble possédait cette mesure de connaissances“ (Recueil des Actes de la séance publique de l'Académie impériale des sciences de Saint-Petersbourg, S.-Pb., 1838, p. 106).

<sup>2</sup> იხ. სათანადო ბიბლიოგრაფია: დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. დავითიანი, თბ., 1955, გვ. 306 და შმდ.

<sup>3</sup> დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1931, გვ. 1.

<sup>4</sup> იხ. კერძოდ, ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1940, გვ. 276 და შმდ.; А. Г. Барамидзе, Давид Гурამишвили, Тбилиси. 1955.

<sup>5</sup> დ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. დავითიანი. კომენტარები (შედგ. კ. კეკელიძის მიერ), გვ. 312—320.

მასალებზე დამყარებული შრომები სოლ. ყუბანეიშვილის<sup>6</sup> და დმიტრო კოსარიკის<sup>7</sup>, ალ. ბარამიძის, ლ. ასათიანისა, ბ. ელენტიას<sup>8</sup>. გ. ლეოხიძის კალამს ეკუთვნის, კერძოდ, შესავალი სტატია და კომენტარები, დართული „დავითიანის“ ზაბოლოცისეული თარგმანის (თბ., 1954 წ.) გამოცემაში. გურამიშვილს მიეძღვნა წყაროთმცოდნეობითი შრომები (ტ. რუხაძე, გ. ნატროშვილი), ფოლკლორისტული (მ. ჩიქოვანი), ლექსიკოგრაფიულიც, სხვადასხვა გამოცემათა დანართის სახით (ივ. გიგინეიშვილი<sup>9</sup>, ს. იორდანიშვილი<sup>10</sup> და სხვ.). კულტურის ისტორიის შესასწავლად სპეციალურ ინტერესს წარმოადგენს პირველწყაროებზე დამყარებული მონოგრაფიული შრომა ქ. შარაშიძისა<sup>11</sup>. „დავითიანზე“ სარედაქციო მუშაობაში თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი კ. კეკელიძეს, ი. აბაშიძეს, ალ. ბარამიძეს, ნ. ბერძენიშვილის, გ. ლეონიძეს, ს. ჩიქოვანს და სხვათა, რომელთა სახელებს ნაწილობრივ ქვემოთ შეხედება მკითხველი.

ამ სტრიქონების ავტორმა, თავისი სამეცნიერო ინტერესების მიხედვით, მიზნად დაისახა ძალისაებრ გამოეჩინა და შეეფასებინა ის წვლილი, რომელიც დავით გურამიშვილმა შეიტანა თავისი დროის ისტორიულ მოვლენათა კრიტიკული შეცნობისა და დოკუმენტაციის საქმეში. ქვემოთ აღწერილი ფაქტები, ვფიქრობთ, საკმაოდ დამაჯერებლობით აუწყებს მკითხველს, რომ როგორც ლიტერატურათმცოდნეს მოეპოვება საბუთი „დავითიანი“ რეალიზმის პოზიციებიდან შეაფასოს, ისე ისტორიკოსს საფუძველი აქვს ამ ნაწარმოების გარკვეული ნაწილი, ეგრეთ წოდებული „ქართლის ჭირი“, განიხილოს ისტორიოგრაფიული ინტერესების თვალსაზრისით. ისიც უნდა ითქვას, რომ თვითონ იღეა „დავითიანში“ სამატრიანეო მონაცემების ამოკითხვისა ჩვენგან არ მომდინარეობს. ამას საკმაოდ ნათლად ვუჩვენებთ მკითხველს ქვემოთ. აქ მოვიგონებთ მხოლოდ, რომ, მაგალითად, მ. ბროსემ, როგორც ისტორიკოსმა, XVIII ს-ის მოვლენათა შეფასებისას, ზოგან თავის წყაროდ დაასახელა სწორედ „დავითიანი“<sup>12</sup>.

6 ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, თბ., 1955.

7 დ. კოსარიკი, დავით გურამიშვილი უკრაინაში, თბ., 1949 და 1957.

8 ა. ბარამიძე, ლ. ასათიანი, ბ. ელენტი, საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1954.

9 დავითიანის 1955 წლის გამოცემა.

10 დავითიანის 1931 წლის გამოცემა.

11 ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722 წწ.). თბ., 1955. საკანდიდატო დისერტაცია (დაცულია მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

12 Histoire de la Géorgie, trad. du géorgien par M. Brosset, II, S.-Pb., 1856, p. 118, n. 4; p. 129—130, n. 3 etc.

მკითხველი თვითონ განსჯის სამართლით, რომ აქ წარმოდგენილ მცირე მოცულობის ნაშრომში ჩვენ ვერ შევძლებთ ყველა სათანადო საკითხის ერთნაირი ინტენსივობით დამუშავებას. ზოგ საკითხს ჩვენ სხვაგან ვეხებით. საერთოდ, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის შესასწავლად საჭირო საბუთები, მონოგრაფიული შრომები და სხვა მასალები (ა. ცაგარელი, პ. ბუტკოვი, ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე და სხვ.) საშუალებას იძლევიან ჩვენ მიერ დასახული ამოცანის ჯეროვნად გადასაჭრელად.

ცნობილია, რომ დიდ დავით გურამიშვილს იმ „კერძო ცხოვრებასა“ თან გაჰყვა სევდა, მისი „შვილების“ სვეუბედობით (და უშვილობითაც) გამოწვეული. აქ ბრკყალებში ჩასმული „შვილები“ გურამიშვილის ნაწერებად, თხზულებებად უნდა ვიგულისხმოთ<sup>13</sup>. დიდი დავითის სიტყვით, „შურმა“ (ჩვენს ენაზე — ვანდალმა) „მსხვილს შვილებს ყელი დამიკრა, წერილები, ფეკით მისრისა“<sup>12</sup>. სამაგიეროდ მწერალს დარჩა ერთი მათგანი: „მე რაც ვშობე, შვილად ვსჯერვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა“<sup>15</sup>. ეს უკვე ისტორიულ ქართველს გადაარჩენილი კრებულება — „დავითიანი“. ავტორის ენაზე „მზრდელი“ — უთუოდ უფალია. ღმერთი შემეწევა და ჩემს ნაწარმოებს დავასრულებო. აი, ეს დავითის საყვარელი „შვილია“ ქართველ მწიგნობართა — თაობიდან თაობამდე — ზრუნვის საგანი. დ. გურამიშვილი მოესწრო მის გაზრდას. ხოლო დიდი მწერლის განათლებული შთამომავლობა, დაწყებული გიორგი წერეთლით, უმიკაშვილით და ა. შ., დღევანდელ დღემდე, ვინ რა საშუალებით, მის „მემკვიდრეს“ არ აკლებს მოვლას, ან ვინ „ღირს ა“ მისთანა შვილს! მაგრამ აქაც ნუგეში არაეის გვაკლია. დავითმა სულგრძელობით ღალადყო: „შენ რომ შვილი არა გყვანდე, პა ძმა შენი და ძმისწული“<sup>16</sup>. მართლაც, რომელი ქართველი არ იძმობს და არ იძმისწულებს დიდ დავითს და მის „შვილს“!

უმთავრესად მაინც რა ზრუნვა და ვარამი გაჰყვა თან გურამიშვილს? ეს იყო საყვარელ სამშობლოზე ზრუნვა, ზრუნვა დამოუკიდებლობისათვის. სპარსელებთან და თურქებთან ბრძოლაში დამარცხებული მმართველი წრეების მისამართით დავითი დარდით წერდა:

<sup>13</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 301.

<sup>14</sup> დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, 107, 580, 1—2 (შემდეგში ყველგან მითითებული იქნება ეს საოუბილეო გამოცემა: დავითიანი, 107, 580, 1—2. პირველი რიცხვი აღნიშნავს გამოცემის გვერდს, მეორე ხანას, ხოლო შესაბამე — სტრიქონს).

<sup>15</sup> იქვე, 106, 566, 1.

<sup>16</sup> იქვე, 59, 233, 4.

ძველთაგან მკვიდრად ნაშენი, საქართლო-საკახურონი  
მოშალეს, ველარ იშენეს სრა-ვანი საკვეხურონი.  
და ყმა და მაშულნი მტრებს მისცეს, თვით დარჩნენ უმსახურონი

(69, 309, 2—4).

ის ანარქიული მდგომარეობა, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ხა-  
ნაში შეიქმნა სპარსთა, თურქთა, ლეკთა რბევა-მძარცველობით და ში-  
ნაფეოდალური მოურიგებლობით, როგორც სოდომი და გომორა, ისე  
აისახა ვახუშტისა და თვითონ დავითის ნაშრომებში. დამპყრობლებთან  
ერთად მოქმედებდნენ სტიქიური უბედურებანიც. გურამიშვილს კუ-  
ბოს კარამდე ჩარჩა ხსოვნაში კომმარული მოგონებები დამპყრობლებ-  
ზეც, შიმშილობის პირობებში ტყიდან სოფლად მოწოლილ ნადირზეც,  
მკალზეც. მაგრამ გურამიშვილი ჭერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც  
საქართველომ მტერთა მოგერიებაში, ქვეყნის აღორძინებისათვის  
ბრძოლის გზაზე დიდ წარმატებებს მიაღწია (ეს მოხდა თეიმურაზ-  
ერეკლეს მეფობაში). ისე რომ, კერძოდ, ე. წ. საღმრთო ისტორიის,  
ბიბლიური ტექსტების მოყვარულსა და შეუდარებელი სიღრმით მცო-  
დნე დავით გურამიშვილს შეეძლო იმავე ტექსტებში სიამით ამოეკი-  
თხა, როგორც ქართველი ხალხის პროგრესული წინსვლის სიმბოლუ-  
რად გამომხატველი, შემდეგი სიტყვები: „ნაცულად მოგაგო თქვენ  
წელიწადთა წილ, რომელნი შესჰამნა მკალმან და ბუზმან და ერვისი-  
უმან და მგრაგნელმან“<sup>17</sup>...

მკითხველი ხედავს, რა თავდადებით და სასოებით მოჰკიდებია და-  
ვითი სამშობლო ქვეყნის ისტორიას.

ჩვენი დიადი ეპოქის წარმატებული მშენებლობაც, მთელი თავისი  
შინაგანი განვითარების კანონზომიერებით, მოითხოვს — წინ სწრაფ-  
ვაში გარდასულ, ისტორიულ დროთა მიღწევების, ცდების, გამოცდი-  
ლების თვალმიდევნებასაც. ქართველი ხალხის წარსულის უკუქცევითი  
„მოხილვა“ არა მარტო დიდი შემეცნებითი მნიშვნელობის საქმეა; ის-  
ტორიის ცოდნა ამას გარდა, როგორც ღვინო, ახარებს გულსა კაცისასა  
და, როგორც პური, გულსა კაცისასა განამტკიცებს<sup>18</sup>.

ხოლო ყველაფერი ეს — ისტორიაც, თვით სამშობლოც, საკუთარი  
„შვილებიც“, საერთოდ ყოველი სიკეთე, ჩვენს დიდ ჰუმანისტს, და-  
ვითს, უნდოდა მის საყვარელ ახალ თაობათათვის, მომავალ თაობათათ-  
ვის, ქართველი ხალხის მომავალ შვილთათვის.

<sup>17</sup> ო ვ ე ლ ი, 225.

<sup>18</sup> ფსალმუნი, 103, 15.



ეს ხომ უუკვდავეს და უბრძნეს ანდერძად უღერს ღღესაც. მთელი თანამედროვე საბჭოური საზოგადოებრიობა სწორედ ახალ თაობაზე მზრუნველი იდევით სულდგმულობს. ჩვენი გულითადი წადილი იყო, სხვებთან ერთად, ჩვენც „მივეყოლოდით დავითის მცნებასა“ და წინამდებარე ნაშრომი, დავითის უკვდავ სახელთან დაკავშირებული, გამოგვეყვანა რამდენადმე მაინც „შვილთათვის მოსაწონათა“.



დავით გურამიშვილის „დავითიანი“ ძველი ქართული მწერლობის ძეგლთაგან ერთი უძვირფასესია. მას, სხვა მრავალ სიკეთეთა შორის, ახასიათებს თემატიკური მრავალმხრივობა, შინაარსობრივი სიმდიდრე, შოთასებური სიტყვიით — შიგ განხილულ საგანთა „უთვალავობა ფერიითა“.

„დავითიანი“ ერთობლივ, დამუშავებული ავტორის მიერ რეალისტური შეგნებით და ხერხებით, ბუნებრივია, უხვად არის დატვირთული სინამდვილის ამსახველი ხალხური პოეზიიდან, ფოლკლორიდან ამოღებული უცხოდ მოკიაფე ძვირფასი თვლებით. იქ მარჯვედაა გამოყენებული ეთნოგრაფია, მხარეთმცოდნეობითი, „ჭზნეთსწავლულებითი“ საინტერესო მასალა მისი საყურადღებო რეალიებით, შემეცნებითი მნიშვნელობის ამოსაკითხავებით, დეტალებით და ა. შ.

იმ დროს, როდესაც „დავითიანი“ ფურცელ-ფურცელ იწერებოდა, საქართველოში უკვე დიდი ხნის გამოცოცხლებული იყო ერთი სახელმძღვანელო აზრი: ქართველ ხალხს ეროვნული გადაგვარების თავიდან ასაცილებლად თურქ-ირანელთა საუკუნოვანი გამათახსირებელი გავლენის გასაბათილებლად, თავისი შემოქმედებითი და ზნეობითი ძალების დასარაზმავად ეჭირვებოდა საკუთარი დიადი თავგადასავლის უკეთ და უკეთ შესწავლა. აღწერის საშუალებით მრავალფეროვანი კულტურის მონაპოვართა დაცვა შთამომავლობისათვის, ადგილობრივი ყოფაცხოვრებითი თავისებურებების ფიქსაცია, ისტორიულ მოვლენათა გარდა, ქალაღღზე გადატანა, დასაბუთება ზნე-ჩვეულებათა, რჯულ-ადათისა, ენისა და სხვა სახსოვართა, ამ სახელმძღვანელო აზრით დაიწერა „საქართველოს ზნეობანი“ მეფე არჩილის (1647—1713 წწ.) მიერ<sup>10</sup>. „ზნეობათა“ დარგს მწერლობაში თავისი წვლილი შესძინა

<sup>10</sup> არჩილიანი, ტ. I, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1936, გვ. 1—16.

ვახტანგ VI-მ, რომელსაც ეკუთვნის სამეცნიერო მნიშვნელობის აღწერა, მაგალითად ნადირობისა, საქართველოს სათანადო რაიონებისა და მათი ფაუნის აღწერისათვის<sup>20</sup>. ამათ შემდგომ ზნეობათა შესწავლას მიუძღვნა სათანადო „ამბავთა“ მთელი რიგი თეიმურაზ II-მ („სარკე თქმულთა“, 1736 წ.<sup>21</sup>). აქ აღიწერა სამართალიც, მეჯლისიც, „ერთაჟამაც“, ქორწილიც და სხვ. ვახუშტიმ თავის „გეოგრაფიას“ წინ წარუძღვარა მთელი თავი — „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“<sup>22</sup>. ეგრეთ წოდებული „პზნეთსწავლულებით“ დაინტერესება XVII-XVIII სს-ში უკვალოდ არ დარჩა „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციურ ნაწილშიც: შოთას უკვდავ კმნილებათში უცნობმა პოეტმა დაინახა

ესე ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი,  
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი<sup>23</sup>.

დროებას და მის მოთხოვნებს ამ მხრივაც პასუხობდა „დავითიანი“, რამდენადაც მის მეოთხე წიგნში („მხიარული ზაფხული“) კარგად აისახა საქართველოს „ზნენიც“, ქართული ოჯახის ყოფა-ცხოვრება, სარიტუალო წესები და ა. შ.

მაგრამ, რაც მთავარია ჩვენი თემისათვის, იმ ხანებში წარსული მონაპოვართა ფართო, შემაჯამებელი, საქმე გაიშალა ცოდნის სხვადასხვა დარგში (ლექსიკოლოგია ს. ორბელიანის ღვაწლით; ფილოსოფია, ლიტერატურის ისტორია და სხვ. ანტონ I კათალიკოსის მესვეურობით: სამართალი, ვახტანგ VI-ის შრომით და ა. შ.). ამით დიდი ბიძგი მიეცა საისტორიო მეცნიერებასაც, განხორციელდა ამ დარგის ჩამოყალიბება უმეტესად ვახუშტის ამავით), საერთოდ გაჩაღდა ისტორიოგრაფიული ხასიათის მუშაობა. ჩატარდა, კერძოდ, „მეცნიერ კაცთა“ და წათ შორის ბერი ეგნატაშვილის შეერთებული შრომით დიდი რედაქციული მუშაობა ქართულ საისტორიო წიგნთა შემცველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებზე (XVII ს. დამდეგი): მაშინ მოხდა „შემოწმება“ სხვადასხვა დროს შედგენილი „ქართლის ცხოვრებაებისა“ და მათი „განმართვა“, სხვადასხვა წყაროების საფუძველზე მათი შესწორება-შეესება.

<sup>20</sup> ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1947, გვ. 13—17.

<sup>21</sup> თეიმურაზ II, თხზულებათა. სრული კრებული, გ. ჭაკობიას რედაქციით, თბ., 1939, გვ. 54 და შმდ.

<sup>22</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 11—27, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941 (შემდგომი მითითებული იქნება— „გეოგრაფია“).

<sup>23</sup> ვეფხისტყაოსანი, კ. კვიციანიძის რედაქციით, ხანა 1743, 2—3. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სათანადო ნაწილში ინტერპოლატორის წვლილს ამქვეყნებს, სხვათა შორის, „პირველ ზნეთა“ დასწავლისადმი ასეთი სპეციფიკური ინტერესი.

XVIII ს-ის მანძილზე დაიწერა საისტორიო შრომები ვახუშტისა, პაპუნა ორბელიანისა და სხვ.

საქართველოს ძველი თავგადასავლისადმი ინტერესი გაცხოველდა ქართველ პოეტთა შეგნებაშიც. ისინი ჩინებულად იმარჯვებდნენ „შაირ-სიტყვას“ და თავისი მეტ-ნაკლები, მაგრამ თვალსაჩინო წვლილიც შეჰქონდათ დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის წიგნურ ისტორიაში. ქართველთა დაძაბული ბრძოლა ირანის დესპოტიზმის წინააღმდეგ XVIII ს. პირველი სამი ათეული წლების ფარგლებში აღწერა, დიდი მოუტრავის გიორგი სააკაძის წინ წამოწევით, იოსებ სააკაძემ („დიდმოურავიანი“, XVII ს. მეორე ნახევარი). იმავე ბრძოლის ამბავი დაამუშავეს სხვა პოეტებმაც ბრძოლის სხვა მონაწილეთა უკვდავსაყოფად: კერძოდ, არჩილმა გალექსა თეიმურაზ I-ის თავდადებული საქმიანობა; თვით თეიმურაზ I-მა, რომელიც პოეტობითაც ქებულია, გალექსა ბრძოლის სხვა მონაწილის, საკუთარი დედის, ქეთევანის, გმირული თავგადასავალი („წამება ქეთევან დედოფლისა“).

ქართველი ხალხის გმირული წარსულის აღსაწერად ლექსის ფორმა, „შაირ-სიტყვა“, ფართოდ იქნა გამოყენებული სხვა შემთხვევებშიც. აქ ჩვენი ყურადღების მთავარი საგანია XVIII ს. პირველი ნახევრის ფეოდალური საქართველოს ცხოვრება. ამ საგანსაც თავისი წიგნური ისტორია აქვს. ისტორიკოსმა სეხნია ჩხეიძემ აღნიშნულ ხანას უძღვნა მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ შედგენილი შრომა („ცხოვრება მეფეთა“), ხოლო ეგვევ ხანა „შაირ-სიტყვით“ აღიწერა იესე ტლაშაძის მიერ იმდროინდელი მოღვაწეების, მეფე ბაქარისა და კათალიკოსი დომენტის წინ წამოწევით („კათალიკოსბაქარიანი“). თავის მხრივ ფავლენიშვილმაც იმდროინდელი ამბების გალექსვისას ცენტრში დააყენა, ვით დიდი მოღვაწე, ვახტანგ VI („ვახტანგისანი“). ისტორიული ამბის ლექსად გადმოცემას შემდგომშიც არ მოჰკლებია მსურველები. ამის მაგალითს წარმოადგენს პეტრე ლარაბეც („საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი“) და ა. შ.<sup>24</sup>.

ასეთმა სამემატიანო ტრადიციამ დავით გურამიშვილიც წაახალისა. მსგავსად ტლაშაძის და ფავლენიშვილისა, მან XVIII ს-ის, ნამეტურ მისი პირველი ნახევრის, ამბებს თავის „დავითიანში“ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო, აღწერა ქართველთა ცხოვრების ის გართულებული ისტორიული ხანა, რომლის ქრონოლოგიურ ჩარჩოებშიც თავისი ბრძნული ჩაფიქრებისა და გაშაირების მთავარ საგნად მართებულად მიიჩნია: 1) ქართლისა და კახეთის სამეფოებში შექმნილი შინაფეოდალური შფოთიანი ვითარება; 2) ამ ვითარებაში ატეხილი ძმათა სისხლისმღვრელი

<sup>24</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 493 და შმლ.

ომი ქართლ-კახეთის ჯარებს შორის; 3) პეტრე იმპერატორისა და ვახტანგ VI-ის ცდა ერთმანეთის მხარდაჭერით აღეკვეთათ თურქთა და სხვათა ძალმომრეობა აღმოსავლეთ კავკასიაში და ამ გზით თავ-თავისი (რუსეთისა და საქართველოს) ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები გაეტანათ; 4) საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენების მერმინდელი განვითარების შედეგად თბილისის დაცემა (1723 წ.) და თურქთა გაბატონება აღმოსავლეთ კავკასიაში; ამასთან დაკავშირებით ბაგრატიონების მუხრანბატონიანთ შტოს შეწყვეტა ქართლის სამეფო ტახტზე და ქართლში კახეთის ბაგრატიონი მეფეების გამეფება (ქართლისა და კახეთის სამეფოთა გაერთიანება); 5) ირანს ნადირის შაჰად გამოცხადება და საქართველოს მოქცევა ახალ საერთაშორისო ვითარებაში და ა. შ.

აქ მკითხველს უნდა მოვაგონოთ, რომ „დავითიანის“ ამ საისტორიო მნიშვნელობის ნაწილმა დიდი ხანია სპეციალისტების საგანგებო ყურადღება დაიმსახურა. საბჭოურ ეპოქაში ეს ნაწილი, როგორც თემატიკური მთლიანობისა და დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე, ძ. კეკელიძემ დაასათაურა პირობითი და შესაფერისი სახელით—„ქართლის ჭირი“<sup>25</sup>. მკვლევარმა ამ სათაურით წარმოადგინა ის, როგორც კლასიკური ნიმუში ქართული საისტორიო ეპოსისა. რაც შეეხება თვითონ სათაურს, მეცნიერის განმარტებით<sup>26</sup>, ის ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ თვითონ გურამიშვილი უწოდებს თავისი ქვეყნის სათანადო თავგადასავალს „ქართლის ჭირს“, წერს რა ერთს სტროფში: „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის“ და ა. შ. აღრინდელი თაობის მწერალთაგან ჯერ კიდევ გიორგი წერეთელმა სცადა „დავითიანის“ შეფასება (1870 წ.), დაინახა რა მის შინაარსში „ისტორიული ლეგენდა“, „სურათი ერის ცხოვრებისა“, ხოლო შემდგომში პ. უმიკაშვილმაც გურამიშვილის ამ ქმნილებაში განჭვრიტა „მრთელის საქართველოს ყოფნა“ (1881 წ.). უკვე ეს ფაქტიც, დაეძინოთ ნათქვამს ავტორიტეტებისაგან ასეთი მაღალი შეფასება გურამიშვილის ქმნილებისა საბუთია იმისთვის, რომ ჩვენ წინამდებარე ნაშრომის საგნად ავიღეთ სახელდობრ „ქართლის ჭირი“, გვეწადა რა გურამიშვილის შემოქმედებაში საგანგებოდ წარმოგვეჩინა ამ დიდი მწერლის სამემატიანო მნიშვნელობის ტალანტი და დამსახურება.

სათანადო ამბები და კითხვები „ქართლის ჭირში“ განხილულია კრიტიკულად, იმის ღრმა შეგნებით, რომ ისტორიას აქვს მაღალი სოციალურ-აღმზრდელობითი და, ამის შესაბამისად, სასწავლო დანიშნუ-

<sup>25</sup> ძ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 541—543 და შენიშვნა 1.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 541 და შენიშვნა 1.

ლებაც, რომ მაშასადამე, ისტორიას უნდა ახასიათებდეს აგრეთვე სისწორე და პირუთენელობა. ამ მხრივაც გურამიშვილი ქართველ მწიგნობართა შორის არ იდგა განმარტობით. ახალი ჰუმანისტური იდეები მას ჩაგონებული ჰქონდა თანამედროვე უფროს და თანამოქალაქე მოაზროვნეთაგან. ამ წრეს ეკუთვნოდა ვახუშტი ბაგრატიონი, რომელმაც თავისი მრწამსი გამოხატა შემდეგი სიტყვებით: „მატიანე (= ისტორია. — ვ. ლ.) განარჩევს კეთილსა და ბოროტსა; მატიანე აღამალლებს კეთილის (= მოწინავე კაცის, — ვ. ლ.) ქმნულებასა და გმობს უკეთურთ ქმნულებასა“.

ახლა ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რა ბოროტის გარჩევას ესწრაფოდა დიდი ქართველი მწიგნობარი. აქ იგულისხმებოდნენ საქართველოს შინაური მტრები, მაშინ საკმაოდ მომრავლებული რენეგატები, ირანის შაჰისა და ოსმალთა სულთნის მფარველობისა, „ხალათებისა“ თუ სხვა წყალობის მძიებელნი, ხშირად უცხო ხელმწიფეთა ჯაშუშებად მსახურნი. ვახუშტი შეუმცდარად განმარტავს ისტორიის საზოგადოებრივ აზრსა და დანიშნულებას. მას ღრმად აქვს შეგნებული, რომ ისტორიის მსჯავრი მკვეთრი იარაღია, ქვეყნის ორგულთა გამგმირავი; ხალხის მტრებს მის წინაშე ელოდათ პასუხისგება და შერცხვენა.

ვახუშტიმ კარგად იცოდა, თუ რა პრეტენზიების მქონე იყვნენ დატაცებული მიწებით და გლეხის ნაოფლარით გადიდკაცებული მემამულეები. ყოველი „კეთილშობილი“ მწიგნობრის კალამს ისევე უტიფარი თვალთ უყურებდა, როგორც საკუთარი გლეხის თოხს. თოხიც და კალამიც მისი „მუცელმერთობის“ (იოანე ბაგრატიონი) მცველი უნდა ყოფილიყვნენ: კალამი, ხოტბა, ისტორია მისი ავკაცობის გასაპატიოვნებლად უნდა გამომდგარიყვნენ. უკვდავი ილიას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ყოველ გაავაზაკებულ მებატონესაც, სასისხლო სიგელით გადიდგულებულს, ეწადა ისტორიის ლამაზ „იუპკაში“ გამოწყობა.

აი, აქ იწყებოდა მძაფრი კონფლიქტი პროგრესულად მოაზროვნე მწერლებსა და საზოგადოების პარაზიტულ ფენებს შორის. მართალია, ვახუშტის იაფად არ დასჯდომია მეცნიერებაში თავისი დამოუკიდებელი აზრის გამჟღავნება: მისი პირადი ღირსება უმსავესოდ შეურაცხყოფილ იქნა მისივე გაბარბაროსებული მოძმეების წრეში, მაგრამ ისტორიკოსის დევიზი თავისთავად კეთილშობილური თვალუხვამობა და მიუკერძოებლობა იყო. ვახუშტის დეკლარაციული ხასიათის „სიტყვაში“ ვკითხულობთ: „მატიანე მეტყველებს ქეშმარიტსა და არა სცბის

(— არა ცბიერობს. — ვ. დ.) და მოწმობს (დაუფარავად. — ვ. დ.) სხვა-  
თა და სხვათა<sup>27</sup>.

დავით გურამიშვილსაც უგემია საკითხის სიმწვავე: მანაც იცოდა, თუ რაოდენ ძნელი გასაბედავი იყო არათუ მახვილისებრ კალმის ჩა-  
ცემა მოწინააღმდეგე დიდკაცის გულში, არამედ თუნდაც მარტივი  
ლოიალობის დაცვა ადამიანური სამართლიანობის მიმართ. დავითს  
სჭირდება მთელი თავისი სულიერი ძალის მოკრება, რომ გული ერთზე  
დააჭეროს, სწორი კრიტიკის ხაზი არ გახაროს, გავლენიან, უფლებამო-  
სილ თავადებს, აზნაურებს, კარის მოხელეებს სწორი საწყაოთი მიუ-  
წყოს მათი ავკაცობისა თუ „კაიკაცობის“ კვალობაზე, ვერაგ მოწი-  
ნააღმდეგეს არ შეეპუოს.

თუ რა თავდადებას, რა თავისგანწირვას გულისხმობდა ასეთი შეუ-  
პოვრობა ფეოდალურ საზოგადოებაში სიმართლის მიმდევართა მხრივ,  
ამას მოწმობს გურამიშვილის სიტყვები:

ტუილი ვპოქვა, ჩემი თქმული შეიქნების რა სავარგი?  
მართალი ვპოქვა, მეშინიან, ვა, თუ გაექდე დასაკარგი  
(50, 167, 1—2)

დიდკაცის დანაშაულებრივი საქციელის მხილებას, მის შეცდომათა  
გამოაშკარავებას, ცოდვებისა თუ ავკაცობის გმობას, ჩვეულებრივ  
უნდა გამოეწვია მხილებულის რისხვა, მამხილებელის ამა თუ იმ სა-  
შუალებით დასჯა, გურამიშვილის სიტყვით, მაგალითად, საღმე „ორ-  
მოს ჩასმა“ (რომელ ორმოსაც თავზე გადაეხურებოდა თვალთ დამა-  
ბნელებელი სარქველი)<sup>28</sup>, მართლის მთქმელის „ხორცით დაკარგვა“ და  
სხვ.

სოციალური თუ პოლიტიკური სიმართლისათვის ბრძოლასმოწყუ-  
რებული ადამიანიც ძალმომრეობის ვითარებაში ბუნებრივად განიცდი-  
და სულიერ ტანჯვას, ეჭვებს. გურამიშვილიც ვერ ასცდენია მძიმე გუ-  
ლისკიდილს. როგორ ღრმად განუცდია მას სულიერი მღელვარება  
იმაზე ფიქრში, თუ რა დიდი საქვეყნო ბოროტება იყო საზოგადოებრი-  
ვი მნიშვნელობის დანაშაულზე თვალის მოხუჭვა, უფლებამოსილი მო-  
წინააღმდეგის შიშით პირში წყლის ჩაგუბება და სიმართლის ღალატის  
ფასით უღირსი პირადი კეთილდღეობის შენარჩუნების წყურვილი, —  
ეს კარგად ჩანს „დავითიანში“. ავტორის მსჯელობა ადამიანური პი-  
რუთვნელობისა და უშიშარი გულახდილობის სასარგებლოდ გაშლი-  
ლია მთელი თექვსმეტი პოეტიკური ხანის (სამოცდაოთხი 16-მარცვლო-

<sup>27</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ტფ., 1885. „წი-  
ნისიტყვაობა პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართლის ცხოვრების ხრონოლოგიისა“,  
გვ. 1.

<sup>28</sup> დავითიანი, 50, 168, 4.

ვანი ტაეპის) სიგრძეზე. კეთილშობილური მრწამსის მქონე გურამი-  
შვილი ერთგან შესძახის საკუთარ თავს:

რად გეშინის მართლის თქმისა, ფუ შენ, ჩემო უღვაშ-ბილო

(52, 180, 1)<sup>29</sup>.

ამ თქმაში თითქოს ავტორის საკუთარი სულმოკლეობა და მშობი-  
რობაა მხილებული და აღიარებული, მაგრამ ნამდვილად აქ უღერს გა-  
დაკრული სიტყვა; ეს არის უფრო მოძმეთა წამაქეზებელი სიტყვა, სი-  
მართლისათვის ბრძოლად გამომწვევი. თვით გურამიშვილს კი საბო-  
ლოდ აქვს მიღებული დიდი სოციალური მნიშვნელობის გადაწყვეტი-  
ლება, რომლის თანახმადაც ის აცხადებს:

მე, თუ გინდა, თავიც მომკრან, ტანი გაჯდეს გასაბერად,  
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად

(50, 170, 3—4).

ასეთი შესაძლებელი მსხვერპლის ფასად უღირდა პატრიოტ მწე-  
რალს მაღალი საქვეყნო მნიშვნელობის მიზანი, რომელსაც ის სდევდა  
და რომლის შესახებ მოჭრილი სიტყვით თქვა:

მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუქდების,  
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუქდების

(51, 172, 1—2).

ქვემოთ მკითხველს მოხსენდება, თუ რა „სიავის“ დაფარვას არი-  
დებდა გურამიშვილი თავს პრინციპული მოსაზრებების ძალით, რა  
წუნს სდებდა ის ქართლ-კახეთის მმართველი წრეების საშინაო თუ სა-  
გარეო პოლიტიკას, ვის გულისხმობდა ის იმ მოღვაწეთა წრეში, რო-  
მელთაც „უსიკვდილოდ“ ეწადათ ქვეყნისათვის თავდადებული ვინმე  
გმირი. კახაბერის სახელი მიეჩემებინათ, ხოლო ნამდვილად კახაბერობა  
არ ეთქმოდათ, და ა. შ.

ჯერ, საქმის მნიშვნელობის შესაბამისად, მკითხველის ყურადღე-  
ბას მიიქცევს გურამიშვილის საერთო გაგებულობა, გონებრივი სიფიზი-  
ზლე და სიმწიფე, რომელმაც უკარნახა მას თავის „მატეანეში“ არ  
უგულეებლეთა სოციალურ-ეკონომიკური რიგის ზოგი მოვლენა, ქვე-  
ყნის ნივთიერი გაჭირვების იმდროინდელი სურათი, გლეხის მეურნეო-  
ბის კატასტროფული დაცემისა და ხალხის საშინელი დამშვივის მწვავე  
შემთხვევები.

ამ საგანზე საწერად მასალა, ანუ, როგორც ძველად იტყოდნენ,  
„ნივთი“, უღვევი იყო და ფერადოვანიც. იმდროინდელ ეკონომიკურ  
კრიზისებს უზომო სიმწვავე და, ასე ვთქვათ, გაორმაგება ახასიათებ-

<sup>29</sup> აქ ნახსენები „ბილი“ იგივე უღვაშია, ოღონდ გარკვეული წესით დამშვენე-  
ბული (იხ. „დავითიანის“ ბოლოში დართული ლექსიკონი, შედგენილი ივ. გიგინეი-  
შვილის მიერ).

და, რამდენადაც ადგილობრივ ფეოდალებს მწარმოებელი ხალხის ექსპლოატაციის საქმეში ქართლსა და კახეთში, XVI ს-დან მოყოლებული, ზარდამცემი მოზიარენი ჰყავდათ ყიზილბაში დამპყრობლების სახით (თურქეთს აგრესიის გასატარებლად რჩებოდა უმეტესად, სამცხე-საათაბაგოს აქეთ, იმერეთის სამეფო). ირანის ძალმომრეობას, საერთოდ, დაპყრობილ ქვეყნებში ისევ საშიში ფორმები მიეცა XVII ს-ის დამლევდიან, მეტადრე შაჰ ჰუსეინის (1694—1722 წწ.) მეფობაში.

როგორც ამას ირანის ისტორია გვიჩვენებს, ამ დროს ირანის პროვინციებში, ამიერკავკასიაშიც, საგადასახადო სისტემამ ისეთი მახინჯი ფორმები მიიღო, მოსახლეობაზე გაწერილი გამოსაღები იმდენად აქარბებდა მის შესაძლებლობას, რომ აქ ძალზე გახშირდა აჯანყებები, გაძლიერდა მყრელობა.

როდესაც, კერძოდ, შაჰის ხელისუფლებმა შემოსავლის დაშრეტილი წყაროების შესავსებად 1698—1701 წწ. შუა ერთბაშად გადასახადების ზომა სოფელსა თუ ქალაქში ერთიორად და ერთისამად გაზარდეს (ი. პეტრუშევსკი), ცხადია, ამას ფეოდალები და მათ შორის ქართველი მეპატრონეებიც უნდა აღეძრა — გადასახადების დასაფარავად ისევ თავის ყმა-მამულს დასწოლოდნენ აღრინდელზე მეტი ძალით, ისევ მათ ხარჯზე შემოსავლის ახალი წყარო ეძებნათ. ასეთი წყაროების ძებნა ხდებოდა იმ ცოდვა-ბრალის მიზეზიც, რომ „შეერიათ ქართველთაცა ყიდვა ტყვეთა, — როგორც ამას წერს ვახუშტი, — და რცვალებოდაცა ქცევა-ზნენი ქართლისანი და (გადაგვარებულები, — ვ. დ.) იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოვლითა უწესობითა ქრისტიანულისათა ცოდვითურთ“<sup>30</sup>.

საქართველოს მაშინდელმა სინამდვილემ, ზედაპირზე ისე ჭუჭყმოდებულმა, ფსკერზედაც სოციალური და პოლიტიკური ტალახით სქლად მოგლესილმა, არაერთი თანამედროვე მოწინავე ქართველი აღანთო უკვდავი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლებში ამა თუ იმ მონაწილეობის მისაღებად.

ამ სინამდვილის ტიპური მოვლენების კრიტიკული შესწავლა-შეფასების სურვილმა, ირანის ტირანიის ბრმა ერთგულებისა და მოსამსახურეობის მხილებისა და განქიქების წადილმა, საერთოდ, „ქართლის ჰირის“ მოვლენათა ასახვის მარჯვე და მრავალმხრივმა ცდებმა მაშინ არაერთი ახალი მოაზროვნე მწიგნობარი წამოსწიეს წინ და შესძინეს ის ქართველ მოწინავე წრეებს, ფეოდალურ-ქრისტიანული ქართული სახელმწიფოებრიობის მაშინდელ იდეოლოგებს და ჰირისუფალთ. დიდი ქართველი დიდაქტიკოსის სულხან-საბა ორბელიანის (1658—1725 წწ.)

<sup>30</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. კვიციანიძის გამოც., თბ., 1913. გვ. 103.



მიმართ, არჩილ II-ის მიმართაც, დავით გურამიშვილი (1705—1792 წწ.) წარმოადგენდა მოზარდ თაობას.

ეს განათლებული წრე, რომელსაც ეკუთვნოდნენ აგრეთვე ქართული კულტურის სხვა დიდი მოამაგენიც, მეტადრე ვახტანგ VI, ამის ძე ვახუშტი, ანთიმოზ ქართველი და ა. შ., ქმნიდა შესაფერის სკოლას, კულტურულ ნიადაგს იმისათვის, რომ საქართველოში შეძლებოდათ კარგი აღზრდა-განათლება მიეღოთ გურამიშვილისთანა ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს, შეეთვისებინათ მაღალი პატრიოტული და საკაცობრიო იდეალები. მართალია, გურამიშვილს ბედმა ბევრჯერ ჩაუხერგა პროგრესისაკენ მიმავალი გზა, რაც ძალზე აბრკოლებდა მის წინსვლას, აფერხებდა მის დიდ შემოქმედებით მუშაობას. აი, ამის მაუწყებელი ცნობები: როდესაც ის თერამეტი წლის კაბუჯი იყო, სახელდობრ 1723 წ., საქართველომ გადაიტანა დიდად დამაზარალებელი საშინაო ომი, რასაც მოჰყვა ქართველთა უმნიშვნელოვანესი კულტურული ძალების საქართველოდან რუსეთს გადასახლება.

შემდგომში, 1728 წელს, ოცდასამი წლის გურამიშვილი ლეკი ფეოდალების ერთმა მოაბრაგე ჯგუფმა ტყვედ გაიტაცა დაღესტანს. აქედან ის გაიპარა რუსეთს, სადაც, მოსკოვში, შეუერთდა იქ ჩასახლებულ მოწინავე ქართველებს და ცხოვრობდა ერთ ხანს; 1737 წელს შევიდა რუსულ სამხედრო სამსახურში, მალე მოსკოვიდან საბოლოოდ გადასახლდა უკრაინის დაბა მირგოროდში. მან თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი (1737—1760 წწ.) გაატარა მძიმე ლაშქრობებში. 1760—1792 წწ., როგორც იტყვიან, იჯდა შინ, უკვე მძიმე სამხედრო სამსახურში „ქანცგაწყვეტილი“, დაავადებული, ოღონდ, საბედნიეროდ, სულით მხნე და გულით უტეხი.

დმიტრო კოსარიკის აზრით (ის ეძიებს და იკვლევს გურამიშვილის ცხოვრების აქა-იქ გადაარჩენილ ძვირფას საბუთებს), აღნიშნულ წლებში დაამთავრა მან თავისი „დავითიანი“.

ასე მძიმე იყო გურამიშვილის ცხოვრება, მაგრამ სამაგიეროდ ის ამ გაწვავლებული ცხოვრების გრძელ გზაზე იძენდა დიდ გამოცდილებას, ცოდნას; ეცნობოდა მაშინ ბატონყმური რუსეთისა და ნაწილობრივ მისი მომიჯნავე ქვეყნების ხალხებსა და კულტურებს, უკრაინის ხალხის კულტურულ მონაპოვრებს. ყველაფერი ეს უფრო და უფრო განამტკიცებდა გურამიშვილის ზნეობრივ მისწრაფებებს, მის მიერ დედის რძესთან ერთად შეთვისებულ საუკეთესო სათნოებასა და იდეალებს — სამშობლოს სიყვარულს, ხალხის შრომის პატივისცემას, ქვეყნის მტრებისადმი შეურიგებელ სიძულვილს, იდეური ბრძოლისათვის მზადყოფნას. ყოველი ამ სიკეთით, ცოდნითა და გამოცდილებით შემკულ დავით გურამიშვილს მართლაც უნდა შეძლებოდა ეტვირთა საქ-

მის სიძნელე, რომლის შესახებ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მან თქვა: „ქართლის ჰირსა ვერვინ მოსთვლის“, და ეს „მოუთუღელი“ მძიმე ამბები ქართველი ხალხის ცხოვრებისა ისე სხარტად და „მდიდრულად“, საქმის ცოდნით გადმოეცა მკითხველისათვის, როგორც ეს მან შეძლო.

გურამიშვილის საშვილიშვილო, თუ შეიძლება ასე ითქვას, სარუს-თველო წარმატებამ ათქმევინა პ. უმიკაშვილს: „მასავით ნათლად და სიმართლით არც ერთს მწერალს არ გადმოუცია ჩვენთვის საქართველოს ხალხის მწუხარება და წადილი“<sup>31</sup>.

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, თავის „ქართლის ჰირში“ გურამიშვილი იჩენს ინტერესსა და ყურადღებას ქართველი ხალხის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობებისადმი. მაინც კონკრეტულად რა შეიძლებოდა მას ამ სფეროში მიეჩნია თავის შემოქმედებით ტილოზე გადატანის ღირსად? რომ მას, როგორც რომელიმე ისტორიკოსს, მიზნად ჰქონოდა დასახული თავისი დიადი საუკუნის მოვლენათა სისტემატური შესწავლა, მაშინ ის გვერდს ვერ აუქცევდა, კერძოდ, 1703—1712 წწ. ქართლის სინამდვილეს. ეს იმიტომ, რომ აღნიშნულ ისტორიულ პერიოდში საქართველოს ჰქონდა „ერთი სულის მოთქმის“ დრო, თავისი შემოქმედებითი ძალების მოკრების თუნდაც ხანმოკლე, მაგრამ სამაგეროდ ბრწყინვალე ხანა, დიდი კულტურული მიღწევების დროში. მთელს განათლებულ კაცობრიობას, ევროპას, ანუ, როგორც მაშინდელი ქართველები იტყოდნენ, „ევროპიას“, რუსეთს თავის ისტორიაში XVIII საუკუნე აღუბეჭდავს, როგორც საკუთარ პროგრესულ ძალთა დიდი აღმავლობის, დიდ სოციალურ თუ კულტურულ ძვრათა დრო. საქართველოსაც ჰქონდა „თავისი“ XVIII საუკუნე. ქართველი ხალხის დიდებულ ისტორიაში XVIII საუკუნის პირველი ნახევარიცა (ვახტანგ VI-ის მეფობა) და მეორე ნახევარიც (ერეკლე II-ის მეფობა) უდიდესი მონაპოვრების დროა.

აღნიშნულ 1703—1712 წლებში ვახტანგმა (ამ ხანად მეფის მოადგილემ და არა მეფემ) და მისმა სახელოვანმა თანამედროვეებმა, რომელთაც „ზურგში ედგათ“ დიდჭირნახული მეფე გიორგი XI (გარდაიცვალა 1709 წ.) თავიანთი საქმიანი ხელმძღვანელობით შეძლეს და ქართველ ხალხს ერთხელ კიდევ აღუდგინეს „დიდების დღენი“. ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდა, ცნობილია, კულტურის ისეთ მონაპოვარს, როგორიც იყო თბილისში მაშინ პირველად გამართული სტამბა (1709 წ.). აქ დაიბეჭდა ვახტანგის მიერ კომენტირებული „ჩუგუბისტყაოსანი“ (1712 წ.). დიდი სულხან-საბა ორბელიანი განაგრძობდა თავისი უბადლო „ქართული ლექსიკონის“ შედგენას.

ასეთ მიღწევებს სულიერი კულტურის დარგში წინ უსწრებდნენ

<sup>31</sup> დავითიანი, უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფ., 1881. შესავლის გვ. V.

მმართველი წრეების დიდი ღონისძიებანი ქვეყნის სამეურნეო, საეკონომიკურ-სამრეწველო ცხოვრების, საქალაქო ცხოვრების გასაუმჯობესებლად მაშინ არსებულ შესაძლებლობათა კვალობაზე. აი, მაგალითად, რა სიტყვებით გამოხატა თვითონ ვახტანგმა თავის პოეზიაში სამელიორაციო რიგის იმდროინდელ წარმატებათა ნაწილი:

ქიის რუ ხუნანს წაილე, ვალმითად მოვრწყე ველანი,  
მაშავრის რუ ხომ ტბას შევრთე, შიგ თევზი ჩავსხი ყველანი<sup>32</sup>.

როგორც პირდაპირ უჩვენებენ აქ მოხსენებულ მდინარეთა სახელები, ეს ეხება მხოლოდ ქვემო ქართლს. მსგავსი ღონისძიებანი საკმაოდ მკაფიოდ არის ასახული სხვადასხვა წყაროებში. ვახტანგმა იმ ხანებში შეადგინა ცნობილი „სამართლის წიგნი“, „დისტურლამალი“ და სხვ.

ეს წიგნებიც მშვენიერი საბუთია იმის დასამოწმებლად, რომ ქართველი ხალხის მოწინავე წრეები ცდას არ აკლებდნენ — წვლილი შეეტანათ სოფლად თუ ქალაქად სოციალური წესრიგის, კანონიერების დაცვაში, გადასახადთა და რაგინდარა სახელმწიფო მოვალეობათა წესიერად განაწილების საქმეში, ცხადია, იმ საზომით, რა საზომითაც ამას აიტანდა ფეოდალური საზოგადოების კლასობრივი წინააღმდეგობებით სავსე სინამდვილე. იმდროინდელი ქართლის საერთო პროგრესის თვალსაჩინო სურათს წარმოადგენდა მისი სატახტო ქალაქის, თბილისის ეკონომიკური და კულტურული სახე. ქალაქს ახასიათებდა ადრინდელთან შედარებით დაწყნარებული, საქმიანი ცხოვრება, სახელოსნო და საეკონომიკური ოპერაციების გამოცოცხლება, გარეგანი კეთილმოწყობილობა. ქალაქის შესახებ ვახტანგს გამოუთქვამს:

ტფილისის სიონი ზელახლა შეეძერძე ქანდაკებულად,  
და ჩემთვისაც სახლი სარკისა, შიგ ლხინი მოწონებულად<sup>33</sup>.

ესეც სავსებით ეთანხმება წყაროების ცნობებს, ვახუშტი ბაგრატიონისა და სხვ. სიონს ახლაც ამკობს ვახტანგის სახელით გაკეთებული 1710 წლის წარწერა, რომელშიც დამოწმებულია მაშინ სიონში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები.

მაგრამ ქვეყნის ზრდის ამ პერიოდს მალე მოჰყვა ახალი კრიზისები, ფეოდალური საზოგადოებისათვის მულამ ჩვეულებრივი. ამ სოციალურ-ეკონომიკურმა და მასთან ერთად პოლიტიკურმა კრიზისებმა მწვავედ იჩინეს თავი 1712—1714 და 1721—1723 წლებში.

<sup>32</sup> ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, გვ. 64, ლექსი: „ეპიტაფია“.

<sup>33</sup> იქვე.

აქედან პირველ თარიღს (1712—1714 წწ.) ჩვენ ვამყარებთ ისტორიკოს ვახუშტის ცნობებზე. ამ დროს ვახტანგი ირანს იმყოფებოდა უფლებდაყრილი და ქართლში ბატონობდა მისი ძმა, გამუსლიმებული იესე (1714—1716 წწ.). ვახუშტის მოწმობით, რომელიც თვითვე იყო მონაწილე იმდროინდელი ამბებისა, მაშინ გაჩენილა ეპიდემია და მრავალი სხვა გასაქირი, „მომსრველი ჟამი ფიცხელი“, ამას გარდა, კალია, „მკალი მომკამელი“, იმდენი, რომ მზეც დაბნელებულა. ამას მოჰყოლია დიდი შიმშილი, ანუ ძველი ქართულით, „სიყმილი დიდი“<sup>34</sup>. თბილისში „მომსრველი ჟამი“ 1716 წელსაც მძვინვარებდა<sup>35</sup>.

სწორედ ეს ვითარებაა, ჩვენი აზრით, ასახული „ქართლის ჭირში“. „დავითიანის“ მეათე თავში („საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“), რომელიც ბუნებრივი გაგრძელებაა მეცხრე თავისა, ჭერ ეს შიმშილობა და ჟამობა აქვს გურამიშვილს ნაგულისხმევი. ფეოდალურ ანარქიას, რომელიც მაშინ გაბატონდა საქართველოში, გურამიშვილის მიხედვითაც თან დაერთო ათასი უბედურება: მოსულა სეტყვა, ზონით „ლოდის ნახეთქის“ ოდენა, და ვენახები გაუფუჭებია, ყანებს კალია შესეგია, რასაც მოჰყოლია იგივე „დიდი სიყმილი“; წახდა მოსავალი, „შეიმურა პურის ძალა“, საერთოდ, დაეცა სოფლის მეურნეობის დარგები.

ამის შესახებ გურამიშვილს გამოუთქვამს:

აღარვინ იყვის ღვინითა აღმავსებელი ჭურისა.

შემციირღის კართა ნავნავი, მოსწყდის ნაწველი ფურისა

(49, 157, 2—3).

მართალია, გურამიშვილი ბაძაგს შუასაუკუნეობრივი ტრადიციის მიმდევარ მემტიანეებს „მიზეზთა მიზეზის“ ძიებაში: ყველა ეს „მკალი“, სეტყვა და „ჭირი“ თითქოს ყოფილიყოს ღვთის „პასუნი“ ხალხის „შეტოდებაზე“, მაგრამ სარწმუნოებრივი თვალსაზრისი. მოვლენათა შორის ნამდვილი მიზეზობრივი კავშირის მიუხედავადობა თუ არგამოკიდება გურამიშვილს თვით მოვლენათა შემჩნევა-აღწერაში ხელს არ უშლის.

მწერალი ყურს არ უყრუებს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას და აღნიშნავს ზოგ-ზოგ საგულისხმო ფაქტებს. კერძოდ, „ქართლის ჭირში“ მან გამოაჩინა მეფის აღმინისტრაციის წარმომადგენლები, „რჩეულნი“. ისინი, ავტორის სიტყვით, ხელმძღვანელობდნენ რაღაც „ბრძანებით“, საიდანღაც ნათარგმნით, და მის საფუძველზე მოსახლეობას გადასახადების გაღებას ავალებდნენ: „იქმენით ხარკის მიმცემნი, აღმსრულებელი სეფისა“. სეფის ასრულება ნიშნავდა სამეფო თუ საბატონო ვალის მოხდას ხალხის მიერ. ავტორის გამოთქმა მოგვაგონებს

<sup>34</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 120 (შემდგომი: ვახუშტი).

<sup>35</sup> იქვე, გვ. 122.

მათეს სახარების ერთ მუხლს, სადაც მიჩნეულია, რომ ჯერ არს მეფეს მიეცეს მისი სარგო ხარკი<sup>36</sup>. პრაქტიკაში კი ქართველი ხარჯის ამკრებლები ალბათ ხელმძღვანელობდნენ ოფიციალური დავთრებით, ვახტანგის მიერ შედგენილი „დასტურლამალით“, რომელშიც განსაზღვრულია იმდროინდელი ქართლის სამეფოში დაწესებული გადასახადების ხასიათი და რაოდენობა.

მწერალი ნიშანდობლივ აღნიშნავს ბაზრის მდგომარეობასაც:

მოვიდა დიდი ძვირობა, დრო წაყდა სიიფისა<sup>37</sup>.

ასეთ ეკონომიკურ კრიზისს, როგორც ცნობილია, ფეოდალურ ქვეყანაში პერმანენტული ხასიათი ჰქონდა. ეს გამოიხატა, კერძოდ, ფინანსებში. ოქროს ფული, რომელიც ერთ დროს ექვს დრამად („აბაზიანად“) ფასობდა. XVII ს-ში მთელი ორი შაურით გაძვირდა, XVIII ს-ის დამდეგს კიდევ ერთი შაურით და ა. შ. ასე ეცემოდა დრამის ფასი. ამის შესაბამისად საგრძნობლად იკლებდა წონაში თვითონ დრამაც. ეს წონა დრამას 1587—1628 წლებში გრამობით 8,5 ჰქონია, ხოლო 1722—1731 წლებში უკვე 5,3-მდე დაუკლია. ამ მოვლენათა საერთო ფონზე გურამიშვილისთვის „დიდი ძვირობა“ უფრო შესამჩნევი უნდა გამხდარიყო 1712—1714 წლების ანგარიშში. დაახლოებით ამ ხანებში, 1717—1718 წლებში, დრამასაც განუცდია ერთი ჯერი წონაში დაკლება: ის მოუჭრიათ 5,41 გ.<sup>38</sup>

„დავითიანში“ სხარტადაა გამოხატული ის სოციალური ზოგადი აღრევა, რომელსაც კლასობრივ საზოგადოებაში, ფეოდალურ საწარმოო ურთიერთობაში უმეტესი სიმწვავე, ცხადია, მსგავსი „დიდი ძვირობის“ ვითარებაში ეძლევა. აღნიშნულ დროს საქართველოში გავრცელებულ საყოველთაო არევ-დარევას, გურამიშვილის სიტყვით, ახასიათებდა:

ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,  
და ტყეობა, მოკლა, ტაცება ქერიეთა, ობოლთა, მწირისა

(48, 154, 3—4).

ეს მოვლენები ჩვენი ძველებისათვის კარგად იყო ცნობილი. მზირობა — გამვლელ-გამომვლელ პირთა, ქარავეანთა გასაძარცვად მოსაკლავად ჩასაფრებას გულისხმობს: ტყეეობა — სოციალურად დაბეჩავებული ადამიანების, ყმა-გლეხების. ქალების, ბავშვების გატაცებასა

<sup>36</sup> მათე, 22, 21.

<sup>37</sup> დავითიანი, 47, 148, 4 („წაყდა“, ე. ი. წარვიდა).

<sup>38</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთა მკვლევარობა. თბ., 1925, გვ. 55; დ. კაპანაძე, ქართული ნომისმატიკა, თბ., 1950, გვ. 94; ნ. ქობიაძე, საქართველოს ფულის მითოქცევა XVIII ს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXI X, 1946, გვ. 8.

და ტყვეებად გაყიდვას ნიშნავდა, მეტადრე თურქეთის ბაზრებისათვის. ცნობილია, რომ პროგრესული წრეები ცდილობდნენ აღმოეტყვრათ „არსებობისათვის ბრძოლის“, ესე იგი მშრომელი ხალხის დაჩაგვრის, ეს ბარბაროსული საშუალებები. კერძოდ, ვახტანგის სამართლის წიგნი მუხლებრივ საზღვრავდა ამ სოციალურ დანაშაულობათა შესატყვის სასჯელებს<sup>39</sup>. გურამიშვილიც ასეთ დანაშაულობათა შეურიგებელი მტერია. „დავითიანის“ შესავალში გამოთქმული მრწამსის შესაბამისად (იხ. ზემოთ), ავტორი ექსპლოატატორების დიდსა თუ მცირე შანე საქმეებს უშიშრად ამხელს და კიცხავს. მას მხოლოდ აფიქრებს თავისი „დავითიანის“ შინაარსობრივი პირნაკლულობა. ცოდვა ბევრი ტრიალებს ქვეყნად და პოეტი მემატინანე ვერ სწვდება მათ უსაზღვროებას:

ქართლის ჳირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა-შვეერი  
(50, 163, 1).

მთავარი მაინც ის არის, რომ მწერალი გულდაჯერებით ჳირისუფლობს სამშობლოს, ქართველ ხალხს, ხოლო ეს მისი ჳირისუფლობა თუ მოსარჩლეობა თავისი ხასიათით ბუნებრივად მიზანდასახულიც არის და განსაზღვრულიც მაშინ გაბატონებული სოციალური პირობებით და მორალის ნორმებით, პროგრესული ფეოდალური წრეების კლასობრივად შეზღუდული შეგნების ნაკარნახევით. ეს ისევე მკაფიოდ ჩანს „დავითიანში“, როგორც ბევრ სხვა მის თანამედროვე ძეგლში.

ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგებს დიდი ეკონომიკური სიბრძნე არ სჭირდებოდათ იმის შესაგნებად, თუ რა სიკვდილს უქადადა გაბატონებულ კლასს, უპირატესად სოფლის მეურნეობაზე დამყარებულ საზოგადოებას, მთავარი მწარმოებლის, გლეხობის ფიზიკური მოსამობა. ცნობილია, რომ ამის შესახებ პოეტმა მეფემ არჩილმა ლაკონურად თქვა: „თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დამბუნდა“<sup>40</sup>. ეს თავისთავად საკმარის ბანალური ჳემმარიტება ემყარებოდა ცხოვრების მწარე გამოცდილებას, რამდენადაც ყმების უანგარიშო ექსპლოატაციას თან სდევდა მთელი რიგი სოფლების, რაიონების მოთხრა. ჩვენ აქ გურამიშვილის მიერ აღწერილი ისტორიული ხანა გვაინტერესებს და ამიტომ საილუსტრაციოდ ვახტანგის დროის ცნობა მოვიყვანეთ.

1715 წლის ერთი საბუთის წიგნში აღნიშნულია, რომ ზემო ქართლის ორ სოფელს (ზაკვი და ფიცე), სახელდობრ, საერო თავადის ყმებს და მანგლელი ეპისკოპოსის ყმებს, „სთხოვდნენ და ართმევდნენ“ საშავარდნოს, „შავარდნების ფასს“, ხოლო ეს გადასახადი ისე მძიმე ტვირთად დასწოლიათ გლეხებს, რომ „ის სოფლები ამ გვარის ძალით

<sup>39</sup> ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, გამოცემა თ. ენუქიძისა, თბ., 1955, მუხლი 97 (ტყვის სუიღვის შესახებ), მუხ. 59 და 60 (მზირობის შესახებ) და ა. შ.

<sup>40</sup> არჩილიანი, ტ. II, გვ. 73, ხანა 627, 4.

სულ აოხრებულ იყო“<sup>41</sup>. აქ ცხადია, იგულისხმება ეგრეთ წოდებული მყრელობა, კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი პასიური ფორმა: იგულისხმება, რომ მემატონის თუ ხელისუფლების მიერ დაჩაგრული გლეხები აიყრებოდნენ ხოლმე თავის სამოსახლოებიდან და გადაიკარგებოდნენ, მაგალითად, ქართლიდან კახეთს, თრიალეთს, კახეთიდან დაღესტანს და ა. შ. საბოლოო ანგარიშით ეს მოვლენა ხდებოდა მიზეზი საქართველოს მართლა დაძაბუნებისა და დამონებისა.

გურამიშვილს სწორედ ამის ეშინია, მწარმოებელი ყმების რიცხვ-მრავლობის შემცირებას ეკრძალების, რადგან გარეშე გლეხისა, მართლაც ვინ ჰყავდათ „ლეინითა აღმავსებელი ჭურისა“? ამიტომ მწერალი, დროის მოთხოვნილების შესაფერისად, აქეზებს და ახალისებს თანამემამულე მესაქუთრეებს, რათა მათ გლეხების გამოყენებაში ჰკუთა და ყაირათი გამოიჩინონ, ის წერს:

ამისთანას ბატონს ვაქებ, მან ერთი ყმა განახუთოს,  
და არ თუ ხუთი აღარც ერთ-ქმნას, ასე საქმე თავს მოურთოს  
(51, 171, 3—4)<sup>42</sup>.

ბატონის უფლება გლეხზე, ზოგადად, განუყოფელი იყო. თვით ვახტანგის „სამართლის წიგნშია“ ეს დეკლარირებული: „ყმისა ყველა ბატონისა არის“, ან კიდევ: „ყმაც ბატონისა არის და (ყმის — ვ. დ.) საქონელიცა“, სწერია იქ<sup>43</sup>. მაგრამ იგივე სამართალი, გამოხატავდა რა გაბატონებული კლასის ინტერესებს, ცხადია, პრინციპულად ვერ შეიწყნარებდა მწარმოებელი გლეხობის განადგურების ფაქტებს. ამდენადვე ვახტანგის კანონები დევნიან, მაგალითად, ყმების მკვლელ ან დამასახიჩრებელ, გამყიდველ მეპატრონეებს. საინტერესოა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ, როგორც ჩანს, ვახტანგის სამართლის გარკვეული მუხლები (61-ე და 97-ე), რომელნიც ეხებიან ტყვეთა მყიდველებს, გაცილებით უფრო ჰუმანურად ეკიდებოდნენ ამ მავნე პირებს, ვიდრე ამას საქმე მოითხოვდა, ვიდრე „წეს იყო“. საქართველოს კათალიკოს დომენტის, ვახტანგის ძმას, „ტყუეების დაყიდვისათვის“ თავადი იასე მალაშვილი დაუსჯია მამულების ჩამორთმევით, თუმცა კათალიკოსს, როგორც თვითონვე აცხადებს 1713 წლის საბუთში, ასეთი სასჯელი არ მიაჩნდა საკმარისად; იგი მზად ყოფილა ამ „ძვირისმოქმედს“, ესე იგი ბოროტმოქმედს, „გასწყრომოდა“ ისე, რომ „ანუ თვალთავანი, ანუ ჯელთავანი, ანუ ფერკთავანი, ანუ ერთი (სხუა. — ვ. დ.) ასოთა მის-

<sup>41</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 169.

<sup>42</sup> წაიკითხე: „...ასე (ავი, — ვ. დ.) საქმე თავს მოურთოს“.

<sup>43</sup> ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, მუხლი 258 და 260.

თავანი“ მოეკვეთა და „ვიდრე სიკუდილ“ მიეწია, რადგან კათალიკოსის დასკვნით, ეს „უნამენტნავესად წეს იყო“<sup>44</sup>.

აი, რა ძვირად უღირდათ შედარებით მოწინავე მეურნეობებში გლეხი და მისი მარჯვენა. ამიტომაც გურამიშვილიც, თავის მხრივ, ზემოთ მოყვანილი სიტყვებით მცნებად უდებდა თავის თანამოძმეებს, გლეხების ექსპლოატაციაში ისეთი ჭკუა ეხმარათ, როგორიც ჰქონდა იმ ლეგენდარულ მონას, რომელმაც უფლისაგან ნაბოძები ხუთი ქანქარი ამრავლა, ხუთს ახალი ხუთი შესძინა და ამით დაწინაურება დაიმსახურა<sup>45</sup>.

მკითხველი, ინტერესით მისდევს რა კვალში ბრძენ მწერალს. უქებს მას ცოდნას და დაკვირვებულობას, იმის უნარს, რომ ჭეყენის ცხოვრების აღწერისას შეამჩნიოს უფრო ტიპური მოკლენები, ზოგ ჩვენს ისტორიოგრაფიულ ძეგლში უსურადღებოდ დატოვებული სოციალური ხასიათის ფაქტებიც. გურამიშვილს არ გაუშვია მოუხსენიებლად, კერძოდ, „საუდიარო“.

ძველ ქართულში, ადათისა და მერმე კანონმდებლობის ენაზე, ცნება „ღებულება“ გულისხმობს „დადებულს“, დაწესებულ თუ მიღებულ ნორმას. კანონიერ სახეს და ზომას, კერძოდ. გადასახადისას, ბეგრისას. „ღებულებას“ ეწინააღმდეგება „უღები“, არდადებული, არმიღებული. კანონის წინააღმდეგი, მაგალითად, იგივე გადასახადი. ბატონისაგან ყმის ექსპლოატაციის ყველაზე უფრო მავნე სახე, ცხადია, იყო სწორედ უღების დაკისრება, ანუ ვახტანგის „სამართლის წიგნის“ გამოთქმით, „უღების დაღება“ (მუხლი 214). რა თქმა უნდა, ხელისუფლება და აგრეთვე ყველა მისი მომხრე და მცველი, ფეოდალური სახელმწიფოს იდეოლოგები, მათთან ერთად საერთოდ ყოველი ჭკუადამჯდარი მესაკუთრეც, ვისაც არ შეეძლო იმ საბატონო შტოს მოკრა, რომელზედაც თვითონ იჯდა, დაგმობდნენ ასეთ პრაქტიკაში, ყმების გაძარცვისა და გატყაფების ამ უღეთო სახეობას. როგორც ზემოთ ითქვა, კარგად ესმოდათ, რომ გლეხკაცის ამოწყდომა საქართველოს „დაძაბუნებას“ უქადდა (არჩილი), ხოლო „უღების დაღება“ სწორედ გლეხობის მოსპობას ნიშნავდა, რასაც პირდაპირ აღიარებდა თვით სამართალი. ვახტანგ მეფე (არჩილის ძმისწული და თანამოაზრე) თვლიდა, რომ „უღების დაღება კაცის კვლის ოდენი არის, ამაღ რომე ბოლო აღარ მოცღების“ (მუხლი 214).

ცნობილია, რომ უფრო გვიან „ბატონყმური რიგი“ ერეკლე II-ის უდიდეს საზრუნავ საგანს შეადგენდა. ამ მხრივ დამახასიათებელია მეფის ერთ-ერთი ბრძანება, რომელიც აკისრებდა ვინმე ტატიშვილს და

<sup>44</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 158.

<sup>45</sup> მათე, 25, 20.



ციმაკურისძეს — ვიღაც ობლები ყმებსა და მეურვეებს — და ამ ობლების კუთვნილ გლეხებს გარკვეული წესის სამსახურს. იქ ნათქვამია: „უნდა რომ, რაც შეგეძლოს, ამ ობლებს, რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს, ისე ემსახუროთ და მოუაროთ“<sup>46</sup>. იგივე მეფე სხვა შემთხვევებშიც იმეორებს ამას; მაგალითად, ერთ ოქმში ბრძანებს, რომ ამა და ამ პირს მისი გლეხები, ალიაშვილები, „როგორც ბატონყმობის რიგი იყოს, სამართლიანის საქმით ისე უნდა... ემსახურნენ“<sup>47</sup>.

ბატონყმობის რიგის მოსარჩლე ხელისუფლებას სათანადო „დებულებებიც“, გინა „დადებული“ ჰქონდა სახელმძღვანელოდ შემუშავებული. კერძოდ, 1772 წელს უკვე ძალაში ყოფილა ერეკლეს მიერ ტყვეობაში ნამყოფ პირთათვის შედგენილი წესდება, ანუ, როგორც ამბობს ერთი საბუთი, „ტყვეთათვის დადებული წიგნი“<sup>48</sup>. მიღებულ დებულებათა თუ დადებულის დანიშნულება და დედააზრი მდგომარეობდა ისევე ბატონყმობის რიგის მოუშლელობაში. მებატონეს ევალებოდა მტკიცედ დაეცვა თავისი უფლებაც და მოვალეობაც. ამ თვალსაზრისით ტიპიურია ერეკლეს ბრძანებაში (1774 წ.) აღნიშნული ერთი ასეთი ფაქტი, წოდესაც მეფის სახასო აზნაურებს (ვინმე ბერძნიშვილებს) სადავოდ გაუხდათ საკითხი, ეკუთვნოდა თუ არა მათ, როგორც ყმა, ვიღაც სიმანგულაშვილი, ერეკლემ თავის აზნაურებს განაჩენი გამოუტანა: „თუ (სიმანგულაშვილი — ვ. დ.) თქვენი ყმა არ იყოს ტყუილად ნუ მოეკიდებით, და თუ თქვენი ყმა იყოს და, (მეფის. — ვ. დ.) ხათრით ხელს ნუ აიღებთ“<sup>49</sup>. „ბატონყმობის რიგის“ მოსარჩლე კლასობრივი სამართლის თვალსაზრისით, მაშასადამე, მთავარი იყო არა ცალკეული პირების ინტერესი და გულისთქმა, არამედ ერთობლივ გაბატონებული კლასის ბედ-იღბალი, ისევე და ისევე ბატონყმური რიგი, ფეოდალურ საწარმოო ურთიერთობათა ურყეობა.

ბატონყმური რიგის ერთ-ერთი უნიჭიერესი მცველი ერეკლე იყო და მასვე ეკუთვნის „დებულების“ უშლელობისათვის გაანგარიშებული შემდეგი ბრძანება ექსპლოატატორთა მიმართ: „რომელიც ამათი (ყმების. — ვ. დ.) დებულება არ არის და არა სდებიანთ (ეს ლოგიკური კითხვაა. — ვ. დ.), იმის გარდა, თუ მეტი რამ მოინდომეთ, ჩვენგან მოსაკითხავი იქნება. ამათ სამართლიანის საქმით მოექცეთ, თორემ თუ

46 საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909, გვ. 502.

47 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1953, გვ. 102. „ბატონყმობის რიგის“ შესახებ იხ. აგრეთვე დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობიდან, თბ., 1955, გვ. 234 და შმდ.

48 საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფ., 1910, გვ. 502.

49 იქვე, გვ. 215.

კიდევ ამით ჩვენთან გიჩვილესთ, იცოდეთ რომ გიწყენთ“<sup>50</sup>. რაც შეეხება ერეკლეს მიერ საქმის „მოკითხვას“, გამოძიებას და მის „წყენას“, გაწყრომას, მაშინდელმა მებატონებმა მწარე გამოცდილებით იცოდნენ, რომ ეს ორი საშიშროება ერთიმეორეზე უმწვავესი იყო.

დავით გურამიშვილიც თავის მხრივ, როგორც პროგრესული წრეების თანამოაზრე, ბატონყმურ ურთიერთობაში „ღებულების“ დაცვის მომხრეა, მასაც სწამს, რომ „უღების დაღება“ ანარქიის სათავეა და ქვეყნის დამლუპველი, ხოლო თვით ცნება „უღები“ მწერალს განსხვავებული ფორმით აქვს გამოთქმული. ეს არის იმავე „ღ“ ძირის (უ-ღები) შემცველი უდიერი (უ-ღ-იერი)<sup>51</sup>. და აქედან ნაწარმოები „საუდიარო“ (ძეგლებში, ჩვეულებრივ, „საუდიერო“). ბუნებრივია, რომ ერთ საბუთში „საუდიერო“ დახასიათებულა, როგორც „საძალოდ სათხოვარი“<sup>52</sup>. „ბატონყმური რიგის“ და სამართლიანის საქმის აღმსარებელი გურამიშვილი მოქნილი შაირით წერს:

ბატონის უპატიური ყმას არ შერჩების აროსა,

არც ღმერთი ბატონს შერჩენს ყმაზე საუდიაროსა

(65, 278, 3—4).

აღნიშნული განმარტების ერთ-ერთ თავისებურ რედაქციას წარმოადგენს ერეკლესეული ცნობილი საბუთი — ანდერძი (1791 წლისა), რომელსაც ქვია „განწესებანი“ და რომელშიც შემდგენელი რჩევა-დარიგებას აძლევს შვილებს, თუ როგორ უნდა გაუძღვნენ სამეფოს. „განწესებათა“ უკანასკნელი, ორმოცდამეთვრამეტე, მუხლი საგანგებოდ ეხება იმ სახასოებს (საუფლოსწულო მამულებს), რომელნიც ვითომ მეფის შვილების საერთო, და არა კერძო, მფლობელობაში უნდა მოხედრილიყვნენ. მამის დარიგებაა: ძმები არა მხოლოდ „თავ-თავის წილს და კერძს“ უნდა გაუფრთხილდნენ და „დაიცვან“, არამედ მათ საერთო სამფლობელოსაც უნდა მოუარონ. მოხუცი ერეკლე სამართლიანად შიშობს, ვაითუ შვილებმა „საერთო სახასოებს ძალი დაატანონ“, უღების დაღებას მისდიონ. მეფე არ მალავს თავის ექვემდებარეებს და ასკვნის: „ეს ღვთის განმარისხებელი საქმე იქნება და ყველამ, მეფემა და უფლოსწულებმა, რომ უსამართლოთ გაგლიჯონ (ქვეყანა. — ვ. ღ.), აღარც ძმებში მშვიდობა იქნება და გლეხიკაციც დაეფანტებათ“<sup>53</sup>. ცნო-

50 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 367.

51 დათიანი, 40, 95, 2; „მშვიდათ ცხოვრობდით, ნუ უზამთ ერთმანეთს თქვენ უდიერსო“.

52 შ. ბურჯანაძე, სოლომონ I-ის მეფობის I-ლი პერიოდი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. III, 1950, გვ. 90.

53 საქართველოს სიძველენი, ტ. I, გამოცემა მე-2, წ. I, თბ., 1920, გვ. 221.

ბილია, რომ ამ ანდერძის შედგენის დღიდან რაღაც ათეული წელიწადი იარსება ქართლ-კახეთის სამეფომ.

ფეოდალებს „ბატონყმობის რიგის“ დაცვისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტიათ საკუთარი სამეფოს დაქარგვის შემდეგაც. მეტადრე გამოირჩევა ამ მხრივ ზემოთ მოხსენიებული ცნობილი ქართველი მწერალი იოანე ბაგრატიონი, გიორგი XII მეფის ძე. ამან თავის კაპიტალურ-ენციკლოპედიურ შრომაში (იწერებოდა 1812—1828 წლებში) შეიტანა „ზნეობის სწავლაც“, 75-მუხლიანი, რომლის ერთი მუხლი, 55-ე, ლაღადებს: „ყმათა შენთა უღიერსა ნურარას დასდებ ხარკსა“. ეს აზრი განმეორებულია ავტორის მიერ ამ სახითაც: „გარდა დებულებისა, ნურას წაართმევს მსახურს“, იმითომ რომ „იგიცა კაცი არს გულისხმიერი და აქვს გრძობა შეწუხებისაცა“, შეუძლია ჩაიდოს გულშიო, — განაგრძობს დამრიგებელი, — ბატონის სიძულვილი და უორგულოს მასო<sup>54</sup>.

ამ სიტყვებში ჩანს გარკვეული ცდა — „დებულებისა“ და „უღების“ საკითხი დადგენილ იქნეს თეორიულ საფუძველზე. ეს ბუნებრივი იყო XVIII ს-ის განმანათლებელთა თანამოკალმე ავტორისათვის. არ შეიძლებაო, — წერს იოანე ბაგრატიონი, — „უფალი ქვეშევრდომთა... უჭეროდ ართმევდეს და სტაცებდეს, ანუ ამუშავებდეს... რათა არა ამის ძლით შთაიგდოს გულსა თვისსა შიში და სიძულვილი“ და ა. შ.<sup>55</sup> ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგს აშინებს გარდაუვალობა კლასობრივი ბრძოლის ძველისძველი დევიზისა: კბილი კბილისა წილ.

გურამიშვილიც ამ ზრუნვას ატარებდა გულში. მასაც სწორედ ბატონყმური რიგის პერსპექტივები აღელვებდა, ამ „რიგის“ უშლელობის წადილი აფიქრებდა. მისი საკუთარი გულისნაღები ჟღერს „დავითიანის“ შემდეგ სტრიქონებში:

მე მინდოდა ყოფილიყო ჩვენში სიყვარული ძმური,  
ჩამომეგლო რიგი წესი, სამართალი ბატონ-ყმური (64, 269, 1—2).

მოყვანისადმი თვით საუკეთესო სურვილების გამოსახატავადაც გურამიშვილმა ლოცვა-კურთხევის მოტივი შეუწყო ბატონყმური რიგის მოსარჩლეთა ზრახვებს და გამამხნევებელი ტონით დაამღერა:

ყმა მოგეცეს ბევრი, გლეხი, მდაბიო,  
გამონოს ნებით, რომ არ არბიო (231, 349, 1—2).

რაც შეეხება თვითონ გლეხებს, ისინი „დავითიანში“ ბევრგან

<sup>54</sup> კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტფ., 1936, გვ. 34 და 51.

<sup>55</sup> იქვე.

ჩნდებიან, როგორც ავტორის დაკვირვების ობიექტები, გარკვეულ სოციალურ მოვლენათა განმასახიერებელნი, როგორც ცხოვრების გამოცდილების გაპიროვნებული მაგალითები. ისინი აქა-იქ ევლინებიან მკითხველს, როგორც მეურნეები, „დავითიანში“ მიღებული სიტყვახმარებისდა მიხედვით — ვით „მკვნელები“<sup>56</sup>, საერთოდ მიწის მუშაობის ყოველგვარი პროცესის შემსრულებელნი. მათ საყოფაცხოვრებო სურათს ავსებენ შიგადაშიგ მოთვლილი „სახლ-საბძელ-კალო ბზიანად“<sup>57</sup> (ეს — როგორც შემადგენელი ნაწილი ბატონის მამულისა), მიწის სამუშაო იარაღები ერქვანი და კაბლო<sup>58</sup>; სხვა დეტალებიდან — სახრეც, მწყემსის კომბალიც და ა. შ.

მწერალს მარჯვედ აქვს დახასიათებული გლეხების ბედიც და ხვედრიც. მათი ყოველდღიური საქმიანობა და ვალი. მათ თითქოს თავთავისი საბატონემო სიგელი უჭირავთ, რომელშიც გურამიშვილმა, თავისი ღროის სოციალური ნორმებით შეზღუდულმა, შეძლო მხოლოდ შემდეგის ჩაწერა:

უნდა მვენელთა და მთესველთა, მწიღენელთა გინა მბარავთა,  
მზის აღმოსვლითგან ჩასვლამდე შიგ არ შეხედონ კარავთა,  
ცხელს ოფლითა დამწვართა ჩირდილთ ქვეშ მიუკარავთა,  
და რაც იმუშაკონ, ჰამონ და აჰამონ ქვეყნის მფარავთა

.(33, 44)

აქ კარგად ჩანს, რომ „მონას ჩრდილი სწყურია“<sup>59</sup>. მწერლის გამოთქმამ „ჰამონ და აჰამონ“, ცხადია, არ უნდა გვაგულისხმებინოს, თითქოს ავტორის წარმოდგენაში კაცის საზრდოობის ნორმები წესრიგდებოდა კლასობრივ წინააღმდეგობათა უგულებელყოფით („ჰამონ და აჰამონ“), თითქოს მართლაცდა „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს“<sup>60</sup>. საქმის მცდარმა გაგებამ წარმოშვა ე. წ. საერთო ნიადაგის თეორია. გურამიშვილი კარგად იცნობდა მებატონეების მგლურ ბუნებას, იოანე ბაგრატიონის სიტყვით, მათ „მგლის გვარად“ შექმნილ კუქს<sup>61</sup>.

ამრიგად, დავით გურამიშვილმა თავისი ცოდნა-გამოცდილებითა და დაკვირვებით გაამდიდრა იმ ღროის პოპულარობის მქონე ზნეთსწავლულება; სოციალურ-ეკონომიკური მოტივების გამოყენებით მას ხელი

<sup>56</sup> დავითიანი, 32, 37, 3; 33, 44, 1.

<sup>57</sup> იქვე, 65, 263, 4.

<sup>58</sup> იქვე, 59, 178, 1—2.

<sup>59</sup> იოზ., 7, 2.

<sup>60</sup> ვეფხისტყაოსანი, დ. კარიკაშვილის რედაქციით, თბ., 1903, ხანა 1571, 4.

<sup>61</sup> კალმასობა, I, გვ. 36.

უნდა შეეწყოს ქართველთა გონებრივი პორიზონტის გაფართოებისათვის. ის, თანამედროვე მემატრიანეებთან ერთად, მკითხველთა თაობებს უადვილებდა ბატონყმური საზოგადოების ზოგ თვისებათა კრიტიკული თვალთ განქვერეტას.

გურამიშვილი იჩენს იმის სურვილსაც, რომ ანალიზი გაუკეთოს სოციალური კლასების ფენობრივ შემადგენლობას. საინტერესოა, რომ ის ემყარება საზოგადოების დასებად დაყოფის მატერიალური რიგის პრინციპს — „სარჩოს ძირობას“. „სარჩოს ძირობა“, მის ენაზე უნდა ნიშნავდეს, ცხადია, სარჩოს მოპოვების საშუალებათა ძირითად სახეობას.

გურამიშვილი განასხვავებს (და მოთვლის) არსებითად ცხრა „სარჩოს ძირობას“, რის კვალობაზეც მას გონების თვალწინ წარმოუდგებიან: 1. ინტელიგენტური შრომის ადამიანები („ბრძენი სიტყვითა დარჩების“). 2. ხელოსნები („ოსტატი თავის კელითა“). 3. სამღვდელონი („ხუცესი წირვით“). 4. ვაჭრები („შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა“). 5. მეომრები („მოლაშქრე სისხლის ქცევითა“). 6. მიწის მუშაკები („მკვნელი ოფლითა ცხელითა“). 7. გლახები („კარის-კარ თხოვნითა“). 8. სეფე-გვარი („ველმწიფე... ვისაც აქვს ქვეყნის მკვირობა“). 9. მეჯოგეები („არჩენთ მწყემსობა“). დაბოლოს, მიახლოებს რა ხარკს თავის უდიდეს შთამგონებელს, შოთას, „შეათე“ ფენაში ის ათავსებს „მიჯნურებს“<sup>62</sup>. საგულისხმოა, რომ ამ ფენათა შორის გურამიშვილს თავისი ადგილი მიუჩენია გლახებისათვის, რაც მოწმობს ამათ სიმრავლეს. ისინი, ჩანს, იყვნენ ისეთივე აუცილებელი ნაყოფი მაშინდელი სოციალური უსამართლობისა და ქვეყნის მოუწყვსრიველობისა, როგორცადაც ნ. ბერძენიშვილი თვლის XII—XIII საუკუნეების საქართველოში იმ დროს უზომოდ მომრავლებულ გლახაკებს<sup>63</sup>.

პუმანისტი მწერალი ქართველ მემატრიანეებს სხვა მხრივაც შეეშველა მათს კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის საქმეში. დ. გურამიშვილმა ძალისაგებრი წვლილი შეიტანა მისი დროის პოლიტიკური ცხოვრების აღწერა-შეფასებაშიც. ის ინტერესს იწვევს ფაქტობრივი მასალის თვისებითაც და ამ მასალის შეფასების ხასიათითაც. ქვემოთ მკითხველს ეუწყება, რომ მწერალი, მისი დროის კვალობაზე, პოლიტიკურ მოვლენათა მართლაცდა საკმაოდ ჩაკვირებული და კრიტიკულად განწყობილი აღმწერელია.

ჯერ კი მოკლედ გავიცნოთ საკითხი, თუ როგორ არის „ქართლის პირში“ წარმოდგენილი საქართველოს მაშინდელი სამხედრო-პოლიტიკური და კულტურული გარემოცვა, უმთავრესად რუსეთი, გურამიშვი-

62 ამ სოციალური ფენების გამო იხ. დავითიანი, 32, 37; 32, 38 და სხვ.

63 საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 179.

ლის სიტყვახმარებით — რუსეთი ან ჩ რ დ ი ლ ე თ ი, და, ამას გარდა, ირანი.

რუსეთის ძლიერებისა და წყობილების შესაფასებლად ავტორი მიმართავს ძველ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ ცნობილ ხერხს — ქეყენის პოლიტიკური ხელმძღვანელის, დინასტიის მოღვაწეობის დახასიათებას. ეს ბუნებრივი იყო მით უფრო, რომ საქმე ენებოდა პეტრე პირველის მრავალმხრივ საინტერესო მეთაურობას; ამასთანავე პეტრეს წილი ედო საქართველოს იმ ამბების განვითარებაში, რომელთაც აღწერდა გურამიშვილი. ამის შესაბამისად რუსეთის შესახებ ცნობებს მწერალი იწყებს სიტყვებით:

იყო ჩრდილეთის კელმწიფე, თეთრის რუსეთის მქირველი,  
თვითმპყრობელობის მიმღები, პეტრე ცხებული პირველი

(53, 189, 1—2)<sup>64</sup>.

გურამიშვილს, როგორც მის თანამემამულეებსაც, მეტადრე პატრიოტულ ინტერესთა თვალსაზრისით, იდეალად უნდა დასახოდა ხელისუფლების ისეთი ცენტრალიზაცია, როგორსაც მიაღწია პეტრეს დროიდან რუსეთმა; ისეთი მყარი საზღვრები, ფინანსები, მხედრობა, რომელნიც შეადგენდნენ გურამიშვილის დროის დიდი რუსი ხალხის მონაპოვარს. „ჩრდილეთში“ ხანგრძლივად მცხოვრები გურამიშვილი (სახლობდა მოსკოვსა და მერმე უკრაინის ქალაქ მირგოროდს) ახლოს იცნობდა კაპიტალისტური განვითარების გზაზე შემდგარი რუსეთის ამ მონაპოვარს.

პეტრესადმი მიძღვნილ სახოტბო ნაწილში მოხსენიებულია მისი „თვითმპყრობელობა“. მისი საბრძანებელი უსაზღვროა. მასთან გაერთიანებულია „თეთრი რუსეთი“, ბელორუსია. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ალექსი მიხეილის ძემ (XIII ს.) მიიღო ტიტული „всѣа Великия и Малыя и Бѣлая России самодержавец“, მაგრამ ბელორუსიის (უფრო ზუსტად: აღმოსავლეთ ბელორუსიის) რუსეთთან შეერთება (1772 წ.) „დავითიანის“ წერის დროს ახალი საზეიმო ამბავი უნდა ყოფილიყო და გურამიშვილმა ალბათ ამიტომ „ჩრდილეთის“ შემადგენელ ნაწილთაგან ნიშანდობლივ მხოლოდ „თეთრი რუსეთი“ მოიხსენია<sup>65</sup>.

<sup>64</sup> საერთოდ პეტრეს პორტრეტული დახასიათების შემცველი ხანები: 189—190 და სხვ.

<sup>65</sup> ეს გარემოებაც, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია „დავითიანის“ დაწერის დათარიღებისათვის. რაც შეეხება ბელორუსიის ცენტრალური ნაწილისა და დასავლეთი ნაწილის რუსეთთან შეერთებას (1793 და 1795 წწ.) (იხ. Очерки истории СССР, XVIII в., вторая половина, М., 1956, გვ. 624), ამას გურამიშვილი, ცხადია, ვერ მოესწრებოდა.

საგარეო პოლიტიკის წარმატებათა მეტად მნიშვნელოვანი საწინდარი შეიარაღებული ძალის შექმნა იყო. პეტრემ აღესა მახვილი, მის წინაპართა ხელში დაჩლუნგებული. ამ მხრივ ის ხდება „პირველ-უმურჯრამალ-რბილ, პირ-ბლაგვთა მწთობელი, გაცნობიწველი“. ამით მწერალი სამხედრო ტექნიკის გაუმჯობესების ფაქტსაც აღნიშნავს.

ამის შედეგად ფეოდალურ-ბიუროკრატიული რუსეთის საზღვრები განმტკიცდა და გაფართოვდა. მემატანე პოეტის გამოთქმით, იმპერატორმა მტრებს ყველგან „ველი დარია“, პეტრეს მზრუნველობა სწვდებოდა მთელ იმპერიას („რუსეთზე გარდამწვდარია“).

რადგან გურამიშვილი მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა რუსეთს (1729—1792 წწ.), მით უფრო ადვილად შეეძლო შეედგინა აზრი, თუ რა ბედი ეწია პეტრეს პროგრესულ წამოწყებებს იმპერატორის გარდაცვალების შემდგომ. მწერლის ცნობით (როგორც სხვა წყაროების მოწმობითაც), პეტრეს „დებულებების“, წესდებებისა თუ კანონების განუხრელად შესრულება რუსეთში ტრადიციად იყო ქცეული, რეფორმატორი მეფის „მცნებებს“ დარაჯობდნენ „პეტრეს აქეთნი მეფენი“, ესე იგი, — გულისხმობს ავტორი, — პეტრეს მემკვიდრეები ეკატერინე II-ის ჩათვლით, რომელთა მეფობასაც მოესწრო თვითონ გურამიშვილი. დიდ რუს მწერალსაც ასე აქვს ნათქვამი პეტრეს შესახებ: „Свои законы сам примером утвердил“ (მ. ლომონოსოვი).

გურამიშვილის დასკვნით, იმპერატორს „ბევრი ყავს მლოცველ-მწირველი“. ამის შესაბამისად ქართველთა შორისაც მოიძებნებოდნენ პეტრეს ხსოვნის შემნახველები. ცნობილია, რომ უკვე არჩილმა უძღვნა პეტრეს შესხმა:

თვით პეტრე ცარი, ვნახე, რაც არი,  
დიდის რუსეთის მტკიცედ მპყრობელი<sup>66</sup>.

გურამიშვილისათვის პეტრეს მოღვაწეობა ისტორიულ წარსულს ეკუთვნოდა, ხოლო არჩილი პეტრეს თანამედროვე და მახლობელი პირი იყო<sup>67</sup>. არჩილმა იმპერატორს აღნიშნულ შესხმაში უქო აზრის („აზაის“) გამარჯვება, პოლტავის ბრძოლის (1709 წ.) მოგება, ისიც, რომ პეტრემ რუსეთს „კარი განუხვნა (გაუღო. — ვ. დ.) ზღვითა და ხმელთა კმა საკმარისად“<sup>68</sup>.

66 არჩილიანი, ტ. I, გვ. 237, 62, 1—2.

67 არჩილი თვითონ ცხოვრობდა მოსკოვს (1699—1713 წწ.). ალექსანდრე არჩილის ძე პეტრეს არტილერიის საერთო მეთაური იყო.

68 არჩილიანი, ტ. I, გვ. 237, 64, 3—4.

საქართველოს მესვეურებს ყოველთვის აინტერესებდათ თავისი ქარის საორგანიზაციო გაუმჯობესებანი. ბუნებრივია, არჩილს ყურადღებიდან არ გამოპარვია, რომ პეტრეს ხელში გაუმჯობესდა რუს სალდათთა კვება, „როკიის“ გაცემის წესი<sup>69</sup>. თავის მხრივ გურამიშვილს, რომელიც თვითონ იყო რუსეთის სამხედრო სამსახურში, თვალში მოსდიოდა რუსის ქარის სამწყობრო გამართულობა, „გაწყობა“, უნიფორმა — „ათას ხუთას კაცთ ერთფერად ტანთა ცმა“, მათი „მწყობრ-რიგად“ მოძრაობა და სხვა<sup>70</sup>. ბესიკმა საგანგებოდ აღნიშნა რუსი მეომრების მორთულობა, რომელნიც ასპინძის ბჭეებს მიაღდგენ (თუმცა ასპინძის ბრძოლაში 1770 წ. 20 აპრილს მონაწილეობა გენერალმა ტოტლებენმა არ დააცალა); მეომრებს ზოგს მწვანე მუნღირი სცმია, ზოგს ლურჯი, თან „თითბრის ჩანთანი“ ჰკიდებიან<sup>71</sup>. ცნობილია, რომ ერეკლე II-ის დროს განხორციელდა ცდა ქართული სალაშქრო წესები შეეგუებინათ რუსული სამწყობრო წესებისათვის, კერძოდ, ქართულად ითარგმნა პეტრესეული ცნობილი „არტიკული სამხედრო“.

„ქართლის კირში“ მოცემული ზოგი სხვა საყურადღებო დეტალი რუსეთის მაშინდელი სინამდვილიდან ქვემოთ იქნება მოხსენიებული.

ირანის შაჰთაგან წინა რიგში ჩანს თაჰმასპ II (1722—1731 წწ.), ძველქართული მართლწერით შაჰ-თამაზი, გურამიშვილთან შაჰ-თამაზი, ხან შაჰ-თამაზი. „ღავითიანი“ ავტორს საქმოდ ცხადად აქვს წარმოდგენილი ირანის საქმეები, იქაური ხელისუფლების დამპყრობლური პოლიტიკა საქართველოში. სათანადო ფაქტებს ის მოკლედ და სხარტად გვაძენს.

თამაზი, გურამიშვილის დახასიათებით, იყო „დრანჯი“ მეფე, ესე იგი მსიძავი კაცი, „ურცხვად აშიყი“ (ს.-ს ორბელიანი). ამასთან ერთად იყო ლოთი, „ვაზის ღვინის მოყვარე“<sup>72</sup>. გურამიშვილის ეს ცნობა ეთანხმება სხვა წყაროების ჩვენებას. ვახუშტის ჩანაწერით, შაჰ-თამაზი „იყო მემთვრალე და უბადლოდ მქცევი“<sup>73</sup>. შაჰის მეტოქე სარდალი, ნადირი, თანამედროვის უწყებით, მას ჯარების გასაგონად ამხელდა, როგორც „მხდალსა და ლოთს“ (აკოფ შამახეცი). „მის გამო ველარ შეიძლო მან ქვეყნის პატრონობანი“<sup>74</sup>. ამას „ქართლის კირში“ მოსდევს

69 არჩილიანი, ტ. 1, გვ. 237, 62, 5—6.

70 ღავითიანი, 54, 193, 2—3.

71 ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი), თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, ტფ., 1921, გვ. 25, ხანა 3, 1—2.

72 ღავითიანი, 53, 185; 97, 498; 97, 500.

73 ვახუშტი, გვ. 138. „უბადლოდ“ ქცევა ნიშნავს ავად ქცევას (სულხან-საბა ორბელიანი).

74 ღავითიანი, 53, 186, 4.



შაჰისაგან „წამყდარი საქმეები“, რის შესახებაც ქვემოთ იქნება ნათქვამი. სხვათა შორის, ავტორის მიერ ჩადენილია ადვილ გასასწორებელი ანაქრონისტული შეცდომა. შაჰ-თამაზის შესახებ მას აღნიშნული აქვს:

მან ვახტანგ, ძე ლევანისა, შეიპყრა ბაგრატიონი  
და უპატიოდ ყენა შერდ წლამდის იგ დიდად საპატიონი

(53, 188, 3—4).

მაგრამ ცნობილია, რომ ვახტანგ VI-ს „მძიმე ჯვარი“ აჰკიდა არა თამაზმა, არამედ მამამისმა, ჰუსენმა, როგორც ეს ქვემოთ ეუწყება მკითხველს.

გურამიშვილმა კარგად იცის, რომ ფეოდალური კაციჰამიობის შედეგად დაჩივებულ შაჰს, თამაზს, ძლიერი დინასტიური წინაპრები ჰყავდა სეფიანთა გვარისა. შაჰ-თამაზი „ქართლის ჭირში“ სახელდებულა როგორც „ძე ძისა შააბაზისა“. თამაზი ნამდვილად იყო ძე ძისა სულეიმან შაჰისა (შთამომავლობით: სულეიმან, ჰუსეინ, თამაზ). შააბაზი, ანუ შაჰი აბასი — შეიძლებოდა მიგვეჩინა სულეიმანის მამად (აბას II) ანუ სულეიმანის პაპის პაპად პირველ აბასად, რომელიც საქართველოს ისტორიაშიც კარგად დამახსოვრებული შაჰია. აღბათ გურამიშვილისათვის „შააბაზი“ სწორედ ეს ცნობილი აბას I იყო, ხოლო „ძე ძისა“ მის ენაზე ნიშნავდა, საერთოდ, შთამომავალს, ნათესავს<sup>75</sup>.

ვახტანგ VI-ის სახე და საქმიანობა მკაფიოდ არის აღბეჭდილი XVIII ს-ის მწერლობაში, სულ სხვადასხვა ხასიათის ძეგლებში. მისი დროის სამწიგნობრო სტილს სავსებით შეეგუებოდა, თუ ვიტყვოდით, რომ თანამედროვენი მას მიიჩნევდნენ „ქარგ ნეფეთა“ წარმომადგენლად, ბიძამისის — არჩილის ენაზე ის აღირააცხებოდა პეტრე ცარის გვერდით, „საქებელ მეფეთა“ რიგში.

ვახტანგის მოღვაწეობის საერთო პროგრესული ხასიათი ღღეს მრავალმხრივად ცხადდება საბჭოურ ლიტერატურაში<sup>76</sup>. მის საშინაო პოლიტიკას ახასიათებდა, როგორც ეს რამდენადმე ზემოთაც არის მოხსენიებული, „ბატონყმური რიგისთვის“ ბრძოლა რეაქციულ ფეოდალთა წინააღმდეგ; დროის კვალობაზე დიდი წამოწყებანი ეკონომიკური მნიშვნელობისა (აღდგენითი, სარემონტო მშენებლობა; საირიგაციო სა-

<sup>75</sup> ასევეა ეს გაგებული ქ. კეკელიძის სათანადო „კომენტარებშიც“. იხ. დავითიანის დასახ. გამოცემა, გვ. 314 (შაჰ-თამაზის სახელთან).

<sup>76</sup> ვახტანგ VI-ს მოუძღვნეს წერილები: ალ. ბარამიძემ. მის მიერვე გამოცემულ „ვახტანგ VI-ში“ (იხ. ზემოთ), ქ. კეკელიძემ (ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 593—605) და სხვ. უახლეს მონოგრაფიულ ხასიათის სათანადო შრომას წარმოადგენს: ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბ., 1955, აგრეთვე შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, თბ., 1952 და სხვ.

შუალებათა გაუმჯობესება და სხვ.); ქართველი ხალხის წინსვლისთვის ეპოქალური მნიშვნელობის კულტურული ღონისძიებები (კანონთა განახლებული კრებულის შედგენა, ქართველი ხალხის ისტორიის შევსება-რედაქტირება „სწავლულ კაცთა“ კომიისის ძალებით); საერთოდ, ის დიდი მუშაობა, რომელიც ჩატარებულ იქნა ვახტანგის აქტიური მონაწილეობით და ზოგადი ხელმძღვანელობით ქართულ მეცნიერებათა, ასტრონომიისა, სუროთმოდღვრების, ფილოლოგიის გასაცხოველებლად. საგარეო პოლიტიკას ახასიათებდა შეუურიგებელი ბრძოლა ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ხოლო ამასთან ერთად ტრადიციული მისწრაფება პროგრესულ რუსეთთან დაახლოება-დაკავშირების განსახორციელებლად.

გურამიშვილმა საკმაოდ ნათლად გამოხატა ამ პოლიტიკური მეთაურისა და კულტურული მოღვაწის პორტრეტი, უყურადღებოდ არ დატოვა. კერძოდ, მისი გენეალოგიის ლეგენდარული მომენტიც. ვითომ ვახტანგი, როგორც ქართველი მეფე, ბიბლიურ დავითს და მის შთამომავალ ქრისტესაც („უფალს“) ენათესავებოდა. ამ ლეგენდას გასავალი ჰქონდა უკვე X—XI სს. როგორც საქართველოში, ისე ბიზანტიაშიც. ლეგენდის მიხედვით, ვითომ იესეს შეეძინა დავით მეფე. დავითს სოლომონ მეფე („ბრძენი“), ხოლო ამ უკანასკნელის ერთ-ერთი შთამომავალი იყო ბაგრატი, მეთაური ბაგრატიონთა გვარისა. ამ ლეგენდის ქართული „ორიგინალი“ ჩვენამდე შემონახულია ბაგრატიონთა გვარის მემკვიდრის სუმბატ ბაგრატიონის ცნობილ „ქრონიკაში“ (XI სს.). ასე შეეთვისა ქართველ მეფეთა (ერთ დროს ფასის მქონე) ტიტულს სახელები — „იესე — დავით—სოლომონ ბაგრატიონიანი“<sup>77</sup>. სათანადო გენეალოგიურ ხეს. იესეს, დავით მეფეს იხსენიებს გურამიშვილიც შესავალში<sup>78</sup>. ბაგრატიონების სამეფო გერბზე გამოხატული იყვნენ დავით მეფის, მეფსალმუნის, გამომაჩინებელი ქნარი, შურდული (რომლითაც მან ვითომ გოლიათი მოკლა), ამასთან ერთად ქრისტეს „კვართიც“ და სხვ. გურამიშვილიც ახასიათებს შურდულს, „შურდულ-ქვას“, ქნარსაც, ებანს<sup>79</sup>, ქრისტეს კვართსაც<sup>80</sup>.

დავითს, ისრავლთა მეფეს, ბიბლიის თანახმად, სამეფოდ სცხეს მირონი. გურამიშვილმაც იცის, რომ მას „თავზედ ეპოხა ზეთები“<sup>81</sup>. დავით მეფე იესეს გამაგრძელებელია, მისი „ნერგი“ და მისი „ხე“; დავითი ხეა, ნაყოფის გამომღები. ასევე ნაყოფის გამომღებია მისი „სი-

77 იხ. კახთა მეფის ალექსანდრე II-ის (XVI ს.) ტიტულო.

78 დავითიანი, 27, 3 და 4.

79 იქვე, 27, 4, 3; 47, 146, 4; 56, 209, 2.

80 იქვე, 56, 209, 2.

81 იქვე, 37, 76, 4.

ტყეაც“. დავითის „ნათქვამთ“ გამოიღეს კიდევ თავისი „ნაყოფი“ (იგულისხმება ქრისტე)<sup>82</sup>. ეს აზრი უფრო მკაფიოდ სხვაგან მეორდება: დავითმა თქვა სიტყვა და ამის შედეგად ქრისტე გამოჩნდა. ამ თვალსაზრისით ქრისტე იმთავითვე დავითის ძედ მიუჩნევიან, „მისივე დავითის ძედ თქმული“ არის<sup>83</sup>.

როგორც იტყვიან სასაუბრო ენით, „მით უკეთესი“ ქართველთა ფეოდალური ხელისუფლებისათვის: სწორედ დავითს, ქრისტეს „შამას“, როგორც „რტო-მორჩას“, იყენენ გამობმული „ფესვითა“ ქართველების „უფალნი“<sup>84</sup>.

გურამიშვილს ეს „უფალნი“ აინტერესებს კონკრეტულად — რიცხვით ორნი, „ორნი ჩემნი უფალნი“, — როგორც წერს ავტორი. ამათგან ერთი უფალი არისო „დავითის ძედ თქმული, რომელმან ივნო ჯვარი“, ხოლო მეორეო — ვახტანგ „მეხუთე“ (უნდა იყოს „მეექვსე“)<sup>85</sup>. „დავითიანში“ ერთიც დასახელებულია და მეორეც. მაგრამ საკითხავია, თუ მაინც ვინ იყო ამათგან პირველ რიგში დასახელებული უფალი. „დავითის ძედ თქმული, რომელმან ივნო ჯვარია“?

ამის შესახებ გარკვეული აზრი გამოთქვა კ. კეკელიძემ. რადგან საქმე ეხება „დავითიანში“ წარმოდგენილ საქართველოს ხელისუფლებას, ქართველთა „უფლებს“, ამიტომ საჭიროა ამ საკითხზეც შევაჩეროთ ყურადღება.

პატივცემული მეცნიერის მოკლედ გამოთქმული დასკვნით, „ორი უფალი“ ორ ქართველ მეფეს გვაგულისხმებინებს — ვახტანგ VI-სა და მის თანამედროვეს, კახთა მეფეს, კონსტანტინეს. მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს კონსტანტინეა „დავითის ძედ თქმული, იმ დავითის ძედ, რომელმაც ივნო ჯვარია“. კახთა მეფე კონსტანტინე ნამდვილად იყო ძე ერეკლე I-ისა, მაგრამ სამაგიეროდ ის იყო ძის ძე დავითისა, ხოლო ეს დავითი (ძე თეიმურაზ I-ისა), როგორც აღნიშნავს კ. კეკელიძე, მოკლეს ირანელებთან ბრძოლაში, რის გამოც, მკვლევრის განმარტებით, ამ დავითს შეეფერება გამოთქმაც — „რომელმან ივნო ჯვარია“<sup>86</sup>. ამრიგად, ამ მსჯელობაში წინაპირობად მიღებულია, რომ გურამიშვილის ხმარებაში „ძე“ („ძედ თქმული“) პირობითი გამოთქმაა და ნიშნავს შთამო-

82 იქვე, 27, 4.

83 იქვე, 37, 78, 4.

84 იქვე, 27, 4, 4.

85 იქვე, 47, 143, 4. რაც შეეხება ვახტანგის რიგითს მაჩვენებელს („მეხუთე“ მეექვსეს ნაცვლად), მსგავსი მერყეობა სხვებსაც დამართიათ. მაგალითად სულხან-საბა ორბელიანი მას ხან მეხუთედ თვლიდა, ზოგჯერ მეოთხედაც კი.

86 დავითიანი. კომენტარები, გვ. 314, იხ. სიტყვებთან „ორი უფალი“. შტრ. მიხ. ნასიძე, დავით გურამიშვილი, თბ., 1887, გვ. 37.

მავალს, შვილიშვილს, და რომ „ორნი უფალნი“ — ორივე საქართველოს მეფე უნდა ყოფილიყო.

აქ წარმოდგენილი მტკიცების გარდა, ჩვენ გვრჩება „დავითიანის“ რიგი მონაცემები, რომელთა საფუძველზე, ვფიქრობთ, შეიძლება შემდეგნაირად ვაწარმოთ მსჯელობა.

ის ერთი საძიებელი უფალი, „დავითის ძედ თქმული“, გურამიშვილს მოქარგული ჰყავს შემდეგი ეპითეტებითა და თვისებებით: ის იყო „გლახაკთ ნუგეშისმცემელი“, ღვთის მადიდებელი. ტექსტობრივად, — „მეფსალმუნე და მეტყველი, ღვთის ქებით ბობღნთა მცემელი“; ამასთან, ეს „დავითის ძედ თქმული“ პირი გაზოდიოდა როგორც მორწმუნე ხალხის, „ცხვრების“ მზრუნველი მწყემსი, „მწყემსი ცხოვართა დამკსნელი და მგელთა არ მიმცემელი“. ახლა ქართველების დამოკიდებულება ამ უფალთან გურამიშვილისდა მიხედვით: „მას მორჩილებდენ ქართველნი“, მათთვის ის იყო წყარო ცხოვრებისა და სიამოვნისა. „უმისოდ ქირად მიაჩნდათ ცხოვრება სიამოვნისა“, მათ მისგან ხვდებოდათ „ურიცხვი მოწყალეზანი“. მაგრამ მღვდმარეობა შეიცვალა, ჩამოწვა „ცოდვის ბური“ და ნისლი, და ქართველნი ასცდნენ ქეშმარიტების გზას, „ჩაცვივდნენ ცოდვის მორევთა“, დაივიწყეს მისი „ურიცხვი მოწყალეზანი“, „ზოგერტს“ სძლია „ემშაკმა“. ასე გზადაკარგულებმა აიღეს და „დავით მამისა მისისა დამუსრეს ფსალმუნთ ეზანი“. ესე იგი მამამისის, დავითის ქნარი (რომელიც ღმერთის დიდებას უღერდა) წაბილწეს, დაღეწეს. იმ უფალს „გაუორგულდა სპა-ჯარი, ერი მიმცეზი ხარკისა“, ქართველებმა „უარყვეს მცნება უფლისა“. იმ უფლის უარყოფამ შეაშფოთა ადგილობრივი მეფე („თავიანთ ქვეყნის მეფე“), რომელიც თავის „რჩეულთა“ პირით გამოეჭომაგა იმ უფლის ინტერესებსაც და ამასთან ერთად საკუთარ, სამეფო, ინტერესებსაც, როგორც ეს ქვემოთ გვაქვს აღნიშნული.

უკვე აქ მოყვანილ დეტალებშიც, ჩვენი შეფასებით, გამჭვირვალედ მოჩანს „უფალი იესო ქრისტეს“ სახე და სახელი და არა რომელიმე მიწიერი მეფისა, კიდევ უფრო ნაკლებ, გამუსლიმებული კონსტანტინესი. ეს უკანასკნელი მეფე, მუსლიმური სახელდებით მაჰმად-ყული-ხანი, რომლის საქმიანობა ქვემოთ იქნება ნაჩვენები, სრულიად არ იძლევა (და გურამიშვილსაც ვერ მისცემდა) მასალას იმისათვის, რომ ის მიჩნეული ყოფილიყო კეთილ „მწყემსად“, ქართველთათვის „უხე მოწყალეზათა“ წყაროდ, ქართველთა სალოცავი ღმერთის მეფსალმუნედ და ა. შ. საძიებელ უფალს „მორჩილებდნენ ქართველები“. შაჰის ფირმანით და ლეკთა ბრბოების მხარდაჭერით გაძლიერებული კონსტანტინე კი შეეცადა ქართლის შეერთებას (კახეთთან). თბილისსაც შეხი დაატენა თავზე, მაგრამ მისი პოლიტიკური ავანტიურა დაძარულდა საქართველოში თურქეთის გაძლიერებით და თვითონ კონსტანტინეს დაღუპვით:

აქვე შევნიშნოთ, რომ საძიებელი უფალი გურამიშვილს ესახებოდა როგორც „შრტო... ნაყოფის გამომცემელი“<sup>87</sup>, მაშინ როდესაც სწორედ კონსტანტინე გადავიდა ამ ქვეყნით უნაყოფოდ. ამას გურამიშვილის სიტყვებიც შეესაბამება, რომელთაც მწერალი ათქმევინებს კონსტანტინეს:

მე ერთი კმელი კაცი ვარ; ძე არ მყავს, ვარ ბერწონათა

(58, 227 3).

საძიებელი უფალი, ამასთან ერთად, როგორც ზემოთ აღინიშნა, იყო „დავითის ძედ თქმული, რომელმან ივნო ჯვარია“. გარდა იმისა, რომ კონსტანტინე, მაინცდამაინც, იყო ძის ძე (და არა ძე) დავითისა, საეკვოა ვიფიქროთ, რომ ის, კახეთის მეფე კონსტანტინე, გამუსლიმებული მაჰმად-ყული-ხანი, გურამიშვილს შეეძლო დაესახელებინა ხან დავითის ძეობით („დავითის ძედ თქმული“). ხან მამა-შვილობის ძალით — ერეკლეს ძეობით, რამდენადაც გურამიშვილს კონსტანტინე თავის ადგილას სწორედ ასე ჰყავს მოხსენიებული: ქართლი მისცესო „ერეკლეს ძეს კონსტანტინეს“<sup>88</sup>. ის საძიებელი უფალი, როგორც ვიცით, ვახტანგ VI-სთან ერთად. „დავითიანში“ იხსენიება „ქართველთ“ უფალად. ესეც ერთგვარად დამაბრკოლებელია იმისათვის, რომ ასეთ უფალად კახეთის მეფე ვიგულისხმოთ, რადგანაც ადრინდელი ტრადიციით „ქართველებად“ ჩვეულებრივ ქართლის ქართველები ისახელებოდნენ. ხოლო კახეთისანი — კახებად, კახელებად. ეს წესად უდევს გურამიშვილსაც. მისთვისაც განსხვავებული იყვნენ როგორც ქართლი და კახეთი; ასევე ქართველები (მერმინდელ სიტყვახმარებაში — ქართველები) და კახნი. ამ მხრივ ტიპიურია ასეთი ტაეპი: — „კახელების აღმა ვნულნი ქართველებმა დაღმა ფარცხეს“<sup>89</sup>, ვითომ უთანხმოება ჩამოვარდაო კახეთსა და ქართლს შორის. სიტყვა ქართველები გურამიშვილს ბევრჯერ აქვს ნახმარი, მაგრამ ჩვენ ვერ შევნიშნეთ შემთხვევა (და არც იყო მოსალოდნელი), რომ „ქართველები“ მის ენაზე კახელებს აღნიშნავდეს<sup>90</sup>.

ასე გამორიცხვის წესით მსჯელობა უფრო თვალსაჩინოს ხდის, რომ ქართველების „ორთა უფალთაგან“ თუ ერთი ვახტანგ VI იყო (თვითონ გურამიშვილის თანახმად), მეორე ქრისტე იყო. ქრისტესთვის ზედგამოჭრილია ზემოთ მოყვანილი ეპითეტები, თვისებები — მამა ღმერთის მადიდებელი, „მწყემსი“, „გლახაკთ ნუგეშისმცემელი“ და სხვ. ქრისტეს „მეთსალმუნეობაც“ შეეფერებოდა, რადგან მას, როგორც

<sup>87</sup> დავითიანი, 47, 144, 3.

<sup>88</sup> იქვე, 58, 223, 4; 52, 182, 1.

<sup>89</sup> იქვე, 52, 182, 1. ტომობრივი სახელი კახნი, კახლნი იხ. 59, 233, 1; 60, 236, 1; 62, 255, 4; 69, 306, 1.

<sup>90</sup> იქვე, ქართველნი: 55, 203, 1; 61, 245, 4; 63, 263, 2; 63, 264, 4; 67, 291, 2 და სხვ.

ცნობილია, საღვთისმეტყველო ტრადიცია სწორედ დავით მეფესალმუნის, დავით მეფის „ძედ“ აღიარებდა, როგორც ჩანს, კერძოდ, მათეს სახარებაში. ვისი ძე გგონივართ მეო, — ეკითხება იესო ერს, რომელიც პასუხობს მას: „დავითისო“<sup>91</sup>.

გურამიშვილი საეკლესიო წიგნებს ზედმიწევნით იცნობს. კერძოდ, მან იცის ქრისტეს დავითის ძეობა: „მისვე დავითის ძედ თქმული, იესო ქრისტე ღმერთია“<sup>92</sup>. აგრეთვე: „...ქრისტე მაცხოვარი, სადიდებლად ღვთისა, ძე იგ დავითისა“<sup>93</sup>. აი, ეს გენეალოგიური მომენტი დაჭერილი „დავითიანის“ განსამარტებელ ტაეპში: ქართელების ორ უფალთაგან „ერთი დავითის ძედ თქმული, რომელმან ივნო ჯვარია“. ყველა აღნიშნულის შესაბამისად ჯვარზე ვნებულის ვინაობაც ძალდაუტანებლივ ირკვევა. არა „დავითმა“ ივნო ჯვარი, არამედ დავითის ძემ! არა კონსტანტინე მეფის პაპა დავითი, უბრალო მომაკვდავი, რიგითი ბაგრატიონი, ჰყავს გურამიშვილს „ჯვარზე ვნებულად“ შესხმულ-ნადიდები, არამედ თვით უფალი იესო ქრისტე, რომელსაც, სიტყვამ მოიტანა, მის „წმიდა ოჯახთან“ ერთად (ქვეყნის გამჩენი მამამისი, ქალწული დედა-მისი) ეგზომ ფართოდ იყენებს გურამიშვილი თავისი ლიტერატურული მიზნებისათვის. ჯვარზე ვნებულის სურათი მწერალს სხვაგანაც აქვს: „ვესავ იესოს ტკბილსაო, რომელმან ივნო ჯვარია“ და ა. შ.<sup>94</sup> ამრიგად, რადგან ჩვენ მივიღეთ, რომ დავითის ძედ თქმული უფალი ნამდვილად ქრისტეა, ამის შესატყვისად ადვილი გასაგები ხდება ის ცნობები და დეტალები, რომლებიც „დავითიანში“, როგორც დავინახეთ, ახასიათებენ აღნიშნულ უფალს, ქრისტეს.

მართლაც, „მას მორჩილებდნენ ქართველნი“, რამდენადაც ქრისტეს სარწმუნოება ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი რელიგია იყო. მისი ღალატი ისტორიულ საქართველოში პრაქტიკულად ნიშნავდა მუსლიმობაში გადასვლას, ქართველი ხალხის დემორალიზაციასა და სახელმწიფოს დაძაბუნებას, მასზედ შაჰისა და სულთნის კაცების გაბატონებას. ამიტომ არ ინდობს გურამიშვილი მამადის სახელსაც, როდესაც ქრისტეს ეხება: „მე იგი მრწამს მამად, არ ქაჩალი მამად“<sup>95</sup>. თავისი ერისა და სახელმწიფოს დაძაბუნების საშინელება აწერიანებს გურამიშვილს იმავე ქრისტეს შესახებ: „გაუოროგულდა სპაჯარი, ერი მიმცემი ხარკისა“. აქაც, მამასადამე, იმავე ზეციურ უფალს

91 მათე, 22, 42.

92 დავითიანი, 37, 78, 4.

93 იქვე, 133, 5.

94 იქვე, 141, 19, 2—3.

95 იქვე, 133, 2, 2. მუჰამედი „ქაჩლად“ უთუოდ იმ საბუთით ჰყავს აეტორს წარმოდგენილი, რომ, საერთოდ, მუსლიმები, წესით, იპარსავდნენ თავს (და არა წერს) (ვ. გორღლევსკი).

ენება საქმე და არა კონსტანტინე კახთა მეფეს. ავტორისათვის წინაპირობა ასეთია: ეს ზეციერი უფალი არის უპირველესი მპყრობელი და მსაჯული ერთა, მთელი ქვეყნისა, მაშასადამე, საქართველოსიც. იმ უფალს მორჩილებენ სამეფოთა ჯარებიც: „მას მორჩილებენ სულნი და ურიცხვი სპა-ჯარი, ერი“<sup>96</sup> ცხადია, ამ თვალსაზრისით, საქართველოს ჯარებიც მისი ხელქვეითნი არიან. ამის შესახებ მწერალი თავისი ქმნილების შესავალშივე გვაუწყებს:

შეამკო ერთი უფალი, ღვთივ ზეით ქვეყნად მკობილი,  
ქართველთ სპა-ჯართა, ყოველთა ერთა მსაჯულად ცნობილი

(27, 2, 3—4).

სხვათა შორის, „დავითიანის“ ამ მეთაურ სტროფებში ჩასმული ეს „ერთი უფალი“ და მასთან ერთად მეფე ვახტანგ VI (ესეც უფალი) „მეგვარტომობით“ ახლობელნი არიან და, მაშასადამე, ისიც და ისიც ერთფერად „ქართველთ უფალნი“; ეს უფალნი მოხსენიებული არიან უკვე „დავითიანის“ შესავალში<sup>97</sup>. ამიტომ მწერალი ქვემოთ, მოაგონებს რა მკითხველს ერთხელ ნათქვამს, მე-9 თავს იწყებს ასეთი სიტყვებით:

ორთა მათ ჩემთა უფალთა ერთად უხსენე გვარია,  
თუმცა ძირთაგან შორს იყვნენ, შრტოდ ახლოს მონაგვარია;  
ერთი დავითის ძედ თქმული, რომელმან ივნო ჯვარია,  
მეორე ვახტანგ მეხუთე, ქართველთა მეფედ მქდარია

(47, 143).

ეს ორი უფალი „ძირთაგან შორს იყვნენ“, რადგან იესე-დავითისგან ჯერ ქრისტე წარმოიშვა და მერმე, დაახლოებით 1700 წლის დაგვიანებით, ვახტანგ VI. სამაგიეროდ ისიც და ისიც ერთისა და იმავე გენეალოგიური ხის „შრტოს“ წარმოადგენდნენ, იყვნენ „შრტოდ ახლოს მონაგვარია“.

რაც შეეხება ქართველი მეფის „ახლოობას“ ქრისტესთან, ეს ახლოობა გურამიშვილს, როგორც ზემოთ ითქვა, კიდევ უფრო სერიოზულ კონტექსტში აქვს წარმოდგენილი, ვიდრე გენეალოგიური სქემაა. გურამიშვილს კარგად ესმის, რა კონკრეტულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ისხამდა ზორცს მეფის ქრისტესთან ერთობა, ქართველი გვირგვინოსნის (ისე როგორც ყველა სხვა ქრისტიანი მეფის) ქრისტეს-მოყვარეობა. გურამიშვილი, კარგად ჩახედული თავის დროის ფეოდალური ხელისუფლების იდეოლოგიაში, შესაბამისად სწორად ავითარებს საკითხს: საქართველოს პატრონობს ორი უფალი: ზეციური (ქრისტე) და მიწიერი—მეფე; მეფეს ჰყავს თავისი სპა-ჯარი, მაგრამ რელიგია ამ უფლის ჯარზე ზემოდან ავრცელებს ზეციური უფლის უფ-

<sup>96</sup> იქვე, 28, 9, 3.

<sup>97</sup> იქვე, 27, 4, 4.

როსობას. უფროსი უფლის ორგულობა „სპა-ჯარი, ერის“ მხრივ მიჩნეულია უმცირესი უფლის წახდების გარდაუვალ პირობად. გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში მოხდა ასეთი გაორგულება ერისა და ჯარისა. პროზაულ-ისტორიულ ენაზე — შეწყდა გადასახადების, გურამიშვილის გამოთქმით — „ხარკის“, დღინა ხელისუფლების სასარგებლოდ, შეტანა საეკლესიო და სამეფო საღაროებში. საქმეში, რა თქმა უნდა, ჩაერივნენ მეფის „ჩჩეულნი“, რომელთაც ერთად უნდა დაიცვან ურთიერთ მოგვარებამე ქრისტესა და მეფის ინტერესები. ამ საერთო ინტერესებს ასახავს, გურამიშვილის გამოთქმით, „ბრძანება გამოთარგმნილი კეფისა“, უბრალოდ — წიგნი („კეფი“ — სიტყვა-სიტყვით ფურცელი), უცხო ენით ქართულზე თარგმნილი, სადაც ვითომ წერებელიყოს: „იქმენით ხარკის მიმცემნი, აღმსრულებელნი სეფისა“<sup>98</sup>. ეს გამოძახილია სახარებისა და იქ გამოხატული საეკლესიო დევიზისა: „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა“<sup>99</sup>.

ასე მარჯვედ არის დაქერილი „დავითიანში“ ზოგადპრინციპული მნიშვნელობის მომენტიც — ფეოდალურ სახელმწიფოებში ეკლესიისა და მეფის მოკავშირეობის ისტორიულად ნაცადი კანონზომიერება და ის კონკრეტული ფაქტიც, რომ ვახტანგ VI-ის დროს, როგორც ქვემოთაც ჩანს, საქართველოში ახალი კრიზისი განიცადადეს სამეფო ხელისუფლებამაც და სასულიერო მეუფებამაც. ჩვენ ქვემოთ მოკლედ მოვიხილავთ, თუ როგორ აისახა „დავითიანში“ ეს კრიზისი და რა მემბრტიანისებურ უნარს იჩენს ავტორი ნაწარმოების ამ ნაწილშიც.

გურამიშვილს, — ეს რამდენადმე ზემოთაც აღინიშნა, — ისტორიული ამბის აღწერაში გარკვეული მიზანი, გეგმა და ქრონოლოგიური ჩარჩოები აქვს დაცული. „თხრობის“ საგნად მან აირჩია XVIII ს-ის პირველი ოთხი ათეული წლების ქართლ-კახეთის თავგადასავალი. ჯერ ერთი, ეს ავტორის თანამედროვეობას ეხებოდა; მეორე, აღებული პერიოდი ქართველი ხალხის კულტურული წარმატებებით იყო მიმზიდველი (ამის შესახებ იხ. ზემოთ); მესამე, იმავე ხანაში ქართლ-კახეთის მიერ გამოვლილ დიდ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს ზედ დაემთხვა პოლიტიკური ბედშობაც — სამეფო ხელისუფლების დაცემა. რადგან ამ ხელისუფლების ყველაზე ავტორიტეტული მატარებელი იყო ცოდნითა და განათლებული მოღვაწეობით სახელმოსხვეჭილი ვახტანგი, გურამიშვილს ჭეყნის თავგადასავალი, „ქართლის არაკი“ ამ მეფის „ამბადაც“. ესახება<sup>100</sup>. საერთოდ, ვახტანგი, ავტორისათვის „მოწყალე“ და

<sup>98</sup> დავითიანი, 47, 148, 3.

<sup>99</sup> მათე, 22, 21.

<sup>100</sup> დავითიანი, 52, 184, 2—3.



„სიბრძნით სრული“<sup>101</sup>, წარმოდგენილია ამავე დროს როგორც სიკვდილამდე საქართველოს მთავარი „ბოძი“<sup>102</sup>.

ქართლ-კახეთის თავგადასავლის ალებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში გურამიშვილი არსებითად ჩერდება ვახტანგის მეფობისა და სი-ცოცხლის უკანასკნელი წლების ვითარებაზე, დაწყებული 1721 წლიდან, რომელ თარიღსაც ის, მემატრიანთა ბაძვით, თვითონვე აღნიშნავს საგანგებოდ: „ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას-შვიდას-ოც-და ერთსა“ და ა. შ.<sup>103</sup>. მთელი წინამავალი ათეული წლის შემცველი, პერიოდი კი მწერალს გამოყენებული აქვს როგორც ერთგვარი შესავალი (თავები მე-9 და მე-10). ოღონდ ეს შესავალი გამონათავს მხოლოდ კრიზისულ მოვლენებს (და არა რამე წარმატებებს), იმ სოციალურ-ეკონომიკურ არევე-დარევეს, რომლის სურათიც, როგორც ეს ზემოთ არის დემონსტრირებული, გურამიშვილს საკმაოდ მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი. შესავალშივე არის გამოხასკვეული 1723—1724 წწ. მომხდარი პოლიტიკური დაცემის ამბავი. ისე რომ, „დავითიან“ განხილვისას თუ შესაწყნარებელი იქნებოდა მის შესამჩნევ ხარვეზზე სიტყვის ჩამოგდება, ეს უმთავრესად შეეხებოდა, ცხადია, ქართველი ხალხის იმდროინდელ მნიშვნელოვან მონაპოვრებს კულტურის დარგში, ეკონომიკის სფეროში, რამდენადაც გურამიშვილი ამ მონაპოვრებზე არ ჩერდება. ცნობილია (და ჩვენც გაკვრით მოვიხსენიეთ ზემოთ) მაშინდელ წარმატებათა მრავალფეროვნება და შედარებით მაღალი დონე, კერძოდ ვახტანგ VI-ის ხელმძღვანელობით ჩატარებული ღონისძიებები — თუ მყრელობის, თუ საომარი თავდასხმების ძალით გავერანებული კუთხე-სოფლების კვლავ აღსადგენად. რა ეფექტიანი და სულის ჩამდგმელი იყო ეს ღონისძიებები ქვეყნისათვის, ამას მოწმობს 1721 წლის საბუთის შემდეგი სიტყვებიც: ვახტანგის „სიტკბომან და სამართალმან... მოზიდის ყოვლის ქვეყანით თავადთა, აზნაურთა და გლეხთა, უტყეებდენ სამკვიდროთა და იავარ ჰყოფდეს და მკვიდრობდეს ქართლსა შინ. ესრეთ აღიესო სიმრავლითა საბძანებელი მეფისა“, და ა. შ.<sup>104</sup>.

გურამიშვილი, რა თქმა უნდა, იცნობდა საქმის ასეთ ვითარებას, იმდროინდელი პროგრესული ხელმძღვანელობის კარგ შედეგებს, რის გავლენითაც შეეძლო მას ელიარებინა, რომ ვახტანგი იყო „ბოძი“ საქართველოსი. მაგრამ მიუუბრუნდეთ პოლიტიკური ხასიათის ფაქტებს.

ცნობილია, რომ საქართველოს ვასალური დამოკიდებულება ირანისაგან (XVI—XVIII სს.) არ იყო ურყევი. მაგრამ, ზოგადად თუ ვიტ-

<sup>101</sup> იქვე.

<sup>102</sup> იქვე, 106, 569, 1.

<sup>103</sup> იქვე, 49, 162, 1.

<sup>104</sup> სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ XVIII ს., ექვ. თაყაიშვილის რედაქციით, თბ., 1907, გვ. 2.

ყვით, ეს დამოკიდებულება ქართველ მეფეს აკისრებდა საყაენო გადასახადებს, სალაშქრო ვალდებულებას, ძღვენს (ფეშქაშს), რომელსაც შეადგენდნენ, კერძოდ, ამდენი და ამდენი ქალ-ვაჟნი. საერთოდ, საქართველოს ირანთან საპატრონუზო დამოკიდებულების ჩალრმავებული შესწავლა ახალი საქმეა. ამ მხრივ საორიენტაციო მნიშვნელობა ენიჭება ვ. გაბაშვილის ახალ ცდას<sup>105</sup>. ქართლის მეფე, „ქართველთ ბატონი“, თავისი ტრადიციული ტიტულით მოსილი — „მეფე“ ან „მეფეთ მეფე“, ირანის სამეფო კარის ოფიციალურ ენაზე იხსენიებოდა არა მეფობით, არამედ როგორც მოურავი შაჰისა. ამ ცნების („მოურავი“) გადმოსაცემად გამოყენებული იყო მისი შესატყვისი არაბულ-სპარსული ტერმინი „ვალი“. ამ წესით, მაგალითად, როსტომ მეფე 1635 წლის სპარსულ ფირმანში წოდებულია, როგორც როსტომ-ხან ვალი გურჯისტანისა<sup>106</sup>, მაშინ როდესაც საქართველოში ბრუნვადი საბუთები (ქართულ ენაზე) იცავენ მის ტიტულს: „ჩუენ, მეფეთ მეფემან ხელმწიფემან პატრონმან როსტომ“ და სხვ.<sup>107</sup> გურამიშვილის გულისყურს არ გამოპარვია ერთა შორის მაშინ მოქმედი ძალადობის ეს ფორმალური ნიშანიც. მან საჭიროების დროს, სტილის დასაცავად, ირანელ მოხელეებს ვახტანგ მეფე დაასახელებინა, როგორც „ვახტანგ გურჯისტანის ვალი“<sup>108</sup>, მაშინ როდესაც მწერალმა კარგად იცის მისი ქართული ტრადიციული წოდებულება — „მეფე“ და „პატრონი“; პატრონი — რამდენადაც მისი ხელქვეითნი, დიდი და მცირე, მისდამი „ყმანი არიან“<sup>109</sup>.

ფეოდალურ საქართველოში აღიარებული იყო მეფის ხელისუფლების გარდამავალობა პირდაპირი მემკვიდრეობის წესით, მაშინდანი შვილზე. ამას გარედან მოსული ძალაც უწევდა ანგარიშს; მაგრამ ირანელთა მძლავრობის პირობებში ჩვეულებრივ ეს წესი ირღვეოდა, რადგან კანონიერი მემკვიდრე ყოველთვის ვერ გამოდგებოდა შაჰის საერთგულოდ. რადგან ქართლისა და კახეთის მეფე, შაჰის კარის თვალსაზრისით, საქართველოში წარმოადგენდა შაჰის მოადგილეს, ვალის, ამიტომ ხდებოდა გასამეფებელი კანდიდატის საგანგებო შერჩევა უფლის-

105 ვ. გაბაშვილი, „სათათრო გამოსაღებელი“ გვიანფეოდალურ საქართველოში, „მომომხილველი“, III, თბ., 1953, გვ. 133 და შმდ.

106 მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, თბ., 1949, გვ. 4.

107 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1940, გვ. 27.

108 დავითიანი, 58, 222, 2.

109 იქვე, 106, 569, 3.

წულთა შორის. სამეფო პირს შაჰის კარზე წინასწარ უნდა გაეგლო ერთგვარი პურგატორიუმი, სულის განსაწმედელი. თუ მანამდე უკვე გამუსლიმებული არ იყო ის, ახლა მიიღებდა მაჰმადის რჯულს, შეიძენდა მუსლიმურ სახელს და ანე ეღირსებოდა ინვესტიტიურის ცერემონიას, თავისი სამეფოს სათავეში ჩადგომას ვალისა და მეფის პატივით. ქართულ ენაზე ამას ერქვა შაჰისაგან „ქართლის მიცემა“, „ქართლის ბოძება“, „საქართველოს ბატონობის მოსვლა“<sup>110</sup> და ა. შ.

შაჰი ამ პატივის საზეიმო მინიჭებისას (ხან წყალობის გაცემის სხვა საბაბითაც) ჩვეულებრივ იძლეოდა საპატიო ნიშნებსა და საჩუქრებს, „პატივსა და უშურველ წყალობას“<sup>111</sup>. ყველაზე საპატიო იყო თაჯი (სპ. თაჯ-გვირგვინი), ჯიღით შემკული. თვითონ ჯიღა წარმოადგენდა სამკაულად გამოყენებულ ფრინველთა ფრთას (ფრთებს), ერთსა თუ რამდენიმე ღერს, რომელიც ქოჩორივით იყო დამაგრებული თაჯზე (ან სხვა თავსაბურავზე) ბრილიანტებით მოჭედილი ბალთით. მაგალითად, გიორგი XI-ის შესახებ თანამედროვე, სხვათა შორის, შენიშნავს, რომ მას შაჰმა, როდესაც ქართლის ბატონობა უბოძა (1686 წ.), „დაასო თავის ხელით თავსა მისსა თავისი ჯიღა მურასა“<sup>112</sup>. ყველაფერ ამას ვითომ პოლიტიკური ყმობის სიავე უნდა დაეფარა.

რადგანაც ქართველი ხალხის სამხედრო ტრადიციებს დაფასება ჰქონდა, ქართველ მეფეს, ქართლის ბატონობასთან ერთად, ერთი ხნიდან ნიჰად ეძლეოდა ირანის სპასალარობაც (მხედართმთავრობა). ასეთი უფლებით შეიმოსა თავის ღროზე (1701 წ.) გიორგი XI, რომელსაც სპასალარობასთან ერთად ერგო, ავღანებთან ბრძოლის გასაძლელად, ბეგლარბეგობა ყანდაარისა და გირიშკი. ბრძოლის ველზე გიორგის დაცემის შემდეგ (1709 წ.) ქართლი და ირანის სპასალარობა, ამასთან ერთად თავრიზი და ბარდა, ებოძა გიორგის ძმისწულს, ქაიხოსრო ლევანის ძეს. ბრძოლის ველზე ქაიხოსროს დაცემის შემდეგ (1711 წ.) მისი საბატონო და უფლებები ერგებოდა მის ძმას ვახტანგს (იხ. ქვემოთ)<sup>113</sup>. ქართლის მეფე, ირანის სპასალარობის გასანაღლებლად, ომიანობის პირობებში შაჰის განკარგულებაში რჩებოდა, შაჰის მოქმედ ჯარს და ამ ჯარში მონაწილე ქართველთ რაზმებს სარდლობდა. როგორც ითქვა, ირანის სპასალარის პოსტზე ავღანებთან ბრძოლას შეეწირენ გიორგიც, ქაიხოსროც, სხვა ქართველებთან ერთად გიორგის ძმისა და ძმისწულის — მდივანბეგის ლევანისა და ალექსანდრეს ჩათვლით. სანამ ქართველი მეფე (ვალი) მოქმედ ჯარში სპასალარობდა,

<sup>110</sup> ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ზ. კიკინაძის გამოცემა, ტფ., 1913, გვ. 29, 30, 31 (შემდეგში: ს. ჩხეიძე).

<sup>111</sup> იქვე, გვ. 30.

<sup>112</sup> იქვე, გვ. 4. მურასა (არაბული) ნიშნავს „პატიოსანი თვლებით შემკულს“.

<sup>113</sup> ს. ჩხეიძე, გვ. 19, 27.

თვით საქართველოში მის საქმეებს მეთაურობდა, მის მოადგილეობას ეწეოდა, ჩვეულებრივ, მისი მემკვიდრე, რომელსაც, როგორც მეფის ნაცვალსა და მოადგილეს, წყაროები ხან ჭანიშინს უწოდებდნენ, ხან ნაიბს, ხან განმგეს.

გურამიშვილს საკმაოდ კარგად აქვს წარმოდგენილი საქართველოს ირანთან ურთიერთობის როგორც არსებითი მხარე, ამბავთა განვითარება, ისე ამ ურთიერთობის ფორმალური გამოხატულებაც. მხოლოდ ჯერ, ჩვენი თხრობითი გეგმის დაცვის მიზნით, შევეხთ იმ რეალიზაციას, ცალკეულ დეტალებს, რომელთა საშუალებითაც მწერალმა დახატა ქართველ მეფეთა უფლებრივი მდგომარეობა და შეავსო მისი საერთო სურათი.

ზემოთ რამდენადმე დახასიათებული ისტორიული სინამდვილის შესაბამისად, ქართველთა მეფე (მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ვახტანგ VI), ავტორის სიტყვით, დამპყრობელთა ენაზე იყო გურჯისტანის ვალი და ირანის სპასალარი. იმის გასაგებად, თუ რა მოახსენეს, „ჰკადრეს“ შაჰს (იგულისხმება 1722 წლის დამლევეს) მისმა მრჩეველებმა ვახტანგის სამტროდ, „დავითიანში“ იკითხება: „კიდევ ჰკადრეს: მუხანათობს ვახტანგ გურჯისტანის ვალი“<sup>114</sup>. ხოლო რადგან ვახტანგი, ზემოთ თქმულისამებრ, ირანის მხედართმთავარიც იყო, ამიტომ მწერალი გარკვეულ ვითარებაში ასე ათქმევინებს ვახტანგის შესახებ მისდამი კრიტიკულად განწყობილ ქართველ მოწინააღმდეგეთა ერთ ჯგუფს: „ყეენის სპასალარია, თავს ირკვამს მის რაყმობასა“<sup>115</sup> (უკანასკნელი გამოთქმა ქვემოთ არის განმარტებული).

მწერალი იხსენიებს მეფის თავსაბურავსა და სათანადო სამკაულებს: თ ა ჯ ს ა და ჯ ი დ ა ს. ოლონდ თავი სიტყვა „დავითიანში“ ხმარებულია ქართულ-ხალხური ფორმით — „თარჯი“. იგი გამოყენებულია იმ ცნობის გამოსახატავად, რომ ერთ დროს შაჰისაგან პატივდებული ქართველთა მეფეები ურთიერთ შეურთიგებლობის შედეგად ბოლოს მოაკლდნენ პატივსა და დიდებას. უთანხმოებამ, — წერს გურამიშვილი, „თარჯ-თომარიან ჯილოანნი გაგვიკადა, ქმნა უჯილო“<sup>116</sup>. დაზარალებული მეფისადმი ზოგიერთის პრაქტიკული რჩევააც ასეა გამოთქმული; „ვინც მოგკადა თარჯ-თომარი, იმისგანვე დაიხურე“<sup>117</sup>. ან კიდევ „ნუ ეშუღლები ყეენსა, თორემ მოგიშლის ჯილებსა“<sup>118</sup> და სხვ.

---

114 დავითიანი, 58, 222, 2.  
115 იქვე, 56, 214, 3.  
116 იქვე, 52, 183, 3.  
117 იქვე, 67, 289, 4.  
118 იქვე, 67, 288, 3.

მატერიალური კულტურის წრიდან აღებული ეს ტერმინები, თაჯი (თარჯი) და ჯილა სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი. ისინი თითქმის ისე ხშირად იხმარებოდნენ XVII—XVIII სს-ის მწერლობაში (ფარსადან გორგიჯანიძე, სულხან-საბა ორბელიანი, არჩილი, ფეშანგი, ვახტანგი, ვახუშტი და სხვ), როგორც სიტყვა მეფე.

ტერმინი ჯილა სპეციალისტთაგან არაერთხელ ყოფილა განმარტებული<sup>119</sup>. ჯილის ძირითადი მნიშვნელობაა „ქოჩორი“, „სავარცხელი“ (ფრინველისა): ოქრომკედლობაში „პატიოსანი თვლებით მოოქვილი ფრთა, თავსამკაული“, „ალმასებიანი ფრთა შაჰის გვირგვინზე“<sup>120</sup>, ძვირფასი ქვებით შემკული, სავარცხლის მსგავსი სამკაული, რომელსაც ირანის შაჰები გვირგვინზე იკეთებდნენ<sup>121</sup>, ეგრეთი (ფრანგ.) და ა. შ. ჯილას ქართლ-კახეთში, როგორც ხელისუფლების ნიშანს, ატარებდა შაჰის ვალი. მაგალითად, გორგი XI-ს შაჰ ჰუსეინმა, ქართლის ბატონობის ბოძებისას, „დაასო თავსა მისსა თავისი ჯილა მურასა“. შემდეგ ამისა გორგის „ესვა მურასა ჯილა მარგალიტისა ქუდსა ზედა“<sup>122</sup>.

„ჯილის“ გვერდით განსამარტავია — „თომარი“. ეს სიტყვა ზოგიერთი სპეციალისტის მიერ გაგებულია, როგორც სინონიმი სიტყვისა ჯილა. მაგალითად „დავითიანის“ გამოცემაში, რომელსაც ჩვენ აქ ვემყარებით, სათანადო ლექსიკონში (შემდგ. ივ. გიგინეიშვილი) „თომარი“ ასეა ახსნილი: „ჯილა, ძვირფასი თვლებით მორთული ფრთა, რომელსაც თავსაბურავში გარკობილს ატარებენ“<sup>123</sup>. ეს ახსნა ეთანხმება დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონს<sup>124</sup>. თომარი ასევეა გაიგივებული ჯილასთან სხვების განმარტებაშიც (ნ. ბერძენიშვილი<sup>125</sup>, ს. იორდანიშვილი<sup>126</sup> და სხვ.). მასალის უფრო ახლო განხილვა საშუალებას იძლევა, განმარტებაში სისწორე და სიზუსტე შევიტანოთ. ეს აუცილებელია, რადგან წინამდებარე ნაშრომის აღრინდელ გამოცემაში ჩვენ, სამწუხაროდ, უკრიტიკოდ გავიზიარეთ სხვების განმარტება.

---

119 იქვე, ბოლოში დართული ლექსიკონი, ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი, სიტყვასთან ჯილა.

120 М. А. Гаффаров, Персидско-русский словарь. I, М., 1914, с. 214.

121 Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, I, СПб., 1869, с. 437.

122 ს. ჩხეიძე, გვ. 4 და 5. მერმინდელ ქართულში „ჯილა“ გამოყენებულ იქნა ისევე „ქოჩორის“ მნიშვნელობით. იხ. აკაკი, ბავშვებს, თბ., 1952, გვ. 58. („მამალი“): „ფეხებზე იკრავს ღეზებსა და თავზე იღვამს ჯილასა“.

123 დავითიანი, გვ. 345, სიტყვასთან თომარი.

124 1887 წ. გამოცემა. სიტყვასთან თომარი.

125 არჩილიანი, ტ. II, ზედღართული ლექსიკონი.

126 შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1935; ზედღართული ლექსიკონი.

თომარი (ჩაღატური თუმარ — „ფუტლარი“)<sup>127</sup> მოცემული ფორმით აღმოსავლურ ენებში აღნიშნავს „გრაგნილს“, „ხვეულს“ (ქალაქს). ამავე მნიშვნელობით არის ფიქსირებული სიტყვა („ტომარ“, „ტუმარ“) სომხურშიც, ახალ ბერძნულშიც. ჩვენი საკითხისათვის ამ მხრივ ახალს არას იძლევა ლექსიკონები სომხურისა (პრ. აკარიანი)<sup>128</sup>, სპარსულისა (ლაფაროვი, მილერი<sup>129</sup>): აგრეთვე თურქულისა (ბუდალოვი<sup>130</sup>, მაგაზანიკი<sup>131</sup>, რადლოვი; შამს ედ-დინ-სამი, რედჰაუზი, რომელთაგან უკანასკნელი სამი ავტორი ს. ჯიქიას მეშვეობით შეეძელით შეგვემოწმებინა).

როგორც ვიცით, თომარი აღნიშნავს „გრაგნილს“ („ტომარ“<sup>132</sup>). სიტყვა ფრიად გავრცელებულია ქართულში (XVI—XVIII სს.). ის მკითხველს ხვდება, კერძოდ, ასეთ კონტექსტში: აბას II-მ როსტომ მეფეს 1647 წ. უბოძა „თაჯი, თომარი და მურასა კმალი“ სხვა საჩუქრებთან ერთად<sup>133</sup>. ვახტანგის ძეს ბაქარს „მოუვიდა“ (1717 წ.) ისევ შაჰისგან „საქართველოს ბატონობა, თაჯი, თომარი, ხმალი მურასა“ და სხვა საბოძვარი<sup>134</sup>. როგორც თავის დროზე ვახტანგ VI-ს, ისე შემდეგ არჩილსაც შაჰმა —

მისცა თაჯი და თომარი, საჯილე ჭიირ საფასები,  
უსხდა ლალი და ზურმუხტი, აღმასი ბევრ ათასები<sup>135</sup>.

თავის მხრივ, ანბანთქების ახალი ნიმუშების შემქმნელი არჩილი ასე ათამაშებდა თ ასოს:

---

127 Монгольский словарь, ч. I—II. სიტყვასთან tumar; Труды Института востоковедения, IV, М.—Л., გვ. 354.

128 Հայկերէն արմատական բառարան — „სომხური ეტიმოლოგიური ძირეული ლექსიკონი“, ტ. 6. ერევანი, 1930, გვ. 946—947. სიტყვასთან: — ტუმარ.

129 Гаффаров, Персидско-русский словарь, т. I, с. 193. სიტყვასთან თუმარ: ტ. II, გვ. 542 (ტუმარ); В. В. Миллер, Персидско-русский словарь, М., 1953, გვ. 139 (თუმარ), გვ. 337 (ტუმარ).

130 Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, с. 753 (ტუმარ) გვ. 405 (ტუმარ, ნ. სიტყვასთან: თუმარე).

131 Турецко-русский словарь, горадლევისის რედაქციით, მ. 1931, სიტყვასთან — tomar.

132 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. სიტყვასთან — თომარი; ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.

133 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 51. ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“, ნაწ. II, 1925 (შემდეგ მითითებული იქნება: გორგიჯანძე).

134 ს. ჩ ხ ე ი ძ ე, გვ. 31.

135 ფ ე შ ა ნ გ ი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1935, გვ. 163, ხანა 186, 1—2.

ტიმოთე გაბაშვილი ქიოსის კუნძულზე მისგან დათვალიერებულ ძეგლთა აღწერისას შენიშნავს, რომ ქ. საყიზს, წმ. ბიკტორის ეკლესიაში ის გააოცა, კერძოდ, ტრაპეზში ნახულმა დიდებულმა მხატვრობამ: „უცხო რამე ხრახნილები (ნაქედობა. — ვ. ლ.) და ზედ გვირგვინები ოქროცურვებულნი და ზედ ჭილითა და თომრითა რაიმე მსგავსითა განდგმულ და მორთულ“ და ა. შ.<sup>137</sup>. აქედანაც ცხადად ჩანს უსაფუძვლობა ჭილისა და თომარის გაიგივებისა.

თომარ — ტომარი, ანუ გრაგნილი (წიგნი, ქალაღი) სხვადასხვა შინაარსის უნდა ყოფილიყო. მაგალითად, ერთ-ერთი „თუმარი“ სპეციალისტის წინაკითხში გულისხმობს „ჯარის დათვალიერება-გასინჯვის ნუსხას“ (ვლ. ფუთურიძე)<sup>138</sup>. გრაგნილის (თუმარის) სახით ქვემოთ მკითხველს წარმოუდგება ერთ-ერთი დიპლომატიკური ერთეული — ე. წ. რაყაში, ჩვენს შემთხვევაში წყალობის წიგნი, შაჰისაგან ბოძებული. ვლ. ფუთურიძემ თავის დროზე ხაზგასმით მიგვითითა, რომ ასეთი გრაგნილი რაყაში, მისით დაჭილდობებულ პირებს (ქართველ მეფეებს) თავსაბურავში გარკობილიც უტარებიათ, როგორც პატივითა და წყალობის ნიშანსამკაული. ამ ფაქტის უცოდნელობამ და იმან, რომ ქართველოლოგიურ ლიტერატურაში, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, „თუმარი“ არასწორად იყო გაგებული, წინამდებარე ნაშრომის პირველ გამოცემაში მიღებული არაერთი დებულება შესასწორებელი შეგვიქმნა. მაგრამ მიეყვეთ ფაქტებს.

რაკი თომარი ჭილასთან ერთად თავსდებოდა თავსაბურავზე, ხოლო ჭილა ზემოთ აღნიშნულის თანახმად, „ქოჩორს“ ნიშნავდა, ჩვენთვის გასაგები ხდება სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში ამის საფუძველზე წარმოქმნილი მხატვრული სახე „სამეფო თომარ-ჭილა“. ასე, ცნობილ არაკში („მოძღვარი მელა“) მელია ეკითხება ოფოფს: „სამეფო თომარ-ჭილა ვინ მოგცაო?“ რაზედაც ფრინველი პასუხობს, „სოლომონ ბრძენმან თავისი ხელით დამხურაო“<sup>139</sup>.

ჩვეულებრივ კი მეფის რეგალიების ჩამოთვლისას თომარი თავის ადგილს იჭერს, ჭილა თავისას. კერძოდ, ფეშანგისთან იკითხება: მეფე შაჰნავაზისთვის (ვახტანგ V-ისთვის) ირანიდან ქართლს, ამა და ამ ამ-

<sup>136</sup> არჩილიანი, ტ. I, 258, 3,3.

<sup>137</sup> შიმოსლვა, თბ., 1956, გვ. 13.

<sup>138</sup> სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 2, თბ., 1962, გვ. 73. ამავე წიგნისათვის დართულ ლექსიკონში ვლ. ფუთურიძეს „თუმარი“ განმარტებული აქვს როგორც „წიგნი, გრაგნილი; ნუსხა“ (გვ. 91). ს. კაკაბაძის განმარტებითაც, თომარი არის „გრაგნილი, აღრიცხვა“ (იხ. მისი გამოცემული „ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია“, გვ. 109).

<sup>139</sup> სიბრძნე სიცრუისა, გ. ლეონიძის რედაქციით, თბ., 1926, გვ. 26.

ბის შემდეგ ერთი თვის გასულს, „თუის თავზე მოვა ხალათი, თაჯი, ჯილა და თომარი“<sup>140</sup>. ხოლო, როგორც დავინახეთ, იგივე ფეშანგი სხვა შემთხვევაში ასე აწყობს სიტყვებს: „მისცა თაჯი და თომარი საჯილე ძუირ საფასები“. აქ „საჯილე“ თითქოს რიომისთვის სცელის ჯილა სიტყვას<sup>141</sup>. „ტიმოთეს „მიმოსლვაშიც“ ჩვენ ზემოთ მივუთითეთ მის მოწმობაზე: „ჯილითა და თომრითა რაფთმე“ და ა. შ. ამის შესაბამისად უნდა იქნეს ახსნილი „დავითიანის“ ტაეპიც „თარჯ-თომრიან ჯილოანნი გაგვიჯადა, ქმნა უჯილო“ (52, 183,3), ესე იგი ფეოდალურმა შუღლმა ქართველ მეფეებს დააკარგვინა თაჯიც, თომარიც, ჯილაცო.

თომარი, როგორც გრაგნილი, თავის დროზე მ. ბროსეს მიერ იყო განხილული და ეტიმოლოგიურადაც გარჩეული. აი მისი დაკვირვებები. ზემოთ ჩვენ მიერ ციტირებული ფ. გორგიჯანიძე წერს. რომ მეფე როსტომს აბას II შაჰისაგან ებოძა თაჯი, თომარი და სხვა საჩუქრები. ბროსე, თარგმნის რა გორგიჯანიძეს ფრანგულზე, იქ ნახსენები თომარის შესახებ ასე მსჯელობს: ვფიქრობ, წერს ის, — რომ თომარი (ტუმარ)<sup>142</sup>, რაც სომხურად რულო-ს<sup>143</sup> აღნიშნავს და რასაც იგივე მნიშვნელობა აქვს თურქულშიც, უნდა იყოს ის ცილინდრი<sup>144</sup>. კაცის თვალი რომ ხედავს იმ, ცნობილ, დოლბანდების<sup>145</sup> ზედა შუა ალაგას, რომელთაც დიდკაცები ატარებენ<sup>146</sup>.

მეორე შემთხვევაშიც გაიმეორა ბროსემ ეს მსჯელობა, ისტორიკოს სეხნია ჩხეიძის შრომის ფრანგულად თარგმნისას, სადაც მეცნიერი წააწყდა ცნობას, რომ ბაქარს, ვახტანგის ძეს, ყაენისაგან მოუვიდა (I, VIII, 1717) „საქართველოს ბატონობა, თაჯი, თომარი, ხმალი მუარასა“ და ა. შ.<sup>147</sup>.

ფრანგული ტექსტის შენიშვნაში კვითხულობთ: „თომარი: ეს სი-

140 შაჰნავაზიანი, 40, 221, 1.

141. შდრ. გ. ლეონიძის განმარტება ამავე სიტყვისა (შაჰნავაზიანი, ზედდართული ლექსიკონი, სიტყვასთან — „საჯილე“).

142 ეს სიტყვა ფრანგულ ტექსტში სომხური ანბანით სწერია.

143 ფრანგულ ტექსტში „rouleau“. რაც ნიშნავს „გრაგნილს“, „ხვეულს“.

144 ფრანგულ ტექსტში „cylindre“, რაც ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ როგორც გეომეტრიული ფიგურა.

145 ფრანგულ ტექსტში: turbans რაც ქართულში, სპარსულთან თანხმობით, იწერება „დოლბანდი“ და ნიშნავს რიდეს, რომელიც მუსლიმებს გარშემოხვეული აქვთ თავსაბურავზე.

146 Histoire de la Géorgie. II. I, S.-Pb., 1856, p. 530. n. 1.

147 ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოც, 1854, გვ. 327; Histoire de la Géorgie, ტ. II, ს.-პეტერბურგი, 1856; ფრანგული თარგმანი, იმავე სათაურით, ტ. II, ნაკვ. II, ს.-პეტერბურგი, 1857, გვ. 33, შენ. 3.



ტყვა იმ საგნის<sup>148</sup> გამომხატველია, რომელიც თან ახლავს თავს, ანუ გვირგვინს, საკუთრევი ნიშნავს რულო-ს<sup>149</sup>, ტომარიონ-ს<sup>150</sup>, და, ვფიქრობ, ექვივალენტია სომხური ტომარ, ტუმარ<sup>151</sup>, ესე იგი ფრანგულად — როლ, ლივრე<sup>152</sup> სიტყვებისა. მაინცდამაინც, იხმარება რა სამოსლისთვის, იგი — შემოძლია მხოლოდ ეს ვიფიქრო<sup>153</sup>. მიეკუთვნება რულო-ს<sup>154</sup>, რომელიც ქმნის დოლბანდის<sup>155</sup> ცენტრს იმ სამეფო თავსაბურავზე, რომელიც იხმარება სპარსეთში. ტომარა, რომელიც იმავე წარმოშობის არის, ნიშნავს საკუთრივ ფრანგულად საკ-ს<sup>156</sup>.

საგულისხმო ფაქტია, რომ მეცნიერი, მაშასადამე სიტყვის ასახსნელად მიმართავს მეთოდურად გამართლებულ ხერხს. მისი წადილია გაითვალისწინოს სათანადო მატერიალური მონაცემები, თავსაბურავები, გრაგნილი („რულო“), ცილინდრის გეომეტრიული ნაკვეთის სახეობისა; ტომარიც („საკ“), დოლბანდი და სხვ.

ეს მსჯელობა ჩვენ წინამდებარე ნაშრომის პირველ გამოცემაში უგულვებელყავით, — და არა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მიზეზით, არამედ შემდეგი დაკვირვების გავლენითაც: რადგან ქართველოლოგიურ ლიტერატურაში თუმარს, შეიძლება ითქვას, დაჯინებით აიგივებენ ჭილასთან, ჩვენ, საქმის ჩხრეკისას წინამდებარე ნაკვეთის აღჩინდელ გამოცემაში (გვ. 52) წინ წამოეწიეთ ასეთი საგულისხმო დეტალი: ლ. ბუღალავის ცნობილი ლექსიკონის ჩვენებით, ჩალატურ-ყირგიზული სიტყვა თუ მ ა ლ ე ნიშნავს — „ქულს შევარდნის თავზე; ფრთას, რომელსაც კასკაზე იცობენ“<sup>157</sup>. ამრიგად, ამ შემთხვევაში თუმარ—თუმალი და ჭილა სემასიოლოგიურად ერთმანეთს ემთხვევიან. და ჩვენც ამას ჩავკიდეთ ხელი, მაგრამ როგორც არ უნდა შეფასდეს ეს ფაქტი, მაინცა და მაინც „თუმალე“ და მისი მოცემული მნიშვნელობა ეკუთვნის ჩალატურ-ყირგიზულ კულტურულ წრეს და არა ირანულს, არა კავკასიურს, ახლოაღმოსავლურს. მაინცა და მაინც, იქ—თუმალეა, აქ — თუმარი, თომარი.

148 ფრანგულ ტექსტში: un objet.

149 ფრანგულ ტექსტში: rouleau — გრაგნილი.

150 ფრანგულ ტექსტში: *томагъ* (ბერძნული).

151 ფრანგულ ტექსტში: *томар томар* (სომხური)

152 ფრანგულ ტექსტში: rôle, livret.

153 ფრანგულ ტექსტში: conjecturer.

154 ფრანგულ ტექსტში: rouleau.

154 ფრანგულ ტექსტში: turban.

156 ფრანგულ ტექსტში: sac.

157 Л. З. Б у д а г о в, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, с. 406.

დაბოლოს, მცირე შენიშვნა ზემოთ „არჩილიანიდან“ გამორჩეული ტაეპის გამო: „თაჯსა თავზე თვალნი თლილნი თომარს თანა თელოვანსა“. ეს რა „თომარი თელოვანი“ იგულისხმება და რას ნიშნავს აქ მსაზღვრელი „თელოვანი“? იქნებ ხელუხლებელი უნდა დარჩეს ნ. ბერძენიშვილის განმარტება — თელოვანი „მთელს“ ნიშნავს<sup>158</sup>. ვფიქრობთ, ემჯობინებოდა ეს „თელოვანი“ გაგვეგო როგორც თელილი, მოჭნილ-მოთელილი, რადგან როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, თომარი — გრაგნილია, დახვეულ-დამუშავებული ქალაღდი თუ ეტრატე, და ამის შესაბამისად პოეტს, მეტადრე სიტყვის სათამაშოდ და რითმისთვის, თელოვანი ძალდატანებულად შეეძლო გამოეყენებინა მოთელილის მნიშვნელობით.

ზემოთ აღნიშნულია, რომ გრაგნილის, თომარის-სახით თავსაბუ-რავეში რაყამი შეიძლებოდა ეტარებინათ დაცობილი თუ დასობილი. რაყამი (არაბ. რაკამ) ქართულ წყაროებში კარგად ცნობილ დიპლომატიკური ტერმინია და როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, ნიშნავს „მეფის ბრძანებულებას“, „რესკრიპტს“, „დიპლომს“, ბეჭედდასმულ საბუთს. სხვადასხვა ხასიათის, მაგალითად, წყალობის რაყამი ანუ სიგელი მოსდიოდათ შაჰისაგან ქართველ მეფეებს; კერძოდ, ის მიუღია თავის დროზე როსტომ მეფესაც<sup>159</sup> და სხვებს. ს. ჩხეიძის გამოთქმით, ვახტანგ VI-ს, 1712 წ. დამდეგს, ყაენისაგან „ებოძა რაყამი წყალობისა“<sup>160</sup>.

რაყამი, რა შინაარსისაც უნდა ყოფილიყო ის, ცხადია, რალაცას ავალებდა მხარეებს. გურამიშვილმა იცის, რომ ჯნთა მეფეს კონსტანტინეს ხელთ ჰქონდა ვახტანგ VI-ის გამათახსირებელი რაყამი. ეს რაყამი ბრძანებდა, რომ ქართლი კონსტანტინეს გადასცემოდა საბატონოდ (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ). ამავე დროს კონსტანტინეო, — წერს გურამიშვილი რუსთაველის სტილით, — ვარაუდობდა, რომ მეფე ვახტანგ ამ რაყამსა არც ისმენს და არც იწიგნებს<sup>161</sup>, ესე იგი საბუთად არ მიიჩნევსო.

თუ რაყამი იყო „წყალობის რაყამი“, ის ჩვეულებრივ გულისხმობდა, რომ გამცემი და მიმღები, ამ შემთხვევაში შაჰი და ქართველთ მეფე, იმყოფებოდნენ საქმიან ურთიერთობაში. ასეთი რაყამი მოწმობდა, რომ ორ მხარეს შორის გარკვეული რიგი, ბატონყმური რიგი, უნდა დაცულიყო. რაყამში უშუალოდ თუ ირიბი გზით დადასტურებული ეს ურთიერთობა საბაბს აძლევს გურამიშვილს, რომ თვით ეს

158 არჩილიანი, ტ. I, გვ. 258, 3, 3 და ნ. ბერძენიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი: იქვე, ტ. II, გვ. 178.

159 ვ. ფუთუჩიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955, გვ. 273.

160 ს. ჩხეიძე, გვ. 29.

161: დავითიანი, 59, 230, 2.

ურთიერთობა და დამოკიდებულება აღნიშნოს ფრთოვანი სიტყვით — „რაცობა“. ასე, კონსტანტინე ერთ შემთხვევაში ამჯობინებს, წახდინოს შაჰთან კეთილი დამოკიდებულება, „რაცობა“, ვიღრე უღალატოს ვახტანგს, და აცხადებს: „ვარჩევ, სჯობს ფიცთა გატეხას გატეხა ამ რ ა ყ მ ბ ი ს ა“<sup>162</sup>.

თავის მხრივ, ვახტანგ მეფეც ტრადიციულ ურთიერთობასა და დამოკიდებულებაში იყო შაჰთან, როგორც ზემოთ ითქვა, მას „ებოდა რაყამი წყალობისა“, ხოლო რადგან შეიძლება რაყამი გრაგნილ-თომარის ფორმით თავსაბურავში დაცმული ეტარებინათ, გურამიშვილიც მეტონიმიის გამოყენებით ასე გამოთქვამს ვახტანგის შესახებ ჩანაფიქრს: „ყაენის სპასალარია, თავს ირჳვამს მის რაყმობასა“. იმის მაგიერ, რომ ეთქვა, კისრულობს ყაენის „რაცმობას“, ის წერს: „თავს ირჳვამს მის რაყმობასა“.

აღნიშნულის საფუძველზე გასაზიარებელი უნდა იქნეს ჩვენი შემდეგი დასკვნაც. „დავითიანში“ ჩნდება ერთი წერილი, რომელიც ვახტანგის მეტოქე ძმას იესეს მიუწერია, ვახტანგის სამტროდ, კახთბატონ კონსტანტინესთვის (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). იესე მოაგონებს ადრესატს, რომ ის, კონსტანტინე, მაჰმადიანია, მაშინ როდესაც თეიმურაზი, კონსტანტინეს ძმა (მერმე მეფე თეიმურაზ II) არის ჯვრის მოსავე ქრისტიანი. ამ აზრის გადასაცემად იესე ასე მიმართავს კონსტანტინეს:

შენ სავარცხელი შემწედ გაჩნს, და მაგას ქრისტეს ჯვარია (63,258, 3).

მაშასადამე, შენ „სავარცხლის“ მოიმედე ხარ და შენი ძმა კი ჯვრისაო. კონტექსტით ცხადი ხდება, რომ აქ სავარცხელი და ჯვარი არიან ერთმანეთთან დაპირისპირებული. მაშ, გურამიშვილის ენაზე სავარცხელი, წინააღმდეგ ჯვრისა, მუსლიმანობის სიმბოლოდ იხატება. ამის საფუძველი, ვფიქრობთ, ასეთია: ჩვენს მიერ გადასინჯულ ზოგ ლექსიკოლოგიურ განმარტებაში ჯილა სიტყვის პირველ მნიშვნელობად წარმოდგენილია, ფრინველთა „ქოჩრის“ („ხოხოლოკ“) გვერდით, ფრინველთა სავარცხელი („გრებეშოკ“)<sup>163</sup>. აქ ჯერ იმას უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ფრინველის ქოჩრისა და ფრინველის სავარცხლის მნიშვნელოვან გამოყენებულთა ერთი და იგივე სიტყვა — ჯილა<sup>164</sup>. ეს ცხადია, გამოწვეულია გარკვეული ასოციაციებით. ჯილა ფრთების დაკბილულობით ქმნის სავარცხლის შთაბეჭდილებას. გავიხსენოთ ისიც, რომ ერთ-ერთი განმარტებით, ჯილა სავარცხლის მსგავსი სამკაულია. ამდე-

<sup>162</sup> იქვე, 59, 229, 4.

<sup>163</sup> М. А. Гаффаров, Персидско-русский словарь, I, с. 214.

<sup>164</sup> Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, I, с. 437.

ნად „ჩილის“ მეტაფორად უნდა გამომდგარიყო სავარცხელი სიტყვა. თუ ეს ასეა, მაშინ გასაგები იქნება გურამიშვილის ზემოთ მოყვანილი ტაეპი: „შენ სავარცხელი შემწედ გიანს, და მაგას ქრისტეს ჯვარია“. ესე იგი მაჰმადიან კონსტანტინეს იმედად აქვს „სავარცხელი“, მაშასადამე, ჯილა, ხელისუფლებისა და ბატონკაცობის მუსლიმური ემბლემა, მაშინ როდესაც მისი ქრისტიანი ძმის, თეიმურაზის, სასოება ჯვარია.

სავარცხელი გურამიშვილითან გვხვდება გართულებული ფორმი-თაც: „თავსავარცხელი“, აქ თითქოს სავარცხელი უახლოვდება მის მა-ტერიალურ მნიშვნელობას. კონსტანტინესო, ვკითხულობთ „დავითიან-ში“, ჯერ მხოლოდ ქ. ისპაჰანის ტარუდას (ქალაქის უფროსს), „ავის კაცის თავ-სავარცხლად აქვნდის კარგი მოსაფხანი“ (58, 224, 4). აქ „თავსავარცხელი“ გამოყენებულია ერთგვარი ცხენის საფხეკი სამურ-ვლის მნიშვნელობით. კონსტანტინე „გაფხეკ-გაჩეჩავდა“ თავის ავსა და მავნე ხელქვეითებსო. ალბათ აქაც მოქმედებს იგივე ასოციაცია: თავსავარცხელი, ანუ სავარცხელი, მეტაფორულად უნდა აღნიშნავდეს ისევე ჯილას, კონსტანტინეს თავსაბურავზე სამოხელეო ძალაუფლების განმასახიერებელს.

ფიქრობთ, საკმარისია ეს ცნობები — ანარეკლი საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობისა ირანთან. რომლებიც დავით გურამი-შვილს ასეთი მრავალფეროვნებით შეუთვისებია თავისი ქვეყნის კულ-ტურული ისტორიიდან. დავებრუნდეთ პოლიტიკური ცხოვრების და-ხასიათებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „დავითიანში“, თანახმად მაშინდელი ობიექტური სინამდვილისა, ისტორიულ მოვლენათა „განვითარება“ წარ-მოებს შინაფეოდალური კონფლიქტების ფონზე, საკმაოდ ნათლად ისა-ხება მტკივნეული სოციალური ბზარები, ნაპრალები საზოგადოებრივ შენობაში. ძალთა განწყობილება ხასიათდება რეაქციული ბანაკის დიდი მოძალებით. პროგრესული დასის დასუსტებით: „დამცირდენ მადლით მოყვრები, ცოდვით განმრავლდენ მტერები“<sup>165</sup>, სწორედ ისე, როგორც ეს აღნიშნული აქვს ვახუშტის XVII ს-ის დამლევისა და XVIII ს-ის დამდევის პოლიტიკური მდგომარეობის დასახასიათებლად: „მოაკლდებოდა მეფისანი (ესე იგი მეფის მომხრეები. — ვ. დ.) და გან-მრავლდებოდა წინააღმდეგომნი“<sup>166</sup>. ვახუშტის ეს ცნობა უშუალოდ ეხე-ბა გიორგი XI-ის (1676—1709 წწ.) მეფობის უკანასკნელ წლებს. სა-მეფო ხელისუფლების „მტრები“ და მეტადრე ქართული კულტურის თვითმყოფობისადმი ინდიფერენტულად განწყობილი ჯგუფები მოქმე-

<sup>165</sup> დავითიანი, 48, 150, 4.

<sup>166</sup> ვახუშტი, გვ. 90.

დებდნენ გაბატონებული კლასის ყველა ფენაში, სასულიერო წრეების გამოუკლებლივ.

ცნობილია, რომ რეაქციის ტალღა ნამეტურ გაძლიერდა 1709—1712 წლებში, როდესაც შაჰის კარზე წყდებოდა საქართველოში ახალი „ვალის“, ახალი მეფის დამტკიცების საკითხი. უნდა გადაჭრილიყო საკითხი — საქართველოში პროგრესული მიმდინარეობა გაიმარჯვებდა თუ დამარცხდებოდა. მეფობა დაუმტკიცდებოდა ვახტანგს, თუ, პირიქით, ირანის მხარდაჭერით გაიხარებდნენ პირშავი რენეგატები და რომელიმე მათი სამეფო კანდიდატი. საინტერესოა, რომ ამ კონკრეტული საკითხის ირგვლივ მაშინ გამართული საზოგადოებრივი ჭიდილიც უცნობი არ დარჩენილა გურამიშვილისათვის და მასაც სხარტად გამოუხატავს თავისი განწყობილება. რადგან სათანადო ეპიზოდი საქართველოს ისტორიისა ჩვენ გვეჩვენება მეტი ჩაკვრვების ღირსად, ამიტომ მკითხველის ყურადღებას ცოტა ხანს შევაჩერებთ საქმის მსვლელობაზე.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ 1711 წელს საქართველოს „ვალისა“ და მეფის ადგილი განათვისუფლდა და ეს ადგილი თითქოს პირდაპირ ვახტანგს უცდიდა. მაგრამ ხალხური სიტყვით რომ ვთქვათ, პოლიტიკურ წრეებში „არჩევან-არადანი“ ძალზე გართულდა. ვახტანგის კანდიდატურაზე ერთი აზრი არ არსებობდა თვით შაჰის კარზეც და მით უფრო საქართველოში. მომხრეთა და „წინააღმდეგობთა“ პოზიციები მკვეთრად გადაიმიჯნენ. ვახტანგის რა დამსახურება და სათნოებანი იზიდავდნენ მისკენ ქართველ პროგრესულ წრეებს, ხდიდნენ ვახტანგს ხალხისთვის მისაღებ მეთაურად და მეფედ, ამის გასაგებად ის მცირედი ცნობებიც საკმაოდ გვეჩვენება, რომელნიც ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ. იმ დროს ვახტანგს, 1703 წლიდან ქართლის „ჯანიშინსა“ და საქართველოს დიდ მოამაგეს, თავისი შემოქმედებითი გზისა და მოღვაწეობის საუკეთესო ნაწილი უკვე დასრულებული ჰქონდა. როდესაც ის შაჰის სატახტო ქალაქის, ისპაჰანის ძნელ გზას დაადგა იქ ინვესტიტურის მისაღებად, მას მართლაც უკან რჩებოდა „კვალი განათლებული“ (ი. ჭავჭავაძე) და წარუშლელი სახსოვარი: იმეამად იქნებ მისი „ვეფხისტყაოსანიც“ (1712 წლის გამოცემა) უკვე მთლად დასტაძებული იყო. რადგან ვახტანგი ისპაჰანს გაემგაზვრა აღნიშნული წლის აპრილის 23-ს (ვახუშტი).

ამისდა მიხედვით, საფიქრებელია, მას ისპაჰანს მიჰყვებოდა მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს საუკეთესო შვილები, რომელნიც ჯეროვნად აფასებდნენ მის ღვაწლს ქართული კულტურის სფეროში, და ნაწილობრივ თვითონაც უდგნენ მას მხარში, როგორც განმგებელს, სახელმწიფოებრივ სასარგებლო ღონისძიებათა გატარების საქმეში, საერთოდ ყველა, ვინც ეტრფოდა თავისუფალ და თვითმყოფს (და არა

გადარჯულებულ) საქართველოს, — მოსურნე უნდა ყოფილიყო მისი, ვახტანგის, წარმატებისა და გამეფებისა. ამათ წრეში ვახტანგს, ცხადია, ეგულებოდა არა მხოლოდ ზემოთ ხსენებული სულხან-საბა ორბელიანი, გინა ვახუშტი, ანთიმოზ ქართველი, ბერი ეგნატაშვილი, და სხვა ასეთი მახლობლები, არამედ საერო თუ საეკლესიო მოღვაწენი, სამოქალაქო, სამხედრო გავლენიანი პირებიც.

ვახტანგსა და მის თანამოაზრეებს უთუოდ გათვალისწინებული ჰქონდათ საქმის მეორე მხარეც: ირანის სამეფო კარზე საქართველოს „ვალის“ არჩევის საკითხში, ცხადია, გავლენას იქონიებდნენ საქართველოში მომძლავრებული პროირანული ჯგუფებიც. ამოფარებულნი შაჰის ტახტის ჩრდილში, ისინი თვით თბილისში იმედს ამყარებდნენ გარკვეულს სამხედრო ძალაზე — თბილისის ირანულ, „თათრულ“ გარნიზონზე (მართალია, ვახტანგის მეოხებით ძალზე შევიწროებულზე). ორგულებს თავისი მავნე საქმის მოსაწყობად ხელსაყრელი პირობები უთუოდ ეგულებოდათ იმ „თათრულ“ მოსახლეობაშიც, რომელიც ჯერ კიდევ აბას I შაჰის დროიდან (XVII ს.) იყო ჩათესლებული ქვემო ქართლში (ქციის, ალგეთის ხეობებში და უფრო აღმოსავლეთით—ყაზახში). ქართულ წყაროებში ეს მშვიდობიანი მეჯოგენი, ჰამბა-აბრეშუმის თუ ბრინჯის მეურნენი და სამეფო გადასახადთა გადამხდელები, იხსენიებიან, როგორც „ელნი მამადიანნი“<sup>167</sup> („ელი“ თურქულად ხალხსა და ტომს ნიშნავს).

საზოგადოებაში დემორალიზაცია შეჰქონდა იმ სპარსულ სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ წესს, რომლის ძალითაც ქართლისა და კახეთის სამეფოებზე უფლებას უქადიდნენ მხოლოდ გამუსლიმებულ დინასტიებს, წარჩინებას პირდებოდნენ მარტო რენეგატებს. ამას მორალური წახლენა შეჰქონდა სამეფო გვარში, სათანადო მმართველ წრეებში. ვახტანგის „წინააღმდეგობთა“ რიგებში იღვა და თავისი გავლენით გამოირჩეოდა მეტადრე მეფის უმცროსი ძმა იესე (მამა შემდგომში ამაღლებულის ქართველი კულტურული მოღვაწის ანტონ I-ისა). გამაჰმადიანებული იესე, თოფჩიბაშის (მეთოფე-მეზარბაზნეთა თავის) წოდებულებით, მეთაურობდა თბილისის ზემოხსენებულ გარნიზონს. მან, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, ქართლში ერთ ხანს იმეფა კიდევ. საერთოდ, შაჰის მოიმედე რენეგატთა რიცხვის ზრდამ ათქმევინა გურამიშვილს ეს სიტყვებიც: „ყმად წაუვიდნენ ისასა, იქმნენ მამადის ქოლანი“<sup>168</sup>. ესე იგი უარყვეს მათ ისას, ანუ იესო ქრისტეს, სამსახურ-

167 ამ ელუბის შესახებ იხ. იას. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, ნაწ. III და IV, თბ., 1938, გვ. 135 და შმდ.

168 დაეთიანი, 48, 153, 4. არაბი, სპარსი, თურქი ხალხები იესოს სახელს გამოთქვამენ „ისა“-და.

ჩი და გახდნენ მუსლიმთა მოციქულის, მუჰამედის შონეზი, მსახური (თურქული *qöli* — მონა, მსახური).

საქართველოში ძირგამდგარი პოლიტიკური ავებდობა ქართლთან ერთად კახეთის ხვედრიც იყო. თეიმურაზ I-ის (XVII ს-ის პირველი ნახევარი) შემდეგ XVIII ს-ის ნახევრამდე კახეთის ხალხის ბედს ძირითადად განაგებდნენ შაჰის ტახტისაგან მოვლენილი მუსლიმი ტიტულოვანი ფეოდალები — ხანები. ამათ დამპყრობლურ გეგმებთან შეგუება — ეს იყო უშუალო პირობა იმისათვის, რომ ადგილობრივ მოწინავე კაცებს, დინასტიის წარმომადგენლებს (თეიმურაზის შთამომავლებს), გინა სხვა ფეოდალებს, მონაწილეობა მიეღოთ მართვა-გამგეობაში. როგორც ქართლში, ისე აქაც, ირანის ბატონობასთან შეგუების ტვირთის კისრად აღება უფლების მაძიებელს აიძულებდა უარეყო მამა-პაპათა სარწმუნოება, შეეცვალა თვით სახელი (ერეკლე იქცეოდა ნაზარალი-ხანად, დავით II — იმამყული-ხანად, კონსტანტინე — მაჰმადყული-ხანად და ა. შ.), რაც უმთავრესია — დადგომოდა შაჰის საამებლად ჯაშუშობის, შინათგამცემლობის გზას, ჩაძირულიყო ინტრიგების მორევში. ვახუშტის მოწმობით, უფლებისა და პატივის მაძიებლები ერთიმეორის წინააღმდეგ „დამართვიდნენ წინაშე ყენისა“<sup>169</sup>, ესე იგი მამბეზლარობდნენ. შესანიშნავი ისტორიკოსის საერთო დასკვნით, ხანების მართვა-გამგეობის დროს, „უამთა ხანებთათა, შემოხდა უმეტეს პირველისა (ადრინდელისა, — ვ. დ.) ქცევა და ზნენი ყიზილბაშთა, და დაუტევებდნენ ქართულთა, იწყეს კეკლუცობა, განცხრომა, მათებრ სმა-ჰამა, სიბილწე, ტყვის ყიდვა“<sup>170</sup> და ა. შ. შაჰის წყალობის, მის, უხვ „როქთა“ თუ „როჰიკის“ (ჯამაგირის) მაძიებლები გადადიოდნენ მუსლიმობაში. XVII ს-ის პირველ ნახევარში, გიორგი სააკაძის ბრძოლების ხანაში, მთელმა ქვეყანამ იხილა რა გმირობა და თავგანწირვა შეეძლო ჩაედინა სამშობლოსა და დამოუკიდებლობის სახელით ქართველ ხალხს, მაგრამ მაშინ უზომო მსხვერპლის გაღებამ დიდი ხნით გამოიწვია მებრძოლ ძალთა საერთო მოღუწება. პატრიოტული მოვალეობისა და კაცურ-კაცობის დაცვა და საამისო გმირობა ქართლისა თუ კახეთის მმართველ წრეებში იშვიათი მოვლენა შეიქნა. როგორც ეს დავით გურამიშვილს აქვს გამოთქმული, ცალკეულ გმირებს გარდა, სხვანი, გუშინდელ გულად მებრძოლთა ჩამომავლები, დღეს „დაჯაბდნენ“ და სხვის მონობაში მყოფნი კეთილდღეობას ეძიებდნენ ურთიერთ დაუზოგველობის დაუღვეველი გზით, შუღლისა და მტრობის საშუალებით; კერძოდ, დაყარეს იარაღი, „ნება ყვეს თვისა მერძოლთა, არეინ ინება რჩოლა-

<sup>169</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 206.

<sup>170</sup> იქვე, გვ. 198—199.

ნი<sup>171</sup>. რა ზიანი მიაყენა ვახტანგის მეტოქეობით კახთბატონმა კონსტანტინემ ქართველ ხალხს XVIII ს-ის ოციან წლებში, ამას ქვემოთ შევეხებით.

ასეთი იყო ზოგადი სურათი საქართველოსი, როდესაც მისი უერთგულესი შვილი, დიდი ქართველი მოღვაწე ვახტანგი თავისი მხლებლებით ისპაჰანის გზას დაადგა. ეს გზა საქართველოში ერთგვარი პოპულარობის მქონე იყო. ამ გზას, რომელიც გადიოდა შირვანის, დღევანდელ აზერბაიჯანის, ტერიტორიაზე, სამხრეთით — ერევანზე, ვერ ასცდებოდა ვერავინ, ვისაც კი შაჰის სახელით უნდა მიეღო ქართლსა თუ კახეთში განსახორციელებელი ხელისუფლება, მისი „განმგებლობა“, მეფობა. ამ გზის სათავე დედაქალაქ თბილისში ითვლებოდა და საქართველოს მეფეთა ელჩები, მაშასადამე, იმერეთის მეფეთა ჩაფარ-შიკრიკებიც, თბილისზე გავლითა და ქართლის ხელისუფალთა კონტროლით უნდა გადგომოდნენ ისპაჰანის მარშრუტს. საპატიო მგზავრობის კეთილმოსაწყობად წესად იყო (XVI ს-ის მეორე ნახევრიდან), რომ ირანის ხელქვეითს მუსლიმურ სოფელ-ქალაქებზე გავლისას შაჰთან მიმავალ სტუმრებს, ამ შემთხვევაში ვახტანგს, მომსახურება ჰქონოდა ადგილობრივ მოსახლეთაგან. ამის თაობაზე ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე (XVII ს.) მკაფიო ცნობებს იძლევა. იმ ხარჯს, რომელსაც გზად შემხვედური მოსახლეები ეწეოდნენ მგზავრის დასაკმაყოფილებლად, განეკუთვნებოდნენ, კერძოდ, „სამასპინძლო და ცხენი და აქლემი“, სტუმრებისათვის გამზადებული<sup>172</sup>. ვახუშტის მოწმობითაც, შემხვედრები უმზადებდნენ სტუმარს სადილ-ვახშამს, „მოართმოდნენ სანოვაგესა სამხრისა და სერისასა“, შაჰის ხარჯზე და შაჰისავე სერვიზით. ასე იყო იქითობასაც და აქეთობასაც, სამი დღე იქით და ამდენივე აქეთ<sup>173</sup>.

ცნობილია, რომ ვახტანგი შაჰის კარზე მტკიცედ უარობდა სარწმუნოების გამოცვლას. შაჰი ჰუსეინ I (1694—1722 წწ.) საერთოდ, კეთილად განწყობილი ყოფილა ვახტანგისადმი, მოსწონდა ქართველი მეფე, რადგან, ჩანს, კარგად იცოდა მისი ფასი და წონა<sup>174</sup>. ისე რომ, რადგან შაჰი ვერ ხედავდა სხვა უმტკივნეულო სახსარს ვახტანგის დასაყოლიებლად, მზად იყო თურმე ვახტანგი გამოეგზავნა ქართლის მმართველად „სჯულისთავე თვისითა“<sup>175</sup>. მაგრამ ამ საქმეში ჩაერივნენ შაჰის ფანატიკოსი მრჩეველები, ვახუშტის ცნობით, „ომარანი“, ესე იგი

171 დავითიანი, 48, 151, 1 და 48, 153, 2.

172 გორგიჯანიძე, გვ. 70.

173 ვახუშტი, გვ. 119.

174 იქვე, გვ. 118, 121.

175 იქვე, გვ. 119.



ამირები, დიდებულები<sup>176</sup>, და თავის მბრძანებელს ხელი ააღებინეს კომპრომისულ განზრახვაზე. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ვახტანგი ამ მიზეზით დიდი ხნით ჩარჩა ირანში, შაჰმა ის „უპატიოდ ყენა შეიდ წლამდის“ (გურამიშვილი).

ისტორიულ წყაროებში არაერთი მოწმობაა იმისა, რომ ვახტანგმა მაშინ დიდი ღრამა განიცადა. ზნეობრივი ძალდატანება „მუყრთა და მულიმთა“ მხრივ რამდენ სხვა ქართველ დინასტიასც თუ დიდებულსაც განუცდია მსგავს შემთხვევებში. დიდი მორალური დაწოლა გამოსცადეს შეუდრეკელმა ქართველმა მეფემ გიორგი XI-მ (1676—1709 წწ.), ვახტანგის ბიძამ; აგრეთვე ერეკლე I-მა (1688—1703 წწ.), დიდი ერეკლე II-ის პაპამ და ა. შ. ცნობილია ერეკლემ I-ის ბარათი (1677 ან 1678 წ.), თეოდორე რუსთა მეფის სახელზე გაგზავნილი ირანიდან მოსკოვს, სადაც აღწერილია, თუ რა ხერხით, ალერსით და დიდი დაპირებებით, ანუ რა მუქარით აძალებდა შაჰი (სულეიმან I) ერეკლეს ისლამის მიღებას. ამ წერილში მოყვანილია ის მოტივები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ სულეიმანი და მისი ხელისუფალნი, როდესაც ისინი ქართველ ხელისუფლებს ცინიკური გაბედულებით ავალებდნენ მამა-პაპათა სჯულის შეცვლას, სათანადო, ქრისტიანის ფსიქოლოგიისათვის უცხო პროცედურის (წინადაცვეთის) ატანას. სულეიმანს აწუხებდა ის აზრი, რომ მუსლიმი მეფეები გაკიცხავდნენ მას, თუ გამოიჩენდა სისუსტეს და ქრისტიანს ჩააბარებდა ქვეყანას, რომელიც იმყოფებოდა მუსლიმურ გარემოცვასა და მფლობელობაში<sup>177</sup>. ვახუშტის განმარტებითაც, მუსლიმებს „ცოდვად სჩნდათ ხარკის მიცემა და მსახურება ქრისტიანთა“, ხოლო ამავე დროს ქართლის მეფეებსო, დასძენს ისტორიკოსი, „მრავალნი ჰყავთ მოხარკენი და მსახურნი მამადიანნი“, და ასკვნის ის: „ამისთვის უფროს მამადიან ჰყოფდენ მეფესა“ (ვახტანგს. — ვ. დ.)<sup>178</sup>. ყოვლის გამათახსირებელ დაუსრულებელ ტერორსა და მონობას კარგად ეგუებოდა ცნობილი პრაქტიკა ზნეობრივი კომპრომისებისა; უფლებდაყრილს რჩებოდა მორალური „თავისუფლება“ „გარეგნულად“ მიეღო შეძლებული და შეგინებული უცხო რკული. ზემოთ ხსენებული გიორგი მეფე, იყო რა მოღების სარწმუნოებარითულების მოძულე, მაინც ახერხებდა სიკვდილის კარამდე ეტარე-

---

176 ვახტანგის ცხოვრების ამ ეპიზოდის შესახებ იხ. ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712—1745), „მიმოიხილველი“, III, თბ., 1958, გვ. 32 და შმდ. (ომარან სიტყვის შესახებ იხ. იქვე, გვ. 39, შენ.1.).

177 Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, под ред. М. Броссе, СПб., 1861, с. 101.

178 ვ ა ხ უ შ ტ ი. გვ. 119.

ბინა მუსლიმური წილაბი. ეს გამოირკვა, როდესაც გიორგი ავღანებთან ბრძოლაში შაჰის სარდლის პოსტზე დაეცა (1709 წ.). მაშინ ავღანელთა მეთაურმა, მირ-ვეისმა, მოკლულს, ალბათ ბრავით, მკერდზე „აჰყარა ხატნი და ჯვარნი“, ხელიდან წაართვა „ფსალმუნი, რომელსა (გიორგი, — ვ. დ.) იკითხვიდა უამსა მას“. ყოველივე ეს, როგორც ირანისადმი მეფის ორგულობის მამხილებელი საბუთი, ავღანთა ბელადმა გაუგზავნა თავის მოწინააღმდეგე შაჰს: აი, ესეც შენი ცრუმუსლიმი და შოლა-ლატე გიორგიო<sup>179</sup>.

ჩვენ ვეჭვობთ, რომ გიორგის ამ საიდუმლოების გამჟღავნებას შაჰის კარზე რამე სენსაცია დაებადებინოს. ასეთი ნიღბის ტარება, რაკი ის ჩვეულებრივი იყო ირან-ოსმალეთის ბატონობის ორსაუკუნოვან ხანაში (XVI ს-ის ნახევარი—XVIII ს. ნახევარი), თითქოს აღარც ღმერთს სწყინდა და აღარც კაცს. სრული ნდობის ღირსია ზემოთ ხსენებული ერეკლე I-ის მოწმობა, რომ მას შაჰი ევედრებოდა — ოლონდ ის ნუ გააწბილებდა საქვეყნოდ ირანის მბრძანებელის მოთხოვნას, ოლონდ აქ ელიარებინა ისლამი და მერმე იქ, თავის სამშობლო ქვეყანაში „ეწირა“, რა რჯულზეც თვითონ ინებებდა<sup>180</sup>.

წყაროებში კარგადაა ასახული ასეთი უმსგავსოების ამტანი იმდროინდელი ეთიკა და მორალი, ტანჯული ადამიანების გარებულობა და მათი ორეულები. აღმზრდელი მამა ზემოთ ხსენებული ისტორიკოსის — ფარსადან გორგიჯანიძის სახით ჰმოდღერის საკუთარ შვილს: „ჰკვიან(ი) ამას ჰკვიან, რომ ზოშიადის შემნახავი იყოს და ყოველს კაცს საამელი უთხრას და საწ(ა)დელი თავისი არვის გაუცხადოს...“<sup>181</sup>. ადამიანის ეს გორება რელიგიის სფეროშიც კანონზომიერად ვლინდებოდა. დიდი ქართველი დიდაქტიკოსი სულხან-საბა ორბელიანი ერთს ქადაგებაში (მას სასულიერო მკვერმეტყველებაშიც შეუტანია თავისი წვლილი) ჩერდება „ქრისტეს მგომბართა“ ბედუკუმართობაზე დასაგანგებოდ იხსენიებს ერთ ვილაც ცინიკოსს, რომელიც მას თურმე „ელიზდებოდა“; ლიზლობა კი, როგორც ეს განმარტებული აქვს თვითონ ორბელიანს თავის ლექსიკონში, ნიშნავს — „რა კაცი უღარესსა და უპატოსნესსა თუსსა კადნიერად და ხუმრობით ეტყოდეს და წყენას არ ელოდეს“. იმ ვინმე მოლიზარის საუბრის საგანი ყოფილა რწმენა, რომ ყოველ რენეგატს შეეძლო თავი „სასუფევლის შვილად“ ეგრძნო, ეგრეთ წოდებული განკითხვის დღეს ბინა სამოთხეში დაედო. როგორ? რომელი ორ მეტოქეთაგანი — ქრისტე აღმოჩნდებოდა ქეშ-მარიტი მსაჯული და გადამწყვეტი ადამიანთა ბედისა თუ „მოპმედი“

<sup>179</sup> ე ა ხ უ შ ტ ი, გვ. 111.

<sup>180</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, с. 101.

<sup>181</sup> ფ. გორგიჯანიძე, გვ. 107.

(მუჰამადი), სულ ერთი იყო, ორსავე შემთხვევაში ორჩულა დაზღვეული იქნებოდა წარწყმენდისაგან; ქრისტესთვის მის ერთგულებას დაამოწმებდა, ორბელიანის უტიფარი მოსაუბრის გადაწყვეტილებით, მისი მირონცხებულება, ხოლო მოჰმედისათვის ერთგულებას — მისი წინადაცვეთილება. საჭიროებისა და მიხედვით, პირველს ის უჩვენებდა თავის მირონცხებულ შუბლს ხოლო მეორეს „სერსა მისსა წინადაცვეთილებისასა“<sup>182</sup>, მაშასადამე, წინადაცვეთით კვალდაჩენილ სხეულის ნაწილს. ამ საუბრით შემფოთებულ ორბელიანს ორჩულა ადამიანები შეუდარებია სახარებაში იგავად მოხსენიებული ძალისათვის, „რომელი მიექცა ნათხევარსა თვსსა“, ღორისათვის, რომელი „ინწუბა სანგორელსა მწურისასა“<sup>183</sup>. ორბელიანს აშფოთებდა ქვეყნის ეს გამაპარტახებელი ორგულობა მშობლიური ხალხისადმი, მისი ენისა და კულტურისადმი, რომლის თვითმყოფობას ფეოდალურ ეპოქაში რელიგია ძალზე უწყობდა ხელს.

რაკი ეს ასე იყო, რაკი საქართველოს ორბელიანისთანა თავი ეაცები ასეთ თვალსაზრისზე იდგნენ, ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩათვლილიყო ის სიმტკიცე, ზოგი თანამედროვის აზრით, ალბათ „სიჭიუტე“, რომელსაც იჩენდა ვახტანგი შაჰთან კამათში, ყაენის მასთან „ვაჰრობაში“. აქ საქმე არ ეხებოდა ვახტანგის კონფესიონალურ შეზღუდულობას, მის ბრმა ფანატიზმს, მის პირად სიმპათია-ანტიპათიას ქრისტესადმი თუ მოჰმედისადმი. საქმე ეხებოდა ისტორიული მნიშვნელობის საკითხს: დათანხმდებოდა თუ არა შაჰის აგენტი-მეფის როლს, რაც მას დააკისრებდა დაყრდნობოდა საქართველოში „თათრობას“; ყოფილიყო საქართველოს მიწა-წყალზე გამტარებელი აზიური „ხაზებისა“ პოლიტიკაში, კულტურულ მშენებლობაში; თავისი და თავისი ხალხის შემოქმედებითი ძალები აღერია ირანულ, ყიზილბაშურ ძალებთან: შეგნებულად ჩამდგარიყო „მამადის ქოლათა“ რიგებში, — ესენი ხომ უკვე XVI ს-დან აღმოჩნდნენ ჩვენში იდეურად უარყოფილი და დაწუნებული; რაც უფრო მეტი ხანი გადიოდა ისტორიულ დროთა რბოლაში, მათ მეტი და მეტი მძულვარებით ებრძოდნენ ქართველი ხალხის ქირისუფლები, თუ დასავლეთი ევროპის „ქრისტიანი მეფეებისა“ და რუსთა „ცარების“, თუ მხოლოდ ღმერთის მოიმედენი. თანამედროვე

182 ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. სიბრძნე სიცრუისა, გ. ლეონიძის რედაქციით, რედაქტორის შესავლის გვ. XXVII. მოყვანილ სტრიქონებში „სერი“ ნიშნავს. კდეს, ნიშანს ხმარებულს მესაქონლეობაში. ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, სიტყვასთან — სერი; შდრ. სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი, სიტყვასთან — სერი, თბ., 1943.

183 2 პეტ. 2,22; ივ. 26,11. იხ. აგრეთვე ივ. ლოლაშვილი, ორბელიანის „სწავლანი“; საიუბილეო კრებულში: ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თბ., 1959, გვ. 135 და შმდ.

ქართული საბჭოთა მკითხველისათვის მეტადრე ადვილია იმის შეგნება და სწორი განსჯა, თუ თავისთავად რა დიდი და პროგრესული, ისტორიულად „მართალი“ (ახალი ქართულით: სწორი) იყო ვახტანგისგან არჩეული გზა: მან იუცხოვა შაჰის კარზე მისდამი მიმართული მისი ადამიანობისა და მისი ერის სინდისის შემაგინებელი წინადადება — ეგმო მამა-პაპათა რჯული, უგულვებლევო სამშობლოსათვის წამებულ ქართველთა ყიზილბაშებთან ბრძოლაში დანთხეული უმანკო სისხლი, რომელიც დაღადებდა სამართლიან შურისგებას. „ეძიე, [ადონაი უფალო], სისხლნი ივერიისა, — ასე გამოხატა იონა ხელაშვილმა (გარდაიცვალა 1837 წ.) ეს დაღადისი თავის საკუთარ ლოცვაში, — დათხეულნი მირიან მეფიდგან ვიდრე აქამომდე და გამოიყვანე ერი იგი [ქართველთა] ფერიეთიდგან“<sup>184</sup>. ესე იგი, გამოიხსენ ფერიენდიდან, ირანის პროვინციიდანო, სადაც კახეთიდან შაჰ-აბასის მიერ გადასახლებული ქართველები დღესაც ცხოვრობენ.

ასეთი წინააღმდეგობა, ვახტანგის მხრივ გაწეული, იყო სრულიად შეგნებული და პრინციპული გადაწყვეტილების შედეგი, მისი კრედოს გამოხატულება. ჩვენ უნდა მოვაგონოთ მკითხველს, რომ ვახტანგს, მაშინ (1709—1712 წწ.) უკვე ცნობილ სჯულმდებელს (რამდენადაც მისი „სამართლის წიგნი“ უკვე შედგენილი იყო<sup>185</sup>), სამეფო ხელისუფლების არსის შესახებ გარკვეული დადგენილება და განმარტება ჰქონდა გამოტანილი. კერძოდ, სამართლის მე-2 მუხლი დაღადებს: „თუ მეფეს მეფობა შეეძლოს (იგულისხმება: როგორც სუვერენს. — ვ. დ.), ქნას; თუ არა (ამავე დროს კი — ვ. დ.) სახელი და საუკუნო (დიდება — ვ. დ.) უნდოდეს, შეუძლებლად (უფლება-შეზღუდულად. — ვ. დ.) მეფობას უქნელობა სჯობს და კელის აღება“<sup>186</sup>. აქ ნათლად ჩანს ვახტანგის ნებისყოფა, ებრძოლოს მის მავიწროებელ ფეოდალებსაც, „ყმებს“, და შაჰის ტახტსაც. ამ პრინციპული დებულების ავტორი, მაშასადამე, თავის ვალად თვლიდა ხელი აეღო ისეთ მეფობაზე, რომელსაც უნდა ჩამოსცლოდა მისი ქართულობისა და ამდენადვე ნამდვილობის ერთ-ერთი ატრიბუტი — ქრისტიანობა. პატრიოტი კანონმდებლის რწმენით, „მამულისა და ქრისტეს რჯულის“ შემცვლელი და ორგული ღირსი იყო ყოველგვარი სასჯელისა: „ყველა ავი იმაზე მართებული არის“<sup>187</sup>.

თანახმად ასეთი, მის მიერვე დაკანონებული, მრწამსისა მოხდა, რომ ვახტანგმა შაჰს რჩევა მისცა, საქართველოში მის ნაცვლად გაე-

184 იხ. ქართული წყაროთმცოდნეობა, I, თბ., 1965, გვ. 219.

185 ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, შესავლის გვ. 17.

186 იქვე, მუხლი 2, გვ. 48.

187 ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, მუხლი 222, გვ. 106.

გზავნა ერთ-ერთი მისი ძმა, რადგან „არიან ძმანი ჩემნი, — განაცხადა მან, — მაჰმადიანნი, და რომელი გნებავს, წარავლინე ქართლს, და მე ვეყო წინაშე შენსა“<sup>188</sup>.

ვახტანგს, ლევანის ძეს, გარდა 1711 წელს დაღუპული ქაიხოსროსი, კიდევ ჰყავდა ძმები: ზემოთ დასახელებული იესე, აგრეთვე სვიმონი. დომენტი (კათალიკოსი) და თეიმურაზი. ვახტანგის მიერ ქართლის სამეფო კაცებად რეკომენდებულ „მაჰმადიან“ ძმათაგან უპირველეს კანდიდატად უთუოდ იესე იყო გაგულებული, მაგრამ ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის, რას გულისხმობდა ვახტანგი, როდესაც თავის შესახებ აცხადებდა: მე ვრჩები შაჰის კარზეო („მე ვეყო წინაშე შენსა“). ოღონდ მოვლენათა შემდგომი განვითარება გვიჩვენებს, რომ ვახტანგს მისდამი კეთილგანწყობილი შაჰის „წინაშე“ ხვდებოდა ერთგვარი კონსულტანტისა და კურატორის როლი საქართველოს საკითხებში. მისი ბრძნული რჩევა-დარიგება ქართლისა (და ასევე კახეთის) საქმეთა წარსამართავად ირანის სამეფო კარისთვის, ცხადია, ძვირდასაფასებელი იყო. მით უფრო, რომ საქართველოში ვახტანგს დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა. ეს ჩვენი დასკვნა პირდაპირ გამომდინარეობს შემდეგი ფაქტიდან: ვახუშტი, ეპოქის ყველაზე უფრო ღრმა და მრავალმხრივ მცოდნე, მისთვის ჩვეული ლაკონიურობით, თითქოს ნახტომის წესით, უცებ აცხადებს, რომ „არცა ინება იესემ ნებითა ვახტანგისათა (იგულისხმება: ქართლს, სამეფოდ. — ვ. დ.) წარმოსვლა“<sup>189</sup>. აშკარაა, განიარაღებული ჯანიშინის „ნებას“ დიდი ძალა შერჩენია იმუამად. ჩანს, ვახტანგის ნება-სურვილის თანახმად მიუღია იესეს წინადადება ქართლისკენ გამგზავრებულის, როგორც შაჰის კანონიერი „ვალი“, ხოლო მას შემდეგ, რაც იესემ მიიღო სამეფო ინვესტიტურა და შეუდგა თბილისში პრაქტიკულ საქმიანობას, მიდგა რა ჯერი შაჰის მიერ დაკისრებულ ზოგ ღონისძიებათა განხორციელებაზე, უცბად იესე ატყობინებს შაჰს: „უკეთუ არს წინაშე შენსა (იგულისხმება: სამეფო კარზე, ქ. ისპაჰანში. — ვ. დ.) ვახტანგ, ვერა ვჰყოფ ბრძანებულსა (შენსა. — ვ. დ.), არამედ (წაიკითხე: აზიტომ. — ვ. დ.) წარავლინე პატიმრად“<sup>190</sup>.

ამის საპასუხოდ ვახტანგი მართლაც განაშორეს პოლიტიკურ სარბიელს, გადაასახლეს ირანის შორეულ პროვინციაში ქ. ქირმანს.

მაგრამ იესეს და მისი მომხრეების ამ გამარჯვებას წინ უსწრებდა სხვა საინტერესო ღონისძიებებიც, ვახტანგის თანამოაზრე დასის წინააღმდეგ მიმართული. ეს ღონისძიებები ერთობლივ კარგად ახასიათებს

188 ვახუშტი, გვ. 119.

189 იქვე.

190 იქვე, გვ. 121.

იმდროინდელი ქართველი ფეოდალური საზოგადოების შიგნით ატეხილი სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის დაძაბულობას, სათანადო დაჯგუფებათა აქტივიზაციას, იმ ეპოქაში ჩვეულებრივად მოღუწებული ცხოვრების გამოცოცხლებას, ადამიანების გამოფხიზლებას. უმეტესი გაწამაწია იყო მეფის ტახტის გარშემო.

როდესაც ვახტანგი ირანს მიემგზავრებოდა (1712 წ.), მას თან მიჰყვებოდა დარდი და ზრუნვა იმისათვის, რათა „არა შეირყეს ქართლი“. მან თურმე ასე აუხსნა შაჰს თავისი მასთან გამოცხადების მოტივი: „მე მოვედი, რათა არა და[მ]მართონ (ბეზღება არ დამიწყონ. — ვ. დ.) მტერთა და არა შეირყეს ქართლი“<sup>191</sup>. ამავე დროს ქართლში მყოფი იესეს მომხრეები შაჰის საყურადღებოდ ავრცელებდნენ ყოველგვარ ინსინუაციებს. იესემ, როგორც თოფჩიბაშმა, ბოროტად გამოიყენა თავისი გავლენა და თურმე „აღუდგინა“, აუშხედრა ვახტანგს თბილისის ყიზილბაშური გარნიზონი, დასწამა რა მას უმძიმესი დანაშაული—მუსლიმთა წმიდა წიგნის, „ყურანის“ დაწვა და სხვა არასაკადრისი გამოხდომა მუსლიმთავე წინააღმდეგ. ამას მოჰყვა შაჰის რწმუნებულის, ცნობილი ხოლოფას, იგივე ხულუფას (იხ. ქვემოთ), თბილისის ჩამოსვლა. მას დაკისრებული ჰქონდა აღნიშნული ბრალდების საფუძვლიანობა გამოერკვია. რაკი აქამდე მივიდა საქმე, რა თქმა უნდა, ვახტანგის სხვა მოწინააღმდეგენიც უნდა აღძრულიყვნენ ამ უკანასკნელის საპირისპიროდ. ამოქმედდნენ ვახტანგის ძმა სვიმონი, რომელიც ვახტანგმა, ირანს გამგზავრებისას დატოვა „გამგედ ქართლისა“<sup>192</sup>, და სვიმონთან ერთად მასთან შეთანხმებული „მთავარნი ქართლისანი“; ამათ შორის არავგის ერისთავი გიორგი და მისი სახლის წევრი დათუნა. ესენი დაუკავშირდნენ ხოლოფას, გაანდევს მას თავისი გულის ნადები, „შეიზრახნენ... ვახტანგის ბოროტსა ზედა“, და შაჰს წერილით მიმართეს: „არა გუნებავს ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იესე“<sup>193</sup>. ეს დასი „დიდ პოლიტიკას“ ეწეოდა. მას შემდეგ, რაც „დაიბყრა ვახტანგ ოსეთი“ და ასე დაამყარა თავისი კონტროლი საერისთავოს ურთიერთობაზე კავკასიის მთიანეთთან, ერისთავის სახლი ჯიბრში ჩაუდგა ვახტანგს<sup>194</sup>. თურმე ბსენებული ხოლოფაც კარიერის გაკეთებას ფიქრობდა ბაგრატიონების ხარჯზე. როდესაც ის ზემოთ აღნიშნული მისიით გამოემგზავრა ირანიდან თბილისს, მას ყურში ჩასჩურჩულეს, „იღუმალ ამცნეს“, — ალბათ ომარებმა, — ვინძლო მან საქართველოში ამღვრეულ წყალში

191 ვახუშტი, გვ. 118—119.

192 იქვე, გვ. 118.

193 იქვე, 119. სვიმონის პოლიტიკური კარიერის შესახებ იხ. ჩვენი წერილი — ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712—1745).

194 ვახუშტი, გვ. 119.

თევზის დაჭერა შეძლოს, დრო იხელთოს („უკეთუ იცეს ჟამი“) და „თვით დაიპყრას ქართლი“<sup>195</sup>.

თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა ეთქვა სამღვდლოებასაც, რომელსაც მეთაურობდა ვახტანგის ძმა, კათალიკოსი დომენტი. მას მართლაც გამოუხატავს თავისი დამოკიდებულება ვახტანგის გამეფების საკითხისადმი, როგორც ჩანს, საგანგებო საეკლესიო კრებაზე. ოღონდ კრებაზე გამოტანილ ოქმს, ეტყობა, დიდი გავლენება გამოუწვევია იმ წრეებში, რომელნიც თანაუგრძნობდნენ ვახტანგის თვალსაზრისს ჭეშმარიტი მეფობის შესახებ (ამაზე იხ. ზემოთ). მათ ეკუთვნოდა თვითონ ვახუშტიც, ამბების მემკვიდრე. ეს მომენტი ვახუშტის შემდეგი სიტყვებით აქვს გამოხატული: „ეჰა უცხო, რამეთუ ქრისტესთვის აიძულე-ბულისა ვახტანგისათჳს ნება-მოწმობა სცეს კათალიკოზმან, ეპისკოპოსთა და (საერთოდ დასმან. — ვ. დ.) სამღვდლოთამან“<sup>196</sup>. ხოლოთა კი სასულიერო მამებმა „განკიცხეს“, და ის „წარივლტოდა ისპა[ა]ნსა-ვე“ გაწბილებული.

ჩვენ თავის დროზე შემთხვევა გვქონდა გვეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ ვახუშტის აქ ციტირებული სიტყვები სპეციალისტებს ერთგვარად არ ესმოდათ, უფრო მეტიც: როგორც შემდგომმა ჩვენმა დაკვირვებამ დაგვარწმუნა, იმ სპეციალისტებს, სახელდობრ. პლ. იოსელიანს და მ. ბროსეს, თანაბრად ცალმხრივად აქეთ სათანადო ტექსტი გაგებულნი. რადგან ამავე დროს ისტორიული მოვლენა, რომელიც ასახულია მითითებულ ალგას, და მასთან ერთად თვით ჩვენ მიერ აღძრული ტექსტოლოგიური საკითხიც გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს, ამიტომ თავს ნებას ვაძლევთ აქ კიდევ დაუბრუნდეთ მათ.

აღწერს რა გაკვირით ვახტანგის ირგვლივ შექმნილ ვითარებას და საზოგადოებრივ დაჯგუფებათა პოზიციებს სათანადო საკითხში, პლ. იოსელიანი იქვე შენიშნავს: „კათალიკოსი, ეპისკოპოსები და მთელი სასულიერო დასი გამოექომაგენ ვახტანგსო“ (რუსულ დედანში: („вступились за Вахтанга“))<sup>197</sup>. ავტორი თავის წყაროს არ უთითებს, მაგრამ, როგორც ჩანს ეს მის შრომაში მოცემული სათანადო ცნობებიდან. მისი წყარო უთუოდ იყო ვახუშტის დასახელებული შრომა. თავისი მხრივ, ბროსემ, თარგმნა რა ვახუშტის ეს შრომა, სათანადო აღგილი. ჩვენ მიერ ზემოთ ციტირებული, ფრანგულად შემდეგი სიტყვებით გამოთქვა: კათალიკოსმა, ეპისკოპოსებმა და მთელმა სამღვდლო-

195 ვახუშტი, გვ. 119.

196 იქვე, გვ. 119—120.

197 П. Иоселиани, Исторический взгляд на состояние Грузии под властью царей магометан, Тифлис, 1849, с. 70.

ებამ „თავიანთი ხმა და თავიანთი მოწმობა მისცეს ქრისტესათვის ღვე-  
ნილი ვახტანგის წინააღმდეგ („donnèrent leur voix et leur témoig-  
nage contre Wakhtang“)<sup>198</sup>.

ეს წინააღმდეგობა იოსელიანსა და ბროსეს შორის, ცხადია, წარ-  
მოდგა ვახუშტის შრომის ც-ტირებული სიტყვების თავისებური სინ-  
ტაქსური წყობიდან. „ეჰა უცხო, — განმეორებით მოგვყავს ჩვენ სა-  
თანადო ადგილი, — რამეთუ ქრისტესთვის აიძულებულისა ვახტანგისა-  
თვის ნება-მოწმობა სცეს კათალიკოზმან, ეპისკოპოსთა“... და ა. შ. აქ  
ნათელია, რომ სულიერმა მამებმა დასტური, „ნება-მოწმობა“ მისცეს  
შაჰს. მაგრამ ეს რაღას ნიშნავს: „ქრისტესთვის აიძულებულისა ვახტან-  
გისათვის“? პ. იოსელიანისათვის ეს ნიშნავს, რომ ნებართვა გასცეს  
ვახტანგის სასარგებლოდ, „ვახტანგისათს“ (вступились за Вахтанга),  
ქრისტეს სახელით ტანჯულის, „ქრისტესთვის აიძულებულისა ვახტან-  
გისათვის“. მაგრამ ისმის საკითხი: რა უნდა დაენახა ვახუშტის სამღვ-  
დელთა ასეთ მოქმედებაში „უცხო“ და არგაგონილი? ეს დანაწიების  
შეძახილი ვახუშტისა („ეჰა უცხო“) იოსელიანის გადმოცემაში, სამწუ-  
ხაროდ, კარგავს თავის ნამდვილსა და ერთადერთ აზრს!

რაც შეეხება მ. ბროსეს, მას, როგორც ეს ჩანს მისი თარგმანიდან,  
ჭწორად გაუგია, რომ სამღვდელთა აღნიშნული „ნება-მოწმობა“ იხ-  
ტანგისათვის, საერთოდ, კარგს არას მოასწავებდა („ეჰა უცხო“!). ასე  
განწყობილმა ბროსემ, სამწუხაროდ, თავის თარგმანში უგულვებელყო  
ვახუშტისთან ნახმარი თანდებულის („ვახტანგის-თვის“) ბუნება და ის  
ახსნა, როგორც contra (და არა როგორც pro).

ერთი სიტყვით, ვახუშტის აღნიშნულ წინადადებაში არ არსებობს  
არავითარი ისეთი მონაცემი, რომელიც დამაჯერებელს ხდიდეს, სულ  
ერთია, იოსელიანის გინა ბროსეს დასკვნას<sup>199</sup>.

„...ქრისტესთვის აიძულებულისა ვახტანგისათს ნება-მოწმობა  
სცეს“ კრების წევრებმა. ამ წინადადებაში ვახუშტიმ, მისთვის დამახა-  
სიათებელი სტილით და ლაკონიურობით, ცხადია, გამოხატა ასეთი  
აზრი: სასულიერო კრებამ შაჰს დასტური მისცა არჩევანი შეეჩერებინა  
ვახტანგზე (იგი ეცნო ვალიდ და მეფედ და არა რომელიმე მისი მეტო-  
ქე) მისი გამუქსლიმების პირობის დაცვით, გაემეფებინა ვახტანგი არა  
როგორც, ასე ვთქვათ, თავის ნებაზე მავალი, არამედ — როგორც  
„ქრისტესთვის აიძულებული“, როგორც პირი, რომელსაც აიძულებდნენ

<sup>198</sup> Histoire de la Géorgie, trad. ou géorgien par M. Brosset, II, 1, SPb., 1856, p. 110—111.

<sup>199</sup> ადრე ჩვენ ბროსეს გაგებას ვიზიარებდით (იხ. ვ. დონდუა ვახტანგ VI-ის ღრთინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 36, შენ. 3).



ქრისტეს მიმართ, უნდა თუ არა, მისთვის მიუღებელი პოზიცია დაეკვირა.

აი, რას უნდა გამოეწვია ვახუშტის შეძახილი: „ეჰა უცხო“. მომხდარი ფაქტი, თვით კათალიკოსის (ვახტანგის ძმის დომენტის) და სამღვდლო კრებულის მიერ გაცემული „ნება-მოწმობა“ — არა უშავს, ვახტანგმა, თუნდაც „აიძულებულმა“, შუბლზე მირონი მოიწმინდოს და „მოკმედს“ შეუერთდეს, ის მაინც ჩვენთვის სასურველი მეფე იქნებაო — ასეთი თანხმობა მართლაც საბრძოლო ამბად უნდა დასახოდა ყოველს კომპრომისის ვერაშემწყნარებელს, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, „ღეშმარიტ კაცს და ნამღვილ ქრისტიანს“ (ვ. რუხაძე).

ჩვენ ზემოთ საგაზოღ მკაფიოდ ვუჩვენეთ ვახტანგის შეხედულება რელიგიაზე, უკეთ, სახელმწიფო რელიგიაზე. ზემოთ აღნიშნული 222-ე მუხლი ვახტანგისეული „სამართლის წიგნისა“ აქ მოვიყვანოთ ისევე მთლიანად: „ქ. ვინც კაცმა ქვეყანასა და ქრისტეს რჯულს უორგულოს, კიდევ ხედავდეს, იმით რჯული წაჯდებოდეს, (მაგრამ მაინც. — ვ. დ.) იმას მიჰყვეს, ღ[უ]თისა და ბატონისა (=მეფის. — ვ. დ.) — ორისავე მესისხლე იქნების, და ყოველი ავი იმაზე (წაიკითხე: თუნდაც სიკვდილი. — ვ. დ.) მართებული არის“. ეს ოღონდაც არის არა ფარისეველი მორწმუნის, ფუჟი პურიზმისადმი განწყობილი მლოცველის ვალაღი: ეს არის ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო სამართლის მუხლი, „ქვეყანისა და ქრისტეს რჯულის“ დამცველი კანონი. ამ კანონზე, ერთხელ კიდევ მოვიგონოთ, გადიოდა მიჯნა ყოველივე ჩამორჩენილ-აზიურსა და პროგრესულ-ევროპულს შუა. ამ კანონის მცველობამ განამტკიცა ხიდი, გადებული საქართველოსა და ევროპას, კერძოდ, რუსეთს, შორის, ხელი შეუწყო ვახტანგის პეტრესთან დაკავშირებას. ამიტომაც იყო, რომ, როგორც ეს სწორად შეაფასა გ. ლეონიძემ, დიდი სულხან-საბა ორბელიანი იდგა ქრისტიანობის აქტიურ დამცველთა პოზიციაზე. სათანადო ასპექტში უნდა იქნეს განხილული გურამიშვილის სწრაფვა თავის შემოქმედებაში ხშირად მიმართოს ქართველთა მადონას და მის ძეს.

ყველაფერი ეს გასაგებს ხდის ვახუშტის უკმაყოფილებას, მისგან გამოხატულს წმიდა კრებულის მიმართ. ახლა ისიც გასაგებია თუ რამ გამოიწვია ვახტანგის მწარე საყვედური იმავე სამღვდლოებისადმი, რომელიც მან გამოთქვა თავის ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსში. ეს არის ლიტერატურაში დღეს კარგად ცნობილი ლექსი — „სალბუნად გულისა“<sup>200</sup>. რადგან იგი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, ჩვენ შე-

<sup>200</sup> თვით ლექსი მისი ვარიანტებით იხ. წიგნში: ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით, გვ. 15—23, იხ. აგრეთვე: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 594—5.

ვეცდებით შესაფერისი განმარტება მივცეთ მას. ვიცით, რომ ლექსი ავტორმა დაწერა ქ. ისპაჰანს ყოფნისას (1712—1714 წწ.), არჩილ II-ის გარდაცვალების (1713 წ. 16 აპრ. იხ. ქვემოთ) შემდგომ. ისპაჰანში მას უცხოვრია ვინმე ქუჩუქას (var.: ქუჩუქოვის!) სახლში. აქ მდინარებდა ვახტანგის ტყვეობის პირველი ეტაპი (იგი გრძელდება ქირმანს). ამაზე იგი ლექსავს:

აწ დამსვა მართო, გასპერიტეთ, ქუჩუქას სახლსა, სარებსა<sup>201</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩვენს პირველ მეცნიერ-რედაქტორს ემარჯვება რუსთველისებური პარალელიზმიც: „სახლსა, სარებსა“, ესე იგი სახლსა, სრა-სასახლეს.ამ სახლში იგი მართობაში მისცემია სამშობლოზე ფიქრს, სწორედ რუსთველისებრ:

თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა<sup>202</sup>.

ჩვენი დამაინტერესებელი საკმაოდ ვრცელი ლექსი (ას ხუთი ხანა) მკაფიოდ მეტყველებს, თუ მაინც რას ფიქრობდა პატიმრობაში მყოფი ვახტანგი, და ისტორიკოსისთვისაც სწორედ ეს ჩანს საყურადღებო. ლექსში გამოირჩევა მოგონებები იმ ბედნიერ ხანაზე (1703—1712), როდესაც ვახტანგი — ჯანიშინი ქართლის სამეფოში წარმატებით მეთაურობდა კულტურულ საქმიანობას. ამ ხანას აგვიწერს მისი ძე ისტორიკოსი ვახუშტი სათაურს ქვეშ — „ვახტანგ მწელი განაგებდა“ და შლის დამაამებელ სურათს იმ „განმგებობისას“<sup>203</sup>. ვახტანგის ამ მოგონებებში ასახულია, კუთხე-კუთხე, ქართლის მდიდარი ბუნება („რა სჯობს მაისში ტფილისსა“), მისი ფაუნა, ყოფა-ცხოვრება (ნადირობა და სხვ.).

მაგრამ ახლა ავტორს საზრუნავი სულ სხვა აქვს: საქართველოზე, საკუთარ თავზე დატეხილი პოლიტიკური კრიზისი. ლექსში, რომანტიკულ მოგონებებთან ერთად, ასახულია ის დაღატი და გამცემლობა, წინააღმდეგობები და ინტრიგები, რომელნიც ახასიათებდა კრიზისს. ვახტანგი ყველაფერ ამას, როგორც „მიმდინარე საკითხებს“, თავის მკვეთრ გამოხატულებას აძლევს, სტრიქონ-სტრიქონ თავისას უზღავს გამცემლებს: „თვისტომთაც“, „საყოლთაც“, „მოყვრებს“, „რჯულით ძმებს“, „ყმებსა“ და „ამხანაგებს“<sup>204</sup>.

იმ პოზიციის შესაფასებლად, რომელიც ზემოთ აღნიშნულმა სასულიერო კრებამ, სამღვდელოებამ დაიჭირა, ვახტანგი წერს:

201 ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 66,4.

202 იქვე, 27,2.

203 ვახუშტი, გვ. 107, 109 და სხვ.

204 ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 27,1.

ერთა ღმერთი არ იწამეს, ბერთა რაჟული შეურაცხვეს,  
არას კერპსა არ უქნია, ჩემ საქმეზე იმათ რაც ყვეს<sup>205</sup>.

„არას კერპსა“, რადგან ისე გამოდიოდა, რომ შაჰის კარზეც, მუს-  
ლიმებში ვახტანგი აქა-იქ ხედებოდა ერთგვარ დამზოგველობას, მისი  
ქრისტიანული მრწამსისათვის ანგარიშის გაწევის შემთხვევებს. ასეთ  
შეღავათებზე თვითონ წერს: „მოლა ღმერთსა მახვეწებდა, ჩემთა  
მკვლელთა ბერნი დაყვეს“.

„მოლა“ შეიძლება მეტონიმიურად საერთოდ მუსლიმს, მაჰმადიანს  
აღნიშნავდეს, მაგრამ ვფიქრობთ, აქ იგი შაჰი ჰუსეინის, ვახტანგის  
„შასპინძლის“ ეპითეტად არის გამოყენებული. ცნობილია, რომ ჰუ-  
სეინს, სარწმუნოების ჰარბი ერთგულებისათვის დერვიშსა და მოლას  
უწოდებდნენ<sup>206</sup>. სწორედ ეს „მოლა“ იყო, რომ, ვახუშტის ზემოთ გა-  
მოყენებული ცნობის მიხედვით, თავისდა თავად თანხმდებოდა ვახტან-  
გი გაემეფებინა „საქულითავე თვისითა“<sup>207</sup>. იმავე აზრს შეიცავს შემდეგი  
ორი ტაეპიც:

უცხო არის ჩემი საქმე, საარაკო, თუ ფიქრობდენ.  
და მილთონთა ვსჩან მეფედ მათად, თვის ტომსა სწადს, რომ  
გაქრობდენ<sup>208</sup>.

ესე იგი არაქრისტიანები (უთუოდ იგულისხმებიან სამეფოს მუს-  
ლიმი მოსახლეები) მეფედ მცნობენ, ჩემიანებმა კი გამწირესო. მილ-  
თონი სომხურშიც ჩანს გამოყენებული (სომხ. მლთონ) ბარბაროსის,  
ურაჯულოს მნიშვნელობით<sup>209</sup>. ირანსა და თურქესტანში „ინდური“ სი-  
ტყვა მულთან „ინდოელების“ აღმნიშვნელია<sup>210</sup>.

ვახტანგი თავის მოწინააღმდეგეებს მოწინედების შეუსაბამობას და  
ულოგიურობას უკიყინებდა.

თუცა ვიყავ ამათს რაჟულზე, მაშ, ესენი რას მტრობდენ?  
თუ ქრისტესთვის თავი დაესდევ, მაშ ისინი რათ მაქრობდენ?<sup>211</sup>.

205 ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 93, 1—2.

206 აბ. Петрос ди Саргис Гиланенц, Дневник осады Испагани афганами. Перевод и объяснения К. Паткашова. Приложение к XVII т. «Записок Академии наук», № 3, СПб., 1870, с. IV.

207 ვახუშტი, გვ. 119.

208 ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 94, 3—4.

209 А. Дагбашян, Полный армяно-русский словарь, Тифлис, 1911.

210 Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, II, СПб., 1871, с. 252.

211 ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 94, 1—2.

აქ ერთმანეთთან დაპირისპირებული ჩანან „ესენი“ („ამათი რჯული“) და „ისინი“, მაშასადამე, ბანაკი ირანელებისა და ბანაკი ქართველთა. ხოლო მისი მოსპობა-განადგურების საშიშროებას ყოველი ზომისათვის გადაუქარბებია. ერთის მხრივ, ქართველ მოწინააღმდეგეებს განუზრახავთ საქართველოში მისი დედიან-ბუდიანად მოთხრა. იგი ჩივის:

ჩემს ცოლ-შვილთა ტყვედ ეძებდენ, საქონელი იავარყვეს<sup>212</sup>.

დავით გურამიშვილი თავის მხრივ ფხიზლად მიჰყვება ასეთ, საისტორიო მნიშვნელობის ფაქტებს. კერძოდ, ეკლესიის მამებზე ის წერს: თუ საერთოდ რენეგატები და მისთანანი სარწმუნოებას უგულვებლყოფდნენ, თუ ისინი „დაყრუვდენ, ბრმანი შეიქმნენ, საქმე ქნეს გასასტერები“, ამავე დროს საწაღმართო საქმეს დაშორებული აღმოჩნდნენო სასულიერო მამებიც, „თუმც იყვენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი ქნეს ვერები“<sup>213</sup>. ისე რომ, მომენტის შეფასებაში, როგორც მკითხველი ხედავს, ერთმანეთს ხვდებიან ვახუშტიც, გურამიშვილიც, თვითონ ვახტანგიც. ამ „ხუცეს-ბერებში“ მკითხველი, ცხადია, ვერ დაინახავს სულხან-საბა ორბელიანს (ის ბერად აღიკვეცა 1698 წ.).

ვახტანგის ისტორიკოსი შვილი თავის მხრივ გვაუწყებს, თუ როგორ უკისრია შაჰის მიერ 1714 წ. სამეფოდ ქართლს წარმოვლენილ იესეს ვახტანგის მეუღლისა და „ძეთა“ ირანს გადაგზავნა; მერმე როგორ „წავიდენ“, გარდაიხვეწა მთელი ეს ოჯახი გორიდან რაჭას<sup>214</sup>. მანამდე, 1688—1691 წლებს შუა მეტოქეებისაგან დარბევა განიცადა ვახტანგის მამის, ლევანის ოჯახმაც. ლევანის „ცოლ-შვილინი“ მფარველებმა გარდახვეწეს სამცხეს<sup>215</sup>. ისე რომ, მართალი ჩანს ვახტანგის ჩივილის მწარე მიზეზი — „სიყრძითგან ჩემი მწირობა კაცთაგან მოუგონარი“<sup>216</sup>.

მტრებმა ესეც არ აკმარეს ისპაჰანს „უხსნელს კარებში“ გამომწყვდეულ ვახტანგს. იგი იმავე ლექსში ჩივის:

წამდაწამ ვისმენ ამბავსა სამსალის უფრო მწარებესა;  
ავს შექადიან სიკვდილსა, მტერთაჲა შესაზარებესა<sup>217</sup>.

გამომიმეტეს საკელავად, რაც მქონდა განიწილესა<sup>218</sup>.

212 იქვე, გვ. 93, 3.

213 დავითიანი, 48, 150, 2—3.

214 ვახუშტი, გვ. 120.

215 იქვე, გვ. 93.

216 ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 68, 2.

217 იქვე, 74, 2—3.

218 იქვე, 71, 3.

ამ უზომო ბოროტების განმცდელი ვახტანგი ღალადპყობს:

რა ვაწყინე ასე ძნელი, რა მიაღვათ ვისგან ძალი? 219.

ზოლო ამას ერთგან თვითონვე პასუხობს:

დაუნაშავლად შემეკნენ უწყალოდ ძელისა მხარაი 220.

ვახტანგს ეს ლექსი რომ დაეწერა სადმე მოსკოვს, მეტადრე ასტრახანს, სადაც მან თავისი უკანასკნელი წლები გაატარა (1735—1737 წწ.), სადაც მას უკვე შეეძლო შეეჭამებინა თავისი მშფოთვარე მოღვაწეობა, მაშინ ვფიქრობთ, აღარ ექნებოდა მიზეზი შეკითხვისათვის: „რა ვაწყინე ასე ძნელი?“ და ა. შ., რადგან, როგორც ცნობილია, აღნიშნული მისი გარეპოლიტიკური ღონისძიებებიც საკმაო მასალას იძლეოდნენ კონფლიქტების წარმოსაშობად შინაც და გარეთაც. მაგრამ მაშინ, 1712—1714 წლებში? — ამ კითხვაზე პასუხის ძებნაში ჩვენს წინაშე დაისახა ახალი მომენტი, რომელსაც მეტი სინათლე შეაქვს ვახტანგის მთელ დიპლომატიურ საქმიანობაში. ბუნებრივი იყო, ვახტანგის ცხოვრება-მოღვაწეობის, ასე ვთქვათ, ვახტანგიანის მკოდნეს ეფიქრა, რომ არ შეიძლებოდა საქართველოსთვის გარეშე მოკავშირის მოპოვების აუცილებლობის იდეა ვახტანგს ერთბაშად დაბადებოდა; არ შეიძლებოდა, რომ კერძოდ, სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის მოწყობა ან პეტრე I-თან პრაქტიკულად დაკავშირება „ერთ მშვენიერ დღეს“ მოსვლოდა მას ფიქრად. მაგრამ საუურადღებო სწორედ ის არის, რომ ამის შესახებ თვითონ ვახტანგი — ღოდის ცნობის მომწოდებელი. იგი სრული გარკვეულობით თვითონ გვაცნობს მის მიერ განვლილ ფიქრთა გრძელ გზას, ძიებათა სირთულეს, რომელნიც წინ უსწრებდნენ მის პოლიტიკურ გამოსვლებს დასავლეთ ევროპაში თუ ევროპიაში (რუსეთში). გვაცნობს, და როგორ? — ნათელი თვითკრიტიკის წესით, ზოგი ადრინდელი წამოწყების შესახებ — სინანულით „გულით შემეუსვრილით“, ნაგემებ ღირებულებათა გადაფასებით:

რა მწვე მიჰობდა სიბრძნითა თაე სხვარივად მეცადა 221.

სხვარივად, და არა ისე, როგორც ღღემღე გამოეცადა, რადგან ადრინდელი ცდების შედეგი სავალალო გამოდგა.

219 ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 73, 2.

220 იქვე, 70, 4.

221 იქვე, 85, 4.

ვახტანგი აქვე იძლევა ცნობას, კერძოდ, რომელი მისი ცდა ეჩვენება მას უშედეგო:

მწვე მიჯობდა სხვაგან მეულო, განა დვალად, განა ხალად<sup>222</sup>.

როგორც ვხედავთ, ვახტანგს რაღაც სხვა გზაზე დადგომა მოსდის ფიქრად. მისგან ნახსენები დვალი (დვალეთი) და ხალა საქართველოს მთიანეთის კარგად ცნობილი თემებია არაგვის ზედა წელზე, დიდი ლიახვის სათავეების, მამისონის გადასავლის გარემოში და მომიჯნავე მხარეში. საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა ხელმძღვანელობას აქ ეგულვოდა თავისი ზურგი და საფარი — დვალთა, ოვსთა, ჩერქეზთა, ყაბარდოელთა გარემოცვაში.

მთიანეთთან ამ ურთიერთობისა და მისი სახელმწიფოებრივი ეფექტიანობის საკითხს, ჩანს, ძალზე ჩაუფიქრებია ისპაჰანს მჯდომი ვახტანგი, კრიტიკულად განუწყვეტია იგი იმ პოლიტიკური და სტრატეგიული გეგმა-საქმიანობისადმი, რომლის წარმატება და განხორციელება გაპირობებული იყო მთიანეთზე და, მაშასადამე, ადგილობრივ, ვიწრო ზურგზე დაყრდნობით. ჩანს, ვახტანგი მიხვდა, რომ ასეთი სტრატეგია საქართველოს საერთაშორისო საკითხის გადასაწყვეტად ვიწრო იყო და შეზღუდული. გაიაზრა რა ყოველი ეს, ვახტანგმა ბრძნულად გადასწყვიტა პრინციპული საკითხი—დასდგომოდა ფართო საერთაშორისო დიპლომატიის გზას. რადგან პროგრესი, თვით არსებობა ერისა, წინაპირობად გულისხმობს კარგი ტრადიციის შენახვას წინაპართა გამოცდილების გამოყენებას, ამიტომ ჩვენ ვახტანგს ვუქვებთ პოლიტიკურ სიღინჯეს, რომელმაც უკარნახა მას წინა თაობის საქმიანობაც გაეთვალისწინებინა. ვახტანგს, საქართველოს გამოხსნის ახალი გზების ძიებაში მაგალითად ესახება არჩილის გარეპოლიტიკური ხაზი. მას სწორად შიაჩნია, არჩილის ცდა სამეფოსთვის მოკავშირე ეპოვნა გარეთ. ამავე დროს ვახტანგი ემიჯნება ქართველი საზოგადოების იმ დასს, რომელიც ოპოზიციისაში ედგა არჩილს, უწუნებდა მას გარეპოლიტიკურ გამოსვლებს.

თავის ლექსში ვახტანგი, პირიქით, არჩილის პოლიტიკურ ცდას მაგალითად ისახავს; თუ არჩილი მოკავშირის შესაძენად რუსეთს შეეფარა, ვახტანგი, თავის მხრივ, ირანს, ისპაჰანს სცდის ბედს, თუმცა მასაც, არჩილის მსგავსად, ამისთვის განაქიქებენ:

მეც მასვე მძრახვენ, აქ მოველ, მაშ, რა ვქნათ, რა საქნელია?<sup>223</sup>.

ამის მთქმელი ვახტანგი, როგორც ვიცით, საბოლოოდ რუსეთთან დაახლოების გზას დაადგა. იქნებ უკვე ისპაჰანში დაებოდა მას განზრახ-

<sup>222</sup> ვახტანგ VI, ლექსები და პოემები 83,4.

<sup>223</sup> იქვე, 88,3.

ვა არჩილისთვის ამ მხრივაც მიებაძა, რადგან, საერთოდ, იგი არჩილის პოლიტიკური კონცეფციის შემწყნარებლობას იჩენს, როცა არჩილს უძღვნის პანეგირისტულად გამართულ ტაეპს:

მას ლომსა, ვეფხებრ კისკასსა, ჰკუა ჰქონია მთელია<sup>224</sup>.

თითქოს ყველაფერი ეს ნათელია, ოღონდ რჩება დასაზუსტებელი: ვინ შეადგენდა იმ დასს, ვინ იყვნენ ის მოღვაწეები, რომელნიც, გამოდის, „სძრახევდენ“ ვახტანგს დამხმარე ძალის მოსახვეპეულად „სხვას თემს“ სიარულისთვის, ნამდვილად მოქმედებდა თუ არა მაშინ არსებულ ვითარებაში ასეთი დამოუკიდებლობის აღმსარებელი მიმდინარეობა, თუ მხოლოდ დემაგოგიის ძალით უკიყინებდნენ ვახტანგს ირანში მგზავრობას? რაც არ უნდა ყოფილიყო, მკაფიოდ ჩანს, რომ ჭერ კიდეც 1712—1714 წლებში ვახტანგის პოლიტიკურ აზროვნებაში დაწყებულია მის აღრინდელ შეხედულებათა გადაფასება. მას აწუხებს აჩრდილი რომელიღაც სუბიექტისა, რომელსაც ვახტანგი დაახლოებია და ახლა კი სჩივის:

რა ვქნა, რასათვის გავეწყევ კაცსა უზრდელსა, ვირასა?  
ვინც გაიგონებს, მევე მგმობს: „ემოყესა კაცსა ვი რასა“.  
გავრილო აწვე, ის მიჯობს, გამიხლებოდეს ვირ ასა<sup>225</sup>.

პირველ ტაეპში ხმარებული „ვირასა“ რითმისთვის ჩანს გამოყენებული asenus-ის მნიშვნელობით. ცხადია, ამ სასტიკი ეპითეტით შემკული პერსონა არ იქნებოდა შემთხვევითი კაცი. ჩვენ პირობით უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს კაცი შეიძლებოდა ყოფილიყო კახთა მეფე დავით II (იმამყული-ხანი). ამის საბუთად ჭერ უნდა ვიკმაროთ ის ცნობები, რომელიც ვახუშტის მოეპოვება ამ დავითთან ვახტანგის ცვალებადი ურთიერთობის დასახასიათებლად<sup>226</sup>. ამ ცნობათა მიხედვით, ვახტანგი კახთბატონს პირველად შეხვედრია მცხეთას (1703 წ. ან მალე ამის შემდეგ), როდესაც ისინი იწყებდნენ თავის პოლიტიკურ კარიერას. ამის შესახებ ვახუშტი წერს: „დარბაზობდნენ ურთიერთს. ზავჰყევს ამათ სიყვარულსა ზედა<sup>227</sup>“. იმ ინციდენტების რიცხვში, რომელთაც წაუხდენიათ მათი ურთიერთობა, ჩვენი საკითხისათვის ნიშანდობლივად ვსცნობთ ვახუშტის მიერ დამოწმებულ შემდეგ ფაქტს. ვახტანგი და დავითი ერთსა და იმავე დროს მოხვედრილან ისპაჰანს, და რადგან აქ ვახტანგს „ამუშავებდნენ“ და ძალას ატანდნენ უარეყოქრისტიანობა, დაინტერესებულ პირებს საქმეში დავითიც ჩაურევიათ.

224 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, ლექსები და პოემები 88,4.

225 იქვე, 100, 1—3.

226 ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 122, 200, 202.

227 იქვე, გვ. 200.

კახთბატონს, თვითონ გამუსლიმებულს, თურმე „აცილებდენ ვახტანგს, რათა იქმნეს მაჰმადიან“, მაშასადამე, დავითს აკამათებდნენ, აპაექრებდნენ ისედაც ზარდაცემულ, სასოწარკვეთილებებაში ჩავარდნილ ვახტანგთან — აბა ჰე, რომელი სარწმუნოება ჯობს, თუ არა შაჰის მიერ შენდა შემოთავაზებულიო. ამდენად, კფიქრობთ, შეიძლება დავუშვათ, რომ იმ დრამატიზმით სავსე ვითარებაში, ვახტანგისთვის კაცი უმეტეს „უზრდელი, ვირა“, შეიძლებოდა ყოფილიყო ანტიპათიურ როლში გამოსული დავით მეფე. მაგრამ დავუბრუნდეთ ისპაჰანს მქდომი ვახტანგის შემდგომ თავგადასავალს.

ცნობილია, რომ კომპრომისის უარყოფელი ვახტანგი ირანში დიდი ხნით, მთელი შვიდი წლით ჩარჩა. როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, გურამიშვილმაც აღნიშნა შაჰის შესახებ, რომ

მან ვახტანგ, ძე ლევანისა, შეიპყრა ბაგრატიონი.  
და უპატიოდ ყვნა შვიდ წლამდის იგ დიდათ საპატიონი.

სინამდვილის აღსადგენად ამას უნდა დავძინოთ, რომ ეს „შვიდი წელი“ ვახტანგს ირანში ერთნაირ პირობებში არ გაუტარებია, თავიდან ბოლომდე „უპატიოდ“ ის იქ არ დარჩენილა. ამ მძიმე წლების მნიშვნელოვანი ნაწილი მან იძულებითს გადასახლებაში გაატარა, სახელდობრ ირანის უშორეს სამხრეთ-აღმოსავლეთ თემში, უკეთ, იქაურ ქალაქ ქირმანს. ამრიგად, ვახტანგი აღმოჩნდა შორს არათუ თბილისიდან, არამედ ისპაჰანიდანაც, რომელსაც ქირმანის თემი ოცი დღის მანძილით, ისიც, უდაბნოზე მიმავალი გზით ჰშორავდა. ჩვენ ვიცით, რომ იქ ვახტანგი თავის დროს ანდომებდა საყვარელ ლიტერატურულ მუშაობას. მან იქ სპარსულიდან თარგმნა „ქილილა და დამანა“ (1714—1716 წწ.).

მომდევნო დროს (1716—1719 წწ.) ის შაჰთან შერიგების შედეგად, კვლავ პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედებს. როგორც ახლა „სპასალარი ერანისა“, ის უძღვება სამხედრო-ადმინისტრაციულ საქმეებს. ხოლო ქართლს მართავს თავისი შვილის, ცნობილი ბაქარის (ვახუშტის ძმის) მეშვეობით, რომელსაც შაჰის თანხმობით მიეცა ქართლის „გამგეობა“ (ჯანიშინობა). ცხადია, ეს ნიშნავდა იესეს რალაც ორწლიანი მეფობის შეწყვეტას, რასაც მალე მოჰყვა ბაქარის ასეთივე ხანმოკლე მეფობა. მხოლოდ 1719 წელს ვახტანგი, საქართველოდან მისი ირანს გამგზავრების შვიდი წლის თავზე, ბრუნდება თბილისს და განაგრძობს ქართლის მართვას.

იმ შვიდი წლის მანძილზე, როდესაც ვახტანგი მოშორებული იყო თავის ქვეყანას, ქართლის სამეფოში ხალხმა განიცადა ხელისუფლებისათვის აღვირახსნილი ბრძოლის საინტერესო ეპიზოდები. სულხან-საბა



შეშფოთებით აღნიშნავს, რომ მეფე იესეს წყალობით „ასრე სრვა გახ-  
შირებულიყო“, მას იმდენად „მრავალი სული ამოეწყვიტა“, რომ  
„თბილისიც აყრას და ხიზენას აპირებდა“<sup>228</sup>. ქვეყანას ანადგურებდა  
შაჰის ჯაშუშობაში ხელმომთბარ მოღალატეთა მავნებლური საქმიანო-  
ბა. კერძოდ, მეფის ტახტის დასაქერად თუ გადასარჩენად ბრძოლის  
პროცესში თავი იჩინა ზემოთ ხსენებული კათალიკოსი დომენტის ცდა-  
მაც: შეემოსა მეფის უფლება, თუნდ გამუსლიმების (და არა მხოლოდ  
ანათორის გახდის) ფასად<sup>229</sup>. როგორც ზემოთ აღინიშნა, სწორედ დო-  
მენტისავე მეთაურობით მოითხოვა თავის დროზე ქართველ სამღვდე-  
ლოთა კრებამ ვახტანგს ტახტი დაეჭირა ისლამის აღიარების გზით. ეს  
უნდა მოწმობდეს მაშინდელ საზოგადოებაში იმ აზრის პოპულარობას,  
რომ სამეფო ხელისუფლების შენარჩუნების გარეშე საქართველოს და-  
შოუკიდებლობისთვის ბრძოლა უიმედო იქნებოდა. ჩვენ ვიცით, რომ  
მაშინ ვახტანგმა ამ აზრს ანგარიში არ გაუწია, მაგრამ ბოლოს, მიმდინ-  
არე პოლიტიკაში აუნაზღაურებელი მარცხის თავიდან ასაცილებლად,  
ვახტანგმა შეისმინა „ხმა ერისა“, მისი ისლამისკენ მიქცევა იყო უთუ-  
ოდ მოჩვენებითი, იქნებ მსგავსად მისი ძის ბაქარისა, „უსუნათო“<sup>230</sup>,  
ე. ი. გარეშე წინადაცვეთისა — „მხოლოდ სიტყვითა და არა საქმი-  
თაც“<sup>231</sup>. ამ გზით შეეძლო მას განეახლებინა, როგორც ეს ზემოთ არის  
ნაჩვენები, სამხეჯრო-ადმინისტრაციული მოღვაწეობა, ხოლო 1719  
წელს — ირანის სპასალარობისაგან განთავისუფლებული დაბრუნე-  
ბულიყო ქართლში.

ასე დაიწყო დროის ახალი მონაკვეთი, საქართველოში ვახტანგის  
განახლებული მეფობის ხუთი წელი (1719—1724 წწ.). გურამიშვილის  
„ქართლის ჭირში“ ასახული ძირითადი პოლიტიკური ფაქტებიც ამ  
წლების ფარგლებში თავსდება. როგორც ღღეს ვიტყვოდით, მაშინდელ-  
ლი „მორიგი ამოცანები“ ბევრით არაფრით განსხვავდებოდნენ უფრო  
ადრინდელთაგან. მათ მხოლოდ მეტი სიმწვავე მიეცათ. ვახტანგი და  
მისი მომხრენი ასლა განაგრძობენ ანგარიშსწორებას შინაურ მტრებ-  
თან, რაც ბაქარის მეფობაში იქნა წამოწყებული. გარდა ამისა, ირანში  
გამწვავებულმა სარწმუნოებრივმა რეაქციამ და ანტისუნიტურმა მოძ-  
რაობამ საბაბი მისცა დაღესტნის ფეოდალებს — ირანის მეტოქე ოსმალეთის  
წაქეზებით გაეჩაღებინათ ახალ-ახალი შეიარაღებული თავდა-  
სხმები შაჰის ყმადნაფიც ქვეყნებში, მეტადრე მახლობელ ქართლსა და

228 ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, მოგზაურობა ევროპაში. თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1959, გვ. 245.

229 ამის შესახებ იხ. ვ. დონ დუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 30, 33 და შმდ.

230 ს. ჩ ხ ე ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 31.

231 ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 122.

კახეთში, შირვანსა და ამიერკავკასიის სხვა ნაწილებში. ასე რომ, ეგრეთ წოდებული ლეკიანობის გამომწვევემა მიზეზებმა დაღესტნის გარეშეც იჩინეს თავი, სახელდობრ ოსმალეთ-ირანის მტრული ურთიერთობის სფეროში<sup>232</sup>. ასეთ ვითარებაში დაღესტანთან დამოკიდებულების საკითხს ვახტანგისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა.

უმთავრესი კი შიანც იყო თვითონ ირანში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ახალ ძვრებს უმზადებდა შაჰის მთელ საბრძანებელს. დაპყრობილი ხალხების უანგარიშო ექსპლოატაციის პოლიტიკა, რომელიც ირანში განავითარეს მმართველმა წრეებმა, იძულებულს ხდიდა ადგილობრივ მებატონეებს ყმების შრომით მოპოვებული დოვლათის „უმეტეს წილი“ შაჰის მთავრობისათვის ეძლიათ. ეს იწვევდა საერთო გაღატაკებას, უკმაყოფილებას, შაჰის კარისადმი სიძულვილს<sup>233</sup>, მსგავსად გურამიშვილის სიტყვისა — „გაუორგულდა სპა-ჯარი, ერი მიმცემი ხარკისა“ (47,147, 1).

განვითარების ახალ ფაზაში შევიდა რუსეთის ურთიერთობის მოგვარების საკითხებიც თურქეთ-ირანთან, კავკასიის ხალხებთან. როგორც ვიცით, მაშინ XVIII ს-ის 20-იან წლებში, რუსეთთან დაკავშირების საკითხმა ვახტანგის საგარეო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი დაიკავა.

საგულისხმოა, რომ ლეკიანობის ლიკვიდაციისათვის გადაუდებელმა ზრუნვამ, საერთოდ, შაჰის ბატონობის ბურჯების შემაგრების საჭიროებამ, ჩანს, შთააგონა პუსეინს ვახტანგი ისევ საქართველოში გამოეგზავნა, პირველად ყოვლისა არაგვის, ივრისა თუ ალაზნის ხეობებში ჩამოწოლილი ლეკების შესაკავებლად. როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, საქართველოს მმართველ წრეებში უპირატესობას შაჰი ვახტანგს ანიჭებდა. ცნობილია, რომ რუსეთის სამეფო კარსაც ამიერკავკასიის საქმეებში თავისი სტრატეგიული დასაყრდენი საქართველოში ეგულეობდა.

ამ პირობებში ვახტანგმა ისევ გამართა მკლავი. სამეფოში დაიწყო სახელმწიფოებრივ დამნაშავეთა დევნა და აქა-იქ სისხლიც დაიღვარა. როგორც გიორგი XI-ის დროს, XVII ს-ის ოთხმოციან წლებში, შაჰის სასარგებლო ჯაშუშობისათვის თოფით იქნა მოკლული სომხითის მელიქი ქამარ-ბეგი, ისე ახლა ამ ქამარ-ბეგის ძე იმავე ბოროტებისათვის მეფემ „დახვრიტა თოფითა“. პასუხი მოსთხოვეს ძველი ბრწყინვალე

---

232 И. П. Петрушевский, Упадок феодального общества в Иране в XVIII в. — В кн.: История Ирана с древнейших времен до конца XVIII века. Л., 1958. с. 308.

233 იქვე, გვ. 309.

წოდების ზოგ წარმომადგენელსაც. იმ პირთა შორის, რომელნიც არ დახოცეს, მაგრამ შერცხვენილები „განყიდეს ოსეთს თხებთა ზედა“, ყოფილან ბაგრატი ციციშვილი, ფეშანგი ფალაეანდიშვილი, ჭანასპი ხერხეულიძე და ზოგი სხვა<sup>234</sup>.

ამ დროს „ლეკებს“ უკვე ბელადობდა ცნობილი სურხაი-ხანი („სულხაი“). მათი შემოტევების რადიუსი წვდებოდა როგორც ქართლისა და მეტადრე კახეთის უშინავნეს სოფელ-ქალაქებს, ისე „განჯას, ბარდას და შირვანს“<sup>235</sup>. მამასადამე „ლეკიანობის“ საკითხი — ეს იყო საერთო, საამიერკავკასიო საკითხი, რომელიც ერთგვარად აღელვებდა მოძმე აზერბაიჯანის, სომხეთის გლეხებს, ვაჭრებს, ეკლესია-მონასტრებს. ამიერკავკასიისა და თვით დაღესტნის მშრომელი, ღარიბი მოსახლეობის, — ვახუშტის ბაძვით თუ ვიტყვოდით, — „ნება-მოწმობის“ გარეშე ამ ქვეყნებს ომის დიდ ცეცხლს უნთებდნენ, ხოლო „მეცეცხურების“ როლი ეკუთვნოდათ ირანსა და ოსმალეთს, რომელთა დამპყრობლური ურთიერთშეჭიბრი ვრცელდებოდა, კერძოდ, კასპიის კარზე, იორ-ალაზნის ხეობების სულაკ-თერგის ხეობებთან და, საერთოდ, სამხრეთის ქვეყნების — ჩრდილოეთისასთან დამაკავშირებელ გზებზე. მათთვის „ლეკიანობა“ ნამდვილად იყო კავკასიის ხაზებზე საკუთარი ბატონობის დაცვა-განმტკიცების პრობლემის ნაწილი.

ცნობილია, რომ ამავე ხანებში რუსეთში უკვე იმდენად იყო მომწიფებული კასპიის აუზის ქვეყნებისაკენ სავაჭრო გზების გაკვლევის საჭიროება, რომ პეტრემაც დაიწყო სალაშქრო სამზადისი. 1721—1722 წლის გაზაფხულზე რუსეთის არმიის ნაწილები უკვე ასტრახანთან იყო დაბანაკებული. ასეთ პირობებში ქართველი ხალხის წინაშე ისევ იშლებოდა პერსპექტივა, — როგორც ეს იყო საქართველოს ძლიერების განვლილ დროს, — ამიერკავკასიის საერთაშორისო მნიშვნელობის საქმეებში აქტიური მონაწილეობის მიღებისა. პრაქტიკულად კი ვახტანგისათვის საქმე დაიწყო იმით, რომ თბილისს დაბრუნებულს, ვახუშტის თქმით, — „აქუნდა დავედრებული მეფესა ყეენისაგან საქმე ლეკთა“<sup>236</sup>.

ეს ფაქტი (ისე როგორც ზოგი ქვემოთ დამოწმებული ცნობაც) გარკვეულად ეხმაურება ნ. ბერძენიშვილის დებულებას, რომ უფრო გვიან ირანის მპყრობელმა ქერიმ-ხანმა (1750—1779 წწ.), აღიარა რა

---

234 ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა შემდგომად განყოფისა, წიგნი: ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან შეათცხრამეტე საუკუნემდის, 11, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, სპბ., 1854, გვ. 81. კიკინაძის გამოცემაში ტექსტის სათანადო აღვილი (გვ. 124) ნაკლულია.

235 ვახუშტი, ზ. კიკინაძის გამოცემა, გვ. 124.

236 იქვე.

ერეკლე II-ის უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე, „ამით დაადასტურა საქართველოს მეფის უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში“<sup>237</sup>, ჩვენ მიერ დამოწმებული ცნობა ვახტანგის დროინდელი საქართველოს შესახებ კიდევ უფრო გასაგებს და დამაჯერებელს ხდის აღნიშნულ დებულებას.

ვახტანგის დროინდელი საქართველოს დიდი სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობის აღიარების საგულისხმო ფაქტს ჩვენ ვპოულობთ ცნობილი არმენისტის, ქ. პატკანიანის (პატკანოვის) შეზღვევ შენიშენაში: „ვახტანგ-ხანს, რომ მარჯვედ გამოეყენებინა პირობები, — წერს მკვლევარი, — მისთვის მისი ქართველებით ძნელი არ იქნებოდა სპარსეთიდან გაედევნა ავღანები და ეთამაშნა ის როლი, რომელსაც შემდეგ აზიაში თამაშობდა ნადირ-შაჰი. სპარსეთის დამპყრობლებს (იგულისხმებიან ავღანები. — ვ. დ.) შიშს გერიდა თუნდ ერთი გამოჩენაც ქართველთა მხედრობისა, რომლის ძალა მათ არაერთხელ უგემნიათ თავისას, საკუთარ სამშობლოში“<sup>238</sup>.

ვახტანგს აღებული მისიის შესრულების საქმეში, როგორც აღიარებულ მეთაურს, მხარში ამოუდგა ჯერ „კახბატონი“, კახთა მეფე დავითი (1703—1722 წწ.), მუსლიმობით იმამყული-ხანი, ძე ერეკლე I-ისა, ძმა თეიმურაზ II-ისა და ბიძა ერეკლე II-ისა. საგურამოში მოხდა ვახტანგისა და დავითის თათბირი და შეთანხმება: „განაახლნეს სიყვარული და ჰქმნეს პირი“<sup>239</sup>. საერთო ინტერესებმა მოაგონა ამ ორ პოლიტიკურ მეთაურს ძმობა და ქართველობა. შეთანხმების შედეგად 1720 წლის გაზაფხულზე კარდანახში შევიდა კიდევ ქართლის მეშვიდე ჯარი, ქართველებთან შეთანხმებით უნდა ემოქმედა აზერბაიჯანის (შირვანის) ჯარსაც<sup>240</sup>.

მომდევნო ამბებში ვახტანგის დროშის ქვეშ ჩვენ ვხედავთ, ქართველთა გარდა, აზერბაიჯანელებსაც და სომხებსაც. იმისგან დამოუკიდებლივ, თუ „რა მოუვიდა“ საბოლოოდ მაშინდელ იმედებს, კეთილზრახვებს, გეგმებს, ჩვენთვის თვით ის მატერიალური და სულიერი

237 საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 353.

238 Петрос дн Саргис Гиланец. Дневник осады Испагани афганин, с. 32, прим. 85 («Еслиб Вахтанг-хан сумел пользоваться обстоятельствами, то ему не трудно бы было с своими грузинами изгнать из Персии афган и играть ту роль, которую в последствии играл в Азии Надир-шах. Покорители Персии (афганы — В. Д.) страшились одного появления грузинских полчищ, силу которых они не раз испытывали у себя на родине» т. д.).

239 ვ. ხ. შ. ტ. ი, გვ. 124 და 206.

240 იქვე, გვ. 207.

განსაცდელიც საინტერესოა, რომელიც მაშინ ქართველმა ხალხმა გადაიტანა.

წყაროების დამოწმების გარეშეც მკითხველისათვის ადვილად წარმოსადგენი იქნებოდა, თუ რა პოლიტიკური, სამხედრო თუ საყოფაცხოვრებო ორომტრიალი და აფორიაქება უნდა გაბატონებულიყო, კერძოდ, ქართლ-კახეთში, როდესაც ისევე მწვავედ წარმოიჭრა ირანისა და ოსმალეთის ურთიერთობის, აგერ მთელი საუკუნე მიძინებული, საკითხი ამიერკავკასიის საზღვრებში. გარდა ადგილობრივი, შეიარაღებული ფეოდალებისა, თავიანთ „უფლებას“, თავიანთ წილს და „უღუფას“ მოითხოვდნენ სპარსნიც, თურქნიც, ლეკნიც, — მოითხოვდნენ თუ თოფით ხელში, თუ ხმლით, ხანჯლით, მათრახით, თუ გურამიშვილისათვის ცნობილი „კეფით“; ყველა რაღაცას ეძიებდა — წასაღებს გინა წასარეკს: გადასახადებს, ჯოგს, ფარას, ტყვეებს, ხევას, დგამ-ქურქელს, ფულს, ნაქერს, ნაქსოვს, ნაჭედობას. როდესაც გურამიშვილმა, მაშინ დატრიალებული ამბების შეჭამებისას ჩამოაყალიბა „ქართლის ჭირი“, იმ დრო-ჟამთა სინამდვილით შთაგონებულმა, როგორც ვიცით, ესეც ჩაწერა:

შეიქნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა,  
ამპარტყენობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა,  
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,  
და ტყვეობა, მოკვლა, ტაცება, ქვრივთა, ობოლთა მწირისა

(48,154)

მაშინდელი პოლიტიკური ამბების განვითარების მთავარ მიჯნად გურამიშვილმა, ზემოთ აღნიშნულის თანახმად, დასახა 1721 წელი. „ქართლის ჭირის“ იმ ნაწილში, რომელიც ჩვენ პირობით მივიჩნიეთ მის შესავლად, საზოგადოების მანეე ელემენტებისა და მათი „ცოდვების“ დახასიათებისას, — კიდევ მოვიგონოთ, — გურამიშვილი ქრონისტის მანერით წერს:

ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას-შვიდას-ოც-და-ერთსა  
ოდღა მათი უშეტესად ესმა, მოეხსენა ღმერთსა.

ხოლო ამის საპასუხოდ ვითომ უფალმა

აღმოსავლით მტერი აღძრა, მოუწოდა კვლავ სამხრეთსა  
და ღმერთმან მტერსა მოუვლინოს, რაც ქართლს უყვეს, ან კახეთსა!  
(48,162).

ეს „აღმოსავლეთით მტერი“, ცხადია, იგივე ირანია მის წინააღმდეგ საკმაროდ ხშირად მოქმედი ავღანელებითა და სხვა ტომებით. ხოლო სამხრეთიდან, როგორც ეს ქვემოთ ჩანს, აღიძრა ოსმალეთი, მოლაშქრე

უშუალოდ ირანის წინააღმდეგ და ირანის მეშვეობით — შაჰის ყმადნაფიცო ქვეყნების წინააღმდეგ, კერძოდ ამიერკავკასიაში.

მომღევნო სამ ხანაში (163, 164, 165), აგრეთვე „შესავალის“ რიგით, ავტორი გვამცნევს იმ მოვლენათა შესახებ, რომელთა საფუძველზე მას აგებული აქვს თავისი ნაწარმოები. „ქართლის ჭირის“ ამ სამი ხანის მიხედვით, ავტორს განზრახული აქვს ასახოს სპარსთა, ოსმალთა და მათ მიერ აშლილ ზოგ მცირე ტომთაგან საქართველოს რბევადაუძღვრების სურათი; ამასთან ერთად საქართველოში — ძმათაშორისი ომი ქართლსა და კახეთს შორის, ქართლ-კახეთში ერთი ხნობით ისევ უცხო ტომის — თურქების დამკვიდრება.

გუჯრამიშვილი თავის მკითხველს ჯერ ცნობას აძლევს იმის შესახებ, რომ რადგან პეტრე I-ს შევიწროებული ვახტანგის „შველა ენება“, მან ქართველ მეფეს მოუწოდა შეკავშირებოდა რუსობას სამხედრო კავშირით („გიჯობს..., შენს მტერზედ მიმიძღვე“) ირანის წინააღმდეგ. ეს მეფისათვის „სიონიავივით“ საამური ცნობა თბილისს ასახვლეში ჩამოიტანეს „ჩაფარ-ელჩებმა“ (თავი ია — „რუსი კელმწიფისაგან ქართველთ მეფის ვახტანგის თავისთან მიპატყება“, ხანა 196).

ამას მოჰყვა თავკაცებთან მეფის თათბირი პეტრეს წინადადებაზე მოფიქრებული პასუხის გასაცემად. მიუხედავად საკითხის ირგვლივ ორი საწინააღმდეგო აზრის გამომქლავებისა, გაიმარჯვა პეტრესთან დაკავშირების მომხრეთა ჯგუფმა; ეს იმიტომ, განმარტავს გუჯრამიშვილი, რომ თვითონ მეფის „ნდომამ“ სძლია ყველა დანარჩენ მოსაზრებასო. ამას მოჰყვა მეფის ლაშქრობა განჯას (თავი იბ — „რჩევა ქართველის ბატონისა“).

მომღევნო თავში ასახულია ვახტანგის შაჰისადმი ორგულობის გამომქლავება („არის რუსეთს წამავალი“). შაჰმა შური იძია: ვახტანგის სამეფო — ქართლი „მისცეს“ ზემოთ მოხსენიებულ კახთ მეფეს — კონსტანტინეს, თათრობაში მამად-ყული-ხანს. ამას დაეცალა ქართლში საქმეების შესწავლა და გაძლოლა (თავი ივ — „მტერთაგან მეფის ვახტანგის ყეენთან შესმენა და ყეენისაგან ქართლის წართმევა და კახის ბატონის მიცემა“). ეს დაწინაურება კონსტანტინესი მოღის 1723 წელზე.

კონსტანტინე შაჰის ამ წყალობას ჯერ არ დაეხარბა. ბრძნულად განკვერიტა აუცილებელი შედეგი, რომელიც უნდა მოჰყოლოდა ვახტანგის უფლებების უგულვებელყოფას („ფიცხლავ იღებს ჳრმალზედ იგ ნებს (=ხელს)“. კონსტანტინეს მის მიერვე მოწვეულ საბჭოზე გამოთქმულმა წამათამამებელმა აზრმაც ვერ განუქარვა ექვები (თავი იღ — „რჩევა კახის ბატონისა“).

თავისი განზრახვის თანახმად, კონსტანტინემ საერთოულო და პატ-

როტული წერილით მიმართა ვახტანგს („თუმცა მიბოძა ყუენმა, მე ქართლსა არ გეცოლები“), ხოლო რაკი ეს ნიშნავდა ირანის მბრძანებლის განკარგულების ძალზე სახიფათო უკუგდებას, კონსტანტინემ ვახტანგს ამასთანავე ერთმანეთში მოთათბირება და პაექიანი სთხოვა. წერილის შესასწავლად და პასუხსაგები გადაწყვეტილების მისაღებად ვახტანგმა კვლავ თათბირი მოიწვია. ამას წინათ ნამეფარი და ბედის მაძიებელი იესე და მისი „თათარი“ მომხრეები ვერ გაახარა ქართლ-კახეთის შეკავშირების და ვახტანგის გაძლიერების დასახულმა გეგმამ და განიზრახეს ჩიუშალათ სსსარგებლო საქმე. ჯერ თითქოს გადაწყდა კონსტანტინეს თათბირზე მოწვევა (თავი იე — „წიგნის მიწერა კახის ბატონისაგან ქართველთ ბატონთან: მეგობრობის თხოვნა“). მაგრამ ქართლ-კახეთის მოკავშირეობის მოწინააღმდეგეებმა მაინც თავისი გაიტანეს. იესეს მიერ გაგზავნილმა, ინსინუაციებით აღსავსე წერილმა კონსტანტინე იტულებული გახადა ვახტანგისგან ვითომ თვალთმაქცი მიპატიუება უარყუო და გზიდანვე უკუქცეულიყო. ქართლსა და კახეთს შორის წარმოიქმნა მუხანათურად გამოწვეული „საომარი მიზეზი“, მით უფრო. რომ უკანდაბრუნებული კონსტანტინეს თანმხლებელი კახელი ჯარი მთლად გაძარცვეს „ქართველებმა“, ესე იგი ქართლელმა მოლაშქრეებმა (თავი იე — „ჩხუბის ჩამოგდება ქართველის ბატონისა კახს ბატონთან“).

მოპირდაპირეთა შორის ომის ატეხამდე კონსტანტინე კონფლიქტის გაღრმავების მსურველთა ნებას დაჰყვა, ვახტანგს მიმართა ახალი მოტივირებული „ნოტიო“ და ქართლი მოსთხოვა. თუ კონფლიქტის ჩამოგდებამდე მისთვის, ქართლთან დაახლოების საკითხში, თითქოს სულ არ არსებობდა შაჰი და მისი სურვილები, ახლა, პირიქით, კონსტანტინე ვახტანგს ურჩევს „უფალთა“ (მაშასადამე, შაჰისა და ზეციერი მამის) დამორჩილებას (თავი — იზ — „კახის ბატონისაგან ბერების მოციქულად გაგზავნა ქართველთ ბატონთან და ქართლის თხოვნა“). წყენით აღბორცებულმა ვახტანგმა („პირსა ოფლი მოედინა“) ბრძანა ჯარის შეყრა („მოსპოს კახეთი“).

სომეხი თანამედროვის, სარგის გილანენცის მოწმობით, მაჰმად-ყული-ხანის (კონსტანტინეს) განზრახვა იყო ვახტანგთან შესარიგებლად სომეხთა კათალიკოსი ასტვანატური (1715—1726 წწ.) გამოეყენებინა შუამავლად<sup>241</sup>. ამავე დროს მისი გეგმის თანახმად, ვახტანგის სარდლობას უნდა ჩამოსცილებოდა მოკავშირე სომეხთა ლაშქარი<sup>242</sup>.

241 Петрос ди Саргис Гиланенц, Дневник осады Исфагани афганами, с. 42.

242 იქვე, გვ. 44.

სომეხ საზოგადოებრიობაზე, ეჩმიაძინის საკათალიკოსოზე კონსტანტინეს თითქოს ვაგლენა უნდა ჰქონოდა, როგორც შაჰის მიერ დანიშნულ ერევნის ხანს (კონსტანტინეს ერევანში ჰყავდა ნაიბი, ანუ მოადგილე).

მაგრამ ომის დაწყებამდე მოპირდაპირემ შეიტყო ვახტანგის მუქარა და, ლეკებისაგან ზურგგამაგრებული, ელვის სისწრაფით თავს დაესხა თბილისს. სატახტო ქალაქი დაეცა, ვახტანგი გააქციეს (თავი იმ — „კახის ბატონის მოციქულების დაქერა ქართველის ბატონისაგან“). ეს ომი მოდის 1723 წელზე.

ვახტანგის ცდა — საქმე გამოესწორებინა ნამეფარი ძმისა და ნამეფარი ძის (იესეს და ბაქარის) მეშვეობითა და ოსმალთა ძალების გამოყენებით — დამარცხდა. გამარჯვება ვერ მოიპოვა ვერც კონსტანტინემ. ბატონობა ერთი ხნით დარჩათ ოსმალებს და მათზე დამყარებულ იესეს, ხოლო ვახტანგი რუსეთს გაემგზავრა (თავი ით — „ოსმალოსაგან ქართლის დაქერა და ქართველის ბატონის რუსეთს წაბრძანება“).

მოვლენების შემდგომი განვითარება მოჩანს 38-ე, 39-ე, მე-40 და 41-ე თავებში, სადაც ნაჩვენებია: რუსეთს მყოფი ვახტანგის ამოო ცდები დაბრუნებულებიო საქართველოში დაკარგული ტახტის აღსადგენად (თავი ლმ — „მეფის ვახტანგისა და ძისა მისისა ბაქარისა დარუბანდს წაბრძანება“, 1733—1734 წწ.).

საქართველოსა და აზერბაიჯანში ირანის სარდლის (მერმე შაჰად გამოცხადებულის) თაჰმასპ-ყული-ხანის მიერ 1734—1735 წწ. თურქთა ხელიდან „განთავისუფლება“ შამახისა, განჯისა და ქართლში — თბილისისა (თავი ლთ — „თამაზ-ხანისაგან შამახისა და განჯის აღება და ოსმალოსაგან თიფლისის დაცლა“).

ირანის მხრივ მოთხოვნა რუსეთის ხელმწიფისადმი, რათა პეტრეს დროს დაპყრობილი კასპიისპირეთის ქალაქები თუ ოლქები შაჰს უკან დაბრუნებოდა, და მოთხოვნის ორ ვადაში დაკმაყოფილება (თავი მ — „თამაზ-ხანისაგან რუსთ ჯელმწიფის ფერთამაშალთან (დოღგორუკისთან? — ვ. დ.) წიგნის მოწერა და თავისის ქვეყნების თხოვნა“). ამავე თავში ცნობაა, რომ „ნადი-შამ“, ესე იგი ნადირმა, იმავე თამაზ-ყული-ხანმა, რომელმაც თავი უკვე ირანის შაჰად გამოაცხადა (1736 წლის იანვარი), წინადადება მისცა რუსეთში მყოფ ვახტანგს მორიგებოდა მას, საქართველოსათვის ხელსაყრელი პირობების საფუძველზე, მაგრამ ვახტანგმა უარყო წინადადება (ხანები: 517-ე და 518-ე).

რუსების მხრივ ირანთან ომში შექმნილი „გაღმა მკრის“, ე. ი. თერგის სამხრეთით მდებარე ოკუპაციაში დარჩენილი დარუბანდის დაცლა და ვახტანგის იქიდან რუსეთისაკენ უკუქცევა (თავი მა — „რუსეთაგან გაღმა მკრის დაცლა და მეფის ვახტანგის აშტარხანს გაბრძანება“).



მაშასადამე, ეს ამბები გურამიშვილის „სისტემატურ თხრობაში“ ქმნიან საქართველოს თავგადასავლის ერთ გარკვეულ, დასრულებულ ნაწილს, გარკვეული ხანის ისტორიას. თვითონ ავტორიც სწორად შენიშნავს: „აქ ცხადად ითქმის ყველაი დასაბამ-დასასრულისა“ (52, 184, 1).

უკვე ჩვენს მიერ წარმოდგენილი სქემაც ანიშნებს მკითხველს, რომ გურამიშვილს საკმაოდ ფართოდ აქვს მოხაზული მოვლენათა რიგი. ის გეგმამოზომილად „იკვლევს“ ამბებს. საგულისხმოა, რომ განაგრძობს რა მუშაობას „ქართლის ჭირზე“, 60—70-იან წლებში და უფრო გვიანაც, ავტორი უშუალოდ საქართველოს ისტორიის მოვლენათა აღწერა-დაფასების აღებულ გეგმას არ სცილდება. ის აღარ „ერევა“ თეიმურაზ II — ერეკლე II-ის (გურამიშვილი ხომ ამათი თანამედროვეც იყო!) ბრწყინვალე მეფობის ამბებში. მისთვის ეს დრო „დასასრულს“ იქით რჩება!

გურამიშვილისათვის მისი გეგმის დასასრული არსებითად არის ვახტანგის რუსეთს გადასახლების, მაინცდამაინც — ვახტანგის ასტრახანს გარდაცვალების (1737 წ.). ფაქტი. მაგრამ უფრო სინტერესო ის არის, რომ, როგორც ეს ზემოთაც ჩანს, გურამიშვილი სათანადო მოვლენებს ეხება არა პასიური გადაცემა-განმეორების წესით, არამედ მათი აქტიური შეფასების წესით, ბრძნული აწონ-დაწონით. გურამიშვილი სარგებლობს საკუთრივ საისტორიო ღირებულების უხვი მასალით, დაგროვილისა და შემონახულის მისი პირადი გამოცდილების საგანძურშიც, მის თანამედროვეთა მეხსიერებაშიც (მაგალითად, ვახუშტის საისტორიო შრომა, დასრულებული 1745 წ.). ავტორი ყველაფერ ამას ურთავს საკუთარ კრიტიკულ შენიშვნებს, საკომენტარო განმარტებებს. როგორც კარგი პუბლიცისტი, ის კამათობს მკითხველთან: გარემოების შესაფერი ინტონაციით, ხან შეშფოთებით, ხან აღშფოთებით, თითქოს ყურითაც გასარჩევი ხმის ამაღლებით, თუ მრისხანებით, თუ სანუგეშო ფიქრებში წასვლით. გურამიშვილი არაერთხელ მიმართავს დაუფარავ ირონიას, მწარე დაციხვას.

მაგრამ განვიხილოთ გურამიშვილის სამატრიანო მასალა რამდენადმე უფრო დაწვრილებით. როგორც ვიცით, ის ირანის სახელმწიფოში (უკეთ, ახლო აღმოსავლეთში) კვლავ დაწყებული პოლიტიკური აღრევისა და ეკონომიკური კრიზისების პერიოდს იწყებს 1721 წლიდან<sup>243</sup>. ამ წლის ბოლოს, მართლაც კრიზისმა ირანში მიაღწია უმაღლეს წერტილს. ავღანებმა მაჰმუდის მეთაურობით დაიწყეს გადამწყვეტი მნიშვნელობის შეტევა ირანის სატახტო ქალაქ ისპაჰანის ასაღებად, დაი-

<sup>243</sup> ირანის იმპერიის დედაქალაქი იშპაჰანი 1722 წელს ავღანთა მიერ დაიკადა. ირანის სახელმწიფოში დაიწყო პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. ირანის სახელმწიფოში დაიწყო პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. ირანის სახელმწიფოში დაიწყო პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი.

წყო ქალაქის ხანგრძლივი გარემოცვა (1722 წ.), რომელიც გაგრძელდა შვიდ თვეს.

ირანის მპყრობელობით შევიწროებული ხალხები, მათ შორის კავკასიისანიც, ახლა განსაკუთრებით საჭიროებდნენ პოლიტიკურ გამჭვირვალობას, აქტივობას, რომ მათი განთავისუფლების იმედები ანარქიის ტალღას არ წაეღეკა. საერთო გაჭირვებამ ამიერკავკასიის ხალხებშიც აქა-იქ გამოავლინა ძველი კარგი ტრადიცია — ურთიერთხარადაქერის შეგნება. საქართველოს ისტორიის ფურცლებზე აღიბეჭდა რანდენიმე ამ თვალსაზრისით დადებითი ფაქტი. იმ საერთო შიშინანობისა და საერთო სიძნელეების პირობებში ვახტანგმა რანდენიმეგზის „წარავლინა სპანი და განაჩინა განჯა“ მომხდური სურხაი-ხანის რაზმებისაგან<sup>244</sup>.

როდესაც ისპაჰანის ალყა დაიწყო (1722 წ. მარტი), ვახტანგს სამი ხელმწიფისაგან, თითქმის ერთად, მოუვიდა ერთმანეთის განმომრიცხველი წინადადება. მთავარი იმეამად იყო შაჰის ბრძანება, რათა ვახტანგი თავისი ჯარით „მწე ექმნეს“ დალუპვის კარზე მიმდგარ სეფიანთა ტახტს. სწორედ ამ დროს თბილისს მოაღწია საუკუნეთა მანძილზე ქართლის ხელისუფლებისათვის საწუკვარმა ამბავმა: „მოვიდა წარმოვლინებული რუსთ ხელმწიფისაგან მამუკა, რათა მივიდეს მეფე მის-თანა (პეტრესთან, — ვ. დ.), ოდეს (პეტრე. — ვ. დ.) გამოვიდეს. სპარსეთს (თაჯის ლაშქრით. — ვ. დ.<sup>245</sup>). ეს იმას ნიშნავდა, რომ თავი ებმორდა ქრისტიანი „ცარის“ სამხედრო-პოლიტიკურ გამოსვლებს ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ. ამავე დროს ოსმალეთის სულთანმა, პეტრეს შიკრიკის ვახტანგთან ჩამოსვლის „მცნობმა“, თავის მხრივ მოითხოვა, რომ ქართველი მეფე „ექმნეს მორჩილ მას“<sup>246</sup>. საგულისხმოა, რომ ასეთი სამი „ნოტი“ მიმღებ საქართველოში ატმოსფერო იმდენად გახურებული იყო და შაჰის ხელისუფლება უკვე ისე შერყეულიყო, რომ მეფის მიერ მოწვეულ თათბირზე აშკარად აჯანყების სული გამოვლინდა: ქართლის „მთავრებმა“, გვაუწყებს წყარო, „არა ინებეს წარსვლა ისპაჰანს“ იმ ნოტივით, რომ შიში ჰქონდათ — „დაშთების ქართლი უკაცური, და არიან მტერნი მრავალნი“<sup>274</sup>. ქართლის მხრივ გაღებული მსხვერპლი ისედაც დიდი იყო. ისპაჰანზე მომდგარ ავლანებთან ბრძოლაში მოკლულ იქნა ვახტანგის კიდევ ერთი ძმა, როსტომი, სარდალი — „ყულარაღასი“, და მასთან ერთად განადგურდა მებრძოლი ქართველი რაზმი, ე. წ. ყული<sup>248</sup>.

244 ვახუშტი, გვ. 125.

245 იქვე.

246 იქვე.

247 იქვე. ამ ცნობას ზოგიერთ ღეტალს დასძენს სეხნია ჩხეიძე (გვ. 33).

248 ვახუშტი, გვ. 125.

მაშინ საერთოდ მიჩნეული იყო, რომ უკვე დადგა უამი შაჰის ყმობისაგან განთავისუფლებისა. ჯერ კიდევ 1721 წლის ნოემბერში ქართლის მეფის საინფორმაციო წერილში ოფიციალური რუსეთის წარმომადგენლის საყურადღებოდ დამაჯერებლად იყო ნათქვამი, რომ აქ, კავკასიის შაჰის ყმადნაფიც მხარეში, არ არსებობს ირანის მორჩილი ეფექტური სამხედრო ძალა, რომელიც შაჰს შეეძლო რუსთა თუ ქართველთა მხედრობისათვის დაეპირისპირებინა, კერძოდ, რუსეთის ლაშქრის ჩრდილო კავკასიიდან „იბერიაში“ შემოსვლისათვის ხელი შეეშალა. ირანელთა ბატონობამ ძალზე დააზარალა შაჰის ყმადნაფიცი ხალხები. მაგრამ, ვახტანგის იმავე წერილის ცნობით, პეტრეს მხრივ ირანის საბრძანებელში სამხედრო მოქმედების დაწყების შემთხვევაში ქართლის მეფეს შეეძლო ორმოცდაათი ათასამდე მეომარი, სადაც შეფე აღმოჩნდებოდა, გვერდით ჰყოლოდა თოფქვეშ და გამოეყვება კიდევ მთელი ოთხი თვის მანძილზე<sup>249</sup>. ამას ერთვოდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობა, ახლა — უკვე პეტრეს უძლეველი არმიის „საქმეში“ ჩარევის იმედიც; ამიტომ ვახტანგისათვის უფრო გასაბედი გახდა, ვახუშტის აღნიშნული ცნობის თანახმად, ადრინდელივეთ შაჰს აღარ ხლებოდა ირანში. უთუოდ ვახუშტის ამ ცნობამ მისცა უშუალო საფუძველი ი. პეტრუშევსკის მტკიცებასაც, რომ ვახტანგმა, ლეკებთან ომით დატვირთულმა და პეტრეს ლაშქრის ჩამოსვლის მომლოდინემ, შაჰს უარი შეუთვალა დახმარების აღმოჩენაზე<sup>250</sup>. ცხადია, ეს უავემედგოდ არ ჩაუვლიდა ქართლის მეფეს. ამ დროს, როგორც აღნიშნავეს სეხნია ჩხეიძე, შაჰმა კახეთის მეფობა დაუმტკიცა დავითის ძმას კონსტანტინეს, იგივე შაჰმადყული-ხანს და დიდი ნღობის ნიშნად, კახეთს გარდა „მისცა“ მას პროვინციები შამშადილუ და ყაზახი, რომელიც ქართლის მეფის საბრძანებელს ეკუთვნოდა. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ფაქტმა ბევრი ბოროტება დაბადა აღმოსავლეთ საქართველოში. ქართველმა ლაშქარმა ამჯერადაც ისევ განჯას მიაშურა საშველად („განჯელნიცა ევედრებოდენ განრინებასა“). ეს მაინც „ოჯახის მიხედვის“ საქმე იყო. სურხაი-ხანის წინააღმდეგ იქ ომის გადახდა აღარ დასჭირდათ, რადგან სურხაი-ხანი თვითონ მოეცალა გონივრულად ვახტანგის ჯარს. სამაგიეროდ ქართველმა მეფემ განჯელებს ჯარი მიაშველა ანარქიული და ქურდბაცაცა რაზმების გასაქრობად. „მოსრნეს ურჩნი და (სხვანი კი. — ვ. დ.) დაუმორჩილეს ხანსა“<sup>251</sup>. ამრიგად, შაჰის ირანისაგან ფაქ-

249 Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, с. 922—923.

250 И. П. Петрушевский, Упадок феодального общества Ирана в XVIII в., с. 312.

251 ვახუშტი, გვ. 125—126.

ტიურად გამდგარი აზერბაიჯანი, კერძოდ განჯის სახანო, და ასევე გამდგარი ქართლის სამეფო თავის ღონისძიებებში პოულობდნენ საერთო ენას, მაშინ როდესაც ეს არ ხერხდებოდა სოციალურ-ეკონომიკურად უფრო ჩამორჩენილ დაღესტანთან ურთიერთობაში.

ამასობაში პეტრე ასტრახანს ჩავიდა (ივნისში), საიდანაც შაჰის საბრძანებელში „ღვთისსაფარველახდით“ ხალხებს სანუგეშო მანიფესტით მიმართა. პეტრეს განზრახვა იყო თავიდან აეცილებინა დაუძლურებული ირანისათვის, შაჰის ქვეშევრდომი თუ ყმადნაფიცი ქვეყნებისათვის ოსმალების შეჭრა (რასაც დღე-დღეზე ელოდნენ). ამ მიზნით, დალაგებდა მანიფესტი, პირველ რიგში უნდა აღკვეთილიყო დაღესტნიდან მომდინარე ანარქია და თავდასხმები, რომელთა შედეგად მთელი შირვანი დაღესტნელ ბელადებს ჰქონდათ დაპყრობილი და შეშფოთებული. ამ მდგომარეობის ძალით ოსმალებმა თავის საფარველქვეშ მიიღო სურხაი-ხანი, როგორც შირვანის ხანი.

რუსეთის ლაშქრობა ამ ანარქიულ ძალებს ემუქრებოდა განადგურებით; ამათ ხომ რუსებს დიდი ნივთიერი ზარალი (ხუთ მილიონ მანეთად ღირებული) და მწუხარება მიაყენეს, როცა 1712 წ. ამოუყლიტეს შემახაში (შირვანის მთავარ ქალაქში) 300-მდე ვაჭარი<sup>252</sup>.

ერთი სიტყვით, პეტრეს ჩანაფიქრი დიდი გეგმა ახლო აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობისა თავისი განხორციელების ფაზაში შედიოდა (ეს იყო გეგმა ვოლგა-კასპიის მხარეთა და კასპიის სანაპირო „ძირითადი სამეაბრეშუმეო რაიონების დაკავებისა“)<sup>253</sup>.

იმავე წლის დამდეგ ივლისში, ვახტანგს კარზე ეწვია პეტრეს მიერ გამოგზავნილი ელჩი — ბაადურ (რუსებისათვის ბორის) თურქისტანიშვილი. პეტრე უკვე მდ. სულაჰის შესართავთან იყო დაბანაკებული კასპიის სანაპიროზე. ვახუშტი ამ ადგილს უწოდებს სოლახს, გურამიშვილი — სოლალს. პეტრე მოუწოდებდა ვახტანგს, წერს ვახუშტი, „რათა მივიდეს შირვანს მეფე მის-თანა“<sup>254</sup>. რუსეთში კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ იმ ხანებში ვახტანგი საჯაროდ დაუბრუნდა ქრისტიანობას.

პეტრესთან „მისვლა“, მასთან „შირვანში“ შეხვედრა გულისხმობდა იმას, რომ ვახტანგს უნდა ეტარებინა თავისი ლაშქარი გრძელი და ძნელი გზით თბილისიდან ყაზახის, შამშადილუსა და განჯის მუსლიმური პროვინციების გადალახვით და უნდა შირვანის უშორეს ნაწილში — ქალაქ შემახაზე და კასპიის ზღვისპირეთზე გაქრილიყო. პეტრეს შტა-

252 П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. I, 1869, СПб., с. 17.

253 ი. პეტრუშევსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 314.

254 ვახუშტი, გვ. 126.

ბის ვარაუდით, შემახას ვახტანგის ლაშქარი გამოგლეჯდა ხელიდან „ოსმალეთის ყმადნაფიც სურხაი-ხანს, ხოლო დარუბანდ-ბაქოს რუსის გენერლები დიკაევებდნენ“<sup>255</sup>. ივულისხმებოდა, რომ ვახტანგს, საქართველოს გარეთ მოსავგრე სარდალს, თან ეყოლებოდა ოცი ათასი მეომარი. ეს რაოდენობა ნავარაუდები იყო ვახტანგისავე ზემოთ მოხსენიებულ წერილში იმ შემთხვევისათვის, თუ ქართველთა მეფეს, როგორც იქ ეწერა, ლაშქრობა მოუხდებოდა თავისი სამეფოს საზღვრებს გარეთ<sup>256</sup>.

თუ ვახტანგი ამ გზას დაადგებოდა, მას საქმე ექნებოდა გარდა დაღესტნის ბელადებისა, ვინ იცის, კიდევ რომელ მოწინააღმდეგე თესლსა და ტომთან!

მაინცდამაინც პეტრეს წერილში, პ. ბუტკოვის ცნობით (რომელიც საუკეთესოდ ფლობდა იმდროინდელ საარქივო მასალებს), ღიად იყო დატოვებული პაემანი (სად, როდის) რუსთა და ქართველთა მომავალი შეხვედრისა. პეტრეს განზრახვა ამავე დროს იყო ნათელი. საყურადღებოა, რომ პეტრე, პ. ბუტკოვის მასალების უწყებით, ვახტანგს უკვე კონკრეტულ „პუნქტებს“, ინსტრუქციებს, უგზავნის, ისეთს, როგორც გაცემაც ვახტანგის სახელზე იურიდიულად მაშინ მხოლოდ შაჰს შეეძლო. კერძოდ, ქართველ მეფეს უნდა განეწყო ჯარი; დაჩქარებით დასხმოდა თავს ლეკებს „მათს ქვეყანაში“; თავის ქვეშევრდომებში სიკვდილის დასჯის მუქარით აღეკვეთა „სპარსელების“ ძარცვა-რბევის შემთხვევები (რათა შევიწროებული „სპარსელები“ არ დაფანტულიყვნენ და რუს-ქართველთა ჯარებს არ დაღუპოდათ თავის დასარჩენი ბაზები)<sup>257</sup> და ა. შ. უნდა ვიფიქროთ, რომ პეტრეს მხრივ ასეთი ინსტრუქციების გაცემის ფაქტი სავსებით ეგუებოდა რუს-ქართველთა წინასწარი ურთიერთ მოლაპარაკების დედააზრს. სეხნია ჩხეიძეს გაცნობილი უნდა ჰქონოდა პეტრესაგან ვახტანგის მიერ მიღებული „გრამოტა“, ან, მისივე სიტყვით, „ქართა წყალობისა“, რადგან სეხნია დიპლომატიური ქაღალდების სტილით შემდეგს წერს, თითქოს იმ ქართიდან ციტატა მოჰყავდეს: „ძალითა ქრისტესითა, — თითქოს ასე იკითხებოდა პეტრეს წერილში, — აღვსდევ ტახტით ჩემით და მოვსრნე მტერნი ჩემნი და წარმოვალ ადგილთა შირვანისათა, ნახე ბრწყინვალება და სპათა სიმრავლე“<sup>258</sup>.

ის სიამე, რომელიც ამ წერილმა მოგვარა ქართლის მეფეს, აღუბეჭდავს არა მარტო სეხნიას („იამა მეფეს სიხარულითა დიდითა“),

255 Очерки истории СССР. XVIII в. (Первая четверть), М., 1954, с. 610.

256 П. Г. Б у т к о в, Материалы для новой истории Кавказа, ч. I, с. 19.

257 იქვე.

258 ს. ჩ ხ ე ი ძ ე, გვ. 34.

არამედ გურამიშვილსაც. აქ მკითხველის ყურადღებას იპყრობს „ქართლის კირში“ (და არა რომელიმე იმდროინდელ ისტორიკოსთან!) ირფაქტის გამომჟღავნებაც, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას ერთნაირად როდი გახარებია პეტრეს მიწვევა ქართველი მეფისა და მისი ლაშქრისა. მაგრამ ჭერ მოვიყვანოთ გურამიშვილისეული 196-ე ხანა, რომელიც შემდგომი საინტერესო სახით გადმოგვცემს პეტრეს წერილის შინაარსს:

ველმწიფემ ვახტანგს მისწერა: მოდი, მივიჩნევ მამადო,  
იესოს ქრისტეს მიენდევ, ნუ მოგატყუებს მამადო,  
გიჯობს მე ზურგი მომყუდო, გულზედა გული მამადო,  
და მერე შენს მტერზედ მიმიძღვე, ვით თიქას ცეცხლზე მამადო  
(53, 196).

პეტრეს წერილში ვახტანგის და მისი თანამებრძოლი დასისათვის, როგორც ეს, ვფიქრობთ, ზემოთაც საკმაოდ ნათლად არც ნაჩვენები, არ იქნებოდა, რა თქმა უნდა, დასამტკიცებელი „ქრისტეს“ უპირატესობის საკითხი „მამადის“ წინაშე. დიპლომატიურ მომართვაში, პეტრეს სამღივნოს თუ რისამე მტკიცება დასკირღებოდა, ისევე იმის, რომ პეტრესადმი „ზურგის მოყუდება“ ვახტანგს ნამდვილად და საიმედოდ „უჯობდა“, რომ ასეთი მოკედლება თუ „ზურგის მობმა“ და ვახტანგის მხრივ პეტრეს ლაშქრის წინამძღოლობა, საერთოდ, რეალური განსახორციელებული საქმე იქნებოდა. ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა, სათანადო ძალთა განწყობილება მაშინ ისეთი რთული და მერყევი იყო, რომ დღეს აწონილ-მოზომილი საქმე და საიმედო ვარაუდი ბევრჯერ მეორე დღესვე გადასასინჯი ხდებოდა. ამის კარგ მაგალითს ირანიც იძლეოდა. სწორედ იმ ხანად, ისე რომ პეტრეს წიგნს დაასწრო, ავღანთა გარემოცვაში სულშეხუთული შაჰი ჰუსეინი ისევე ვახტანგს უხმობდა, „რათა დაიპყრას შირვანი“, ესე იგი შირვანი გაათავისუფლოს ლეკებისაგან. ამ დავალებას თან მოჰყვა ვახტანგისათვის, სათანადო წესით, „სპასპეტობა ადრიბეჯანისა“ და სახელმწიფო ნიშნები: „თაჯი და ჯილა, ხმალი და ხანჯალი მოოქვილინი“<sup>259</sup>. როგორც ამაზე ადრე, ახლაც შაჰისა და რუსთ მეფის მომართვებს კვლავ დაემატა ოსმალთა დესპანის ჩამოსვლა თბილისს — „დამორჩილების“ მოსათხოვნად<sup>260</sup>.

სამი ელჩის, ურთიერთდაპირისპირებული დესპანის ერთად დაკმაყოფილება, რა თქმა უნდა, აღემატებოდა ვახტანგის შესაძლებლობას. ის ვერ შეძლებდა, ვთქვათ, ალექსანდრე II კახთბატონის (XVI—XVII

<sup>259</sup> ვახუშტი, გვ. 126; შდრ. ს. ჩხეიძე, გვ. 34.

<sup>260</sup> ვახუშტი, გვ. 126.

სს. მიჯნაზე) ოდენს, რომლის მარჯვე პოლიტიკურმა სვლებმა ოსმალეთ-ირანის მიმართ საგანგებო ყურადღება მიიქცია ჩვენი დროის სპეციალურ ლიტერატურაში<sup>261</sup>.

ვახუშტი, თავის მხრივ, მართალი უნდა იყოს, როდესაც წერს, რომ სამეგრეო მომართვის (ირანი, რუსეთი, ოსმალეთი) აწონვის შედეგად ვახტანგმა, ცხადია, მეტად სახიფათო სიტუაციით, „განუტენა ყოველნი (წაიკითხე: უკუაგლო სხვა ყოველი მოტივი. — ვ. დ.) და აღირჩია რუსთ მეფე“ მოკავშირედ<sup>262</sup>. ასეთი უკომპრომისო გადაწყვეტილებით მანამდე, მის წინაპარ ქართველ დიპლომატთაგან, შეიძლება ითქვას, ჯერ არავის არ გაეწოდებინა რუსეთის დიპლომატიისათვის ხელი რუს-ქართველთა ურთიერთობის მოგვარების გზაზე.

ვახუშტი (არც სეხნია) არას ამბობს იმ თათბირის შესახებ, რომელზედაც ალბათ წყდებოდა ეს საკოკუმანები საკითხი, სამაგიეროდ, გურამიშვილი აესებს ამ მნიშვნელოვან ხარვეზს. ის, როგორც ზემოთ ნაჩვენებია, მთელს თავს (თავი—იბ) უთმობს თათბირის მსვლელობას, იქ გამოთქმული შეხედულებების საერთო ხასიათს. სანწუხაროდ, თათბირის მონაწილენი „ქართლის კირში“ გამოდიან მხოლოდ კოლექტიური სახელით: „ყმანი“ (ვახტანგის ვასალები, მრჩეველები). ამათ შორის სათათბირო საკითხის ირგვლივ, ეტყობა საკმაოდ ფართოდ გაშლილა კამათი, საფიქრებელია, დიდი ისტორიული გამოცდილების გამოყენებით და საარქივო საბუთების გათვალისწინებითაც. „დასხდენ რიგით“, როგორც ამას მოითხოვდა ე. წ. ხელმწიფის კარის გარიგება, „ივეზირეს, წინ წიგნები დაიყარეს“ (55, 203, 2).

აზრები გამოთქმული pro და contra; იყვნენ პესიმისტები, ოპტიმისტებიც, გამოსახული პერსპექტივის კმაყოფილები, რომელთაც თათბირზე პეტრეს საწინააღმდეგოდ წამოყენებული მოტივები „განიკმარეს“, დაიწუნეს<sup>263</sup>.

ოპტიმისტების ანგარიშით, ქართველები, გახდებოდნენ რა საბოლოოდ „ქრისტიანის კელმწიფისა კელდებულნი“, ესე იგი შევიდოდნენ რა პეტრეს საფარველქვეშ, იქნებ ვერ „გაკეთდებოდნენ“, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, წინააღმდეგ პესიმისტების ვარაუდისა, არაფერს არ წააგებდნენ:

ჩვენ მაგაზე რად წავხდებით, თუ არ უფრო გაკეთდებით! (55, 204,4).

უიმედოებს კი მაინც ბოლომდე არ შეუცვლიათ აზრი და იმედიანებს — მათ მიუთხრეს; თუ უკვო ვარ, ნახავთ, ბოლოს გამოჩნდების:

261. ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1944 წ. ნაკვ. I, გვ. 95—96.

262 ვახუშტი, გვ. 126.

263 დავითიანი, 55, 204.

არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის, თუ ეგ საქმე მალ მოხდების.  
მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოღებების.

და ვინემ რუსნი გვიშევილიან, მანამ ჩვენი გარდაგვექდების

(55, 209).

თათბირზე კამათი ბუნებრივად დასრულებულა. რადგან მეფე ვახტანგი პეტრესთან პირადად დაკავშირების მომხრე იყო, რადგან ის „ამჯობინებდა წასვლასა“, ყმებმა მას პირდაპირი ურჩობა ველარ ჰკადრეს, მით უფრო რომ დამოუკიდებელი აზრის მქონე მოკამათენი ვახტანგს ორგულებად ესახებოდნენ, მეფე მათ „ერთგულად არ უყუროდა“. ერთი სიტყვით, „მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა“ (55, 206, 204).

კამათი, როგორც ამას გვაფიქრებინებს „ქართლის ჭირის“ მომღვენო ხანები, კულუარებში, ოჯახებში გადასულა. პესიმისტები აქ თავის გულის ნადებს უკვე მთლიანად ამჟღავნებდნენ. ესენი არამარტო „ტიროდენ“ თურმე, რადგან ცუდ „ბოლოს“ ელოდნენ („ბოლოს მხედველთა საცრემლედ გაშალეს ჯელის მანდილი“), არამედ კიდევ „სძრახევდენ“ მეფეს, „იტყოდენ გმობასა“, უწუნებდნენ რა პოლიტიკას.

რუსეთთან დაკავშირების შესახებ გადაწყვეტილებას აფასებდნენ როგორც შეუსაბამობას, როგორც უტოპიურ განზრახვას — ერთსა და იმავე დროს სამი სახელმწიფოს ყმადნაფიცობა ეტვირთა. ისინი თურმე ჩიოდნენ.

სამს დიდს კელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა  
ყვენის სპასალარია, თავს ირქვამს მის რაყმობასა!

და რუსთ კელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა

(56, 214, 2—4)

ხოლო ამ ტაეპებს წინ უძღვის იმავე კრიტიკული აზრისა და ირონიის შემცველი შემდეგი სტრიქონები:

მესამე კიდევ შობა, ორი საბელი თავს ება.

და სამი ვეშაი ერთს ლომსა აწ ვითარ მოეთავსება?

(56, 213, 3—4).

ეს იმას ნიშნავს, რომ პესიმისტებს იმთავითვე არ სწამდათ, რომ შაჰი („ყენი“) და სულთანი („ხვანთქარი“) საქმეში რუსეთის ჩარევის შედეგად დაეხსნებოდნენ ქართველ მეფეს, რომ პეტრე მოცემულ რთულ პირობებში უცილოდ შეძლებდა მისი დიდი გეგმების გადაუღებლად განხორციელებას; ხოლო ვისაც ეს არ სწამდა, მას მხოლოდ იმისი რწმენალა უნდა დარჩენოდა (და რჩებოდა კიდევ), რომ პეტრეს მანიფესტისადმი მიმხრობა, მისი არმიის რიგებში ჩადგომა მტრებს



ახალ საბაბს მისცემდა — საქართველოსათვის აღრინდელზე უფრო მოკვირათ სამხედრო-პოლიტიკური მუხრუპი.

წყაროები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ვახტანგი დაადგა, პეტრეს საერთო გეგმის შესაბამისად, განჯის გზას (აღბათ აგვისტოში). მაგრამ ჯერ კიდევ ქართლის აღმოსავლეთი საზღვრის („გატეხილი ხიდის“) გადალახვამდე, ყაზახის ფარგლებში შესვლამდე, თავს დაატყდა მძიმედ ჩამაფიქრებელი შემთხვევა. კონსტანტინე მას მტრად მოეკიდა, ვახტანგთან შეხვედრას დემონსტრატიულად თავი აარიდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეს ერთი ხანი კონსტანტინეს თავი მოჰქონდა ყაზახის პატრონად და ესეც საკმაო საბაბი იყო მათ შორის კონფლიქტის ჩამოსაგდებად. ამ „ორი საქართველოს“ ორი მეფის მაშინვე მორიგების კეთილი განზრახვა ფუქი აღმოჩნდა ფეოდალური ინტრიგების პროვოკაციული ვალეევების გამო, ხოლო ინტრიგების გამომწვევი ქართლში მყოფი იესე იყო. ქართლის რეაქციული წრეების ამ ფალანგმა არ ინდომა ქვეყნისათვის სიკეთე, არ შეიწყნარა ქართლისა და კახეთის ინტერესთა შესაძლებელი შერიგება გარეშე მტრების წინაშე. წყაროებიდან ცნობილია, რომ ყოველ შემთხვევაში სექტემბრის 6-ს ქართველთა და მის მოკავშირეთა ლაშქარი ვახტანგის სარდლობით უკვე შამქორში („მამულსა განჯისასა“) იყო დაბანაკებული<sup>264</sup>. ასე რომ, პეტრეს შტაბის საერთო გეგმის ერთი ნაწილი უკვე ხორციელდებოდა.

ამის თაობაზე გურამიშვილს ნათქვამი აქვს, რომ ვახტანგი „წავიდა, განჯის მიდამოს სისხლის ღვარს მოადინებდა“<sup>265</sup>, იარაღი აქაც სურხაი-ხანის რაზმების წინააღმდეგ მოქმედებდა. განჯის შესახებ ვახუშტი დასძენს, რომ ვახტანგმა „დაპყო სამ თთუც მუნ და ვერა რაი სცნა ხელმწიფის პეტრესი“<sup>266</sup>. სეხნია უმატებს: „შეიქმნა დაყოვნება ხელმწიფისა, თურე ხელმწიფე აშტარხანიდამ დაბრუნებულყო“<sup>267</sup>.

საბჭოურ საისტორიო ლიტერატურაში კარგად არის გარკვეული, თუ რა სტიქიურმა და პოლიტიკურმა პირობებმა შეშალეს პეტრეს დიდი აღმოსავლური გეგმა და გადაადებინეს მას ეს საქმე, მისივე დაპირების თანახმად შემდგომი, 1723 წლისათვის<sup>268</sup>.

სექტემბრის 7-ს პეტრემ დატოვა კასპიისპირეთი (დარუბანდი) და ასტრახანის გზით უკუიქცა ჩრდილოეთში. მომხდარი არასასიამოვნო ამბავი ქართლის ხელისუფლებს ეუწყათ თბილისში პეტრეს „დესპანის“ მეშვეობით<sup>269</sup>. ცნობა ვახუშტის (ჩვენი ისტორიკოსის) მეშვეობით ჩაუ-

264 ს. ჩხეიძე, გვ. 34.

265 დავითიანი, 57, 216, 4.

266 ვახუშტი, 126.

267 ს. ჩხეიძე, გვ. 34.

268 Очерки истории СССР. XVIII в. (Первая четверть), с. 610—611.

269 ვახუშტი, გვ. 126.

ტანგს „განჯის მამულში“ მყოფ ვახტანგს, ვახტანგი უკუიქცა თბილისს. წყაროები საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ვახტანგის მომხრეთა წრეში გარკვეული აზრი შემუშავებულა, როგორც ამას მკაფიოდ გვიჩვენებს, ყოველ შემთხვევაში, გურამიშვილის მსჯელობა. ისინი არ ამართლებდნენ თბილისს დაბრუნებული ქართველი ლაშქრის ხელმძღვანელობას, არ ამართლებდნენ დამოუკიდებლივ იმ ცნობებისაგან, რომელნიც მიღებულ იქნენ პეტრეს მიერ კასპიის ექსპედიციის მსვლელობის შესახებ. ეს საინტერესო საკითხი საბაბს იძლევა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ გურამიშვილის შეხედულებაზე იმ უთანხმოების შესახებ, რომელიც პოლიტიკური ორიენტაციის გამო ჩამოვარდნილა ვახტანგსა და მის შვილს, ბაქარს შორისაც. აი „ქართლის ქირის“ სათანადო ხანა:

ორთვე შუეა მტერს ეშმაქსა ჩამოგდო რალაც შური,  
მისგან წაქდა, დაგვიანდა საქმე კარგი, დასაშური.  
ვერა ნახეს რუსთ კელმწიფე, ვერ აჩვენეს სამსახური,  
და ყვენზედაც ავად დარჩნენ, მათ დაკარგეს ორგნიე პური

(57, 218).

სამწუხაროდ, ბაქარის (ამ კარგად ცნობილი კულტურული მოღვაწის) პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საქმიანობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ჩვენ აქ ოდენ ცნობად უნდა მივიღოთ მისდამი მიმართული გურამიშვილის საყუედღური. მაგრამ არანაკლებ საინტერესოა, რომ თუ ერთ შემთხვევაში, როგორც მკითხველმა დაინახა, „უიმიდლოთა“ გვერდით გურამიშვილიც თითქოს წუნს დებს საქართველოს ბედის დაკავშირების პოლიტიკას პეტრეს რთულ სააღმოსავლო გეგმებთან, აქ ახლახან ციტირებულ ხანაში, მას, პირიქით, ხაზგასმით აქვს შეფასებული პეტრესთან ამ გეგმის საფუძველზე შეთანხმება, როგორც „საქმე კარგი, დასაშური“.

საგულისხმოა, რომ ერთხელვე ირჩია რა დევიზად „ქმნა მართლისა სამართლისა“, გურამიშვილმა თავის მოღვაწეობაში, ჩანს, ბოლომდე დაიცვა თანმიმდევრობა. ის დარწმუნებული ყოფილა, რომ ვახტანგის განჯის ექსპედიციის წარუმატებლობა მიზეზობრივად დაკავშირებული იყო იქნებ არა მხოლოდ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში—თვით ქართველი ხელმძღვანელების ურთიერთ მოურიგებლობის სამწუხარო ფაქტთან; ხოლო რადგან ასეთი იყო მისი შეხედულება, ის კიდევ პირუთვნელად კიცხავს მათ, ვისაც დამნაშავედ რაცხს, ამ შემთხვევაში თვით მეფეს, მის საერთოდ სათაყვანებელ ვახტანგს და არა მხოლოდ ბაქარს. გურამიშვილი მათ მიმართ, რამდენადაც მათ ვერ მოეხერხებინათ საერთო ენის გამოძებნა, კარგად გამომქლავნებულ ირონიასაც მიმართავს:

ერთმანეთის ნავეზირი მათ მოსწონდათ ამაღ არა:  
მამა რუსეთს იზიდევდა, შვილი ყვენისა კარა.  
მათმან სეჟმა და სოფელმა სხვა რიგად რამ მოაგვარა,  
და ვერც მამამ და ვერცა შვილმან მოსაჯმარი ვერ იჟმარა

(57,219).

ეს ერთი შემთხვევაა (ხოლო მსგავსი შემთხვევები „ქართლის ჰირონი“ ბლომადაა) დიდკაცებისა, თვით მეფისა და მეფისწულის მიმართ საყვედურისა და ირონიის ხმარებისა, ანიშნებს მკითხველს, თუ სახელდობრ ვის შეიძლება გულისხმობდეს გურამიშვილი, რიგით ფეოდალებს გარდა (მათ შესახებ იხ. ზემოთ), როდესაც თავის წინასიტყვაობაში ჩვენ მიერ უკვე აღნიშნულის თანხმად აღმსარებლის ტონით აღადგოვს:

ტყუილი ვტყვა, ჩემი თქმული შეიქმნების რა საყარგი?  
მართალი ვტყვა, მეშინიან, ვა, თუ გავქვე დასაყარგი

(50, 162, 1—2).

საგულისხმოა გურამიშვილის შემოქმედებაში გამოძვლანებული ეს ჯანსაღი განწყობილება, რომელიც იწვევს მას — მისი ხალხის დაზავრობის მიზეზი ეძიოს არა მაინცდამაინც, ასე ვთქვათ, სხვის კარზე, სხვის სამშობლოში, არამედ ჯერ და უპირველეს საკუთარ კარზე, საკუთარ საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

აღებული ისტორიული ეპიზოდის, „განჯის“ წაგებული ექსპედიციის შეფასებაში გურამიშვილი ახლოს მოდის სეხნია ჩხეიძესთან, რომელიც, როგორც ბევრჯერ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. აქაც თავის დამოუკიდებელ და საგულისხმო ცნობას გვაწვდის. ის, მისთვისაც ჩვეული ლაკონიურობით, წერს, თუ რა მოხდა პეტრეს უკუქცევის შემდეგ განჯის ქართველ-სომეხთა სამხედრო ბანაკში. „შექმნა მეფეს, — მოწმობს ავტორი ვახტანგის შესახებ, — ჭმუნჯა დიდი (პეტრეს წასვლის გამო.— ვ. დ.), აუტყდა ზურგით კერძო ბატონი კახთა კოსტანტილე, რადგან ყაზახი და შამშადილო იმისი იყო, შექნეს ნუწლის ჰერა და კაცთა სურა, ევლარ წავიდა (ვახტანგი.— ვ. დ.) შირვანისაკენ“<sup>270</sup>. მეფე ვახტანგი ზემოთ მოხსენიებულ საინფორმაციო წერილში თავისი ადრესატის საყურადღებოდ წერდა, რომ საქართველოს ლაშქარს, რადგან ირანი ასე დაუძღურდა, გარეშე ძალის დაუხმარებლად, საკუთარი ძალებითაც შეეძლო „წამოეწყო საქმე“, დაეწყო ომი<sup>271</sup>. სეხნია ჩხეიძესაც, ჩანს, ეს აქვს სათქმელი: ხოლო თუ ვახტანგი განჯას ვერ გასცილდა (და „განჯის მამულშიც“ სახელი დიდად ვერ გაითქვა), აქაც ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი შინაფეოდალური აღრევა იყო.

<sup>270</sup> ს. ჩხეიძე, გვ. 34. ყაზახისა და შამშადილოს შესახებ იხ. ზემოთ.

<sup>271</sup> Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, с. 222—223.

ფეოდალური აღრევა და ანარქია — ეს ზედნაშენური რიგის სოციალური მოვლენები გურამიშვილის შემოქმედებაში თითქოს თვით-კმარი მნიშვნელობის ფაქტებად გადაქცეულიყვნენ, ისეთი ზედმიწევნილობით არიან „ქართლის ჭირში“ გადმოცემული და დამუშავებული. მისდევს რა კვალში საქართველოს ისტორიული ცხოვრების მსვლელობას, გურამიშვილი, როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, საკმაოდ ვრცლად, საგულისხმო დეტალების შემოტანით განიხილავს 1723 წლის ქართლსა და კახეთს შორის ატეხილ ომს, რომელმაც მოითხოვა ძმათა სისხლის დათხევა და რომელიც დამთავრდა ახალი პოლიტიკური კატასტროფით — ოსმალეთის მიერ ქართლ-კახეთის საკმაოდ ხანგრძლივი ოკუპაციით. ზემოთ უკვე მოცემული „ქართლის ჭირის“ სათანადო თავების მოკლე შინაარსს აქ ჩვენ შევავსებთ ზოგი დეტალით.

ცნობილია, რომ ისპაჰანის ალყა დამთავრდა შაჰ ჰუსეინის კაპიტულაციით (1722 წ. ოქტომბრის 10), სახელმწიფოს უმეტესი ნაწილის ავღანების მიერ დაპყრობით. ჰუსეინის მემკვიდრემ თაჰმასბმა (შაჰ-თამაზ II) ხელისუფლება შეინარჩუნა სახელმწიფოს ჩრდილო პროვინციებში (რეზიდენცია ქ. თავრიზში). გურამიშვილმა იცის, რომ მის მეფობაში ირანის მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. შახ-თამაზმა (ასე ჰმარობს გურამიშვილი მის სახელს)

სამხრეთით აღძრა ოსმალთ, აღმოსავლეთით ავღანნი;

ჩრდილეთის მკარეს რუსეთსა გილანით მისცა დავღანი.

და დაღესტნით ქართლსა, კახეთსა წაართო ყუმაშ-ყავღანი

(53, 187, 2—4).

ქართლშიც „მისგან შეირყა მეტეხი, მისგან დაიქცა სიონი“ (53, 188,2).

რაც შეეხება რუსეთს, ცნობილია, რომ პეტრეს ჩრდილოეთისაკენ უკუქცევის შემდეგ, მისი არმიის წარმატებული მოქმედების შედეგად კასპიის პირებზე თაჰმასბმა იმპერიას დაუთმო (1723 წ. სექტემბრის ხელშეკრულების ძალით) დარუბანდიც, ბაქოც, პროვინციებიც — გილანი (ადმინისტრაციული ცენტრი — რეშტი), მაზანდარანი და ასტრახადი. გილანი, დარუბანდ-შემახის გვერდით, განთქმული იყო მუაბრეშუმეობით.

ის ფაქტი, რომ თაჰმასბმა თავისი შემოსავლის ეს დიდი წყარო (ბაჟი თუ ზეერი) ხელიდან გაუშვა, გურამიშვილმა გადმოსცა სიტყვებით: „...რუსეთსა მისცა დავღანი“. „დავღა“ უნდა ნიშნავდეს იმავე „დამღას“, ხოლო დამღა (თამღა, ტამღა), როგორც ცნობილია, უპირატესად სავაჭრო გადასახადს ერქვა. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც იგივე ირანი განემზადა თავისი პრივილეგიების უკან მისაღებად, გუ-

რამიშვილისვე სიტყვით, შაჰის მოხელემ საყვედურით აავსო რუსეთის მეფე: „...ანუ ბაჟს, დაელას რად იღებთ სადუქნეს, საქულბაქოსა?“<sup>272</sup>.

გურამიშვილმა იცის, რომ შაჰ-თამაზის პოლიტიკამ საქართველოს აღებ-მიცემობაც შეზღუდა დაღესტანთან: ჩასს, გაძნელებულა იქ ქართლ-კახეთიდან ფართლეთის — „ყუმაშ-ყაღანის“ შეზღუდვა.

ყუმაში — ცნობილი „ყუმაჩი“, გინა „კუმაჩია“, ყავლაქ ქსოვილია, სახიანი ჩითი. საბუთებიდან ჩანს, რომ საქართველოდან დაღესტანს საზიდავი საქონლის ასორტიმენტი საკმაოდ მდიდარი ყოფილა. გვიანდელი რუსული წყაროთი, შიგ შედიოდა „ყოველი ხარისხის ბურმეტი“, ყუმაში (кумач) „ალადტა“ (?), ნარმა, выдойки, აგრეთვე რუსული ტილო (ქამრებისათვის), ნაირ-ნაირი აბრეშუმეული და წითელი სპილენძი ჭურჭლეულის სახით<sup>273</sup>. აქ ჩამოთვლილ საქონელში ბურმეტი ბამბის უხეში ქსოვილია, სპარსული<sup>274</sup>, ალადტა (аладта) უნდა იყოს კორექტურაში დამახინჯებულია ალაჯა (Аладжа, თურქ. ალაჯა), ესე იგი „ერთგვარი ნახევარმაუდი, რომელიც იქსოვება თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში“<sup>275</sup>, выдойка — ერთგვარად დაჩითული სახეებიანი ბამბეული ქსოვილი.

დავით გურამიშვილი საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ, რომ ამ ასორტიმენტში წარმოდგენილი „კუმაჩი“ მის დროსაც საგარეო ვაჭრობის საგანი იყო საქართველოსთვის. აქედან ფართლეთის დაღესტანში შეზიდვის დამაბრკოლებელ მიზეზად გურამიშვილი უნდა გული-სხმობდეს რუსი ვაჭრების კონკურენციის გაძლიერებას ქართველ ვაჭრებთან.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჯერ არს განიმარტოს ერთი ენობრივი ფაქტი, გურამიშვილის მიერ ნახმარი. სათანადო ხანა შეიცავს თამაზ-ყულიხანის (ნადირის) მოთხოვნას, რომელიც მან წაუყენა რუსეთს, და მთლიანად იკითხება ასე:

სოლას, დარუბანდს, არმონს, თქვენ რა კელი გაქვსთ ბაქოსა?  
დასაბაქველი მბაქველმან არც აგრე უნდა ბაქოსა;  
რადა ქნავთ ანუ რად სთესავთ თქვენ ჩემსა სათამბაქოსა,  
და ანუ ბაჟს, დაელას, რად იღებთ სადუქნეს, საქულბაქოსა?  
(99,511).

ამ ხანაში პირველი ტაეპი ჯერ უნდა შესწორდეს, რა თქმა უნდა, ხელნაწერ დედანთან შეკერებით, შემდგენაირად: „სოლას, დარუ-

<sup>272</sup> დავითიანი, 99, 511, 4.

<sup>273</sup> Акты, собранные Кавказской археографической комиссией, V, Тифлис, 1873, с. 334.

<sup>274</sup> Д а л ь, Толковый словарь, I, СПб. — М., 1820, სიტყვასთან — Бурмет.

<sup>275</sup> С. П. Зелинский, Объяснительный словарь татарских, грузинских и армянских слов. Тифлис, 1889, სიტყვასთან Аладжа; Д а л ь, Толковый словарь, I, სიტყვასთან — Аладжа.

ბანდს არმოანს, თქვენ რა კელი ვაქვსთ ბაქოსა“<sup>276</sup>. გამოდის, აქ უნდა დაეინახოთ „დარუბანდი არმოანი“ (უმიძიმოდ!). დაბეჭდილ ტექსტში მძიმით გამოყოფილი სიტყვა „არმოანს“ ამოოდ აფიქრებინებს მკითხველს, თითქოს ესეც, სოლალ-დარუბანდის გვერდით, რაღაც მესამე გეოგრაფიული პუნქტი ჩანდეს (ალბათ ამიტომ არ იქნა იგი შეტანილი „დავითიანის“ ლექსიკონში!). სამწუხაროდ, ასეთ ვაუგებრობას ვერ ასცდა ნ. ზაბოლოცკის ცნობილი თარგმანი, სადაც სათანადო ადგილას იკითხება: „Разве Вам Дербент подвластен, Армоан (?! — ვ. დ.), Баку, Сулак?“<sup>277</sup>.

ა რ მ ა ნ ი — სიტყვა არამიდან (ზედსართავი სახელი) არის ნაწარმოები და ნიშნავს ისევე „არამს“, არაპალალს, უკანონოდ მითვისებულს. არმოანი (არამოვანი) ისევეა ნაწარმოები „არამიდან“, როგორც იმავე „დავითიანში“ სიტყვა მავროვანი ნაწარმოებია „მაგარიდან“ და ნიშნავს „მაგარს“<sup>278</sup>. ეს ჩვენი მოსაზრება, ვფიქრობთ, ამაგრებს ნ. ბერძენიშვილის განმარტებასაც, რომლის მიხედვით „არჩილიანში“<sup>279</sup> ნახმარი სიტყვა თელოვანი („თაჯსა თავზე თვალნი თლილნი თომარს თანა თელოვანსა“) ნიშნავს „მთელს“. მაშასადამე, არჩილსაც იმავე წესით უწარმოებია თელი (მთელი) — თელოვანი.

თაქმასბის მპყრობელობა საქართველოსთვის, როგორც ზემოთაა ნაჩვენები, აღინიშნება ქართლში ვახტანგის ნაცვლად კონსტანტინეს გამეფებით.

გურამიშვილი ვახტანგის ასეთი „დამცრობის“ მიზეზად თელის მაშინ გავრცელებულ ვერსიას — ვახტანგი შეთქმული იყო ირანის „დიდ ეეზირთან“, გურამიშვილის სიტყვახმარებით — „ეთმანდოლესთან“ (ეთიმად აღ-დოულე). გურამიშვილმა ისიც იცის, რომ შაჰმა ეს მოხელე — ეთმანდოლე ფათ-ალი-ხანი „უსიკვდილოდ დანასადა, აღმოსთხარა ორივე თვალი“<sup>280</sup>. მთავარი მაინც იყო გამჟღავნებული კავშირი ვახტანგისა პეტრესთან („არის რუსეთს წამავეალი“)<sup>281</sup>.

საყურადღებო დეტალებით არის „მორთული“ ვახტანგისა და კონსტანტინეს შორის კონფლიქტის განვითარების სურათი. „ქართლის ჭირში“ ამასთან დაკავშირებით ჩანს კახეთის სამეფო კარის ერთგვა-

276 დავითიანი, S 1598, გვ. 83. დაცულია საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

277 Давид Гурамушвили, Давитиანი, Тбилиси, 1954, с. 92.

278 გურამიშვილი ხმარობს „მავროვანად დანაჯარია“ (54, 193, 4; 70, 310, 3). შეადარე აგრეთვე „თავმდაბლოვანი“ (33, 45, 1).

279 არჩილიანი, ტ. I, 258, 3, 3 და ლექსიკონი, შედგენილი ნ. ბერძენიშვილისაგან, იქვე, ტ. II, გვ. 178, სიტყვასთან — თელოვანი.

280 დავითიანი, 57, 220, 3—4; 57, 221, 3—4.

281 იქვე, გვ. 222, 3.

რი სილუეტიც, მისი აქსესუარები, კერძოდ, „კარავ-სევანი“, „დევანი“, ჩანან „მდივან-ვეზირნი“, „ყაფიჩნი“, „ყმანი და მონანი“<sup>282</sup>.

კახეთის მეფის იმ ღარბაზობაზე, რომელზედაც იხილავდნენ აღნიშნულ კონფლიქტს, მონაწილედ ჩნდება მაშინ ახალგაზრდა თეიმურაზი (შემდგომში თეიმურაზ II), კონსტანტინეს ძმა და ვახტანგის სიძე<sup>283</sup>, უკვე სიჭაბუკეში აქტიური მონაწილე სამხედრო-პოლიტიკური ამბებისა. გურამიშვილი, თითქოს თვითმხილველი, მეფე კონსტანტინეს იცნობს როგორც „ერთ ჳმელ კაცსა“ და „ბერწოვანს“<sup>284</sup> (ის მართლაც უძეოდ გარდავიდა). საგულისხმოა, რომ გურამიშვილს კონსტანტინე, საერთოდ, ნათელ პიროვნებად ჰყავს დასახული: კახეთის მეფეს თითქოს ტანჯავს ქართლ-კახეთის გათიშულობა; ის ელტვის ვახტანგთან „ძმობის“ დაცვას<sup>285</sup>, მის „მამად მოკიდებას“<sup>286</sup>. მისი მაღალიდებული მრწამსით, „წარწყმენდილი არს, ვინც რა თქვას ძმასთან ძმის დასაშორები“<sup>287</sup>. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კონსტანტინე, უთუოდ სუსტი ნებისყოფის პოლიტიკური მოღვაწე, ვეღარ გასწვდა მის ირგვლივ გაბმულ ინტრიგების ქსელს. ვახუშტის აღნიშნული აქვს ის ფაქტი, რომ ვახტანგი და კონსტანტინე, შერიგების უთუოდ გულწრფელად მოსურნენი, ყაზახის სადავოდ გადაქცეული საკითხის მოსაგვარებლად გაეშურნენ (სხვადასხვა მხრიდან) ხუნანს, ნეიტრალურ ადგილს, თანხმობის აღსადგენად; მაგრამ, თურმე, იესეს ფარულმა წერილმა, ვახტანგის მტრობით დაწერილმა, ინსინუაციებით სავსემ (ვითონ კონსტანტინეს სიკვდილს უმზადებდნენ), კონსტანტინე ექვემდებარებოდა და აიძულა — მორიდებოდა ვახტანგთან შეხვედრას<sup>288</sup>. ამრიგად, კონსტანტინეს გზიდან უკუქცევის შემთხვევა, „დავითიანში“ დეტალურად და საინტერესოდ განხილული (თავი — ივ), ავტორს დაკავშირებული აქვს იმ ფაქტთან, რომ ორ მეფეს შორის „განხეთქილების ვაშლად“ იქცა ქართლის ტახტი<sup>289</sup>.

იქნებ ეს იყო მეორე შემთხვევა — იმ ვითარებაში მომხდარი, როდესაც, ვახუშტის ცნობით, კონსტანტინემ გამოხატა, სამწუხაროდ, განუხორციელებლად მიტოვებული სურვილი — ქართლის მიჩემებოსაგან თავი გონიერულად შეეკავებინა. ერთი სიტყვით, „ქართლის კირ-

282 იქვე, 58, 226; 58, 227, 1.

283 იქვე, 58, 227, 1; 59, 235, 2 და სხვაგან.

284 იქვე, 58, 227, 3.

285 იქვე, 59, 229, 1.

286 იქვე, 60, 238, 2.

287 იქვე, 61, 248, 4.

288 ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 208.

289 იქვე, გვ. 209—210.

ში“ ასახული ვერსიის თანახმად, კონსტანტინეს ფეოდალებმა არ მისცეს საშუალება, მას ვახტანგთან ურთიერთობაში ჩამოეგდო „სამართალი ბატონ-ყმური“<sup>290</sup>.

ამას იქით რჩებოდა კონსტანტინეს ურყევი მისწრაფება, ისტორიულ წყაროებში კარგად გამოვლენილი, — არ ასცდენოდა შაჰის ერთგული სამსახურის გზას, რომელზე სვლამ მას მოუპოვა, კახეთის ტახტს გარდა, ქართლის ტახტიც, ყაზახ-შამშადილუც, ერეკლანცი<sup>291</sup>, პატივი და ნდობა შაჰის კარზე. ამის შესაბამისად ის კიდევ ენერგიულად იცავდა ვახტანგის „შესაგონებლად“ (როგორც ეს მკაფიოდ ჩანს „ქართლის ჳირში“), ასე ვთქვათ: ლეგიტიმისტურ იდეებს — ისევ შაჰის სასარგებლოდ. კონსტანტინეს სწამს, რომ ვახტანგსაც, მეფეს, ჰყავს „უფალნი“ და ურჩევს მას: „დამორჩილება უფალთა უთქვამს და ვითის ენასა“<sup>292</sup>. ეს დავითი — ძველი მეფესალმუნე მეფეა, ხოლო უფალნი — მეფე ქვეყნიური (აქ: შაჰი) და მეუფე ზეციური (ამის შესახებ იხ. ზემოთ). ამასთან დაკავშირებით გურამიშვილი აფორისტული სიმარჯვით გამოთქვამს პატრონყმური საზოგადოების პრაქტიკულ სიბრძნეს „შენ თუ შენს უფალს არ უსმენ, ნურც შენს მონას ექვ სმენასა“ (65, 279,4). მას ეხატება ფეოდალურ-იერარქიული კიბე, რომელზეც სულ ზემოთ ზის შაჰი, ქვემო საფეხურზე ვახტანგ „გურჯისტანის ვალი“ და მის ქვემოთ კახთბატონი. ფრიად საყურადღებოა აქ გამჟღავნებული შეგნება ქართლის უპირატესი მდგომარეობის შესახებ საქართველოში.

მთელი ამ „ჰზნეთსწავლულების“ მთავარ აზრს კი მეფე კონსტანტინესთვის შეადგენდა ქართლის შენარჩუნების საჭიროება.

რაც შეეხება ქართლისთვის ატეხილ საბედისწერო ომს (1723 წ.), რომელსაც მეტადრე ვახუშტი დაწვრილებით აგვიწერს<sup>293</sup>, გურამიშვილი მის შესახებ ზოგ დეტალს აღნიშნავს. ომის ასპარეზი, საერთოდ ფართო (თბილისი, ტაბახმელა, მცხეთა და სხვ.), „ქართლის ჳირში“ დაკავშირებულია მხოლოდ „თიფლისთან“ (გურამიშვილი ალბათ რუსულ „ტიფლისს“ ჰბაძავს). აქ ნახსენები არიან ავლაბარი, ნარიყალა, რომელსაც „მიმბაში“ (მინბაში — ათასისთავი) იცავდა, შაისტახტი, ცხნის კარი<sup>294</sup>, მეტეხი და სიონი<sup>295</sup>. აღნიშნულია ის დიდი ნგრევა, რომელიც თავს გადახდათ ვაჰრებს, „მოქალაქეს“, „სომხებს“, როდესაც „კახებთან“ ერთად მათმა მოკავშირე „ჭარელებმა“ (ლეკებმა)

290 დავითიანი, 64, 269, 2.

291 ს. ჩხეიძე, გვ. 33.

292 დავითიანი, 65, 279, 3.

293 ვახუშტი, გვ. 127 და შშდ.

294 დავითიანი, 68, 302, 2—3.

295 იქვე, 53, 188, 2.



„წამოუხუნეს საქონელნი, სახლ-ღუქნები დააქცივეს“<sup>296</sup>. „ზოგი მოკლეს, ზოგი დასკრეს, ზოგს წაგვარეს საყვარელნი“<sup>297</sup>. ყოელივე ეს მოხდა იმავე თაჰმასბის წყალობით, გურამიშვილის სიტყვითაც — „მისგან შეირყა მეტეხი, მისგან დაიქცა სიონი“<sup>298</sup>. სეხნია ამ ცნობას დასძენს, რომ მაშინ „სიონთა ლუთისმშობელი“ დაიკარგაო<sup>299</sup>. ამრიგად „დანამარცხეს ქართველთ ჯარი, ვახტანგ მეფე გააქცივეს“<sup>300</sup>. თბილისი აღებულ იქნა 1723 წ. მაისში. სეხნია აზუსტებს ამბის თარიღს: ეს მომხდარა შაბათს, „სალხინოს დღეს“<sup>301</sup>.

ოსმალებმა ისარგებლეს საქართველოში შექმნილი ანარქიით. კონსტანტინე იძულებული გახდა თბილისის კლიტეები ოსმალთა სარდლისთვის ჩაებარებინა (1723 წ. ივნისსათუ ივლისში). ვახტანგს იმედი არ გადაუწყვეტია რუსებისგან დახმარების მიღებაზე, მაგრამ უარი არ თქვა თურქებთან მორიგებაზეც. მისი საერთო ხელმძღვანელობით (მისი საყრდენი იყო ცხინვალ-გორი) თურქებთან სცაღეს თანამშრომლობა ბაქარმაც და იესემაც. ვახტანგისთვის ეს თანამშრომლობა თითქოს მისაღები ჩანდა, რადგან ლეკიანობას, რომელმაც მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დიდი შიშიანობა გამოიწვია, დაუპირისპირდა თურქობაც, მის ჩასახშობად აღიძრა ოსმალოც.

საქმე მაინც დასრულდა ვახტანგის ხელმძღვანელობის დაცემით. სათურქო გადასახადები, თბილისის ფაშის უზომო მოთხოვნები აუტანელ ტვირთად დააწვა ქართველ ხალხს. ბაქარი გაიქცა თბილისიდან ვახტანგთან. თბილისის ბედი მალე გორმაც გაიზიარა, მსაც ოსმალო დაეუფლა<sup>302</sup>. ვახტანგმა თავის მხრივ, რადგან მწარედ განიცადა მთავრების, მათ შორის ქსნის ერისთავის, ორგულობა, ვახუშტის ბუნდოვანი გამოთქმით — რა „იხილა მეფემან ესევეთარებანი ქართველთა, იწყო სხვისა განზრახვა“<sup>303</sup>. შემდეგ დატრიალებული ამბები უკარანახებენ მკითხველს ვახუშტის სიტყვების ნამდვილ აზრს: ვახტანგმა განიზრახა სამოქმედო ასპარეზი დროებით რუსეთს გადაეტანა, იქაურ ხელისუფლებასთან დაემყარებინა უშუალო კონტაქტი და იქიდან გამოსძლოლოდა ირან-ოსმალეთზე ამხედრებულ ჯარს. ცნობილია, რომ ვახ-

296 იქვე, 69, 304, 2; 69, 305, 1—2.

297 იქვე, 69, 304, 4.

298 იქვე, 53, 188, 2.

299 ს. ჩხეიძე, გვ. 36.

300 დავითიანი, 69, 305, 3.

301 ს. ჩხეიძე, გვ. 36.

302 ვახუშტი, გვ. 133.

303 იქვე, გვ. 132.

ტანგმა, დიდი ამალით, მართლაც დატოვა საქართველო (1724 წლის ივლისის თხუთმეტს<sup>304</sup>).

ვახტანგის სახლიდან ოსმალებთან თანამშრომლობა ერთ ხანს გაანგრძობ იესემ, რა „მიიქცა სჯულსა მათსა (სუნასა. — ვ. დ.) ზედა“<sup>305</sup>. ეს უკანასკნელი ფაქტი გურამიშვილმა თბილისის დაცემის ფაქტს შეაღებია:

ოსმალთ თიფლის[ს] შევიდა, კარები დახვდათ ღია რა,  
იესე მეფე მათ შერჩა, მათს მოძღვარს მან აღიარა;  
ვახტანგ რუსეთსა წაბძანდა, რაჟაზედ გაღაიარა (70, 312, 1—3).

ამრიგად, ორ პოლიტიკურ მეტოქეთაგან (ვახტანგი და კონსტანტინე) საქართველოში საბრძოლო ასპარეზს ჩამოსცილდა ვახტანგი. მაგრამ ამან შეება ვერ მოუპოვა კონსტანტინეს. სულ მოკლე ხანში გამოირკვა, რომ კონსტანტინეს პოზიციები ძლიერი იყო შერყეული თვითონ მის „მამეულ“ კახეთში, რომელსაც ირანელ-ოსმალთა თვალწინ დაეპატრონენ ლეკები. ვახუშტის ლაკონიური შეფასებით, „ლეკთა დაიპყრეს კახეთი, მაჰმადიან ჰყუნეს და დაუდგინნეს მოლანი მათნი დაბნებთა, ციხე-სიმაგრეთა შინა“<sup>306</sup>. ისე რომ, კონსტანტინე ერთ ხანს „ვერღარა შთავიდოდა კახეთს ლეკთა გამო, ვინაიდან მათ დაიპყრეს“<sup>307</sup>. ასეთმა ფაქტმა განაწყო გურამიშვილი ამ ტაეპის გასამართავად:

ქართლი ოსმალთ დაიპყრა, კახეთი ლეკთა მოლაშა (71, 323, 2).

ამ მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებით მკითხველის ყურადღებას იპყრობს ერთი დეტალი, რომელიც განმარტებას მოითხოვს.

ვახუშტის უწყების თანახმად, თბილისის დაცემისთანავე კონსტანტინე აღმოჩნდა ლეკთაგან დევნილი. მან ჯერ ამაოდ სცადა განჯაში თავის შეფარება<sup>308</sup>. იქიდან „წარმოვიდა კახეთს, არამედ, — წერს ვახუშტი, — აქენდა შიში ლეკთაგან და ივლტოდა ღამე მტკვრის კიდესა ეტიკობითა ტურასითა და მოვიდა საგარეჯოს“. აქ ყველაფერი ნათელია: კონსტანტინემ ლეკთა მძლავრების პირობებში დაქარგა საშუალება კახეთში, უკეთ, შიდა კახეთში, მაშასადამე თელავშიც, შესვლისა და ამიტომ (ხაზგასმით აღვნიშნოთ ეს) „მოვიდა საგარეჯოს“. მაგრამ მივყვით ისევ ვახუშტის სიტყვებს, სადაც ჩვენ ვპოულობთ ერთ გარკვეულ შეუსაბამობას. „მაშინვე, — წერს ვახუშტი, — მოადგნენ ლეკნი (საგარეჯოს. — ვ. დ.), და ვერღარისა მყოფელი (კონსტანტინე.—

304 იქვე, დანართი („ქორონიკონები“) გვ. 387.

305 იქვე, გვ. 133.

306 იქვე, გვ. 211.

307 იქვე, გვ. 212.

308 იქვე, გვ. 211.

ვ. დ.) განივლტო ლამით და მივიდა თ ე ლ ა ვ ს (?! — ვ. დ.) და განამაგრა იგი. ხოლო ლეკთა დაიპყრეს კ ა ხ ე თ ი, მაჰმადიან ჰყუნეს და დაუდგინნეს მოლანი მათნი დაბნებთა, ციხე-სიმაგრეთა შინა<sup>309</sup> გამოდის, რომ კონსტანტინემ ვერ შებედა კახეთში, იგი მას გაეცალა და, საკითხავია, ეს რაღას ნიშნავს: „მივიდა თელავს და განამაგრა იგი“? იქვე, ტექსტის მომღვეწო ათი სტრიქონის გამოტოვებით, კვლავ იკითხება: კონსტანტინე „ვერლარა შთავიდოდა კახეთს ლეკთა გამო, ვინადგან მათ დაიპყრეს“<sup>310</sup>. ცოტა ქვემოთ ამბის გაგრძელებად მოთხრობილია, თუ როგორ უშველეს საკუთარ თავს „თელაველებმა“, როგორ უკუაქციეს მათ თელავის კედლებიდან ლეკთა რაზმები და, შემდგომ ამისა, როგორ „მოუწოდეს მაჰმად-ყული-ხანს“ ამ მისგან მიტოვებულ რეზიდენციაში. მოწოდების შედეგად კი კონსტანტინე „ჩამოვიდა, და დაემორჩილნენ ყოველნი (მას, უკვე. — ვ. დ.) თელავს მყოფს“<sup>311</sup>.

ჩვენ საგანგებოდ შევამოწმეთ ვახუშტის ისტორიის შემცველი ხელნაწერები<sup>312</sup> და დადასტურდა, რომ ჩვენ მიერ შენიშნული შეუსაბამობა თვითონ ხელნაწერებიდან მომდინარეობს. მკითხველის სასიამოვნოდ, აღნიშნულ გაუგებრობას ბეჯითად ასწორებს დავით გურამიშვილი. თუ ჩვენ კვალში მივყევებით მოვლენათა განვითარებას, როგორც ის წარმოდგენილია ვახუშტისთან, ერთი მხრივ, და „დავითიანში“, მეორე მხრივ, ნათელი გახდება, რომ, ალბათ „კალმის შეცდომით“ ვახუშტის მოთხრობაში, „თელავი“ უადგილო ადგილას შეენაცვლა მეორე გეოგრაფიულ სახელს — „თვალის“. მართლაც, გურამიშვილმა კარგად იცის, რომ კახეთიდან გაქცეული თავი კაცები და თვითონ მეფეც შეხიზნული იყვნენ მთაში:

კახმა ბატონმა მიმართა ფშავ-ჭევსურეთის კიდესა,

კახთა ცოლ-შვილით თ ე ა ლ ი ვ ს ა მძლიე ფეკი მოიკიდესა  
(70, 313, 1—2).

თვალისი მდებარეობს თიანეთის წყლის სათავესთან<sup>313</sup>. ჩვენი დასკვნით, მაშასადამე, ვახუშტის შრომის მითითებულ ადგილას უნდა წავიკითხოთ: კონსტანტინე საგარეჯოდან „განივლტო ლამით და მივიდა

309 იქვე.

310 იქვე, გვ. 212.

311 იქვე.

312 იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, ავტორგრაფი (ხელნაწ. № 103, დაცულია საქ. ცენტრარქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში), გვ. 199: „და მივიდა თელავს“. იხ. აგრეთვე ხელნაწერი S 4990, დაცული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში: ვ ა ხ უ შ ტ ი, ანუ ისტორია გეორგიისა, გვ. 378; „და მივიდა თელავს“.

313 ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 91.

თვალის (არა თელავს! — ვ. დ.) და განამაგრა იგი. ხოლო ლექთა დაიპყრეს კახეთი“.

მაგრამ ყველაფერი ეს, ოსმალების წარმატებაც და ქართლ-კახეთის დამარცხებაც, პირობითი და მერყევი ჩანდა.

თურქთა მძარცველური მმართველობა და დაღესტნელ ფეოდალთა თარეშები ერთიმეორეს ემატებოდნენ. ურთიერთ მეტოქე დაჯგუფებანი, ოსმალთა მომხრეები თუ ირანელთა მედროშენი, ისე როგორც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მხარეც, ყველანი მწვავედ განიცდიდნენ ამ საერთო ძნელებლობას, მეტადრე ეკონომიკურ სიძნელეებს. საერთო გაჭირვებამ ოსმალთა წინააღმდეგ გააერთიანა ირანული ორიენტაციის მიმდევრები (კონსტანტინე) და ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შინ, საქართველოში დარჩენილი ხელმძღვანელები, რომელთაც მეთაურობდა გივი ამილახორი<sup>314</sup>. ამ პოლიტიკურ გაერთიანებაში კონსტანტინე, საფიქრებელია, საქმისთვის დიდ დანაკლისად თვლიდა, რომ გვერდით აღარ ჰყავდა ვახტანგის ძე ბაქარი (რომელიც, როგორც ზემოთაა აღნიშნული, მამას გაჰყვა რუსეთში). მაშინ როდესაც გივი ამილახორი კონსტანტინესთან დააკავშირა მხოლოდ ოსმალების მტრობამ, ბაქარი, როგორც ჩანს (საკითხი კიდევ საკვლევი), იყო საერთოდ იდეური თანაგანმზრახი კონსტანტინესი. ამის მტკიცებისათვის საბუთს იძლევა ისევ გურამიშვილი, ისევ ზემოთ მოყვანილი მისეული ტაეპი, რომელშიც ასე არიან დახასიათებული ვახტანგი და მისი ძე ბაქარი: „მამა რუსეთს იზიდევდა. შვილი ყეენისა კარა“ (57, 219, 2). საერთოდ, ბაქარის უქმყოფილო ჩანს სულხან-საბაც<sup>315</sup>.

აღბათ ბაქარის ასეთმა პოლიტიკურმა პოზიციამ იყო, რომ იგი კონსტანტინესთან, მამამისის მეტოქესთან, აშკარად დააკავშირა ოსმალების გაბატონების უამს. სახელდობრ, როცა ბაქარმა, მამის მსგავსად, თბილისი დატოვა (სამუდამოდ, როგორც ეს მერმინდელმა ამბებზეა გამოაჩინა), იგი და მაჰმად-ყული-ხანი, იგივე კონსტანტინე, ერთმანეთს მცხეთაში შეხვდნენ, სადაც მათ „ჰყვეს აღთქმა, ერთობა სიყვარულისა და წარვიდენ თვის-თვისად“<sup>316</sup>.

ოსმალების წინააღმდეგ დარაზმული ძალები ბედის საცდელად ამხედრდნენ კონსტანტინეს მეთაურობით. ეს მოხდა ვახტანგის საქართველოდან გასვლის შემდეგ. 1724 წელს, საბუთი გვაქვს ვიფიქროთ,

314 ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა (1500—1810 წწ), ტფ., 1922, გვ. 149.

315 ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში. თბულებანი, ტ. I, თბ., 1959, გვ. 245.

316 ვახუშტი, გვ. 133.

იელისის მეორე ნახევარში, ნიშანში იყო ამოღებული ციხე-ქალაქი გორი. ის დიდი ბრძოლა გორისათვის, რომელიც მაშინ აჯანყებულმა ქართველმა ხალხმა მწვავე ტყვილებით გადიტანა, ისტორიაში დაუკავშირდა ორი გეოგრაფიული პუნქტის სახელს: თედოწმიდისას და ზედაველისას. ომის აღმწერი ვახუშტი ასახელებს სწორედ თედოწმიდას (საომრად გაწყობილი ქართველები „დასდგენ თედოწმიდას“) <sup>317</sup>, მაგრამ თავის „ქორონიკონებში“ კი ავტორს აღნიშნული აქვს, რომ ქართველნი ოსმალთ „შეებნენ“ ზედაველაზე <sup>318</sup>. მ. ბროსემ ვახუშტის სათანადო ტექსტის ფრანგულად თარგმნისას სქოლიოში აღნიშნა, რომ „ზედაველა“ მხოლოდ ვახუშტის „ქორონიკონებში“ („Dales“) არის მოხსენიებული. <sup>319</sup> სპეციალისტთაგან ბროსე იყო პირველი, რომელმაც გამოიყენა გურამიშვილის „დავითიანი“, როგორც საისტორიო წყარო. იგი ამ ქმნილებას ყოველთვის დიდი ინტერესით ეყილებოდა; ოღონდ მას, ეტყობა, მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ გურამიშვილი იცნობს ზედაველას და მის სამხედრო თავგადასავალს. ამასთან ერთად ჩვენ სწორად მიგვაჩნია ბროსეს მოსაზრება, რომ ჰამერის მიერ აღწერილი 1724 წლის ომი უნდა ყოფილიყო იგივე ზედაველაში. ჰამერი ფრიად საყურადღებო ფაქტებს უმატებს ვახუშტის ცნობებს ჩვენთვის საინტერესო სამხედრო ეპიზოდის შესახებ. ვახუშტის ცნობები ეხება, კერძოდ, ქართლის სამეფოს ლაშქრის მოკავშირეთა ერთ ნაწილს („კახნი, თუშნი, ფშაენი და ხევსურნი“), მაშინ როდესაც, ჰამერის მიხედვით, ქართლის ჯარს მოკავშირეები სხვა მხრიდანაც მოსვლია (იხ. ქვემოთ). აღნიშნული ორი წყაროს საფუძველზე მკითხველს ასეთი სურათი წარმოუდგება.

როდესაც საომრად „შეკრბნენ ქართველნი“ (ქართლები), მათ თავის მოკავშირედ კახეთიდან „მოიყვანეს მაჰმად-ყული-ხან კახით, თუშით, ფშაველ-ხევსურითა და დასდგენ თედო-წმიდას“ <sup>320</sup>. თედოწმიდა, როგორც ეს ნაჩვენებია აქვს ვახუშტის, მდებარეობს „გორს ზეით, კარალეთის პირისპირ, ლიახვის დასავლით, რუისის მთის ძირს“ <sup>321</sup>. ბუნებრივია, რომ თუშ-ფშაველ-ხევსურნი და კახნი, რუსთველის სიტყვით თუ ვიტყვი, გორს მოეჯარნეს ამ მხრიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. მაგრამ ლაშქრის სხვა ნაწილები, ჩანს, ქალაქს მისდგომიან სამხრეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სახელდობრ ზედა-

317 იქვე, გვ. 134.

318 იქვე, გვ. 387. სამაგიეროდ ვახუშტი აქ აღარ ახსენებს თედოწმიდას.

319 Histoire de la Géorgie. II, 1, p. 125, n. 2.

320 ვახუშტი, გვ. 134. მითითება ნახე: დ. ღონღუა, დავითიანის ტექსტის დაზუსტებისათვის, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1956, № 1, გვ. 55.

321 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 75.

ველას მხრიდან. ზედაველას დავაყების მდებარეობა კარგად არის დადგენილი<sup>322</sup>. ერთ-ერთი განმარტების თანხმად, ის გაშლილია მტკვრის მარჯვნივ, ხიდისთავსა, ქვახვრელსა და დოესს შორის<sup>323</sup>. ზედაველაზე უნდა მომხდარიყო გადამწყვეტი მნიშვნელობის ბრძოლა. გურამიშვილმა ამ ბრძოლას ოთხი ხანა მიუძღვნა (314, 315, 316 და 317). მართალი უნდა იყვნენ მკვლევრები, როდესაც ფიქრობენ, რომ გურამიშვილი თვითონაც იღებდა მონაწილეობას ამ ომში<sup>324</sup>. აღნიშნულ ადგილას გურამიშვილი წერს: „არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატევით“. თუ ჰამერი მართლაც გულისხმობდა ომის ამ ასპარეზს, მაშინ ჩვენ მივიღებთ, რომ ზედაველაზე გადმოსროლილი იყვნენ, ქართველებს გარდა, აზერბაიჯანელებიც. ჰამერის მოწმობით, მაჰმად-ყული-ხანმა, როდესაც ის ირანელებმა იხმეს საშველად, აღჯაყალაში (ხუნანი) მსწრაფლ თავი მოუყარა ათი ათასზე მეტ ქართველ მეომარს; ხოლო ამათ, გორის ციხეზე იერიშის მისატანად, შეუერთდნენ ჯარები განჯისა, შამშადილუსი (des Chemseddinis) და ლექთა<sup>325</sup>. მაჰმად-ყული-ხანს, როგორც ერეენის ბატონს, ალბათ სომხებიც შევლოდნენ. ომის მსვლელობაში ჯერ ქართველ ლაშქარს ხვედრია გამარჯვება: „მათ ჩვენმა ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შატევით“<sup>326</sup>. ამას მოწმობს ვახუშტიც: როდესაც ოსმალებმა შეიტყვეს ქართველთა ლაშქრის მოძრაობის შესახებ, მათ, გორის საშველად დაძრულებმა, თან „წარმოიძღვანეს იესე საბარათიანოს სპითა და წარმოვიდნენ. ხოლო ქართველნი მიეგებნეს გუფთას, ეკვეთნენ, და ივლტოდენ ურუმნი“<sup>327</sup>. ამ ცნობის ჩამწერი ვახუშტი სხვაგან, გუფთის ადგილმდებარეობას უჩვენებს ლიახვის ხეობაში<sup>328</sup> და უთუოდ გულისხმობს იმ ადგილს, სადაც თანამედროვე რუკებზე აღნიშნულია დიდი გუფთა (შტირგუფთა), ლიახვის მარჯვენა მხარეზე ფაწას შესართავთან. ცხადია, ეს ის გუფთა არ არის, ქართველებისაგან თურქების დამარცხება უთუოდ უნდა მომხდარიყო იმ, სხვა გუფთასთან, რომელსაც ასახელებს პაპუნა ორბელიანი (XVIII ს.). 1743 წლის ამბებთან დაკავშირებით, როდესაც ქართლის ქვეყანაში გრძელდებოდა ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლა, „ხანი ქართლისა (ალი-ხან. — ვ. დ.) წავიდა, — მოწმობს პაპუნა ორბე-

322 ე. შ ა ი ს უ რ ა ძ ე, ზედაველა.

323 დ. დ ო ნ დ უ ა, დავითიანის ტექსტის დაზუსტებისათვის, გვ. 56.

324 ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დავით გურამიშვილი, ბიოგრაფიულ-კრიტიკული ეტიუდი, გვ. XII. დავითიანი, ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით; ვ. ლ ე ო ნ ი ძ ე, დავით გურამიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1956, გვ. 7.

325 Histoire de la Géorgie, II, 1, p. 125, n. 2.

326 დავითიანი, 70, 316, 3.

327 ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 134 (ურუმებად იწოდებიან ოსმალო თურქები).

328 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 77.

ლიანი, — მივიდა ატენის ბოლოს, გუფთის მინდორში გააკეთებინა სანგრები, დადგა მაშვიგა“<sup>329</sup>.

გუფთასთან დამარცხებული და გაქცეული თურქები იესემ უკან მოაბრუნა და ისევ საომარ მწყობრში ჩააყენა. ჩანს, აქ თავისი „ძალა“ გამოიჩინეს იმ ჯარებმა, რომელნიც, ჰამერის ცნობის თანახმად, თურქებმა გორს მიაყენეს რეჯებ-ფაშის (თბილისი), იუსუფ-ფაშის (გორის ციხისთავი) და ისაყ-ფაშის (ჩილდირი) მეთაურობით<sup>330</sup>. ამ ფრაგმენტული ცნობებიდანაც კარგად ჩანს, რა უწყალო დაწოლა განიცადა გორის გასათავისუფლებლად მახვილამოწვედილმა ქართველმა ლაშქარმა. ასპარეზიდან გაქცეულ გივი ამილახვარს, რომელმაც თან „წარმოიყვანა“ მაჰმად-ყული-ხანი, „მოყუნენ ოსმალნი“ კვალდაკვალ, ქართველები თუ მათი მოკავშირეები „მოსწყვიტნეს ესოდენ, რამეთუ თავნი ურმებითა წარიღო (სამშობლოს მოლალატემ. — ვ. დ.) ერასტი ყაფლანის შვილმან ტფილისს რაჯაბ-ფაშისა თანა“<sup>331</sup>.

ვაი იმ დღეს! ოსმალნი ბევრს უბრალოს სისხლსა ღერიდენ,  
საცა შეხედისთ მუშა კაცი, გლახა-მწირსა თავსა სჭრიდენ

(71, 317, 1—2).

ამრიგად, თურქებმა „დაიპყრეს ყოველი ქართლი“<sup>332</sup>. ამის შესახებ დაუწერია გურამიშვილს:

მათ ჩვენმან ჯარმან აჯობა პირველ მისვლანზე შატეით,  
და მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნალალატეით

(70, 316, 3—4).

ზედაველას ომის შემდეგ ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა აღრინდელზე უფრო დამძიმდა. იესე თბილისის ფაშის ნების ამსრულებელ მოხელედ იყო ქცეული. მოსახლეობას ავტორიტეტული ხელმძღვანელობა და დამცველი აღარ ჰყავდა. თურქებმა ქვეყანას მძიმე გადასახადები შეაწერეს. კათალიკოს დომენტის ცდა, ჰირსიუფლობა გაეწია ქართლისათვის, ფუჭი აღმოჩნდა. კათალიკოსი ოსმალურმა ტყვედ იგდეს და ტენედოსის („თენადოს“) კუნძულზე მოათავსეს<sup>333</sup>. მაჰმად-ყული-ხანი (კონსტანტინე), როგორც იტყვიან, ბორგავდა, შაჰის ერთგულებაში მყოფმა, მან მცირე ხნით კიდევ აღიდგინა კახეთის მეფობა. სიცოცხლის ბოლო წლებში, მსგავსად იესესი (გარდაიცვალა 1727 წ.), მან უგულებელყო შაჰის შერყეული ხელმწიფება

<sup>329</sup> პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჰიქინაძის გამოცემა. თბ., 1913, გვ. 76. თარიღი 1743 წ. აქ ნაგარაუდუვი გვაქვს კონტექსტის მიხედვით.

<sup>330</sup> Histoire de la Géorgie, II, 1, p. 125, n. 2.

<sup>331</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 134.

<sup>332</sup> იქვე.

<sup>333</sup> იქვე, გვ. 135.

და ოსმალებს მიეკედლა. ოსმალოს სარდლობის გეგმის თანახმად ის, დაღესტნელი რაზმების მიერ ზურგგამაგრებული, თავზე საომარ მებს აყრიდა არაგვისა და ქსნის ერისთავებს, საამილახოროს (ლიახვის ხეობაში). მისი მოკავშირე დაღესტნელი ბელადები, მისგან ხელგახსნილები, თამამად დათარეშობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ყოველ კუთხეში. ვახუშტის მოწმობით, კონსტანტინე პირობის თანახმად იღებდა მათი ნალაფევის ხუთისთავს<sup>334</sup>. საქმე გათავდა თურქების მომდურებით და კონსტანტინეს სიკვდილით დასჯით (1729 წ.)<sup>335</sup>. როგორც საქართველოში, ისე სომხეთშიც მას ავი სახსოვარი დარჩა<sup>336</sup>.

გურამიშვილიც მისი ტრაგიკული ბოლოს აღსანიშნავად არ მოერიდა ირონიას:

კახს-ბატონს კონსტანტილესა საქმე მოუკდა ყალათი,  
ტანთ ხვანჭრის ქურჭი ჩაიკვა, დასთმო ყუენის ხალათი;  
მტერს დამორჩილდა ნებითა, ველარა ქნა რა ძალათი,  
და მიენლო, თავის თავზედა აკმარებინა ჟალათი.

(71, 322).

ფაქტობრივად, 1723 წელს თბილისის დაცემით დასრულდა გურამიშვილის მიერ ასე ბრძნულად და ცოცხლად ასახული ხანა საქართველოს ისტორიისა. დასრულდა, კერძოდ, ქართველ ბაგრატიონთა დინასტიური ერთი შტო, ისე როგორც „მეპატრონე“ ირანშიც შეწყდა გოროზ სეფიან შაჰთა დინასტიაც. საქართველოს ისტორიაში ზემოთ ნაგულისხმევ ხანას მოჰყვა ქართველი ხალხის ცხოვრების მომდევნო ხანა — დრო ქვეყნის ახალი აღორძინებისა და ევროპული გზით განვითარებისა. ამ ხანაში მოღვაწეობდნენ უკვე ზემოთ მოხსენიებული თეიმურაზი, მისი ძე ერეკლე II და მათ თანამებრძოლთა ახალი თაობა, გამაგრძელებელი ვახტანგის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის საუკეთესო ტრადიციებისა.

თბილისის დაცემის შემდეგ მომხდარი „ქართლის ჭირში“ აღწერილი ფაქტები გარეპოლიტიკური ისტორიის მიხედვით უკავშირდებიან ირანში ნადირ-შაჰის გაძლიერების პერიოდს, ხოლო ეს ფაქტები, შეიძლება ითქვას, უფრო განეკუთვნებიან სწორედ თეიმურაზ-ერეკლეს მეფობის დასაწყის ხანას. სხვა სიტყვით, ისინი არ შეადგენენ იმ ხანის „ორგანულ“ ნაწილს, რომელსაც „ქართლის ჭირში“ მაინცდამაინც

<sup>334</sup> იქვე, გვ. 213.

<sup>335</sup> იქვე, გვ. 136, 137, 213. კონსტანტინეს სიკვდილის თარიღის გამო იხ. წერილები, ს. ჩიქოვანის, გ. ნატროშვილის („ლიტერატურული გაზეთი“, № 26, I, VII, 55); გ. ლეონიძის („ლიტერატურული გაზეთი“, 22. VII. 55; 12. VIII. 55).

<sup>336</sup> Петрос ди Саргис Гиланенц, Дневник осады Испагани афганами, с. 44.



თავისი გამოსახულების მთლიანობა ახასიათებს. ამისგან დამოუკიდებელი „ქართლის ჳირი“ ამ ნაწილშიც ისევე საინტერესოდ იკითხება, როგორც წინა ნაწილში.

ცნობილია, რომ ვახტანგი დიდი ამალით, კერძოდ, სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით, რუსეთს გადასახლდა, შეუერთდა მოსკოვის კოლონიას (1725 წ.). უფრო გვიან იქვე ჩავიდა დალესტინის ტყვეობიდან გაქცეული გურამიშვილიც (1729 წ.).

რუსეთის დედოფლის ანა ივანეს ასულის დასტურით, ვახტანგი და ბაქარი, იმედოვნებდნენ რა, რუსეთი მალე შეძლებდა საქართველოს განთავისუფლებას, ჩრდილოეთიდან (მარშრუტი: პეტერბუხი — მოსკო — ედილისპირეთი) გამოეშურნენ სამხრეთისაკენ, მათი ვარაუდით, ისინი დაუკავშირდებოდნენ კასპიისპირეთზე (დარუბანდი — ბაქო) გამაგრებულ რუსის სარდლობას. ამას გადმოგვცემს გურამიშვილი<sup>337</sup>. ისინი ალბათ მოადგნენ ასტრახანს 1736 წ. (იხ. ქვემოთ). გურამიშვილიც, მოსკოვის ქართველთა კოლონიაში ჯაბადარბაშად<sup>338</sup> განწესებულ ი, ამ ექსპედიციაში მონაწილეობდა („ნაწილი ჩავსხდით და წავედით“<sup>339</sup>). მაგრამ ჯერ ასტრახანს („ზღვათა ბაგემდის“) არ იყვნენ მიღწეული, როდესაც, გზაში, შემოეყარათ სვიმონ აბრამიშვილი<sup>340</sup>. ამისგან ეუწყათ მათთვის თავზარდამცემი, მაშინ უკვე მოძველებული ფაქტი: „შამახია თამაზ-ხანმა დაიჭირაო“<sup>341</sup>, მაშასადამე, თურქების ბატონობას ისევ ირანი იჩემებდა. შეძრწუნებული ვახტანგი მიენდო ბედს და უკეთესი მომავლის მცირედი იმედით დარუბანდში „ჩამოხდა“. იქ, „დარუბანდს“, ქართველი მეფე ზეიმით მიიღეს: „რუსთა ზარბაზნის შილინგით გარს ცეცხლი მოუკიდესა“<sup>342</sup>. გურამიშვილის ამ ცნობათა შემოწმება ადვილია: სვიმონ აბრამიშვილი („აბრამოვი“) იყო რუსეთის სამსახურში — ელჩი, ანუ რეზიდენტი, ირანში.

შაჰის სარდალმა თაჰმასპ-ყული-ხანმა (თამაზ-ხანმა) როცა დაიბრუნა ოსმალეთისაგან მინატაკები მიწები, „გაათავისუფლა“ აღმოსავლეთი საქართველოც, ჩრდილოეთი სომხეთიც, აზერბაიჯანიც, სადაც 1734 წ. მართლაც დაიჭირა (და დააქცია) შემახა.

გურამიშვილი თამაზ-ხანის საქმეებს დაწვრილებით განიხილავს. ეს სარდალი — „იყო ერთი თარაქამა ელთა თავი ხვარასნელი“<sup>343</sup>, ნამ-

337 დავითიანი, თავი ლმ, 95, 487 და 95, 488.

338 იქვე, 94, 476.

339 იქვე, გვ. 95, 488, 1.

340 იქვე, 95, 489, 3.

341 იქვე, 96, 490, 1.

342 იქვე, 96, 495, 4.

343 იქვე, 97, 497.

დვილ სახელად ნადირი, „ნადი-ყული“<sup>344</sup>. წყაროების მიხედვით, ნადირ-ყული, ტომით ავშარი (ყიზილბაში, ირანის აზერბაიჯანიდან) მართლაც დაბადებულა ხორასანში<sup>345</sup>. გურამიშვილი სწორად აღნიშნავს, რომ ამ ძლიერმა და შემმართველმა სარდალმა სულ დაჩრდილა თავისი მბრძანებელი (შაჰ-თაჰასიბი, გურამიშვილთან — შაჰ-თაჰაზი<sup>346</sup>). შაჰმა ის „ვით ბრძამ, წინა აღიმძღვარა“<sup>347</sup>. ნადირმა მორჩილების ნიშნად დაირქვა „თაჰმასიბის მონა ხანი“, სპარსულად „თაჰმასბ-ყული-ხან“, გურამიშვილთან — თამაზ-ხანი. მერმე თავისი მბრძანებელი ტახტიდან გადააგდო, თვალის ასახვევად შაჰად გამოაცხადა რვა თვის შემკვიდრე აბასი (1732—1736 წწ.<sup>348</sup>), ხოლო 1736 წ. შაჰად თვითონ გამოცხადდა ნადირ-შაჰის სახელით<sup>349</sup>. მისგან თაჰმასიბის ასეთი დაჩაგვრა გურამიშვილს სახოვანად აქვს აღწერილი (თავი ლთ).

ჩერ კიდევ 1734—1735 წლებში ნადირმა თავისი სამხედრო ოპერაციების შედეგად ერთბაშად შეცვალა ახლო აღმოსავლეთში, კავკასიაში სამხედრო პოლიტიკურ ძალთა განწყობილება, შეარყია თურქეთის ძლიერება, „გაათავისუფლა“ მათი ბატონობისაგან აღმოსავლეთი საქართველო—თეიმურაზისა და ერეკლეს უშუალო ხელმძღვანელობით (1735 წ.), აზერბაიჯანი, ჩრდილო სომხეთი და ა. შ. ამ პირობებში დედოფალმა ანამ თავის მხედრობას დაატოვებინა კასპიისპირეთი, იმ ორასწორი ვარაუდით, რომ ნადირი რუსეთს გამოადგებოდა მოკავშირედ ოსმალეთის წინააღმდეგ (განჯის ხელშეკრულება 1735 წ.). გურამიშვილი იცნობს ირანის ელჩს ხულუფას, რუსულ წყაროებში ხულუფამირზა-კათის, გულუფას სახელით ცნობილს<sup>350</sup>. გურამიშვილმა იცნა რომ ხულუფამ „პეტრებუხს“ გააბა მუშაობა მაშინ იქ მყოფი ვახტანგისა და ბაქარის წინააღმდეგ: „იმან სცნა ვახტანგ მეფისა საქმე და განძრახულობა“<sup>351</sup>. ჩვენ ვიცით, რომ ხულუფა პეტერბურგს ეწვია 13. IV. 1736 და ის 19. VI. 1737-ს ჩერ კიდევ იქ იმყოფებოდა<sup>352</sup>. ვახტანგისა და მისი ერთგულების სავალალოდ, წერს გურამიშვილი, გამჟღავნებუ-

344 იქვე, 97, 497, 1.

345 პეტრუშევი, დასახ. ნაშრომი.

346 დავითიანი, 97, 497, 3.

347 იქვე, 97, 498, 3.

348 Н. П. Петрушевский, Упадок феодального общества в Иране в XVIII в., с. 317.

349 იქვე, გვ. 319—320. მერმე უფლებაყრილი ეს უკანასკნელი წარმომადგენლები სეფიანთ დინასტიისა დახოცეს (იქვე).

350 ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 35 და შენ. 2 და 3.

351 დავითიანი, 98, 505, 3.

352 ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 35.

ლა ვახტანგისა და ბაქარის სამხედრო-პოლიტიკური გეგმა — ანა დედოფლის ლაშქარს სათავეში ჩადგომოდნენ, შემახა გაეთავისუფლებინათ ვითომ თურქთაგან და აქედან შედგომოდნენ საქართველოს განთავისუფლებას<sup>353</sup>.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ვახტანგმა და ბაქარმა მაშინ კიდევ არ იცოდნენ, რომ თურქები უკვე ირანელთა მიერ იყვნენ იქიდან განდევნილი. ალბათ მათ მაშინ კიდევ არ იცოდნენ, თუ უკვე როგორ მტკიცედ იპყრობდნენ ქართლ-კახეთში პოლიტიკურ სახელმძღვანელო პოზიციებს თეიმურაზი და ერეკლე. მამა-შვილი მაშინ უკვე თავდადებული იბრძოდნენ ნადირის დროშის ქვეშ, ნადირის სამხედრო-პოლიტიკური წარმატებების ქართლ-კახეთის სსსარგებლოდ გამოსაყენებლად.

როგორც ვიცით, მხოლოდ გზაში, ასტრახანის ახლოს, ვახტანგმა და ბაქარმა ვაიგეს კავკასიაში მომხდარი ახალი, მათთვის საეაღლო ამბები. გურამიშვილი გზა-გზა არ ტოვებს კავკასიაში მოვლენათა განვითარების ზოგ სხვა დეტალსაც. მან იცის, რომ ნადირმა „განჯის კარები დამუსრა“ („ზალაყინისა ჭეკითა“)<sup>354</sup>, ესე იგი დაატოვებინა ის თურქებს (1735 წ.). ოსმალებმა, როგორც აღნიშნული აქვს ხატოვანი ენით ავტორს, „თიფლისი ნებით დაცალეს, გავლეს ბეცებით, ჯეკითა“<sup>355</sup>. ზემოთაც ნაჩვენები იყო, თუ როგორ მოითხოვა ნადირმა სოლალის (სულაქის), დარუბანდის, ბაქოს დაცლა, ბაუ-დავლის აკრეფის უფლებაზე ხელის აღება. რუსეთის რწმუნებულმა („ველმწიფის გვამანსარია“<sup>356</sup>: ალბათ კომისარი) მისი მოთხოვნები დააკმაყოფილაო. ერთი სიტყვით, ნადირი იმხანად დიდ გამარჯვებას ზეიმობდა: „კლმით შეაშინა თურქეთი, დაღისტანი და ბუხარა“ (99, 516, 2).

ცნობილია, რომ ნადირის ეს თარეშ-წარმატებები მისთვის დასრულდა კატასტროფით: 1747 წ. ის შეთქმულებმა მოკლეს, როგორც სისხლში მოსერილი დესპოტი. ამ დროს ქართლ-კახეთი უკვე განიცდიდა თავისი მორიგი აღდგენის პროცესს, როგორც ორი სამეფო ორი მეფით (თეიმურაზი და ერეკლე).

ამრიგად, რუსეთს ვახიზნული ქართველი დინასტიისა და მისი თანამოსაგრეებისათვის 1736—1737 წლებში მთელი სიცხადით გამოირკვა. მათი საქართველოში დაბრუნების სიძნელე, თუ შეუძლებლობა. ყოველ შემთხვევაში, პირადად ვახტანგმა თავისი მისია იმხანად საბოლოოდ დასრულებულად ჩათვალა. მან არ მიიღო, გურამიშვილის ცნო-

353 დავითიანი, 98, 500, 3.

354 იქვე, 98, 509, 3.

355 იქვე, 98, 509, 4.

356 იქვე, 99, 514, 1.

ბის თანახმად, ნადირის წინადადება — დაბრუნებოდა საქართველოს, როგორც ისევ შაჰის ყმადნაფიცი მეფე: „არ წავიდა, არ მიენდო, მისი ყმობაც ითაკილა“<sup>357</sup>. მაგრამ მოსკოვს დაბრუნებაც ზედმეტად ჩათვალა, როგორც ჩანს, მელანქოლიასა და აპათიაში ჩავეარდნილმა, ბრძოლებში დაქანცულმა. გურამიშვილმა, თვითონ საქმის თანადამხდურმა, აღწერა ვახტანგის განშორების დრამატიზმით აღსაესე სურათი მისი ამალის იმ ნაწილთან, რომელიც ასტრახანიდან ისევ მოსკოვს ბრუნდებოდა (1736—1737 წ.) დიპლომატიური მუშაობის გასაგრძელებლად, ახალი ცდების ჩასატარებლად, ვინძლო ტახტი უკან დაბრუნებოდათ (თავი მ). ვახტანგი მალე გარდაიცვალა ასტრახანს (1737 წ.). ქართველი ხალხის საამაყო შვილის გარდაცვალება მის კირისუფალთაგან ყველაზე უკეთ გამოთქვა გურამიშვილმა:

ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო  
ლხინი, შვება და სიამე, სულ ჰირად ვაღაგვექცაო (106, 569, 1—2).

ვახტანგს სამარადისოდ გამოეთხოვენ მოსკოვის კოლონიის ქართველები ბაქარის მეთაურობით. „ქართლის ჰირში“ ამის შემდეგ რჩება ადგილები აღნიშნული კოლონიის შემდგომი ბედის მოკლედ აღსაწერად (თავი მგ), კოლონიის ცალკეულ წევრთა აქა-იქ მოსახსენებლად (ბაქარ ვახტანგის ძე, ტეტია ყაფლანისშვილი, ადამ ციციშვილი<sup>358</sup> და ზოგი სხვა), კოლონიის რუსეთის ომებში სხვადასხვა ფრონტზე მონაწილეობის მომენტების აღსანიშნავად. დაბოლოს, თვითონ დიდი დავით გურამიშვილის რუსეთში ჩატარებული სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობის აღსანიშნავად, მისი ცხოვრების ძვირფასი დეტალების ჩამოსათვლელად მოძმე უკრაინაში მისი ხანგრძლივი ცხოვრების მატრიანედან და ა. შ.

მაგრამ, რადგან ამ რიგის საკითხები, როგორც მკითხველი ხედავს, ერთობლივ მოსკოვის კოლონიის (ნაწილობრივ პეტერბურგის კოლონიის) ისტორიას უკავშირდება, ზოლო ეს ისტორია ჯერ კიდევ შესწავლის საგნად რჩება სპეციალისტების ხელში<sup>359</sup>, ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიერ დადებულ საზღვარს აღარ ვსცილდებით, „ქართლის ჰირის“ სხვა მონაცემებს სხვა საისტორიო საკითხებთან დაკავშირებით დავუბრუნდებით.

აქ გვრჩება მხოლოდ, დასკვნის წესით, ბეჯითად აღვნიშნოთ, „ქართლის ჰირის“ დამახასიათებელი საგულისხმო ნიშანი: თუ ამ ნა-

357 იქვე, 99, 518, 1.

358 იქვე, 106, 573, 2; 107, 578, 1—2.

359 იხ. დ. კოსარიკის, ალ. ბარამიძის, ს. ყუბანეიშვილისა და სხვათა ზემოთ მოხსენებული სათანადო მონოგრაფიული ნაშრომები.

წარმოების კითხვისას პირობით უგულებელყოფილი იქნებოდა მისი შაირსიტყვითი ფორმა, მისგან მივიღებდით კარგად გააზრებულ სამატრიანეო მნიშვნელობის ძეგლს იგი, პროზით გადმოცემული, შეძლებდა ქართულ საისტორიო მწერლობაში ჩარჩენილი ხარვეზების გარკვეული ზომით შეესებას.

დასასრულ, გურამიშვილის საოცრად მდიდარი ლექსიკაც მშენიერი ისტორიული წყაროა მკვლევრის ხელში.

პირველად დაბეჭდა 1060 წელს ცალკე წიგნად.

## ვახტანგ VI პოლიტიკური ორიენტაციის ძიებაში

კარგად ცნობილია, რა მდღევარე წლები ჰქონდა გატარებული ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს ირანში, რამდენი ზრუნვა და ფიქრი გადაუტანია მას იქ, თუ თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედის ძიებაში, თუ საკუთარი ოჯახის, ნათესავ-მეგობრების, მოძმეების ირანელ მტარვალთაგან სახსნელი გზების რჩევაში; რამდენი შიში და ტერორი უგემნია მას ისპაანს, ქირმანს ქართველი ხალხის თვითმყოფობის სარწმუნოების, კულტურის დაცვისათვის გადაგებულს სპარსულ მძიმე ტყვეობაში. ამის შესახებ ჩვენ საკმაოდ (თუმცა არა სრულად) გვაუწყებენ სხვადასხვა წყაროები, უცხოური და ქართული საბუთები, ისტორიები ვახუშტი ბაგრატიონისა და სეხნია ჩხეიძისა, ჩანაწერები სულხან-საბა ორბელიანისა, დაბოლოს — საკუთრივ ვახტანგის ლიტერატურული შემოქმედებაც.

ვეცნობით რა ამ უკანასკნელს წინამდებარე წერილისათვის ჩვენ იქ გამოვარჩევთ სწორედ ისპაანში ვახტანგისაგან შექმნილს ერთ ლექსად გაფორმებულ სათავეადასავლო, უკეთ — ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს, რომელიც მწერლობაში იცნობა სათაურით „სალბუნად გულისა“<sup>1</sup>.

ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ ამ ნაწარმოების საქმიანს, ერთგვარად დოკუმენტურ ხასიათს, ვაწვდით რა მის ცალკეულ ადგილებს მკითხველს, ჩვენმიერი კომენტარით — ვაწვდით დაჭერებულნი, რომ იგი, „სალბუნად გულისა“, შეძლებს ვახტანგისდროინდელ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ტრადიციულ დახასიათებაში შეიტანოს ზოგი ახალი მომენტი. ჯერ, წყაროს გარეგანი კრიტიკის ორიოდვე ძირითადი მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ — აღვნიშნოთ, ანუ, უფრო ზუსტად, მოვიგონოთ დიდ ლიტერატურაშიც დამოწმებული ფაქტი, რომ ჩვენი დამაინტერესებელი მცირე ძეგლი შექმნილია ვახტანგის ხელით 1712—1714 წლებს შუა, მამასადამე, — როდესაც ავტორი ქალაქ ისპაანს იმყოფებოდა და იქ უცდიდა თავისი დინასტიური უფლების უარყოფას ან აღიარებას შაჰის კარზე. ლექსის მკითხველს თვალში ეცემა, კერ-

<sup>1</sup> თვით ლექსი მისი ვარიანტებით იხ. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები. აღ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1947, გვ. 10—23. თექვსმეტმარცვლოვანი შაირით ნაწერი ლექსი შედგება 105 ხანისაგან.

ძოდ, ერთი დეტალი. იქ ნიშანდობლივ ნაჩვენებია, რომ ისპანს (ე. ი. ირანის შაჰების მაშინდელ საჯდომ ქალაქში) მყოფი ვახტანგი ბინადრობდა ვინმე ქუჩუქას, var. ქუჩუქოვის სახლში. აქ მდინარებდა მისი ტყვეობის უფრო ადვილ ასატანი პირველი ეტაპი (იგი მერმე გრძელდება შორს „მიგდებულ“ ქირმანს). ამანვე ვახტანგი ლექსავს: ბედმა, რომელიც ერთ დროს მალალებდა ქართლშიო, —

აწ დამსვა მართო, გასკვრიტეთ, ქუჩუქას სახლსა, სარებსა (66,4).

საინტერესოა, რომ ეს ქუჩუქა ვახტანგს სრული ფორმითაც დაუსახელებია იმავე ლექსის ვარიანტში: ბედმაო —

აწლავა დამსვა მართოა ქუჩუქოვისა სარებსა<sup>2</sup>.

აქვე შევნიშნოთ, რომ ამ ვილაც ქუჩუქოვის „პასპორტი“ თუ არ ჩანს, სამაგიეროდ, გვარის რუსული დაბოლოება მაინც ერთგვარ საორიენტაციო ცნობას გვაწვდის მისი ვინაობის განსასკელად. ქუჩუქოვის გვარსახელი კარგად ცნობილია ჩრდილო კავკასიის რუსობის ხანის ისტორიაში, რუსული წარმოშობის ქალაქებში. საკმარისია აღინიშნოს, რომ იმ ხანებში რუსთა ხელისუფლება ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა ღირსების ადგილობრივ მფლობელთა შორის თავის ერთგულ, მაშასადამე, გავლენიან გვარად განსაკუთრებით ქუჩუქოვების გვარს მიიჩნევდა<sup>3</sup>.

მკვლევარს არ იქნება თავში არ გაუფლვოს კითხვამ, თუ რა შემთხვევამ დააქავეშირა ვახტანგი ქუჩუქოვებთან, რა პირობებში დაბინავდა იგი ქუჩუქოვების სრა-სახლსაში („სახლსა, სარებსა“). ამ გვართან მისი ნაცნობობა იქნებ ჯერ კიდევ ქართლში ან „მთებში“ გაიბა. ჩვენ შეგვიძლია სხვაც წარმოვიდგინოთ (და არათუ ახლავე ვამტკიცოთ): იქნებ ქუჩუქოვების, როგორც ჩანს, მდიდრული სახლი ჩვეულებრივაც აძლევდა მარჯვე თავშესაფარს ისპანში გარედან ჩასულ ღიდ სტუმრებს. იქნებ იქვე იყო რუსი ელჩების ბინაც. მაგრამ მთავარი კითხვა ის არის თუ რას აკეთებდა იქ ვახტანგი, რას ფიქრობდა, რა აზრებს ამუშავებდა. ამის პასუხსაა, რომ ჩაკვირებული მკითხველი მკათიოდ გააჩრევს ჩვენს დამაინტერესებელ მცირე მოცულობის ვახტანგისეულ ნაწარმოებში.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 595.

<sup>3</sup> ცნობილი ლევაშოვის მიერ შედგენილ მასალებში ჩანან უუმუხის (?) ტომის მებატონეები — კერძოდ, სუნჯის თერგთან შესართავზე მდებარე სოფ. ბრაგუნის „მფლობელი“ მშები — მუღარ და ბამატ ქუჩუქოვები. საერთოდ, ეს გვარი რუსთა ქამაგირზე ირიცხებოდა, ყოველ შემთხვევაში, 1732 წლამდე და მერმეც (П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, т. I, СПб., 1869, с. 122, 130, 258 и др.).

გავიმეოროთ ზემოთ მოყვანილი ტაეპი (66,4): ბედმაო — „აწ დასვა მარტო, გასქვრიტეთ, ქუჩუქას სახლსა, სარებსა“. ქუჩუქოვის სახლი სახლად დარჩეს, — ჩვენ გვინდა განვექვრიტოთ უფრო საგულისხმო ფაქტი: მძიმე ფიქრებს მოუცავს მარტოობაში ვახტანგი, მას თვალწინ უდგას სამშობლო, თითქოს „კოჯრის ნიაესაც“ უშუალოდ განიცდის („რა სჯობს. მაისში ტფილისსა“, 27,1). თან გულს ძლიერად ეჭიდება მწუხარება, მოგონებები პოლიტიკურ აღრევაზე ქართლში, რომელსაც „დღესაც“ აღვივებენ „თვისტომნიც“, „სასყოლნიც“, „მოყვრებიც“, „რჯულთ ძმებიც“, „ძმებიც“, „ამხანაგებიც“.

სულ გამიმტერდენ მოყვასნი, აწ მოთხარ, კარგი ვინ არ ე?

(ესე იგი: „ქარგი რომელია ა?“. 78,3).

ქართლში შექმნილ სიტუაციაში ვახტანგს თავი სრულებით იზოლირებულად ჩაუთვლია. ასე დაბადებია მას სურვილი — მკაცრად შეეფასებინა თავისი მდგომარეობა, კარგად ჩაკვირებოდა საგარეო პოლიტიკას, მის მიმართულებას. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგისაგან მანამდე განვილილ გზაზე ეს პირველი შემთხვევა იყო მსგავსი უკუ მიხედვისა. მაგრამ ასე ცხადად, ასე უშუალოდ, თუ არ ჩვენს ძეგლში, არსად სხვაგან საკითხის მისმიერი კრიტიკა ჩვენ არ შეგვიმჩნევია.

აი ამ კრიტიკის, თვითკრიტიკის ხმა ჟღერს ტაეპში:

რა მწეე მიჯობდა სიბრძნითა თავი სხვარივად მეცადა

(85,4).

სხვარივად, და არა ისე, როგორც დღემდე გამოეცადა, რადგან აღრინდელი ცდების და ღონისძიებების შედეგი აგერ, სავალალოა:

ბელი, სეე და სპა და ჯარი — ყველა მექმნა განახლად (83,3),

— განახლად ისე, როგორც რამე სამოსელი, რომელიც კაცისათვის ბოროტმოქმედებს გაუძვრიათ.

ვახტანგი აქვე იძლევა ცნობას, მაინც კონკრეტულად რომელი მისი ცდა, პოლიტიკური ხაზი ეჩვენება მას ფუჭი და უშედეგო:

ბელი, სეე და სპა და ჯარი — ყველა მექმნა განახლად (83,3),

ხედავთ, ვახტანგს რაღაც სხვა გზაზე დადგომა მოსდის ფიქრად. როგორც მისი რედაქციით მაშინ დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანში“ იკითხება როსტევანის შესახებ:

სხვაგან ქრის მისი გონება, მისმა თავისა წონამან (ე)<sup>4</sup>.

მკითხველი იპერს ვახტანგის მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ჩანაფიქრს. მისგან ნახსენები დვალი (დვალეთი) და ხადა საქართველოს მთიანეთის ისტორიულადაც კარგად ცნობილი თემებია

<sup>4</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა 1722 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ. ტფ., 1937.



არაგვის ზედა წელზე (ხადა, ძველი მართლწერით „ქადა“) და დიდი ლიახვის სათავეების. მამისონის გადასავლის გარემოში და მომიჯნავე მხარეში (დვალეთი)<sup>5</sup>. საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა ხელმძღვანელობას აქ ეგულვოდა თავისი ზურგი და საფარი — დვალთა, ოვსთა, ჩერქეზთა, ყაბარდოელთა გარემოცვაში. ქართლის თავგადასავალში არაერთხელ იჩენს ეს თავს. მაგალითად, 1695 წელს ერეკლე I-ისა და მისი ირანელი მცველის ქალბალი-ხანის წინააღმდეგ აჯანყებული არაგვის ერისთავი და ამილახვარი „წარვიდნენ დვალეთს და მუნიდამ იმერეთს“<sup>6</sup>. თვითონ ვახტანგის ნამსახურობითს სიაში ირიცხება 1711 წელს შესრულებული ლაშქრობის ფაქტები, რომელნიც ეხებოდნენ იმ ვრცელ ზურგს. მაშინ მან, ოსეთში მოლაშქრემ, დააქცია იქ 80 კოშკი, დვალეთს „ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ქელელის-ხევი — და გარმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კულაროს“, „დაიპყრა დვალეთი“<sup>7</sup>. დვალეთის მომიჯნავე რაჭისა და ზემო იმერეთის ხევეები, აქვე ხეფინის-ხევი — ვახტანგის მკვიდრი მამული<sup>8</sup> საჭიროების შემთხვევაში თავშესაფარს აძლევდნენ მოწინააღმდეგეთაგან დევნილს ვახტანგის ოჯახს<sup>9</sup>. აღნიშნულ მხარეში თავშესაფარი ჰქონებია ვახტანგის ბიძასაც, მეფე გიორგი XI-ს. ერეკლე I-ისგან ერთხელ დევნილი გიორგი „მოვიდა ქცხინვალს და მუნიდამ წარვიდა რაჭას ლიხის გზასა ზედა“<sup>10</sup>. ერთ ხანს მეფობის მაძიებელი არჩილის ძენიც“ ზრამაგს ინახავდნენ თავს, იქიდან მათ დასაველეთის მიმართულებით დიგორს მოუხდათ გადანაცვლება<sup>11</sup>. ასეთ ვითარებაში ბუნებრივი იყო, თუ ვახტანგი დამოყვრებული აღმოჩნდა ჩერქეზბატონის სახლთან, რომელსაც ეკუთვნოდა მისი მეუღლე დედოფალი რუსუდანი<sup>12</sup>.

ამ რთულ ურთიერთობას მთიანეთთან, ამ ურთიერთობისა და მისი სახელმწიფოებრივი ეფექტიანობის საკითხს, ძალზე ჩაუფიქრებია ისპაანს მჯდომი ვახტანგი, კრიტიკულად განუწყვია იგი იმ პოლიტიკური და სტრატეგიული გეგმა-საქმიანობისადმი, რომლის წარმატება და განხორციელება შეპირობებული იყო მთიანეთზე და, მასადაამე, ადგილობრივ, ვიწრო ზურგზე დაყრდნობით. ამიტომ წერს იგი ზემოთ მოყვანილს:

<sup>5</sup> მეტი სიზუსტისათვის იხ. В. Н. Г а м р е к\_ე მ\_ი. Двалы и Двалетия в I—XV вв. н. э., Тбилиси, 1961.

<sup>6</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, ზ. კვიციანიძის გამოც., ტფ., 1913, გვ. 101.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 118.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 120.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 91.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 93.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 102.

მწვე მიჯობდა სხვაგან მეულო, განა დეაღად, განა ხადა!

ჩანს, ვახტანგმა განიცადა გონების თვალთ, რომ ასეთი სტრატეგია საქართველოს საერთაშორისო საკითხის გადასაწყვეტად გიწრო იყო და შეზღუდული. „დვალი და ხადა“, მთიანეთი — ეს ის „საკუთარი ტაფა“ იყო, რომელშიც საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა იხრაკებოდა — საკუთარ წვენი დნებოდა. გაიზარა რა ეს, ვახტანგმა ბრძნულად გადაწყვიტა პრინციპული საკითხი — დესდგომოდა ფართო. საერთაშორისო დიპლომატიის გზას, თან ეხელმძღვანელა მამა-პაპათა გამოცდილებით, ტრადიციით. რადგან პროგრესი, თვით არსებობა ერისა წინაპირობად გულისხმობს კარგი ტრადიციის შენახვას, წინაპართა გამოცდილების გამოყენების კულტურას. ამიტომ ჩვენ ვახტანგს ეუქებთ პოლიტიკურ სიღინჯეს, რომელმაც უკარანახა მას წინა თაობის საქმიანობაც გაეთვალისწინებინა. საერთოდ, იგი სამართლიან ხარკს უხდის მამათა ნათელ ხსოვნას, სტირის რა საკუთარ თავს. მათგან დაობლებულს, ხატოვნად რომ იტყვიან, უდანოდ დაკლულს:

სახელოან ბიძა-მმათა, მამით უწყლოდ დაწყვეტლო! (87, 4).

აქ იგულისხმებიან ირანში, იქაურ ბრძოლებში გმირულად დაღუპულნი: ვახტანგის ბიძა მეფე გიორგი XI (შვილისაც, ბაგრატიის, ბრძოლაში დამკარგველი) და მმა ქაიხოსრო, აგრეთვე გარდაცვლილნი ლევანი (მამა) და თეიმურაზი (ძმა). გარდაცვლილ ბიძათა რიცხვში, ცხადია, არჩილსაც (გარდ. 1713 წლის 16 აპრილს) გულისხმობდა მამინ ვახტანგი. საყურადღებო აქ ის არის, რომ იმ სულთა მატთანეში, რომელიც ვახტანგის ამ გაღუქსილ თავგადასავალში აისახა რამდენადმე. საკუთარი სახელით გამოყოფილია სწორედ არჩილი. ეს რომ შემთხვევით არ მომხდარა, თვით ლექსიდანაც ჩანს: ვახტანგს, საქართველოს გამოხსნის ახალი გზების ძიებაში მაგალითად ესახება არჩილის გარეპოლიტიკური აქციები. მას სწორად მიაჩნია, ყოველ შემთხვევაში, არჩილის ცდა სამეფოსთვის მოკავშირე ეპოვნა გარეთ, „სხვას თემს“. ვახტანგი ემიჯნება ქართველი საზოგადოების იმ დასს, რომელიც ოპოზიციაში სდგომია არჩილს, უწყუნებდა რა მას გარეპოლიტიკურ კურსს.

მეფეს არჩილსა სძრახვედენ, სხვას თემს რომ იყო მკლელია (88, 1).

კრიტიკულად განწყობილნი გაიძახოდნენო:

ოგ ანთებულსა სახლ-კარსა შეექმნა დამანელია (88, 2).

არჩილმა გარეთ ბედის ძიების შედეგად საქართველოს ძლიერი სამეფო დასცა, გაჩაღებული კერა ჩააქრო. მსგავსი თვალსაზრისი პი-

როვნების გაზვიადებული როლის შესახებ ისტორიაში ტიპურად იჩენს თავს იმ მსჯელობაში, რომელსაც მეფე გიორგი XII-ის ძე, „კალმასობაში“ თავის ძმას იულონს მიაწერს. იოანე ათქმევეინებს იულონს, ვითომ „მეფე ვახტანგის ოჯახი დააქცია ძემან მისმან ბაქარ, მეფე ირაკლისა — ვახტანგმან (ირაკლის ძემ — ვ. დ.), ხოლო მეფის გიორგისას დააქცევს დავით“<sup>13</sup>. ამ წინადადებაში მკითხველი გამოიცნობს ვახტანგ VI-ს, ირაკლი II-ს და გიორგი XII-ს.

ქართული დიპლომატიის ისტორიაში, რაც ფაქტობრივად ეგზომ პოზიციური და მიმზიდველია, ცოცხალ ინტერესს იწვევს მსგავსი მონაცემები კრიტიკისა. აქ ვლინდება სხვადასხვა რიგის სოციალურ-პოლიტიკური წინააღმდეგობანი, ხან მწვავე კონფლიქტებრც, გამოწვეული ამ დიპლომატიის გეზით და მიმართულებით, მისი აუკარგიანობით. ასეთ მასალაში მელაენდება სახელმწიფოებრივი ცხოვრების ინტენსივობის ძალა, საზოგადოებრივ დაჯგუფებათა რეალური ღირებულება და სიმწიფე. ამ მხრივ არა ერთხელ მიუქცევია სპეციალისტთა ყურადღება, მაგალითად, დავით გურამიშვილის უკვდავ ნაწარმოებს, სადაც რამდენადმე გამოიხატა ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ცოცხალი კრიტიკა<sup>14</sup>. ჩვენს შემთხვევაში თვითონ ვახტანგი გამოდის ინფორმატორად იმისა, როგორ „სძრახავდნენ“ არჩილ მეფეს — რატომ „სხვას თემებს“, მეზობელ სახელმწიფოებს მიმართავდა საშველადო.

ვახტანგისთვის ამ საგანზე წერა, ცხადია, კალმის უბრალო ვარჯიში არ იყო. ის ამ დროს წყვეტს რთულ პოლიტიკურ ამოცანებს, გეგმავს თავის ხვალისდელ დიპლომატიურ ნაბიჯებს და ამიტომ „რჩევას“ თავის წინაპრებსაც ეკითხება. დასაყრდენის ძებნაში „გუშინ“ გარდაცვლილი ბიძის არჩილის დიპლომატიის მაგალითზე ჩერდება, ბაძავს კიდევ მას, ამ მაგალითს თავის გასამართლებელ საბუთად და გამამხნეველ პრეცედენტად ისახავს.

არჩილი თავის დროზე მოკავშირის თუ მფარველის შესაძენად ქართლიდან გარეთ გავიდა, რუსეთს შეაფარა თავი. აგერ თვითონ ვახტანგიც გარეთაა (ისპაანში), მძიმე საჭიროებით იძულებული — არჩილის მსგავსად თვითონაც აიტანოს მოწინააღმდეგეთა კრიტიკა. ის ლაღადყოფს: „მეც მასვე მძრახვენ, აქ მოველ, მაშ რა ვქნათ, რა საქნელია“ (ე. ი. სხვა რა შეიძლება ვქნაო).

მაგრამ ამით ხომ არ შეზღუდულა მსგავსება ამ ორი მეფის საგარეო პოლიტიკის განვითარებისა! ვახტანგის სიტყვებია — „მეც მას-

<sup>13</sup> იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, I, თბილისი, 1936, გვ. 244.

<sup>14</sup> დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1959, თ. 12: „რჩევა ქართველის ბატონისა“.

ვე მძრახვენ, აქ მოველ“... ისპაანსო! ეს როგორ უნდა გავიგოთ? განა ისე, თითქოს ვახტანგი ისპაანს, შაჰინშაჰის კარზე ეძიებდა მფარველ მოკავშირეს, ისე როგორც არჩილი — იმპერატორის კარზე? არამც და არამც. ჩვენ ვფიქრობთ, შაირსიტყვით შეზღუდულმა ვახტანგმა ლექსში უნებლიეთ შეკუმშა თავისი აზრი, როგორც ვიცით, ისპაანს მისი ჩასვლა (1712 წ.) სულ არ ჰგავდა არჩილის ნებისმიერ სტუმრობას მოსკოვის კარზე, სადაც არჩილი მართლაც ეძებდა მფარველს, მშველელს. ვახტანგი ირანის შაჰს ტყვედ ჰყავდა ისპაანში, ვით ურჩი ვალი საქართველოსა. აქ დიდი ხნითვე შექმნილ სიტუაციაში გამორიცხულია მფარველობითი კონსტიტუციის ძიების შესაძლებლობა. საქმე სხვაობად ისახება. ისპაანის საშიშ ტყვეობაში მჭდომი ვახტანგი, იყო რა საგარეო პოლიტიკის სწორი გადასინჯვის ზრუნვაში, უიარაღოდ აჯანყებული შაჰის მძლავრობის წინააღმდეგ, როგორც დავინახეთ, ფიქრობს გამოიყენოს არჩილის გარეპოლიტიკური გამოცდილება. ჯერ იყო და, მან, არჩილის მაგალითზე აღიარა „სხვაგან“ მოკავშირის ძებნის პრინციპული სისწორე. ამას ლოგიკურად გამართლებული გაგრძელება უნდა მოჰყოლოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვახტანგი არჩილისაგან არჩეულ და გაკვალულ გზას უნდა დასდგომოდა. ეს მტკიცება თითქოს დღეს უსაგნო ჩანს, რადგანაც ვახტანგის მერმინდელი საჯალი გზები ისედაც ხომ ცნობილია. მაინცდამაინც, 1720 წლიდან ასტრახანელი გუბერნატორი წარმართავდა ქართლის მეფესთან მაშინ ერთხელ კიდევ წამოწყებულს რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობას. 1725 წელს ვახტანგი თვითონ გადასახლდა რუსეთს და ა. შ. მაგრამ წინამდებარე წერილის დანიშნულება სწორედ იმის წარმოჩენაში მდგომარეობს, რომ რუსეთის ორიენტაციის საკითხი<sup>15</sup> ვახტანგის წინაშე, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, წამოჭრილა უფრო ადრე, ვიდრე ამას გვაფიქრებინებს სხვა ცნობილი მასალები (წარმოშობით რუსული და სხვ.). წამოჭრილა მაშინ (1712—1714 წწ.), როდესაც ვახტანგი, გავიმეორებთ. ისპაანში მისცემოდა საკუთარ გარეპოლიტიკურ პერსპექტივულ გეგმაზე ფიქრებს. ეტყობა, მოსკოვში არჩილის გარდაცვალების (1713 წ.) შესახებ ქართლში ახლად მოსულმა ცნობამ ერთბაშად მიაპყრობინა ვახტანგს ყურადღება იმავე მოსკოვისაკენ, აღუძრა რა სურვილი — უწყვეტლივ განეგრძო არჩილის მისია, — ბიძამისის, როგორც ვახტანგი დაჯერებული იყო, ეტყობა, „ჰუჟიანური“, სამეილი-შვილო საქმე. სწორედ ისპაანის პერიოდში, როდესაც ვახტანგი გეგმავდა პოლიტიკური ორიენტაციის საქმეებს, მან არჩილს (არჩილის საგარეო პოლიტიკის „მძრახველთათვის“ პირის დასაყოფად) მიუძღვნა პანეგირისტულად გამართული ტაეპი:

<sup>15</sup> და არა მხოლოდ კათოლიკური ევროპის, კერძოდ, საფრანგეთის საკითხი.

ამრიგად, მიეყვებით რა ფაქტებს კვალში, ჩვენ საკმაოდ ვეცნობით ვახტანგ მეფის სახელმწიფოებრივი ცხოვრების, დიპლომატიურ ძიებათა ინტიმურ მხარეს, მის გადაწყვეტილებათა საფუძვლებს, საბუთიანობას, ლოგიკას. რამდენადმე ისახება მაშინ მოქმედ პოლიტიკურ ძალთა განწყობილებაც, რომელთა შიგნით ჩნდებიან ვახტანგის თანამოაზრენიც, წამქეზებელნი, ისე როგორც თაბატიანიერებიც, „მძრახველნი“. მათ შესახებ საორიენტაციო ცნობებს მკითხველი პოულობს არა ერთ სპეციალურ გამოკვლევაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ. ოღონდ დასაზუსტებელი, კვლავ შესამოწმებელი, გამოსაკითხავი ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია. ასე, ისმის კითხვა: ვახტანგ მეფე ზემოთ მოხსენიებულ ქუჩუქოვთან ხომ არ დააკავშირა პოლიტიკურმა ვითარებამ, ხომ არ ითვლებოდა ის ქუჩუქოვი რუსეთის პოლიტიკურ წარმომადგენელთა რიცხვში? ან კიდევ: ვინ იყო ის უცნობი, რომელიც, ჩანს, ისპაჰანში გადაჰკიდებია (თუ აჰკიდებია) ვახტანგს შემაწუხებლად და რომელსაც ასე მწარედ უჩივის ღვენილი მეფე:

რა ვქნა, რასათვის გავეწყვეე კაცსა უზრდელსა, ვირასა?  
ვინც გაიგონებს, მევე მგმობს; „ემოყვსა კაცსა ვი, რასა“.  
გავრილი აწვე, ის მიჯობს, გამიხდებოდეს ვირ ასა (100, 1—3).

ხომ არ იყო ეს სუბიექტი რომელიმე სახელმწიფოს ემისართაგან, „მოგზაენილი“ ვინმე? მაგრამ ეს დეტალები შემდგომი დაკვირვების საგნად რჩება.

პირველად დაიბეჭდა კრებულში: „აღმოსავლური ფილოლოგია“, II. თბ., 1072.

## რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ ისტორიულ ტრაქტატებზე

### 1. ასტრახანი

საბჭოთა კავშირის რუკაზე, ჩაკვირვებით მის განხილვისას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის შუქზე, მკვეთრად ისახება მთელი რიგი დაბა-ქალაქებისა, სადაც ურთიერთობანი იმთავითვე გაცილებით მეტი ინტენსივობით ხორციელდებოდნენ, ვიდრე ჩვეულებრივ ივარაუდება.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარების ისტორიას, როგორც ვიცით, თავისი (ვ. ორბელიანის გამოთქმით) „დიდი რვეული“ აქვს. ამ „რვეულში“, „მატიანეში“ საუკუნით საუკუნემდე იწერებოდა საგულისხმო ფაქტები დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის უწყვეტელი თანამშრომლობის შესახებ იმ პროგრამის შემუშავება-განხორციელების საქმეში, რომელშიც შედიოდა საქართველოს, კავკასიის ხალხების გათავისუფლების პრობლემები ირან-თურქეთის ბატონობისაგან, რუსეთის ხალხთა ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო გზების გახსნის საკითხები შუა და ახლო აღმოსავლეთში და ა. შ. საკითხები ნაწილი მოსკოვში რიგდებოდა, ნაწილი — ქართველ მეფეთა რეზიდენციებში, როგორც ამას მოწმობენ უკვე XVII ს-ის რუსი ელჩების საფუძვლიანი ანგარიშები — მათი „მუხლობრივი ნუსხები“ („статейные списки“), „გაკითხვითი უწყებები“ („распросные речи“) და ა. შ.<sup>1</sup>

ამასთან დაკავშირებულ დიპლომატიურ ვიზიტებს, სხვათა შორის, უშუალოდ ეხმაურება არჩილ მეფის ავტოგრაფიული უწყება:

თვით პეტრე ცარი — ვნახე რაც არი,  
დიდის რუსეთის შტკიცედ მპყრობელი,  
სიყრმესა შინა ვიახელ შინა  
მალალი მდაბალთ ხელთ ამპყრობელი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. პუბლიკაციები მ. ბროსესი, ს. ბელოჯუროვის, მ. პოლიევქტოვის, ი. ცინცაძისა და სხვათა.

<sup>2</sup> არჩილიანი, ორ ტომად ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.

ასეთი ურთიერთობის პირობებში რუსეთის ქალაქები ბუნებრივად იზიდავენ თავისკენ ქართველ მოახალშენეებს, რომელნიც ავტელოზის ვითარებაში, თურქ და ირანელ დამპყრობელთაგან გათავისუფლების ძებნაში იქ პოულობენ თავშესაფარს, მეტადრე მოსკოვში — „იქ გრძელდებოდა გადასახლებულთა შემოქმედებითი კულტურული მუშაობა“ (ნ. ბერძენიშვილი). მოსკოვის კოლონიას შეუერთდა იმ მოღვაწეთა მეტი წილი, რომელნიც თან გაჰყვნენ რუსეთში ვასტანგ VI-ს, 1724 წელს იქ გადასახლებულს ოჯახით, დაახლოებით 1200 კაცისაგან შემდგარი ამალით.

ფართოდ ცნობილი მოსკოვის, პეტერბურგის ქართველთა კოლონიებს იქით ჩანან უფრო მცირე მასშტაბის ქართული, პირობით თუ ითქმის, ნასახლარები — ასტრახანს, ყაზანს, კრემენჩუგს, მირგოროდს, კიშინიოვს და სხვაგან. საისტორიო წყაროებში სხვა საინტერესო ადგილებიც აღინიშნება რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ფონზე: კალუგა, ნიჟნი ნოვგოროდი, სარატოვი, ვლადიმირი და ვინ იცის კიდევ რომელი. როგორც პეტერბურგი (ძველ ქართველთა „პეტრებუხი“) აბოლოებდა რუსეთისკენ სავალ გზებს ჩრდილოეთ კიდურზე, ისე იმ გზების სამხრეთ კიდურზე, XVI—XVIII სს-ში, იდგა რუსთა ციხე-სიმაგრე თერგა („Терка“, იგივე „Терский город“) მისი ადგილობრივი „უოველით“. ჩრდილოეთის გზაზე შემდგარი მგზავრები პირველად „თერგას“ კიშკარში გაივლიდნენ, ხოლო გზის გაგრძელებით მიადგებოდნენ დიდ „ალაყაფის კარს“ მდ. ვოლგაზე — ქალაქ ასტრახანს, ანუ, როგორც მაშინ ქართველებსა და სომხებში იხმარებოდა (აღმოსავლურ რიგზე), აშთარხანს.

ამ სტრუქტურების ავტორს, როგორც იტყვიან ხოლმე საზეიმო შემთხვევებში, ბედნიერება ჰქონდა პირველად ეხილა ასტრახანი 1958 წლის სექტემბერში (როგორც მივლენილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიერ ასტრახანის საოლქო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს საიუბილეო სესიაზე, სექტემბრის 10—13, მონაწილეობის მისაღებად ასტრახანის რუსეთთან შეერთების 400 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით). ასე მოგვეცა საბაბი გაგვეცნო ამ ძველ ქალაქში XVIII

---

1, ტფ., 1936, გვ. 237. ლექსი „მეფეთა“, სტროფი 62, 1—3. „სიყრმესა შინა ვიახელ შინა“ — მოსკოვს, ე. ო. ოდეს პეტრე, ჩვენი ანგარიშით, იყო უკვე ოცდაექვსი წლისა (1699 წ.).

2 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი. შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო, I, თბ., 1958, გვ. 352.

4 მდ. თერგზე, 1588 წლიდან გადაადგილებული მდ. თერგის შესართავისკენ, მდ. ტუმენის შესართავთან.

ს-ის ქართველ მოღვაწეთა ცხოვრება-საქმიანობის წერილობითი ძეგლები. ჩვენ იქ შეგვყავა ოდენ მცირედი ცნობები ქართველთა იქაური თავგადასავლის შესახებ, გარდა იმ დეტალისა, რომ ასტრახნის დიდებულ კრემლში („მიძინების ტაძარში“) დაკრძალულან ქართველი მოწინავე კაცები — ვახტანგ VI, თეიმურაზ II, გაიოზ რექტორი და ზოგი სხვა.

ამ ქალაქსაც, მის მაცოცხლებელ მდინარესაც ჩვენი წინაპრები ადრითვე იცნობდნენ. ძველ ქართულ სამწერლობო ძეგლებში, როგორც ვიცით, დაცულია ვოლგის მეორე სახელი, რომელიც განეკუთვნება ამ მდინარის ტოპონიმიკური აღნიშვნის აღმოსავლურ, თურქულ ტრადიციას. ეს არის „ედილი“. ჭერ კიდევ შავთელთან ჩანს გამოყენებული ეს სახელი („აბდულმესია“, 56, 4, 1). ხოლო იმავე ხანაში, ჩახრუხაძესთან, ნახმარია სახელის მეორე ფორმა „ატალა“ („თამარიანი“, VI, 9, 1)<sup>5</sup>. ჩახრუხაძის ნაწარმოებში ატალა ასრულებს საკომუნიკაციო დანიშნულებას. იქ, ერთი ვიღაც მოგზაური პოეტის შესახებ ნათქვამია:

ატალას მოჰყვის, ქვეყანა მოსცვის,  
არ ვისი ჰქონდის შესაუარი;  
ხაზარეთს დაჰყვის, რუსეთსაც ჩაჰყვის,  
ზღვის პირით ჰქროდის ტაროსით ქარი.

აქვე მოვიყვანოთ გვიანდელი წარმოშობის ორიოდ ცნობა იმის საილუსტრაციოდ, რომ, საერთოდ, ვოლგა-ედილზე განლაგებული დიდებული ქალაქები არაერთხელ ჩნდებიან, როგორც სამარშრუტო პუნქტები ჩვენი ქვეყნის თავგადასავალში. ქართველი ისტორიკოსი სეზნია ჩხეიძე დაახლოებით ასე ხაზავს ვახტანგ VI-ისა და მისი მხლებლების 1724 წ. მოგზაურობის მიმართულებას საქართველოდან რუსეთს: რაჰის გადაღმა — ჩერქეზის ქვეყანა; იქით მათ „მოეგება ნოლა და კალმუხი და ყაზახი“, და ასე „ჩაიარეს დაღისტნის პირი და სოლალის სიახლოეს“ გაჩნდნენ. სოლალიდან (სულაქი), სადაც ერთი თვე დაჰყვეს, „ხომალით“ მიაშურეს „აშტრახანს“. ზღვა გადალახეს „ერთსა დღესა და ღამესა“, მაგრამ „ავის ქარისაგან“ დაბრკოლდნენ და „ედილში“, უნდა ვივარაუდოთ, ვოლგის დელტაში, 27 დღე დაყოვნდნენ, სანამ ასტრახნის ზღუდეებს მიაღწევდნენ. შემდეგ „აშტრახნიდან“ გასულნი, ათი დღის თავზე მიაღგნენ ცარიცინს<sup>6</sup>. ამ წყაროში არ აღ-

5 ნ. მარის გამოცემა: *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии*, СПб., 1902. იქვე. იხ. „ნახესხებ სიტყვათა“ მარისეული განმარტება (ვ. რალოვის ლექსიკონის საფუძველზე): გვ. რსე, სიტყვასთან ე დ ი ლ ი; გვ. რგმ, სიტყვასთან ა ტ ა ლ ა.

6 ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ზ. კიკინაძის გამოც., ტფ., 1903, გვ. 38—39.



ნიშნულა, ცარიცინს იქით მოსკოვის გზაზე რა პუნქტები გაიარეს. როგორც ჩანს, დავით გურამიშვილსაც ამ მარშრუტით უმგზავრია რუსეთისკენ: „თერგიდამე სოლალს... სოლალიდამ აშტრახანსა; მუნით მოსკოს“<sup>7</sup>. გურამიშვილს ზოგადად აქვს აღნიშნული პეტერბურგიდან უკუქცეული ვახტანგ VI-ის და მის მხლებელთა მარშრუტიც: „პეტერბუხი — მოსკო“; ხოლო აქედან „ედლისა წყალს“ დაჰყოლიან და ასე მოლწეულან კასპიის „ზღვათა ბაგემდის“.

ნათქვამიდან ჩანს, თუ რა აუცილებლობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული (სარკინიგზო ტრანსპორტის შექმნამდე), რომ ვოლგის სანაპირო ქალაქები და პირველ რიგში — მათგან უდიდესნი, თავის ადგილს იკავებენ საქართველოს ისტორიაში, ისე როგორც კავკასიის სხვა ხალხთა ცხოვრებაშიც. აქ ჩვენი თავდაპირველად გამოვლენილი განზრახვაა — გამოვაცოცხლოთ ზოგი ფაქტი აღნიშნულ ურთიერთობათა; ზოგი ცნობა იმ დიდ მდინარესთან, იმ დიდ ქალაქებთან დაკავშირებით; ზოგი ხაზი და ნაკვდევნი იმ შესანიშნავ ადგილებში ქართველ მოღვაწეთა ნაკვალევისა ისე, რომ ჩვენს მიერ აქ შემოტანილი მასალა წაადგეს მკვლევარს, რომელიც განიზრახავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარება, ასე ვთქვათ, ვოლგისპირეთის მარშრუტითაც განკვერიტოს.

აღებულ ხაზზე ჩვენი საისტორიო ინტერესების თვალსაზრისით მთავარს აქ ასტრახანი წარმოადგენს, ეს დიდი საკონტროლო სადგური სამხრეთიდან მიმართული რუსეთის გზაზე. ქალაქი ასტრახანი, რომლის „ქონგურებიდან“ მომარჯვებული იყო კავკასიის და, მისი მეშვეობით, მომიჯნავე აღმოსავლურ ქვეყნებზე თვალის ქერა, კიდევ ახორციელებდა გარკვეულ აგენტურას. იგი კისრულობდა ვაჭრებისა და საქონლის მოძრაობის კონტროლს და ხელმძღვანელობას. ამ მხრივ დამახასიათებელია 1586 წ. საბუთში ირიბი გზით დამოწმებული „ნება“ რუსთა მეფისა (თეოდორე ივანეს ძისა) — საშამხლოდან, საქართველოდან, ირანიდან ვაჭრებს თავიანთი საქონლით ასტრახანში ედინათ, რადგან „მოსვლა და წასვლა და ვაჭრობა ასტრახანს არის ნაბრძანები“ (ტექსტის ენით: „Приезд и отъезд и торг в Астрахани повелен“)<sup>8</sup>. ამას ერთვოდა „გზების გაკითხვის“, საქართველოს მიწა-ადგილების გაცნობის („какова земля“) შესახები ზრუნვა ასტრახანის ხელისუფალთა<sup>9</sup>. ასეთი როლი ასტრახანისა, როგორც ვიცით, კიდევ უფრო მკაფიოდ

<sup>7</sup> დავითიანი, თბ., 1955, 94, 475, 2—3.

<sup>8</sup> М. А. Полневктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640, Тифлис, 1937, с. XIII, прим. 2.

<sup>9</sup> С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом (Чтения в Обществе истории и древностей российских, 1888, III), ч. I, М., 1889, с. XCIV.

იხატება მერმინდელ ხანაში. ცნობილია, თუ რა მისია ჰქონდა პეტრეს მხრივ დაკისრებული ასტრახანის გუბერნატორს ვოლინსკის. ეს იყო ირანის პროვინციების ავ-კარგის საიდუმლო წესით კვლევა, ქართლისა და კახეთის მეფეთა (ვახტანგ VI და კონსტანტინე) რუსეთის მხარეზე გადაბირება, საერთოდ, ირანზე სალაშქროდ ნიადაგის შემზადება<sup>10</sup>. ასეთ ამოცანებს ემსახურებოდა, მაგალითად, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში დაბეჭდილი ი.გ. გერბერის წიგნი (და სათანადო რუკაც): „ცნობა კასპიის ზღვის დასავლეთი მხრივ ასტრახანსა და მდ. მტკვარს შუა მობინადრე ხალხების და მიწა-წყლისა და მათი მდგომარეობის შესახებ 1728 წელს“<sup>11</sup>.

მაშასადამე როგორ იქნებოდა — ასეთ ურთიერთობაში წელთა მანძილზე მნიშვნელოვანი, შინაარსით მრავალფეროვანი საქართველოს შესახები მასალა არ გაჩენილიყო ქალაქ ასტრახანში. ამიტომ ბუნებრივია, რომ როცა ჩვენ ასტრახანში აღმოვჩნდით, განვიზრახეთ ამგვარად — თუნდაც ზერელედ მოგვეხილა წინასწარი დათვალიერების რიგით, რას წარმოადგენდა ის მასალა, საგულეებელი ნაშთი-ნატამალი ქართველ მოღვაწეთა იქ, ასტრახანში, საქმიანობისა თუ ცხოვრებისა.

ასტრახანის საოლქო არქივში დაცულ „საქმეებს“ შორის სანიმუშოდ რამდენიმე გამოვარჩიეთ. შევნიშნეთ მათი თარიღები — 1724, 1726, 1727 და ზოგი სხვა წელი. ბუნებრივია, რომ ასე დათარიღებული საქართველოს შესახები საქმეები ძირითადად დაკავშირებული აღმოჩნდა ვახტანგ VI-ის მეთაურობით რუსეთს გადასახლებულ ქართველთა ცხოვრებასთან, ჩრდილოეთის ქართული კოლონიების ისტორიასთან. ისინი ნაწერია პალეოგრაფიულადაც საინტერესო რუსული სამდივანწიგნობრო ხელით, ხოლო აქა-იქ ახლავთ ქართული გაკრული ხელრთვა. ამჟამად, ამ სტატიის წერისას, ჩვენს განკარგულებაშია სულ, ფოტოპირების სახით, ფონდი 394-ის 126-ე, 162-ე და 163-ე საქმეებიდან ამოღებული 21 ფურცელი (თითო გვერდი მეტნაკლები სიხრულით შეიცავს 30 სტრიქონს), ხოლო ამ ფურცელთაგან 12 ფურცელს მხოლოდ წინა გვერდი აქვს ტექსტით შევსებული. დოკუმენტური მასალა, რომელიც ამრიგად იქერს 30 გვერდს, წარმოდგენილია ცალკეული არზების (თხოვნაც, საჩივარიც), მოხსენებითი ბარათების, სხვადასხვა საბაბით აღთვალულ „პერსონათა“ ნუსხების სახით.

---

<sup>10</sup> П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. I, СПб., 1869, с. 6.

<sup>11</sup> Известие о находящихся с Западной стороны Каспийского моря между Астраханью и рекою Куром народах и землях и о их состоянии в 1728 г. от Фигнис შესახებ იხ. М. А. Полиевктов, Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935, с. 111—114.

ამ მასალის გააზრება, ცხადია, ხერხდება რუსეთში მაშინ ჩასახლებულ ქართველთა იქაური თავგადასავლის საერთო ფონზე. ცნობილია, რომ ვახტანგის მეთაურობით ქართველთა ჩრდილოეთში გასვლის უშუალო საბაბი გახდა თურქების მიერ ქართლ-კახეთის ოკუპაცია (1723 წ.), რასაც მოჰყვა რუსეთის დიპლომატიის მხრივ სულთნის მთავრობასთან კომპრომისული ტრაქტატის დადება (1724 წ. 12 ივნისს), რომლის ძალით კასპიისპირეთი (დარუბანდ-ბაქო-გილანი) უმტკიცდებოდა რუსეთს<sup>12</sup>, ხოლო თურქეთს „სამუქფოდ“ ამისა — ირანის „სამფლობელოები“ კავკასიაში და მათ შედგენილობაში — ქართლ-კახეთის სამეფოებიც განჯა-ყარაბაღით. ისე რომ, მაშინ დაბეჩავენბული ირანი კავკასიის პოლიტიკურ სათვალავში თითქოს აღარ შედიოდა, ხოლო დაკმაყოფილებული თურქეთი — უვნებელი უნდა გამხდარიყო რუსეთისათვის შავი ზღვისა და დუნაის არეებში. ამ ვითარებაში ვახტანგს თავისი პოლიტიკური, დიპლომატიური მოღვაწეობა გადააქვს რუსეთის სატახტო ქალაქებში (მოსკოვი, პეტერბურგი), ისახავს რა მიზნად, ვისაც ჯერ არს შესწორება შეატანინოს აღნიშნულ ტრაქტატში საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლების მიზნით.

ვახტანგის და მის თანამოღვაწეთა ამ მიმართულებით მუშაობას დიდი ისტორია აქვს<sup>13</sup>. ამ ისტორიაში მკვეთრად გაირჩევა მაშინდელი დიპლომატიის, სამხედრო-პოლიტიკური გეგმების, რუსეთისა და კავკასიის ხალხთა ურთიერთდამოკრძებულებისა და სხვა რთული საკითხების სიცხოველე. მაგრამ აღნიშნული ისტორიის ფურცლებზე წლების მანძილზე ისახებოდა ადამიანთა ჯგუფებისა და ცალკეულ მოღვაწეთა შინაგანი, ინტიმური ცხოვრების საგულისხმო მომენტებიც. წინამდებარე წერილში შემოტანილმა ასტრახნის დოკუმენტურმა მასალამ უფრო ამ მხრივ უნდა მიიქციოს მკითხველის ყურადღება.

ჩვენს მასალაში წარმოდგენილი აზრები, მოხსენებითი ბარათები თუ თხოვნები მიმართულია ხან უშუალოდ მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის<sup>14</sup> კარისაკენ, ხან „მათის მეფობითი უმაღლესობის“ (ვახტანგ VI-ის) სახელზე და ტრიალებს ცენტრალურ დაწესებულებებში — „სინოდალური სამმართველოს ეკონომიის კოლეგიაში“, „უმაღლეს საიდუმლო საბჭოში“, „ასტრახნის საგუბერნო კანცელარიაში“. ასტრახნის გუბერნატორად ჩვენს მასალაში ყოველთვის იხსენიება გენერალ-მაიორი ფონ მენგდენი.

ჩვენს განკარგულებაში მოხვედრილი ასტრახნული საბუთები იმის საფუძველსაც იძლევა, რომ დავინახოთ გადასახლებულ ქართველთა

12 რუსეთის უფლება ამ ტერიტორიულ შენაძენზე ჯერ თვითონ დამარცხებულმა ირანმა აღიარა პეტერბურგის 1723 წ. ხელშეკრულების საფუძველზე.

13 გ. შაიკაძე, ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური მოღვაწეობა 1725—1737 წლებში. „ციცკარი“, 1964, № 5, გვ. 104 და შმდ.

ყოველდღიური ცხოვრების თუ გადაადგილების მაკონტროლებელი ცენტრის არსებობის ფაქტი მოსკოვს, „მათი უმაღლესობის ქართველთა მეფის კარზე“, ე. ი. ვახტანგ მეფის რეზიდენციაში (სოფ. ვსესვიატსკოეში“). მის შემადგენლობაში საგულეებელი არიან ჩვენს საბუთებში მოხსენიებული „ქართველთა მეფის ძე ბაქარ ვახტანგის ძე“ (ფ. 12 ა), „ქართველთა მეფის ძე სემიონ“ (რუსული მისი ხელრთვა, ფ. 278 ა), ქართული მისი ხელრთვით — სემიონ (ფ. 378 ა), „ქართველთა მეფის ვახტანგის“ სახლთუხუცესი („дворецкий“) თავადი ელიზბარ ორბელიანი („არბელოვი“, ფ. 1ა, 3ა, 9ა). მეფის კარზე მიჩენილი ყოფილა რუს ხელმწიფის რწმუნებულად (1729 წელს მაინც) პოდპოლკოვნიკი აქსაკოვი (ფ. 225ა—ბ). საქმე მრავალგვარი იყო: გადმოსახლებულთა ნივთიერ მდგომარეობაზე ზრუნვა, გადაადგილებისათვის (მაგ., საქართველოში წამავალთა) საჭირო პასპორტების გამოთხოვნა, სამხედრო-პოლიტიკური ამბების ყურისგდება და ა. შ. მათი კავშირგაბმულობა მოიცავს დარუბანდსაც, წმ. ჯვრის ციხესაც, ბაქოს, გილანს და ა. შ.

1729 წელს (ან უფრო ადრე) სინოდში შესულა ვახტანგ მეფისა და ცალკე — მისი სახლთუხუცესის ელიზბარ ორბელიანის მოხსენებარეკომენდაციები იმ ქართველ სამღვდელთა შესახებ, რომელნიც ასტრახანსა და წმ. ჯვრის ციხეში „განიცდიდნენ უდიდეს გაჭირვებას“, უჭამაგიროდ დარჩენილნი (საქმე 162, ფ. 225აბ, 226ა — 1729 წ. მაისის 12). საბუთში ჩვენს ყურადღებას იპყრობს მითითება იმპერატორის „გასულ [1]728 წლის ივნისის 19-ის ბრძანებაზე“, რომელიც შეიცავდა ქართველ სასულიერო პირთა საშტატო უზრუნველყოფის ღონისძიებებს<sup>14</sup>. ასეთი ყურადღება, ცხადია, გამოწვეული იყო იმის გადაუდებელი საჭიროებით, რომ ეკლესიის ქართველ მსახურთაც გასაქანი მისცემოდათ მაშინ ახლად დაპყრობილი (1723 წლიდან) კასპიისპირეთის ათვისების რთულ საქმეში, გასაძლისი ჰქონოდათ ასტრახანსა და ზღვისპირეთის ციხე-ქალაქებში ამ ადგილებიდან სამისიონერო მოღვაწეობის გასაშლელად, საერთოდ, იმპერიის სამსახურში თავის დასადებად. ასე ებმებოდა მაშინ თავი მერმინდელი, ე. წ. საოსეთო კომისიის (Осетинская комиссия) მისიონერულ მოღვაწეობასაც კავკასიაში (1752 წლიდან, ქართველი არქიმანდრიტის პახომის მეთაურობით). ვახტანგის მოხსენების საპასუხოდ, სინოდს გაუნაღდებია იმპერატორის ბრძანება, და ამრიგად, ქართველ სამღვდელოებს ჯამაგირები დაენიშნათ: არქიეპისკოპოსებს ნიკოლოზს (ასტრახანში) და არსენის (წმ. ჯვრის ციხეში) — 150 მან. თითოს; ნიკოლოზთან მყოფ ოთხ

<sup>14</sup> ამ ბრძანების შესახებ, შიგ გათვალისწინებული საშტატო ერთეულების და ჯამაგირების ჩვენებით, იხ. П. Г. Б у т к о в, Материалы для новой истории Кавказа, ч. I, с. 65—66.

ილუმენს: ნიკოლოზს, ათანასეს, იოსებს და გრაგოლს და მათთანვე მყოფ სამ დიაკონს — 50 მან. თითო ილუმენს და 15 მან. თითო დიაკონს; არსენისთან მყოფ მღვდელს — 25 მან. ვახტანგის მოთხოვნით თანხა მოსკოვიდან აღნიშნულ ადგილებში გადასაგზავნად უნდა ჩაეზარებინათ პოდპოლკოვნიკ აქსაკოვისთვის, ხოლო ამ თანხიდან, შემთხვევით გადარჩენილი ფული უნდა მოხმარებოდა „აქვე მოსკოვს“ მყოფ ქართველ სამღვდლოებს.

ვახტანგის განცხადებაში მოტანილი ცნობების დამატებად გვესახება ჩვენ მეორე საბუთი (ფ. 278 ბ). იგი შეიცავს სვიმონის მიერ წარდგენილ ნუსხას, გრაფებად დაყოფილს, და მოთვლის სასულიერო პირებს, რომელნიც 1729 წ. ივნისის 20-ისთვის იმყოფებოდნენ ქ. ასტრახანს ან გარდაცვლილან იქ; რომელნიც ჩასულან (1728—1729 წ.) ასტრახანს საქართველოდან ან მოსკოვიდან; რომელნიც იმყოფებოდნენ წმ. ჭვრის ციხეში. ყველანი ისინი შეადგენდნენ 13 კაცს.

ყოველივე ამას საფუძველი გვაქვს შევხედოთ როგორც მეტ-ნაკლებად ორგანიზებულ, მიზანდასახულ ცდებს ქართველთა ცოცხალი ძალების შენახვა-გამოყენებისას. მაგრამ შექმნილ ვითარებაში ფართო სარბიელი რჩებოდა თავის დასარჩენად საქირო თაოსნობასაც. ეს იყო ნაკარნახევი მოცემულ პირთა საქმიანობით თუ საქმოსნობით (იხ. ქვემოთ).

ჩვენს საბუთებში ზოგი ასახავს ვახტანგის, მისი მოსკოვეური კარის პოლიტიკური საქმიანობის ეპიზოდებს, ცალკეულ შემთხვევებს კავკასიის, კერძოდ, სომხეთის, ყაბარღოს თავკაცებთან მისი უწყვეტელი ურთიერთობის ისტორიიდან.

როგორც ვიცით, კასპიისპირეთის რუსი მხედრობისაგან დაქერის შემდეგ, საქართველოს და სომხეთის მესვეურთ გულდასაწყვეტ და ძნელად გადასაწყვეტ საკითხად რჩებოდათ თურქთა მძლავრობა, მათი ჩადგომა ქართლ-კახეთშიც, ამიერკავკასიის სასომხეთშიც. საგულისხმოა, რომ ჩრდილოეთში თავშეფარებული ვახტანგი ინარჩუნებს თავის ავტორიტეტს კავკასიის თავისუფლებისათვის აქტიურად მებრძოლ წრეებში. ჩვენს მასალებში დატულია სომეხ უზბაშთაგან რუსეთს გაგზავნილი წერილები, ერთი — თვითონ ვახტანგის სახელზე, მეორე — ბაქარ ვახტანგის ძის მისამართით. ორივე — ერთი შინაარსის. აქ საქმე ეხება განჯა-ყარაბაღის მოსახლეობის, მისი ხელმძღვანელობის მტკიცედ დარაზმულობას და გადაწყვეტილებას — გაუმაგრდნენ თურქებს, „არც ერთი სული“ კაცი მათ არ წარატაცებინონ. აღრესატებს აუწყებენ, რომ ურყევია შეიარაღებულთა გამაგრებული ბანაკები — „სიღნაღები“ („Сагннаг“)<sup>15</sup>, იქ მათი ჭარების თავყრილობა, რომელთაც

<sup>15</sup> ფონდი 394, აღწ. 1, საქ. 163, ფ. 11 აბ, 12 აბ, 13 აბ. აქ აღრესატები (რუს ხელისუფალთა ჩათვლით) სხვადასხვა არიან, ტექსტები ერთი შინაარსისაა.

მეთაურობენ უზბაშები, ანუ ასისთავეები (მთავლილია ექვსი უზბაშის სახელი). ამათ მოუხერხებიათ და ბაქოდან რუსეთში წერილები გაუზავნიათ.

ვახტანგს და, ცალკე, ბაქარს მებრძოლნი სთხოვენ — უშუამდგომლონ სომხებს ხელშეწყობის წინაშე დახმარების დასაჩქარებლად. ამავე შინაარსის ბარათი თავის დროზე გამოაქვეყნა გ. ეზოვმა<sup>16</sup>. მაგრამ ჩვენს მასალას ის უპირატესობა რჩება, რომ შიგ ადრესატებად გამოდიან რუსეთს გადასახლებული ქართლის სამეფოს ხელისუფალნი, რასაც გარკვეული სინათლე შეაქვს მათ საქმეთა მსვლელობის გაგებაში, კავკასიის მოძმე ხალხთა (ჩვენს შემთხვევაში — სომეხთა და ქართველთა) იმდროინდელ უშუალო სათანამშრომლო ურთიერთობაში.

„ქართველთა მეფის ვახტანგის“ და მისი „სახლთუხუცესის“ ელიზბარ ორბელიანის მოხსენების (რომელი მოხსენებაც ჩვენ აქ არ გვაქვს) საბასუხოდ მოსული იმპერატორის ბრძანების თანახმად, ასტრახნის გუბერნატორი ფონ მენგდენი, 1726 წლის აგვისტოს 7-ს, იძლევა განკარგულებას, გაიცეს პასპორტი „ჩერქეზთ მფლობელის თავად ადილ-გირეის“ სახელზე (დედანი: ალდიგირეი). ეს ჩერქეზთ ბატონი (მცირე ყაბარდოს მფლობელის ძმა და არა, ვფიქრობთ, თვითონ „მფლობელი“), გვარად ბაყიშვილი (ჩვენი ვარაუდით, იგივე „ბეკოვიჩი“ — Бек-ов-ич), ვახტანგის ამაღას გაპყოლია რუსეთს<sup>17</sup>; იყო ვახტანგის ცოლისძმა, ძმა რუსუდან დედოფლისა<sup>18</sup>. იგი, აღნიშნულია

<sup>16</sup> Г. А. Э з о в, Сношения Петра с армянским народом. Документы, СПб., 1898, саბ. № 297, გვ. 442—443, სომხური დედანი, საბ. № 296, გვ. 442. ეზოვ საბუთში (1729 წ. თებერვალი) ადრესატად ივულისხმება პეტრე II. სხვათა შორის, აქაც და სხვაგანაც, ეზოვის საბუთებში საკირო სიზუსტით არაა გადმოცემული „სიღნაღს“ (сагнак“, სომხური ტრანსკრიპციით „სიღნაღ“ გვ. 427) მნიშვნელობა, რამდენადაც იგი გაიგივებულა „собрание“-სთან („в армянском Сагнаге“, ეზოვის გლოსით — „сиречь в собрании“), გვ. 443, 444, 446—447 და სხვ. ნამდვილად კი „სიღნაღი“ (თურქ. siginak) არის „თავმჯდომარე“, „სიმაგრე“, „მცირე ციხე“ (Д. А. Магазаник, Турецко-русский словарь, М., 1945; Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, I, СПб., 1869, с. 700; ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, ტ. VI, გვ. 1692). „სიღნაღები... ირგვლივ წყლით სავსე ღრმა თხრილებით იყო გარშემოვლებული“ (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, ტფ., 1922, გვ. 52), შტავსად, დავემთ ჩვენ, რუსული „სტანიცებისა“. (П. Г. Б у т к о в, Материалы для новой истории Кавказа, I, с. 78).

<sup>17</sup> ბაყიშვილის შესახებ იხ. Переписка, на иностранных языках, грузинских царей с российскими государями. Под ред. М. Броссе, СПб., 1861, с. 162.

<sup>18</sup> Bulletin historico-philologique de l'Académie de S.-Petersbourg, III 1847, № 23, 24, სვეტი 363. აღნიშნულ №-ში წარმოდგენილია მ. ბროსეს შრომა და იქ ვახტანგთან ერთად გადასახლებულ ქართველთა ნუსხა (გვ. 362—363). ასეთივე ნუსხა ბროსემ დაბეჭდა აგრეთვე 1856 წ. იხ. Histoire de la Géorgie, II, 1. SPb., 1856, p. 596—598.

ფონ მენგდენის ბრძანებაში, „მიემგზავრება მისგან... („отправляется от него царя Вахтанга“) ამხანაგებით, ოცი კაცით, სამშობლოში“ (საქ. 126, ფ. 1ა). იგინი უნდა წასულარყვნენ „ხელი გზით“; მათ „ყაზახთა გრებნების დაბებამდე“<sup>19</sup> მიაცილებდნენ „ასტრახნელი ცხენოსანი თათრები“, და ა. შ. ვახტანგი, რომელმაც 1725—1726 წლების მეტი ნაწილი დაჰყო მოსკოვ-პეტერბურგში, საბუთში აღნიშნულ დროს ჩვენ უკვე გვეგულება, იქიდან უკუქცეული, ქ. ასტრახანში. რადგან მას, რუსეთის ხელისუფლებთან მოლაპარაკების შედეგად, ნაკისრი ჰქონდა კავკასიაში ამბების განვითარების თვალყურის დევნება, ამიტომ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ვახტანგი ადილ-გირეის გზავნიდა იქნებ სამხედრო სადაზვერვო დავალებებით.

პასპორტი დასკირებია მეფის ძეს სვიმონსაც მისი სახლობის წევრთა, „მისი კარის“ სხვადასხვა რანგის თავად-აზნაურთა და მსახურთა „ასტრახნიდან მოსკოვს“ გასაყვანად, რასაც მოწმობს მისი 1729 წლის აგვისტოს 19-ის არზა (ფ. 378ა). არზაში იგი აღნიშნავს, რომ გზად ქ. ცარიცინში შესასვლელი „გარკვეული საზეერე“ („определенной при Царицыне застава“) არ აქვს დანიშნული. ამას მოსდევს „რეესტრი“ გასაყვან პირთა, რიცხვით 256 სულისა (ნუსხას უჭირავს ფურცლები 378ბ, 380აბ, 381აბ).

ეს საბუთი ადასტურებს, რომ ვახტანგ მეფის მეთაურობით 1724 წ. რუსეთის საზღვრებში შესული ქართველთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები (1200-ზე მეტი სული) ნაწილ-ნაწილ სხვადასხვა დროს ახერხებდნენ ასტრახნიდან მოსკოვისკენ გზის გაგრძელებას. კერძოდ, ჩვენი „რეესტრი“ თითქოს ამტკიცებს სენხია ჩხეიძის ცნობას, რომ 1725 წელს სვიმონ ბაგრატიონი მაშინ ასტრახნიდან მოსკოვს გამგზავრებულ ვახტანგ მეფეს ასტრახანში ჩამორჩა<sup>20</sup>. „რეესტრის“ მიხედვითაც, სვიმონი მხოლოდ „ახლა“, 1729 წ., ემზადება იქით სამგზავროდ ან იქნებ, მსგავსად ვახტანგ ამილახვრისა, სვიმონ 1729 წლის აგვისტოში უკვე მეორედ აღგება მოსკოვ-პეტერბურგის გზას. ვახტანგ ამილახვარი, რომელიც ქვემოთაც იხსენიება ერთი არზის ავტორად, ჩვენს „რეესტრში“ აღრიცხულია როგორც „გენერალი ამილახვარი ვახტანგოვი“ („Вахтангов“, ფ. 382). ვახტანგ VI-ისეულ 1724 წლის ორენოვან ნუსხაში ეგვევ, როგორც საფიქრებელია, ამილახვარი ჩაწერი-

<sup>19</sup> დედანში: „ди казачьих гребенских городков“, რომელიც, დაქვინთ ჩვენ, 1712 წლიდან განლაგებული იყვნენ თერგის მარცხენა სანაპიროზე, სადაც აღმოცენდა ციხე-სიმაგრე თერგა და მერმე ყიზლარ-მოზდოკის თავდაცვითი ხაზიც.

<sup>20</sup> დაწერილებით იხ. ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. „მემომხილველი“, III, თბ., 1953, გვ. 48—49.

ლია ასე: „მემარჯვენე ზემო ქართლის სრული სარდალი (რუსულ ტექსტში: „полный генерал“) თავადი ვახტანგ ავთანდილის შვილი ამილახვარი“<sup>21</sup>. ჩვენი საბუთის „ვახტანგოვი“ ნამდვილად რომ ამილახვარი „ვახტანგია“, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ ორივე ამილახვარის ცოლად, ორივე ნუსხაში, დასახელებულია „ელენე“, ხოლო მათ ასულად — „ანა“. არ უნდა იყოს საეჭვო, რომ სეხნია ჩხეიძის „ამილახვარი ვახტანგი“ იგივე ჩვენი „სრული სარდალია“: ჩხეიძის ცნობით, ვახტანგ მეფეს, როდესაც რუსეთის გზაზე დამდგარს სოლალამდე ჩაულწევია (თითქმის ზედმიწევნითად გამოდის: 1724 წ. სექტემბერში), აქედან პეტრესთან მოციქულად მიუვლენია „ამილახვარი ვახტანგ“. ამ დროისათვის ის 1724 წლის ნუსხა, რომელშიც აღრიცხულია ამილახვარი ვახტანგი, უკვე (17 აგვისტოსთვის) შედგენილი ჩანს<sup>22</sup>. ვახტანგ მეფის ჩასვლის თვეში (1724 წ. ნოემბერი) „ამილახვარი ვახტანგ“ კიდევ დაბრუნდა (მოსკოვიდან ან პეტერბურგიდან) იმ ცნობის მომტანი, რომ პეტრე „იბარებდა“ ვახტანგ მეფეს თავისთან. ამის პასუხად „წაბრძანდა მეფე“ და ა. შ.<sup>23</sup>. ჩანს, 1729 წლის აგვისტოში შედგენილ „რეესტრში“ იგივე ამილახვარი შეუტანიათ როგორც წევრი, რომელსაც კვლავ პირი უქნია მოსკოვისაკენ.

საერთოდ, ასტრახნის „რეესტრი“ (და ვინძლო კვლავ გამოსავლინებელი სხვა მისთანა ნუსხები) თავის ადგილს დაიჭერს გადასახლებულთა იმ სხვადასხვა დროს შედგენილი ნუსხების გვერდით, რომელნიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ გამოსცა მ. ბროსემ<sup>24</sup> და ახლა გ. პაიქაძემ<sup>25</sup>.

ასტრახნის საბუთებში ზოგს უფრო კერძობითი ხასიათი აქვს. არქიმანდრიტ არსენის 1729 წ. მაისის არზა (საქ. 162, ფ. 147აბ) მოწმობს, რომ არსენი ჯერ 1724 წ. ვახტანგ VI-ს მიუვლენია „მოსკოვს“ იმპერატორთან (იგულისხმება: პეტრე I-თან) გადასაცემი „წერილებით“.

ასტრახნის საგუბერნიო კანცელარიას, არსენის იქ ჩასვლის დროიდანვე, უზრუნველუყვია არსენიც და მისი თანმხლები პირნიც, აზნაური და „მსახური“ სარჩოთი („кормовые деньги“), ძველქართულად — როჭიკით. ეძლეოდათ რა დღიური არსენის — რვა ალთუნი და ორი

<sup>21</sup> გ. პაიქაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 207.

<sup>22</sup> ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 48.

<sup>23</sup> ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. I, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854, გვ. 333.

<sup>24</sup> იხ. ზემოთ, შენ. 18.

<sup>25</sup> გ. პაიქაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 206—233.



დანგი<sup>26</sup>, აზნაურს — 10 კაბ., მსახურს — 3 კაბ., რაც შეადგენს 39 კაპიკს. ახლა კი, 1729 წ., არსენი ისევ ორი მზღებლით მეორე გზობად ჩასული ასტრახანს, პეტრე II-სთან მივლენილი „უსაჰიროესი წერილებით“ ქართველ კნიაზ ერისთავ შანშე დავითის ძის სახელით (შანშე II, 1718—1741, ქსნის ერისთავი<sup>27</sup>), საგონებელში ჩავარდნილა. ალბათ როჰიკის საქმე ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიაში ვერ მოუგვარებია და იძულებული გამხდარა თვითონ იმპერატორს შევედრებოდა — ახლაც არ მოეკლოთ მისთვის ფულადი როჰიკი, რათა მოსკოვის საშეის მოლოდინში „შიმშილით სიკვდილი“ აგვეცდესო. ჩანს, ნავარაუდები ჰქონიათ, რომ პეტრე II-ს ფულის გასაცემად წააქეზებდა დიდი პეტრეს ქართველთ შემწყნარებლობის მაგალითი.

ამავე დროის (1729 წ. 20 ივნისის) არზა არქიმანდრიტ რომანოზისა (საქ. 162, ფ. 288ა) პეტრე II-ის მისამართით ისევ როჰიკის საქმეს ეხება. რომანოზი, არზის ცნობებით, 1728 წ. ყოფილა მივლენილი, მზღებელი პირებით, რუსეთს „უსაჰიროესი წერილებით“ იმპერატორთან. იგი ასტრახანში, როგორც იტყვიან ხოლმე, დაუკავებიათ. მივლენილებს ტანიც შემოჰხვევიათ და სარჩოც არ ჰქონიათ. სამღვდელმსახურო შესამოსლებიც დაუგირავებიათ, ხოლო „სხვა რამეები“ „მუქთ ფასებში“ გაუყიდათ. რომანოზის წინანდელი არზის (იგი ჩვენს ხელში არაა) დასაკმაყოფილებლად მთავრობას გაუღია, ჩვენი არზის დაწერის თვეში (1729 წ. ივნისში), ამ უკანასკნელი თვის ხარჯის დასაფარავად 11 მან. 10 კაბ. ახლა რომანოზი ითხოვს გავლილი თვეების ხარჯის ანაზღაურებას. თუ რომანოზს საქართველოდან მოჰყვა, როგორც ზემოთ აღნიშნულ არქიმანდრიტ არსენის, ორი კაცი (ამ უკანასკნელი სამის „დღიური კი შეადგენდა 39 კაპიკს), მაშინ მივიღებთ ორივე მისიის სარჩოს დაახლოებით თანაბარ განაკვეთს (11 მან. 10 კაბ.: 30). მაგრამ, ჩანს, რომანოზის მდგომარეობა უფრო მძიმე ყოფილა, ვიდრე არსენის, რადგან მას, არზის წერის დროს, ოთხი კაცი ჰყოლია და არა ორი. საერთოდ, მკითხველს თვალში ხვდება ის მსხვერპლი, რომელიც უნდა გაეღოთ ამ რომანოზებს, არსენებს, უსახსრობის გამო, დაკისრებული მძიმე მისიის შესასრულებლად.

აღნიშნული საარქივო საქმის ზოგი სხვა მონაცემი ავსებს განსახილველი არზის ცნობებს. ამ არზის შეფასებას შეიცავს ფ. 289 ა. აქედან ირკვევა, რომ რომანოზი მიუვლენიათ „არაგვის ერისთავს (ალბათ, თეიმურაზ ერისთავს, 1723—1728<sup>28</sup>) და სხვა ქართველ თავადებს“,

26 საბუთის 3-კაპიკიან *АЛТЫН*-ს წინამდებარე წერილში შეესატყვისება „ალთუნი“, კაპიკიან *ДЕНЬГА*-ს — „დანგი“.

27 ამ შანშეს გენეალოგია იხ.: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებული თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1697, გვ: 29.

28 იქვე, გვ. 533.

და ასტრახანს ჩასულა 1728 წ. 5 ივნისს. რომანოზი ერთ საბუთზე ხელს აწერს ასეთი წესით (ქართული ანბანით). „ვიშე ფისანაი, იელო იშპერატორსკალო ველიჩესთვა უკაზ, არქიმანდრიტ რომანოზ ერისთავ, სლიშალ ი პატფისაჲსა“ (ფ. 326 ბ). ასე ცხადი ხდება, რომ „ერისთავი“ რომანოზი არის იმ ოთარ არაგვის ერისთვის ძმა<sup>29</sup>, რომელიც 1724 წ. ნოემბერში რუსეთს გადასახლებული, წერილს წერს ჩვენს რომანოზს (მაშინაც რუსეთში, ალბათ ასტრახანში მყოფს). ეს წერილი გამოქვეყნებულია მ. ბროსეს მიერ<sup>30</sup>. ვფიქრობთ, ეს ის რომანოზია, რომელსაც აკად. კ. კეკელიძე იცნობს როგორც ქართული ლიტერატურის მოღვაწეს, რუსეთში მცხოვრებ რომანოზ მიტროპოლიტს, გიორგის ძეს<sup>31</sup>.

კასპიისპირეთის, სამხრეთის მხარეთა დაპყრობა-ათვისებისათვის ბრძოლა, მაშინ იქ წარმოდგენილ მკვიდრთა თუ გარედან ჩათესლებულთა შევიწროება, მიწვე-მოწვევა, დათრგუნვა, გაძევება—ეს მრმდინარე პროცესები დიდ სარბიელს უქმნიდა ყოველგვარ თაოსნობას, ბედის მაძიებლობას, მიმხეველობას, რისი კვალი ჩვენს მასალაშიც ჩანს.

ერთი საბუთის (1729 წ. მაისის 7-ისა. — საქ. 162, ფ. 136 აბ) მიხედვით, „თავადი სარიდანი“ ბაქოს გარდაცვლილა, რის შემდეგ მის მსახურს „ბეზანს“ (ბეჟანს?) ბატონის ბარგი-ბარხანით („с ПОЖИТКИ ЕВО“) ასტრახანს გადაუნაცვლებია. ადვილად გასაგებია, თუ როგორ უნდა მომხდარიყო, რომ სარიდანის ბარგში ითვლებოდა სხვისი ქონება — ერთი „ტყვედ წამოყვანილი გილანელი ახლადმონათლული ბიქისა“. ამ „ბიქის“ ბარგიდან, მამასაღამე, თავადი სარიდანის ნადავლიდან, საბუთში დასახელებულია: ნოხი ექვსი არშინის სიგარძისა; ყოზილბაშური საფენი<sup>32</sup> ექვსი არშინის სიგარძისა; იმავე ტყვის (?) მხრებიდან („плеча своего“) ზედა და ქვედა სამოსელი; „კუბგანი — სპილენძის ხელსაბანი“<sup>33</sup>.

ეს ჩვენი საბუთი, როგორც დიპლომატიკური ძეგლი, წარმოადგენს „ქართული არქივისკოპოსის არსენის“ სარჩელს: იერარქი, წმ. ჭერის ციხიდან, სთხოვს ასტრახანის გუბერნატორს გენერალ-მაიორ

<sup>29</sup> ქრონიკები, II, გვ. 534. (ოთარ II-სთან).

<sup>30</sup> Переписка, на иностранных языках, грузинских царей с российскими государями, с. 178.

<sup>31</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 349.

<sup>32</sup> ტექსტში: Полсть იგივე полость — ჩვენი თარგმანით „საფენი“, სხვადასხვა მასალისა და დანიშნულებისა: ნოხი (ფარდაგი, ხალიჩა); ტილო; ნაკეთობით: ნაქსოვი, ნათელი (თუქა-ნაბადი) და სხვ. იხ. В. Даль, Толковый словарь, т. III, М., 1855, с. 265.

<sup>33</sup> კუბგანი — ვ. დალა სიტყვასთან „кубан“ იცის მისი სწორი ფორმაც „кумган“, მნიშვნელობით — „ლითონის აზოური ხელსაბანი ქურქელი (кувшин), ცხვირიანი, ტარიანი და ხუფანი“ (В. Даль, Толковый словарь, II, с. 217). სიტყვა აზერბაიჯანუ-

ფონ მენგდენს ჩამოერთვას აღნიშნული ქონება „ბეზანს“ (რაკი ნებით არ სთმობდა) მთხოვნელს სასარგებლოდ. არსენი არ მალავს, რომ თვით მის „სულიერ შვილს“ სარიდანსაც უგულვებელუყვია არქიელის თხოვნა — „თვისი სულის მოსახსენებლად გაეჩინა საბოძვარი და დავთმო უსამღვდელოესობისათვის ხსენებული „გილანელი“ ბიქის ბარგი.

იმ საყოველთაო ორომტრიალში სოციალურ ძვრათა ამსახველი სხვა სოციალური ინტერესების მქონე საქმეებიც იჩენდა თავს. კერძოდ, ზემოთ მოხსენიებული „იანარალ კინიაზ ამილახორა ვახტანგა“ (ეს ამილახორის ქართული ხელრთვაა რუსულ საბუთში<sup>34</sup>) თავის 1729 წლის ივნისის 5-ის არზაში (ფ. 199 ა) ჩივის, რომ „წარსულ [1] 727 წელს“ მას გაექცნენ „მსახური“ („служители мои“) ბაქოდან. მაგრამ „ახლა“ მას შეუტყვია, რომ ის გაქცეული „ქართველები“ („грузинцы“) ბინადრობენ ერთი დარუბანდში — სახელით „ბერო მეშელო“<sup>35</sup>, მეორე — გილანს. ბეროს მოძებნაში, მისი ვინაობის დადგენაში, ამილახვარის განცხადების აზრით, მოწმეებად უნდა გამომდგარიყვნენ „ქართველი არქიელი იონა“ და მისი მსახური „Самоселов“-ი, რამდენადაც ორნივე „იცნობენ“ ბეროს (ბერის). გაქცეულთაგან მეორე, გილანში თავშეფარებული, ყოფილა ფერშალი — „ფერშელ ბერო ქიტევი“, ქიტიაშვილი („Китыев“), ამასაც ჰყოლია მცნობი: „И он нем спросить у грузинца в Гиляне дорога Бадура“. ეს „დოროგა“ უთუოდ არის თანამდებობა — ქალაქში „ბაზრის ზედამხედველის“ ან „პოლიცმეისტერის“ აღმნიშვნელი, ქართულ წყაროებში ხმარებული, მონღოლური წარმოშობის ტერმინი „ტარულა“<sup>36</sup>. მაშ, გილანში იმ დროს, რუსთველის არ იყოს, „ძირი აღუფხვრია“ ქართველ „დოროგას“, გვარად „ბადუროვს“, ერთგან დამახინჯებით — „ბადურ“-ს (იგივე საბუთი), ბადურაშვილს. ამილახვარი თხოულობს: „თუ მოიძებნებოდნენ“ ის გაქცეულები, დაეჭირათ და ჩაეხარებინათ გილანშივე მცხოვრებ „ჩვენ ქართველ კინიაზ ლაზარე პაელეს ძისთვის“ („Парелов“), არადა — ამილახვრისთვის გადაეგზავნათ ასტრახანს, „შეპყრობილები“, დედნის ენაზე — „под неволею“.

ლ.ა. (Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, II, с. 93). ფივე, „кунган“ ფორმით, გვხვდება ტოლოჩანოვის (XVII ს.) ელჩობის ანგარიშშიც (Посольство стольника Толочанова и дьяка Ивлева в Имеретию, под ред. М. Полневцова, Тифлис, 1962, с. 65).

<sup>34</sup> „ამილახორა ვახტანგა“ — ეს უნდა იყოს რუსულიდან უაზროდ გადმოტანილი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. ან იქნება, რამე ტრადიციის ძალით, ამილახვარი იცავდა „ინ“-ის ძველ, „ან“-ის მსგავს მოხაზულობას.

<sup>35</sup> ორივე სიტყვა მკაფიოდ იკითხება: ბერო, ბერი, იქვე მეორდება („Беро“ „Беры“). „მეშელო“ („მეშელოვ“?) ხომ არ შეიცავს გვარის აღსანიშნავ „შეილ“-ს?

<sup>36</sup> Л. Б у д а г о в, Сравнительный словарь, I, с. 547.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალის საფუძველზე მკითხველი თვითონვე დაასკვნის, რა მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ ჩვენს ცოდნაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ ასტრახნული წარმოშობის საისტორიო წყაროებმა, როდესაც ისინი მიზანდასახულად მთელ თავის მოცულობაში და სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტებთან დაკავშირებით, ჩაღრმავებულად იქნებიან შესწავლილი. ჩვენ უდიდესი ინტერესით ვეცნობით, პირობით თუ ვიტყვი, ასტრახნის წრის ქართველ მოღვაწეებს — ვახტანგს და სხვებს, მათი საქმიანობის საგულისხმო ნაშთებს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მათდამი, იმ საისტორიო საქმეთა პირთადმი, სამეცნიერო ინტერესი დიდხანია გაცხოველებულია. ცნობილია, რომ 1892 წელს ასტრახნის მოხილვის შედეგად ა. ცაგარელმა რამდენიმე შენიშვნა უძღვნა ზემოთ მოხსენიებულ ასტრახნის კრემლში („მიძინების“ ტაძარში) დაკრძალულ ქართველ მოღვაწეებს<sup>37</sup>. კერძოდ, ვახტანგის და თეიმურაზ II-ის ეპიტაფიები ა. ცაგარელს მოტანილი აქვს სხვისი წანაკითხის საფუძველზე<sup>38</sup>. იმავე წყაროს უნდა ემყარებოდეს პ. იუდინი ამ ეპიტაფიების წაკითხვისას<sup>39</sup>. პ. იუდინი, თავისი წყაროს მიბაძვით, შენიშნავს, რომ მიძინების ტაძარი „ამიერკავკასიელთათვის“ („для закавказцев“) იმ მხრივაც საინტერესოა, რომ აქ დაკრძალული არიან „два державных царя Иверии“. მაგრამ ასტრახნის მოღვაწეებს ქართველ მოწინავე წრეებში ინტერესით მოჰკიდებიან კიდევ უფრო ადრეც. ცნობილმა ქართველმა მწიგნობარმა იონა ხელაშვილმა (გარდ. 1837 წელს) თავის „მოსახსენებელ წიგნში“<sup>40</sup>, კერძოდ, ჩასწერა: „მოიხსენე, უფალო, გაიოზ არხიებისკოპოსი ასტრახნისა, ბუნებით ქართუშლი, რომელმაც მოზღოქს მოსრულნი ოსნი ერთბაშად მოაქცია ქადაგებითა და მოსაცემლებითა“<sup>41</sup>.

მაგრამ ყველაფერი ეს — ასტრახნის სახელთან არის დაკავშირებული. ამავე ინტერესით უნდა მივაშუროთ ვოლგისპირეთის ზოგ სხვა ქალაქსაც — ცარიცინს, ყაზანს...

პირველად დაიბეჭდა კრებულში: კავკასიის ხალხთა ხაკითხები, თბ., 1966

37 А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. 1, вып. 3, СПб., 1894, с. L.

38 იქვე, გვ. LI (ა. ცაგარელი უთითებს წიგნზე: Астраханский успенский собор. Описание его и история, Казань, 1889).

39 Записки Терского общества любителей казачьей старины, Владикавказ, 1814, август, № 8, с. 38, прим. 3.

40 იბ. ვ. დონდუა, პეტერბურგის ქართული კოლონიის საისტორიო სამწიგნობრო შექვეილრეობა. იონა ხელაშვილის მოსახსენებელი წიგნი. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, I, თბ., 1965, გვ. 221—229.

41 იქვე, გვ. 225.

კმტარბურგის ქართული კოლონიის საისტორიო-  
სამეცნიერო მემკვიდრეობა

ონა ხალაშვილის „მოსახლენაჲლი წიგნი“

ქართველი ხალხის ბურჟუაზიული-კაპიტალისტური განვითარების ისტორიის ფურცლებზე სულ მეტი გარკვეულობით ისახება ის მოწინავე ადგილი, რომელიც ასეთი განვითარების პროცესში კულტურული მშენებლობის გზაზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პირობებში, დაიჭირეს ქართველთა ჩრდილოეთის კოლონიებიდან — მოსკოვისამ და პეტერბურგისამ. მოსკოვის ქართული კოლონიის საერთო მნიშვნელობამ ზოგადი შეფასება საბჭოურ ქართულ უახლეს ისტორიოგრაფიაშიც პოვა<sup>1</sup>. ამ შეფასებიდან მკითხველისათვის საინტერესოა ცნობა, რომ იქ, მოსკოვის კოლონიაში, გრძელდებოდა გადასახლებულთა შემოქმედებითი კულტურული მუშაობა; იბეჭდებოდა, ებტანგის დროინდელი თბილისური სტამბის ტრადიციებისამებრ, ქართული წიგნები. წარმოებდა რუსული ენის, ლიტერატურის შესწავლა, მეცნიერების სხვადასხვა დარგში მუშაობა. ამას უნდა დავსძინოთ, რომ აღნიშნული მუშაობის კონკრეტული შედეგი ჩვენ წარმოგვიდგება მის მონაწილეთა მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის სახით. ხოლო, რადგან მოსკოველი ქართველების სამოღვაწეო ტრადიციების გამაგრებლად ჩრდილოეთის ნიადაგზე გამოდიან, მეტადრე XIX ს-ის დამდეგიდან, პეტერბურგელი ქართველები, ამიტომაც სპეციალურ გამოკვლევებში უკვე დიდიხანია საპატიო ადგილზე ჩანს წამოწეული პეტერბურგის ქართული კოლონიის ასეთივე მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა. ამ მემკვიდრეობის საგანძურში შემოენახა ქართველ ხალხს, მაგალითად, ცნობილი ქართული ენციკლოპედია, ე. წ. კ ა ლ მ ა ს ო ბ ა, მთელი რიგი საისტორიო თხზულებანი და ა. შ. საერთოდ, რაოდენ მრავალფეროვანი და სოლიდურია ამ ერთგან — პეტერბურგში დაცული ქართული წერილობითი ძეგლები, მათ შორის ადგილობრივ შექმნილებიც, ამას ნაწილობრივ მოწმობს უახლესი აღწერითი ნაშრომი რუსუდან ორბელისა — „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ი. ჭავჭავაძევილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. ნაწ. I, თბ., 1948, გვ. 373.

სტიტუტის ქართული ხელნაწერები“<sup>2</sup>, რომლის უკვე გამოცემული პირველი ნაკვეთი მოიცავს შვიდ თემატურ განყოფილებას 161 ხელნაწერის აღწერილობით. პეტერბურგის სიძველეთსაცავთაგან მოპოვებული ძეგლებიდან ზოგს ეღირსა, ავად თუ კარგად და ნაწილობრივ, გამოქვეყნება. დეკლარაციით მაგალითისათვის პუბლიკაციები: იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“<sup>3</sup>, „სოლომონ დოდაშვილის წერილები. 1825—1832“<sup>4</sup>, დავით ბატონიშვილის „Обозрение Грузии по части прав и законовешения“<sup>5</sup> და ზოგი სხვა. პეტერბურგის ქართულ სიძველეებს, მათ შორის ეპიგრაფიკის ძეგლებს, ჩვენ შევხედეთ საქართველოს ისტორიის საკვლევო ინტერესების თვალსაზრისით — სათანადო წყაროთმცოდნეობის მხრიდან და განვიზარახეთ აღნიშნული ძეგლების გამოვლენასა თუ შესწავლაში მცირედიც იყოს ჩვენი წვლილი დაგვედო. ერთ-ერთ ასეთ ცდად ჩვენ ჩაგვეთვალა მაგალითად, პეტერბურგის ქართული სიძველეებიდან იქაურ ალექსანდრე ნეველის ლავრაში დაცული სამი წარწერის კრიტიკული შესწავლა და ჩვენ ქართულ თარგმანთან ერთად გამოქვეყნება, მეტადრე დიმიტრი სვიმონის ძე ბაგრატიონის სახსოვარი წარწერისა, პირველად ჩვენ მიერ ზუსტად გაშიფრულისა, ცალკე კიდევ იმ წარწერისა, რომელიც შეიცავს ედიშერ ამილახვრის ოჯახის სახსოვარს<sup>6</sup>. ასეთი წყაროთმცოდნეობითი ინტერესი დაბადა ჩვენში ქვემოთ აღწერილმა ძეგლმა — იონა ხელაშვილის „მოსახსენებელმა წიგნმა“.

მართლაც, თვალის ერთი გადავლებითვე ამ „მოსახსენებელ წიგნში“ ვარჩევთ ჩვენ XVIII—XIX საუკუნეთა ისტორიული მოვლენების ანარეკლს, გარდა იმისა, რომ ეს „წიგნი“ იონა ხელაშვილისა აღნიშნულ საუკუნეთა ისტორიის შესწავლის საქმეშიც უთუოდ შემწეობას მოგვცემს.

2 P. P. Орбели. Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, т. I. М.—Л., 1956.

3 უახლესი (ნაწილობრივი) გამოცემა, კ. კეკელიძისა და ალ. ზარამიძის რედაქციით, ტ. I—II, ტფ., თბ., 1936, 1948.

4 ს. ხუციშვილის გამოც. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბ., 1944. აგრეთვე: ს. დოდაშვილი. თხზულებანი. თბ., 1961, გვ. 233—312 (წერილები) და 385—432 (ს. ხუციშვილის შენიშვნები). ამ წერილთაგან პეტერბურგშია ნაწერი პირველი ოცდარობი, 1825-დან 1827 წლის მაისის ოცამდე.

5 დავით ბაგრატიონი. საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა. აბ. როგავას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1959.

6 ამ წარწერების შესახებ იხ. ვ. დონდუა. ეახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712—1745 წწ.). — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „მიმოხილველი“, ტ. III, თბ., 1953; ვ. დონდუა. საისტორიო ძიებანი, ტ. I, თბ., 1967, გვ. 173 და შმდ.

ამის საწინდარია დადებითი ღირებულება თუნდაც იმ მცირისა, რაც დღემდე მეტ-ნაკლებად ნაცნობია მკითხველისათვის დაუვიწყარი იონას ლიტერატურული ფონდიდან<sup>7</sup>. „მოსახსენებელი წიგნის“ შენიშნულ ღირსებას ერთვის ის განსაკუთრებული სოციალურ-პროტესტანტული ელერადობა და, ვფიქრობთ, ორიგინალური ფორმაც ძეგლისა, რომელმაც, მიმზიდველ შინაარსიანობასთან ერთად, ვინძლო გაამართლოს ჩვენი წადილი, ამჯერად წინ წამოეწიოთ ხელაშვილის სახელთან დაკავშირებული ეს ძეგლი — „მოსახსენებელი წიგნი“, უკეთ — ამ წიგნის დღესდღეობით მიკვლეული ნაწილი. თვითონ ტექსტი, ჩვენ მიერ დადგენილი, ქვემოთ ამისა იკითხება.

იონა ხელაშვილის (1770—1835)<sup>8</sup> ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების ვითარებაში მან გაიზიარა ჩრდილოეთში გადასახლებულ, მისთვის მახლობელ ბაგრატიონ ბატონიშვილთა ბედი და საბოლოოდ ბინა, 1806 წლიდან, პეტერბურგს დაიღო. აქ ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების უმაღლეს კურსს დაუფლებული (ალექსანდრე ნეველის აკადემიაში: 1809—1812 წწ.), იგი, უკვე იერომონახის წოდებაში, შეიქმნა ქართული კოლონიის — მეფის ძეთა, დედოფალთა და სხვათა ავტორიტეტიანი მოძღვარი და მოქადაგე, მრავალ ნაშრომთა ავტორიც. ბუნებრივია, რომ იონას ჩრდილოური გარემოცვაც აისახა მის „მოსახსენებელ წიგნში“.

მაგრამ, მცირე განმარტება სათაურის შესახებ. „მოსახსენებელი წიგნი“ გულისხმობს იმ პირთა სახელების (სახელთა სიების) წიგნს, რომელთაც ეკლესიაში მღვდელმსახური მოიხსენიებდა ხოლმე ლოცვაში, უფლის წინაშე, მოხსენიებული პირის ღვთისგან შეწყალების, შეწყნარების უზრუნველსაყოფად. ეს არის მწირველი მოძღვრის მიერ ირეკომენდაცია ღვთისადმი, რომ მან დაეიწყებას არ მისცეს ესა და ეს პირი, ცოცხალი თუ „შესვენებული“, მაღლი თვისი არ მოაკლოს მას. რეკომენდაცია, ჩვეულებრივ, მოკლეა: „მოიხსენე, უფალო, თავდადებული მეფე დიმიტრი“. სათანადო სიები, რომელნიც ჩვენამდე მოღწეულან სხვადასხვა საუკუნეთაგან, სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებიდან, საბუთებში აღინიშნებიან სხვადასხვანაირად. მაგალითად, იერუსალიმის ქართველთა წმ. ჭვრის მონასტრის ხელნაწერებში ირიცხება ნუსხა — „მოსახსენებელი სახელები“ XVII—XVIII სს-ისა<sup>9</sup>. ამავე

7 კ. ქეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბ., 1960, გვ. 403—407.

8 დაიბადა სოფ. ვაჭირს, სიღნაღის რ.; სწვის მოქადაგობაში ნაზარდი, ეწია მადალი საფეხურის განათლებას თელავისა და თბილისის სემინარიებში.

9 А. Цагарели. Памятники грузинской старины. — Православный Палестинский сборник, т. IV, вып. I. СПб., 1888, с. 189—190.

მნიშვნელობით იხმარებოდა „მატიანე მოსახსენებელი სულთა“ და თუნდაც „მატიანენი საალაპენი“.

ამ რიგის ძეგლები, საერთოდ, მნიშვნელოვანი კულტურული მონაპოვარია ქართველი ხალხისა, და ამიტომ ბუნებრივია ის ინტერესი, რომელსაც იგინი იწვევდნენ ჩვენი სპეციალისტების ცნობიერებაში (ე. თაყაიშვილი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი და სხვები), რომელთა სათანადო პუბლიკაციები უკანასკნელ წლებში შეივსო ახლით<sup>10</sup>. იოანე ხელაშვილისეული ძეგლი, ვფიქრობთ, თავისი შინაარსობრივი სიცხოვებითა თუ სოციალური ტონის სიმადლით თავის ადგილს დაიჭერს სხვა თანამსგავს ძეგლთა შორის.

სახელოვანი მწიგნობარი იონა ხელაშვილი, რა რომ ის მღვდლად ეკურთხა (პეტერბურგს, 10. X. 1812), თვითონ გახდა უფლისა მიმართ სულთა მომხსენებელი. მის საეკლესიო პრაქტიკაში „სახელების მოსახსენებელმა“ თავისი მიუცილებელი ადგილი დაიკავა. იონა ხელაშვილს იქ. ჩრდილოეთში, დიდი სამწყსო ჰყოლია. მაშასადამე მოსახსენებელ სახელთა რიცხვიც მცირე არ იქნებოდა. მაგრამ ამას ემატებოდა იონასათვის, საერთოდ, მოსახსენებლად სანუკვარი ისტორიული სახელები, რიცხვით უთვალავი. სხვადასხვა დროის, წლის, საუკუნეთა, გარდაცვალებულებისა („მოიხსენე, უფალო, მარაბდას ომში მოწყვეტილნი, დიდრიცხენი, სპარსთაგან“). არდაზარება და ამათ და სხვათა მრავალთა ღვთის საფარველ ქვეშ გადაცემა იონას თავის წმიდა მოვალეობად მიუჩნევია. როგორც ჩვენ მიერ წარმოდგენილი საბუთიდან ჩანს, სადაც არ შეიძლებოდა პერსონაჟთა სათითაოდ ჩამოთვლა, გულუბხვი მოძღვარი მიჰმართავდა შემკრებლობით ფორმებს: „მოიხსენე, უფალო, ჭალაჩებთა (ან სოფლებთა, დაბებთა, სანაჯებთა. — ვ. დ.) შინა აღსრულებულნი“. ახლა გასაგებია, რომ მოსახსენებელ სახელთა სიებისაგან შემდგარა მთელი წიგნი, რომელსაც იონა უთითებს ჩვემთ მოყვანილ წერილში (სიძიმონ ტაბიძის სახელზე. იხ. აქვე, გვ. 165) და რომელსაც უწოდებს „მოსახსენებელ წიგნს“. ჩვენ, აქვე უნდა აღვნიშნოთ. რომ თვით ეს „მოსახსენებელი წიგნი“. საგულისხმებელია, მდიდარი შინაარსით და მეცნიერებისათვის საინტერესო, სამწუხაროდ, ჯერ არ არის მოპოვებული, გამოკლენილი სიძველეთსაცავებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სპეციალისტებს წინამდებარე წერილი პირველად — ჩვენთან ერთად — დააფიქრებს ამ „მოსახსენებელი წიგნის“ ადგილსამყოფელის შესახებ.

10 ქ. შარაშიძე. გერგეტის მათიანე. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაწ. 30. თბ., 1954, გვ. 263 და შმდ.; ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962. აქვე „მოსახსენებელთა“ სახეებიც არის მოკლედ შემოხილული, და სხვ.



მაგრამ — იკითხავს მკითხველი — ჯერ არანახული წიგნი, ვინ იცის, შესდგება თუ არა „მოსახსენებელ სახელთაგან“? თვით სათაური — „მოსახსენებელი წიგნი“ განა არ შეიძლება სხვა დანიშნულები-სა იყოს? აკად. ა. შანიძეს („გიორგი მთაწმინდლის ენა“ და ზედდართული საიმისო ლექსიკონი<sup>11</sup>) განმარტებული აქვს გიორგის მიერ ნახმარი „მოსახსენებელი“ როგორც „მემორანდუმი“<sup>12</sup>. მაგრამ ჩვენ მიერ შემჩნეული „მოსახსენებელი წიგნი“ რომ უთუოდ უნდა გულის-ხმობდეს მოსახსენებელ სულთა მატიანეს, ამაში გვარწმუნებს თვით იონა ხელაშვილის წინადადება სვ. ტაბიძის მისამართით: ესა და ეს „მი-ცვალეულთა სახელებიო“, — წერს იგი, — „შთასწერე მოსახსენე-ბელსა წიგნში, რათა ვიხსენებდე“, და ა. შ.

აბრივად, სვ. ტაბიძეს, როგორც ვადაწყვერელს, იონასგან ვადას-ცემია „შთასწერად მოსახსენებელსა წიგნში“ გარკვეული სია სახე-ლები-სა, ის სია, რომელიც თვით იონას, როგორც აღნიშნულია მის წე-რილში, „მეფე ირაკლის ძის მირიანისაგან მიბოძებული ჰქონია“. ეტ-ყობა, ასეთ სიებს იონა, სხვათა დახმარებით, საგანგებოდ ჰკრებდა და „მოსახსენებელ წიგნში“ შესატანადაც ვარაუდობდა. ერთ-ერთი სია (იონას წინაპართა, მშობელთა, და ა. შ.) თვით იონას დაუწერიანებიც სვ. ტაბიძისათვის („დამაწერინა“).

მთელი ის მასალა, რომელსაც ჩვენ აქ ვაქვეყნებთ, ჩვენის ვარაუ-დით. წარმოადგენს შავს, „მოსახსენებელ წიგნში შთასწერად“ დანიშ-ნულს. მოასწრო თუ არა ტაბიძემ მისი იმ წიგნში შეტანა, ამის გა-მორკვევა მომავლის საქმეა. რაც შეეხება ჩვენს განკარგულებაში არ-სებულ დედანს, იგი ჩვენს მიერ შენიშნულ (და 26. XII. 55 ვადმოწე-რილ) იქნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდ-ნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დაცულ ქართულ ხელნაწერთა შორის (საქადალდე E 156). აღნიშნულ საქადალდეში, რომელიც შეიცავს სხვადასხვა შინაარსისა და ცალ-ცალკე დანომრილ ხელნაწერებს, № 122-ით გამოყოფილია ჩვენი დამაინტერესებელი სულთა მატიანე (უსათაურო). ის ამჟამად მოთავსებულია ოთხ შეუ-კვრელ, დაცალკეებულ, ფურცელზე (ჩვევე გვერდი შევსებულია). პირველი ფურცლის (თეთრი ქაღალდის) წინა გვერდზე მოთავსებუ-ლია იონას წერილი სვ. ტაბიძის მისამართით, ხოლო გვ. 2 უკავია „მოსახსენებელის“ ტექსტს (რამდენიც დატეულა); ვაგრძელება, ტა-ბიძის მინაწერთურთ, მოთავსებულია დანარჩენ, ლურჯი ქაღალდის ფურცლებზე. ეს სამი ფურცელი პაგინირებულია ასეთი სახით და თა-

11 წიგნში: გიორგი მთაწმინდელი. ცხორება იოვანესი და ეფთჳესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. თბ., 1946.

12 დასახელებული ლექსიკონი, სიტყვასთან — „მოსახსენებელ“ (გვ. 117).

ნამიმღევრობით: (1) ბ, (2) ბ, (4) ბ. ნიშნავს თუ არა ეს მხოლოდ იმას, რომ ფურც. (3) ბ გაბნეულა ან დაკარგულა? ან რას მოასწავებენ ბ-ონები? ამ საკითხის გადაწყვეტას ჯერ კიდევ დრო უნდა. აღნიშნული ქართული ხელნაწერების ფონდის აღწერა (რუსუდან რუბენის ას. ორბელის შრომით) ჯერ კიდევ გრძელდება<sup>13</sup>.

აქ დასახელებული სვიმონ ტაბიძე, „გურიული“ (გურული), ხშირად ჩნდება ჩვენს წერილობით სიძველეებში, როგორც მესტამბე (რომელიც შეაქო აკად. მ. ბროსემ. იხ. „ვეფხისტყაოსანი“. სპბ., 1841, გვ. 224, ხანა 2) და მეტადრე — როგორც გადამწერი, დაახლოებით — მ. ბროსეს შრომების სანიმუშო ბიბლიოგრაფიის მიხედვით, 1838—1852 წლებში<sup>14</sup>. ჩვენი ნუსხა მას, ჩანს, გადაუწერია იონას სიცოცხლეში (იხ. ტაბიძის მინაწერი). თვით ნუსხა, გამოდის, თანდათანობით შედგენილი 1812—1837 წლებში.

მივმართოთ აღნიშნულ ხელნაწერს. ჩვენ ვიცით, რომ მღვდელ-მონაზონი იონა 1806 წლის იანვრის 20-დან ცხოვრობდა პეტერბურგს, სადაც ის შეიქმნა „სული და გული... ქართული კოლონიისა“<sup>15</sup>, როცა გახდა მოძღვარი ამ კოლონიაში დაბინავებულ ქართველ სამეფო სახლთა, პოპულარული მოღვაწე იქაურ არისტოკრატიულ და სხვა წრეებში. მაშ, ადვილი წარმოსადგენია, რამდენი საინტერესო სახელი უნდა მოხვედრილიყო მის „მოსახსენებელ სულთა“ სიებში. საქმე ზღებოდა პეტერბურგში — და, მაშასადამე, იქაური ქართული კოლონიის ცხოვრებიდან არაუმნიშვნელო საისტორიო მასალა უნდა დაეცვა იონას, თუნდაც რომ მას გარდაცვალებულთა ლიტონი სახელები აღენუსხა. მაგრამ საქმე ის არის, რომ იონას ხელში მოსახსენებელ სახელთა სიებმა ხორცი შეისხეს, საინტერესო ფაქტობრივი, საისტორიო მნიშვნელობის მასალით შეივსნენ. იონა ხელაშვილი სიცოცხლით სავსე კაცი ჩანს მთელი მისი სამწიგნობრო მემკვიდრეობის ფონზე, — პროგრესისთვის მებრძოლი პატრიოტი, დაუღალავი მოღვაწე და პრინციპული მსაჯული კაცთა საქმიანობისა. თავის „მოსახსენებელ წიგნშიც“, ვხედავთ, იგი მეტის ხალისით კისრულობს თავისი უფლის წინაშე იმ პირთა წაყენებას, რომელთაც, საეკლესიო სტილით თუ ვიტყოდით, ქვეყნის განკითხვის დღეს განკითხულთა რიგებში „მარჯენივ დადგომა“ ელოდათ. თან იონა ხელაშვილი ცდილობს უფლისადმი თავის ვედრებაში („მოიხსენე, უფალო“) უსაბუთო რეკომენდაციით არ წარდგეს

<sup>13</sup> P. P. Орбели. Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, вып. I, с. 11.

<sup>14</sup> სე. ტაბიძის მოლექსეობის შესახებ იხ. ტ. რ უ ხ ა ძ ე. ქართული ეპოსი. თბ., 1939, გვ. 22, შენ. 1.

<sup>15</sup> კ. კ ე ე ლ ი ძ ე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 405.

მის წინაშე. აი აქ იწყება ოლარ-ფილონით შემოსილი „უბრალო“ ვაჭირელი მღვდლის დასაფასებელი, საშვილიშვილო საქმე — ჩამოთვლის რა „შესვენებულთა“ სახელებს უფლისათვის გასაგონად, მთელრიგ შემთხვევებში თანვე უჩვენებს, თუ რა მოტივით სჩადის ამას. ამ მოტივირებაში მკითხველი გაარჩევს მაშინდელი ქვეყნის ტკივილებს, მოწინავე ინტერესებს, თვით სოციალური ანტაგონიზმის გამოძახილსაც. ოღონდ კი ისე, როგორც ყოველივე ეს ასახულა თვით მოძღვრის ცნობიერებაში და რამდენსაც „მოსახსენებელი“ დაიტევდა.

იონა ხელაშვილის ავტობიოგრაფიიდანაც ვიცით, რომ იგი შთამომავლობით დაბალ წოდებას ეკუთვნოდა, ხოლო „დრომ ისე აწარმოვა“<sup>16</sup>, რომ იონა ხელაშვილი სიყმაწვილითვე აღმოჩნდა ერეკლე II-ისა და მერმე გიორგი XII-ის მზრუნველობაში. ასეთი სოციალური მდგომარეობის მქონე იონას რა სიმწარე არ გამოუვლია, სანამ ის, ეკლესია-მონასტრების ჰირისუფალთა ხელის შემეყურე, სწავლა-განათლების პირველ საფეხურზე აღიოდა; ჩაგვრის, ხელზე სამსახურის, მოჭამაგრობის, მწყემსობის რამდენი სივაგლახე არ განუცდია<sup>17</sup>. მის ნაშრომებშიც, მეტადრე მის კერძო წერილებში მძლუვარებით ფეთქავს მისი გული იმ კაცებრივი უკეთური თვისებებისადმი, რომელთაც გაბატონებულ კლასში ასაზრდოებდა წოდებრივ-ფენობრივი პრივილეგიები. საინტერესოა, რომ ღმერთთან მღვდლურ ენაზე საუბარშიც („მოიხსენე, უფალო“) იონა ხელაშვილი ვერ იკავებს თავს, რომ მოსახსენებელთაგან ცალკე არ გამოჰყოს დემონსტრაციულად, ერთის მხრივ, მაშვრალნი, რომელნიც სიცოცხლეში იყვნენ — „კეთილმსახურებით მუშაკნი, თვისისა ოფლებისა ნაყოფითა ცხოვრებულნი“: რომელნიც არსებობდნენ, როგორც „თვისისა ხელითა მშრობელნი (sic) საზრდელისა და ხორცთა საფარებელისა ბებკეისა“; რომელნიც, მაშასადამე, საკუთარი შრომით რჩებოდნენ და იმოსებოდნენ, ხოლო, მეორეს მხრივ, თავიანთი არ მიუზღოს იმათ (მართალია, ამას მოძღვარი იქმს ირიბი გზით), რომელნიც აგინებდნენ დაბრიყვებულებს, ჰგვემდნენ მათ და სძარცვავდნენ. აი თავისებურად გაფორმებული ბრალდება. მათადმი: „მოიხსენე, უფალო... რომელნი იგინებოდნენ (ე. ი. გინებას იტანდნენ. — ვ. დ.), იგვემბოდნენ და მიხვეჭებოდნენ უდიერთაგან“. მკითხველი ქვემოთ მოტანილ ტექსტში უშუალოდ დაინახავს, ვის მხარეზე იდგა იონა ხელაშვილი, რა თანაგრძნობით მოიხსენიებდა იგი მათ, რომელნიც სოციალურ უსწორო ბრძოლაში აღმოჩნდნენ — „მდიდართაგან დაწუნებულნი და ყუჭდრებულნი და შეუარაცხნი და

<sup>16</sup> ეს გამოთქმა ჩვენ გამოვიყენეთ „კალმასობის“ მიბაძვით.

<sup>17</sup> იხ. ვ. დონდუა. კალმასობა როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა ძველ საქართველოში. თბ., 1949, გვ. 25—27.

პირველნი (ე. ი. შექირვებულნი. — ვ. ღ.). იონა ხელაშვილის სოციალური პროტესტი დე იუოს პასიური, — ეკლესიური „დიდფრიადისა სინანულებითა და მოთმინებითა“ შეზღუდული; მისი მამხილებელი სიტყვა მაინც გაისმის ძველი ქვეყნის აღვირახსნილობის დამატუქსად. იგი მაინც კარგად აგრძნობინებდა „უფალ ღმერთს“ ფეოდალური ქვეყნის საბატონუმო ძალმომრეობის მთელ სიმწვავეს და 20—30-იანი წლების რუსეთისათვის დამახასიათებელ „ახალ ქროლათა“ სასუგეშო გავლენას. ბატონყმობით ძლიერნი — იონას შეფასებით, უმწეო ხალხს მოვლენიან როგორც „მავნებლები და მქენჯნელნი და ზემო სამოსელისა მიმკლდელნი დამგლახაკებელნი“. ხელაშვილის თანაგრძნობას იწვევს ზღვარს აქეთ მყოფი დაბრიყვებული ერი — „თესსა მუცელსა — საკმელთა და სასმელთა დამაკლებელნი და გვამისა — საბლარდნელთა“, მათ უხდებათ იკმარონ „მწარე მხალი და ნალვარევი წყალი“.

აი კიდევ ნიმუში იონასათვის დამახასიათებელი სტილისა, რომლითაც ის გამოჰხატავს თავის სიმპათიას ხალხისადმი, მიწის მუშის შრომისადმი, რამაც ადგილი ჰპოვა ერთ მის კერძო წერილში ვინმე „ბრწყინვალე თავადის“ მისამართით, 1826 წ. აგვისტოს 9-ის თარიღით. ჰმოძღვრის რა ადრესატს, იონა წერილს ასე ამთავრებს: „ემსახურე ღმერთსა და კელმწიფეს, რათა უქმად (ნაარმად. — ვ. ღ.) არ შეგერაცხოსთ ჭამა ქუჩეყანის ოფლებისა, ე. ი. კეთილმსახურთა მუშაკთი მეერქენეთი“<sup>13</sup>. ამ ჩვენს მედგარ მღვდელს, „კეთილშობილთა“ სამყაროს მცველად მოწოდებულს თავისი ოფიციალური მდგომარეობით, მაინც გული უთქვამს — მუშაკნი მეერქენენიც, უბრალო მხენელ-მთესველები, „კეთილმსახურთა“ საპატიო სახელით მოქარგოს.

იონა ხელაშვილის პატრიოტული გული ძვერს მათთვის, ვისაც ჰყოფნია სიქველე „მამულისა დიდფრიად სიყვარულითა თვისთა სულთა“ გასაწირავად — რა წოდებისაც უნდა ყოფილიყო იგი. მათ რიცხვში იხსენიებიან წამებულები სპარსთაგან, თურქთაგან, და სხვა გმირები, რომელთა არაერთი სახელი ჩვენს ხელნაწერში თითქოს პირველად

<sup>13</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწ. H 2226, გვ. 289. „ბრწყინვალე თავადი“, თ. ხელაშვილის ეს ადრესატი, ვფიქრობთ, არის ქვემოთ მოხსენიებული „მაღალ ბრწყინვალე მამუკა“, ხოლო მამუკა უნდა იყოს XIX ს-ის წყაროებში კარგად ცნობილი მამუკა ორბელიანი, რომელიც მართლა მონაწილეობდა რუსეთ-ირანის ომში და ახალციხის იერიშიში მონაწილეობით (1828 წლის აგვისტოს 15) სახელიც მოუხვეჭა (Акты Кавказской археологической комиссии, кн. VII, с. 765), თუმცა მალე მთავრობის მხრივ პატივი წყრობით შესცვლია (იქვე, გვ. 339).

იონა ხელაშვილის სოციალური იდეების დასახასიათებლად იხ. აგრეთვე ნ. მახათაძე. იონა ხელაშვილის „რონინი“. — საიუბილეო კრებული კ. კეკელიძის თბ., 1959, გვ. 188—189.

ცხადდება (სასულიერო წოდებიდან: ვასილი, სვიმონი, გიორგი — სპარსთა და თურქთაგან ჩამოხრჩობილნი); გმირი ქალები — „ქრისტინა მოხუცებული“<sup>19</sup> და ტურფა ქალი „თალია“; „ნალეკარი ევსტათე“; ან „მეომარნი მქისიყისანი“; „ერეკლე მეფე და მკედრობა მისი“; ყვარლის ციხისა და ალის ციხის გმირები და სხვანი, — მათი საარაგო საქმეების მოთვლით. სიზუსტე აკლია იონას ცნობას, რომ ერეკლეს დედას თამარს ორჯერ უკისრია მძიმე დაპლომატიური მისია ირანში.

ირანელ-თურქ-ლექთა საუკუნებრივმა მძლავრობამ და უკანასკნელ — 1795 წლის ამბებმა (თბილისის აკლება ალა-მაჰმად-ხანისაგან) შეარჩია ქართველი პატრიოტები იმ ძნელად ასატან პოლიტიკურ მიმართულებასთან, რომელიც მიიღო საქართველოს და რუსეთის ურთიერთობამ 1799 წლიდან. ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობისა და წინსვლისათვის საჭირო გახდა სულგრძელობით დათმენა საქართველოში საიმპერიო ხელისუფლების დამყარება-გაბატონებისა. დღეს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მიღებულია ის სწორი დებულება, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება, საერთოდ, პროგრესული მოვლენა იყო. ასეთსავე შეფასებას აძლევდნენ მას მოწინავე ქართველები XIX ს-ის უკვე პირველ ათეულ წლებში რუსული წყობილების დამყარების იმდროინდელ შედეგთა შეჯამება-შეფასებისას. კერძოდ, იონა ხელაშვილი თავის დამოკიდებულებას „რუსობისადმი“ გამოჰხატავს გარკვეულ ისტორიულ მოვლენათა ფონზე. მის „მოსახსენებელში“ კარგად ჩანს საქართველოს სამეფოს კრიზისული, სავალალო მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებდნენ „განსაცდელნი და სიყმილი (შემილი. — ვ. ლ.), მახვილი (ომიანობა. — ვ. ლ.), სასტიკი ჭირი, წყლულება და მძაფრი ამბოხება და წარმართთა მძლავრება“; თარეშები აუართა მთავრისა (იგულისხმება ნურსალ-ბეგი) და მისი შვილის ომარ-ხანისა; მძიმე მსხვერპლი, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე მოითხოვდა მტრისაგან თავდაცვა, რომელსაც მწვავედ მოაგონებდნენ იონას დაღუპული მისი ძმები — კახელები. „ქართაგან (ქარში მოზინადრე დაღესტნელ აბრაგათაგან. — ვ. ლ.) დანთქმულნი ალაზხანსა შინა“ და ა. შ. ამიტომ გასაგებია ხელაშვილის სიტყვები, რომ იმპერატორმა პავლემ ჩვენ, ქართველები, „განგლილი მტერთაგან“, ე. ი. ირანელ-თურქ-

19. ამ ქალის საგმირო საქმეს, მისი ქრისტიანობის აღწერაზე, 1751 წლის ამბაში იხსენიებს დავით ბატონიშვილიც („ერთმან მოხუცმან დედათაგანმან...“). იხ. მისი ახალი ისტორია. თ. ლომოურის გამოც. თბ., 1941, გვ. 6. შდრ. ბაგრატი ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, იგივე გამოც., გვ. 50. ბაგრატი იცის, რომ გმირი ქალი იქებოდა შაირ-სიტყვაში, და ეს დასტურდება კიდევ. იხ. „ძველი საქართველო“, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ. 1913—1914, განყ. 2, გვ. 6, შაირის ტაეპები 7—18. იხ. აგრეთვე, გ. ლეონიძე. გმირი დედაბერი. გაზ. „კომუნისტ“, 1941, № 310.

თავან გაცამტვერებულნი (გლა — მცირედ დანაყვა. ს.-ს. ორბელიანი) თავის საფარველქვეშ მიგვიღოთ. ჩვენ ვიცით, რომ პავლეს (1796—1801 წწ.) ხელში ქართლ-კახეთის მეფობა ჯერ „შეზღუდული ავტონომიური თვითმართველობის“<sup>20</sup> ჩარჩოებით შეიკუმშა და სულ მალე მოიშალა. სამაგიეროდ, ჩანს, წარუშლელი დარჩენილა თაობათა ხსოვნაში ის ნუგეში, რომელიც პავლეს დროს ნახა ქართველმა ხალხმა, იმ წლებში მძიმედ დაზარალებულმა თბილისმა, რუსის ლაშქრის ჩამოსვლით (1799 წ.). ეს, როგორც დიდი ისტორიული სიკეთე, ი. ჭავჭავაძემაც შეათვასა<sup>21</sup>.

ამას ეთანხმება დიდი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონის ერთ კერძო წერილში (1806 წლის აპრილის 30) გამოთქმული აზრი. „თქვენვე იცით, — წერდა იგი, — თუ რუსეთის უძლეველი მკედრობა და ყოვლად მოწყალის კელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას (საქართველოს. — ვ. დ.) არ შესწოდა, აქამდინ (საქართველო. — ვ. დ.) დიდ უბედურებას მიეცემოდა“<sup>22</sup>. იონა ხელაშვილი, ამასთან ერთად, მომსწრე იყო საქართველოში იმპერიის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ხალხის აჯანყებებისა (1804, 1812, 1819—1820 წლებისა და სხვ.). იონა კარგად იცნობდა იმ დამპყრობლურ პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებდნენ ალექსანდრე I-ც, და ნიკოლოზ I-ც. მაგრამ მოწინავე ქართველობა იმპერიასთან, როგორც ვიცით, შეარიგა ახალი ცხოვრების ზოგადპროგრესულმა მიმდინარეობამ. იონა სასოებით „მოიხსენებს“ ალექსანდრე I-ს (1801—1825 წწ.) იმ მოტივით, რომ ამ მეფემ „აღვირ ასხა მტერთა ჩვენთა, — აღნიშნავს იონა: — და იწყო აღყვავება (საქართველოსი. — ვ. დ.) სულიერთა განათლებითა და ერის გაბრწყინება სიბრძნითა და განმდიდრება გულისხმიერთა და განმრავლება თემებისა (ე. ი. შემოერთება ქვეყნებისა. — ვ. დ.) და განვრცლება საზღვართა“. უფრო გვიან ასეთივე ფერებით დახატა ახალი ცხოვრება დიდმა მოაზროვნემ ნ. ბარათაშვილმაც<sup>23</sup>. მართლაც, საიმდროო ანალების ჩვენებით, უკვე 1803—1804 წწ. მტკიცე დასაბამი მიეცა ლიხთ იმერეთში ფეოდალური დაქსაქსულობის სალიკვიდაციო ღონისძიებებს, ამ ნაწილის ქართლ-კახეთთან კვლავ გაერთიანების საქმეს, თურქებთან ანგარიშსწორებას ახალციხე-ახალქალაქთან (1810—1811 წწ.), ფოთთან (რომელიც სა-

20 საქართველოს ისტორია, I (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1958, გვ. 386.

21 ვახ. „ივერია“, 1899, № 255 (ფელეტონი: „ასი წლის თავზე“).

22 დ. გვრიტიშვილი. პეტრე ბაგრატიონის ერთი უცნობი წერილი. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. V, № 7. 1944, გვ. 744.

23 ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“, 1842 წ.

ბოლოოდ გასწმინდეს მტრისგან, 1809 წ.), აზერბაიჯანში სახანოების დამორჩილების და ირანის შევიწროების საქმეს (განჯის, შაქის, შუშის ალბა 1804—1805 წწ.) და ა. შ. ამასთან ერთად 1812 წ. სამამულო ომისა და საერთოდ ნაპოლეონის იმპერიის ბელსაც მაღალ სფეროებში ხომ ალექსანდრეს სახელს უკავშირებდნენ.

„მოსახსენებელში“ გამოთქმულ ამ პოლიტიკურ იდეებს იონა ხელაშვილი, მრავალ მის თანამედროვე პატრიოტთა მსგავსად, ელოლიაება, სხვადასხვა შემთხვევაში უბრუნდება და ავითარებს. ერთ-ერთი მისებური რიტორიკული ენით განმსჭვალული კერძო წერილი (1826 წ. ოქტომბრით დათარიღებული) „მაღალბრწყინვალე მამუქას“ მისამართით ეხმაურება აღნიშნულ, 1826 წ. ამტყდარ რუსეთ-ირანის ომს<sup>24</sup>. იონა ჯერ აღნიშნავს, რომ ალექსანდრე I-მა, აღასრულა რა „ანდერძი“ მამისა, საქართველოში „ალაორძინა ერნი და განამდიდრნა ვაჭარნი და ჰყო ფუძე ივერიასა შინა ათინისა (ე. ი. სიბრძნისმეტყველებისა. — ვ. დ.)“. ხოლო ამ წერილის წერის დროს (1826 წ.) „ახალცა ესე საღეთო ცხებული კვიროს“ (იგულისხმება: ნიკოლოზ I. — ვ. დ.) განაგრძობს ალექსანდრეს საქმესო, რის სამადლობელადაც მღვდელმონაზონი იონა უსურვებს ნიკოლოზს ირანთან ამტყდარ ომში მტერზე გამარჯვებას, ხოლო ქართველ ხალხს — ამ ომში ენერგიული მონაწილეობით საუკუნეთა მანძილზე დაკარგულის ანაზღაურებას. აი იონას სიტყვები, მისი ლოცვა: „ეძიე (აღონაი უფალო. — ვ. დ.) სისხლნი ივერიისა, დათხეულნი მირიან მეფითგან (IV საუკუნე. — ვ. დ.) ვიდრე აქამომდე და გამოიყვანე ერი იგი ფერიეთითგან“, ე. ი. გამოიხსენ ქართველობა ფერეიდნის („ფერიეთი“) ტყვეობიდან, სადაც იგი, — გულისხმობს იონა, — შაჰ-აბას I-მა 1614—1616 წწ. წაასხაო<sup>25</sup>.

ამრიგად, იონა „ალიარების ხარკს“ უხდის რუსეთს, როგორც საქართველოს პატრიოტი, სამხედრო-პოლიტიკურ დიდმნიშვნელოვან წამოწყებათათვისაც და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა გატარებისათვისაც. მის თვალში, განვიმეოროთ, რუსეთმა „ჰყო ფუძე ივერიასა შინა ათინისა“, „იწყო [საქართველოს] აღყვავება სულიერიოთა განათლებითა“ და ა. შ. საეჭვო არ არის, რომ იონასეული ასეთი შეფასება სრულიადაც არ მოასწავებდა იმას, თითქოს იგი უგულებელ ჰყოფდა ქართველი ხალხის უდიდეს საგანმანათლებლო ტრადიციებს, თითქოს მისი შეფასებით — ახლა, ალექსანდრეს თუ ნიკოლოზის მეოხებით, პირველად იღებოდა საქართველოში სწავლის კარი. მოვიგონოთ, რომ იონა ხელაშვილმა თვითონვე ჯერ საქართველოში მიიღო

<sup>24</sup> ალბათ მამუქა ორბელიანი (იხ. ზემოთ შენიშვნა 18).

<sup>25</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწ. H 2226, გვ. 269.

უმადლესი ტიპის განათლება, გაიარა რა კარგი სკოლა თბილისისა და თელავის სემინარიებში მოღვაწე მწიგნობრების ხელმძღვანელობით, რის შემდეგაც იგი პეტერბურგს ალექსანდრე ნეველის აკადემიაში, როგორც ზემოთ ითქვა, სისრულით დაეუფლა ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას, ენებსა და სხვ. ყოველივე ამას მოწმობენ მისი სამეცნიერო შრომები<sup>26</sup>. ჩვენ თავის დროზე საგანგებოდ აღვნიშნეთ წვლილი, რომელიც, ვფიქრობთ, მწიგნობარ ხელაშვილს შეტანილი აქვს ცნობილი „კალმასობის“ შექმნის საქმეში<sup>27</sup>. მისი მაღალი განსწავლულობის წარუშლელი ბეჭედი აზის მის „მოსახსენებელ წიგნსაც“, მაგრამ სამაგიეროდ იონა ხელაშვილს აინტერესებს რუსეთის საგანმანათლებლო უწყების თბილისში, საქართველოში მუშაობის მასშტაბები და ინტენსივობა, ის, რომ ახალ პირობებში სკოლის კარი (თუნდაც რომ ის სკოლა რუსული იყო) შეუდარებლად უფრო ფართოდ იღებოდა ქართველი მოსახლეობისათვის, ვიდრე ეს ხერხდებოდა განვლილ დროებში. ამ შემთხვევაში იონა ხელაშვილი გამოდის ბრძენი მსაჯული იმ ისტორიული მნიშვნელობის გარდატეხისა, რომელიც მის დროს იჩენს თავს საქართველოს სკოლის მატრიანეში, საერთოდ, საქართველოს სწავლა-განათლების, კულტურის სფეროში. აი რამდენიმე მისი მკვეთრად გამოხატული საგულისხმო დებულება: ძველ ქართველ მოღვაწეთა (ათონელების, პალესტინელთა, თბილისელთა) სამწიგნობრო მემკვიდრეობა დიდია; მაგრამ სათანადო ძეგლები „მდებარებენ კუმირსა ქუშუმე (ე. ი. სადღაც ხვიშირით თავდახურულ ორმოში. — ვ. დ.) საზოგადოთა ერთაგან განუხილველად“<sup>28</sup>; ამის მიზეზი შეიქნა საქართველოს ავბედითობა — „განწვალება (პოლიტიკური დაშლა. — ვ. დ.) და დასუსტება და შემცირება ერისა რიცხვისა“, და ა. შ.; ამ პირობებში ქვეყანას მოაკლდა, „არა აქუნდა ქარტანი (ქალაქი. — ვ. დ.) და ტეპორდაფია (sic)... ბოროტ ბარბაროზთა უწიგნოთა მეზობელთაგან განსვენება“. ამის შედეგად „დაშთა არხივა (sic) წიგნთსაცავეები ცალიერ და სახლნი სასწავლებელნი — უმოწაფო და ერნი — უღრამატო („ნეგრამოტნიე“. — ვ. დ.)“; წიგნები—ძნელად საშოვარი, მხოლოდ აქაიქ „პოლებიან ჩინებულთა სახლებთა შინა რაოდენნიმე წიგნნი საკლასონი, კელით წერილნი“; სამაგიეროდ ამიერ იხსნება მომავლის დიდი პერსპექტივა: ქართველები იქნებიან „ენებთა ევროპიისათა მეტყუშლ; აწ დრო შეუწყობს ქვეყანას ხელს, რომ „სასწავლო სახლები

<sup>26</sup> ი. ხელაშვილის შრომების სია იხ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 406.

<sup>27</sup> Царевич Иоани. Калмасоба или хождение по сбору. Перевод с грузинского, введение и комментарии В. Д. Дондуа. Тбилиси, 1945, с. XXVII и сл.

<sup>28</sup> დაყოფა ჩვენია.



აღივსოს ყრმათა ერთგან მოწაფედ და იწყოს ტეპოლრაფიამან წიგნებ-  
თა გამოცემა“, ხოლო ყოველივე ამის შედეგად — „ნათესავეები კავკა-  
სიის მთებისა და თათ გარემო მეზობელნი მსახურ სიბრძნისა იქმნები-  
ან“ და ა. შ.<sup>29</sup>. იონა ხელაშვილი ელტვოდა ნათელ მყოობადს, როდე-  
საც, მისი რწმენით, არა მხოლოდ ქართველი ხალხი, არამედ აგრეთვე  
სხვებიც — კავკასიის ბინადარი ტომებიც („ნათესავეები“), საერთოდ  
„გარემო მეზობელნი“, თანამეგობრობით, ხელი ხელს მიმცემნი, წინ  
წაიღებდნენ გამარჯვების ალამს. საგულისხმოა, რომ დაქსაქსული სა-  
ქართველოდან ჩრდილოეთს გახიზნულ იონას, ტომით კახელს, თან  
გაპყოლია ძველი ზრუნვა ერთიან საქართველოზე. დიდი სასოებით იხ-  
სენება მისგან არა მარტო ირაკლი და მისი სახლობა, არამედ აგრეთვე  
„დიდი სოლომონ მეფე“, რომელმაც „განწმიდა იმერეთი“ თურქთაგან,  
„მოსპო ტყუილთა გავაჰრება... იმერეთში, გურიაში და მენგრელიას  
შინა“ და ა. შ.

**იონა ხელაშვილის წერილი დანასაქმი სვ. ტაბიძის მისამართით\***

კეთილმსახურო სულიერ[ო] ძეო ჩემო  
სვიმონ გიორგის ძეო უფ. (ალო) ტაბიძე\*\*

მეფე ირაკლის ძის მირიანისაგან\*\*\*, მობოძებული მიცვალებულთა სახელები — იმპერატორთა და იმპერატრიცათა, და მეფეთა და დედოფალთა, და ძეთა და სძალთა და ასულთა მათთა—პირუშლად დაწერე, პირუშლ მოხსენებად ცხებულთა შესვენებულთა და სქესთა მათთა, ერთბაშად ნეტარ სახსოვართა, მონათა და მკვეალთა მათ ქრისტეს მოყვარეთა, — შთასწერე მოსახსენებელსა წიგნში, რათა ვიხსენებდე, ვიდრემდ[ის] ვარ სოფელსა შინა. ვინ უწყის, შემდგომ განსვლისა ჩემისა, ქრისტეს მიერ სიყვარულითა მიცვალებულთა შემყვარებულთადა მოიხსენონ — წმიდათა მამათა, რომელნი მოქიწობდნენ თავთა თვსთა მოხსენებასა შემდგომთა თვსთაგან, ღმრთის მოშიშთა მიერ, ვიდრემდის მოვიდეს ქრისტე უფალი მოხსენებელთა და მოხსენებულთა მიცემად სასყიდელთა სასუფეველსა შინა ცათასა.

შენი მლოცველი იონა მ. მ.\*\*\*მ.

<sup>29</sup> იონა ხელაშვილი. „ქადაგება“. — ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწ. H 2226, გვ. 25—26. იონას ეპისტოლური მეგვიდრეობა გამოსაცემად შეზღუდებულია ამ სტრიქონების ავტორის მიერ.

\* ვიცავთ დედნის ხელოვნურ მართლწერას, ნაწილობრივ ანტონ კათალიკოსის გრამატიკის გველენით ძველ მწერლობაში გავრცელებულს. მაგალითად საქართუქლო, პირუშლ, შეშინიერ, მსსგავსი, შაპხი და სხე.

\*\* სახელი, მამის სახელი და გვარი მერმეა ჩამატებული ალბათ თვითონ ტაბიძის მიერ.

\*\*\* ეს სახელი მერმეა ჩამატებული ტექსტის ხელით.

\*\*\*\* ეს ასო მ-ანი გადაწვრილებული ჩანს ს-ანად.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, იეროსალიმის კრებული შესვენებული; [კრებულნი] — სინა, მთაწმინდისა, საბას ლავრისა\*, კიავის (sic) ლავრისა, წ. სამების ლავრისა, წ. ალექსანდრეს ლავრისა, წ. გარესჯის მონასტრისა, წ. ნათლისმცემელისა მონასტრისა, წ. ნინოს მონასტრისა, ფერცულაულების მონასტრისა, წ. შიომღვიმისა, შუამთისა, ჭრუჭისა, ბარაკონისა, მღვიმისა, ქვაბთახევისა.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, ქალაქებთა შინა აღსრულებულნი მართლმადიდებელნი მამანი და ძმანი. მოიხსენე, უ(ფა)ლო, სოფლებთა, დაბებთა და სანაჯებთა შინა აღსრულებულნი მამანი სულიერნი მღვდელნი და ძმანი ერნი, მართლმადიდებლობით აღსრულებულნი, მღვდელმთავარნი, მღვდელმონოზონნი, ხუცესნი, მწყემსნი და სამწყსონი, ჩჩულნი, უსუეარნი, ყრმანი, ნინეელნი, ჭაბუჯნი, ჯოშნი, ჭარბალნი, მოხუცებულნი, მცენნი, მიმცოვენებულნი, თითოეული თვისისა ასაკითა მიცვალებულნი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მართლმადიდებლობით აღსრულებულნი უწმინდესი და უუნეტარესნი\*\* მსოფლიო პატრიარხნი კოსტანტინეპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოხიისა და იეროსალიმისანი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მართლმადიდებლობით აღსრულებულნი უნეტარესნი კათალიკოზნი საქართუცლოჲსანი.

მოიხსენე, უ[ფა]ლო, მართლმადიდებლობით აღსრულებულნი მიტრაპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი, ეგზარხნი და ეპისკოპოსნი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, არხიმანდრიტნი, ილუმენნი, ილუმენიანი, მღვდელმონოზონნი, მონოზონდიაკონნი, მონოზონნი და მონოზონანი და მორჩილნი, მონაზონებისა სურვილში აღსრულებულნი და მონასტრებისა მსახურებათა შინა დაძინებულნი აღდგომისა სასოებითა.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მართლმადიდებლობით აღსრულებულნი მღვდელნი და დიაკონნი, დიაჩოქნი, მგალობელნი და პონამარნი და ყოველნი კეთილმსახურნი წმიდისა ეკლესიისა, დასნი, აღდგომისა სასოებითა დაძინებულნი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, კეთილმსახურებით მუშაკნი, თვისისა ოფლებისა ნაყოფითა ცხოვრებულნი, სიმართლითა დაძინებულნი, რომელთა ნაყოფთა შეწირულებითა მონასტრები და ეკლესიანი შემკობილ არიან შუშნიერ სძლად ქრისტესა.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, აღმაშენებელნი მონასტერთა და ეკლესიათა და მათ შინა შემწირუცლნი მოოკვილებთა წმიდა სახარებათა, ჯვართა

\* ტექსტში: რაერისა.

\*\* ეს სიტყვა დედანში გადახაზულია.

და ხატთა და ბარძიმთა და ფეშხუმთა და შესამოსლებთა და მოძრავ-  
უძრავთა და ხვასტაგთა და როჭიკთა — მწირუშლთა გამოზრდად სათ-  
ნოდ შენ, საშინელისა ღ(მრ)თისა.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, კეთილმსახურნი მშობელნი, შეილთა თჳსთა  
სიბრძნითა აღმზრდელნი, რომელ არს შიში შენ, მხოლო უფლისაჲ,  
სჯულისა და მადლისა სწავლითა და განათლებითა; ძეთა და ასულთა  
განწვრთათა შინა აღსრულებულნი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, გლახაკთა, ქვრივთა, ობოლთა და მწირთა  
ზრდათა შინა დაძინებულნი დიდფრიადისა სასოებითა, შემყვარებელნი  
შენ, მხოლო ღ(მრ)თისა, და მოყვასთა და მტერთაცა, რომელთა აღსას-  
რული ქებით არს და ხსენება — კურთხევით მღვდელთაგან და ერთა.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მრავლის კირითა სასუფეველისა ბიებათა  
შინა აღსრულებულნი მამანი და დედანი მართლმადიდებელნი, დღე და  
ღამე განკაფულნი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, სულისა თჳსისა ცხოვნებისათჳს მომძულე-  
ბელნი ჯორცთა თჳსთა მარხულობისა აღვირახსნიითა და მოუკლებელი-  
სა ლოცვითა და მუკლთდრეკისა ოფლითა დამადნობელი თიჯა-თივისა,  
რომელ არს გვაში, ჳია-ჳუათაგან შესაჳმელი, საფლავთა შინა ქუშწარ-  
მავალთაგან.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, სიმშვიდისა, სიმდაბლისა და მრწემობისა  
და მსახურებისა და უკანასკნელობისა აღრჩევასა შინა დაძინებულნი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, წმიდათა მოციქულთა, წინასწარმეტყუშლთა  
და მართალთა მობაძობათა შინა აღსრულებულნი, ყვედრებათა, დევ-  
ნულებათა და სიგლახაკეთა შემყვარებელნი, თჳსისა კელითა მშრო-  
ბელნი (sic) საზრდელისა და ჯორცთა საფარებელისა ბებკვისა.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, რომელთა თჳთ ჰყონ პირუშლად ნება შენნი  
(sic) და ესრეთ ასწაონ ყოველთა მოყვასთა, რომელ არიან მართლმ-  
ადიდებელნი, რომელთა სიკვდილსა — დაძინება ეწოდების ქრისტეს  
მიერ შესვენებულთა; რომელთა შეიღთა საიდუმლოთა დამარღვეველ-  
თა თანა არა ინებეს დაჯდომად ჳამა პურისა და ზრახვა ჯორციელთა  
ამაოთაჲ.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მოთმინებათა და სულგრძელებათა შინა აღ-  
სრულებულნი, რომელნი ივინებოდენ, იგვემებოდენ და მიიხვეჭებო-  
დენ უდიერთაგან და თავს იდებდენ ღუმილით მლოცველნი მავნებლებ-  
თა და მქენჯნელთა და ზემო სამოსელისა მიმკლდელთა და დამგლახა-  
კებელთათჳს.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მდიდრთაგან დაწუნებულნი, და ყუშდრე-  
ბულნი და შეურაცხნი და ჳირვეულნი და მწირნი და მსხემნი და პყრო-  
ბილებათა დილეგთა და ექვსორობითა (sic) შინა დიდფრიადისა სი-  
ნანულებითა და მოთმინებითა, ლოცვითა და მარხულობითა, აღსარე-

ბითა, ზეთისკურთხევითა და ზიარებისა მიღებითა განმზადებასა შინა აღსრულებულნი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, წმიდამყოფელისა ქალწულებითა აღსრულებულნი და კეთილმსახურებითა საწოლისა წმიდად დამცველნი, მ[ე]-ულღობითა შვილთა თვსთა შენ, უფლისა, მიერ მშობელნი სასუფეველისა ძეგბად და ასულებად; შენ, ქრისტე ღ(მრ)თისა, მიერ დაძინებულნი განრომად მეორისა სიკვდილისაგან, რომელ არს ჯოჯოხეთი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მიმცემნი და არა მომღებნი, თვსთა პირთა ოფლებთა ნაყოფთა ზეცისა საუნჯედ ამიერ განბნევათა\* შინა აღსრულებულნი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მავასხებელნი თვნიერ აღნადგინებისა, თავნთაცა მიტეებისა შინა დაძინებულნი, ცათა შინა საუნჯისა მიღებისა მსასობელნი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, ვასხისა აღებისაგან ლტოლვილნი, თვსთა მუცელსა საქმელთა და სასმელთა დამაკლებელნი და გვამისა საბლარდნელთა; მცირე პურითა და წყალითა კმამყოფელნი მტერისა თვსისა, რომელ არს ტომაქი მუცელი, რომელსა მწარე მხალითა და ნალვარევისა წყალითა აღვირასხმიდენ წმიდანი ყოველნი და მეუღაბნოენი მამანი\* და ყოველნი სინანულითა აღსრულებულნი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, კეთილთა ანდერძებთა დამწერნი შვილთა თვსთა და მოყვასთა თვსთა და კურთხევით ლოცვათა შინა აღსრულებულნი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, სულიერნი, რომელ არიან მღვდელმთავარნი და მღვდელნი და დიაკონნი, და კორციელნი ერნი, რომელთა ნაყოფნი თვსნი უანდერძეს მამულსა და ქვრივთა, ობოლთა და სასწავლებლებთა და მონასტერთა და ეკლესიათა მოსახსენებელად თითოეულთა თვსთა სულთა და კორცთა აღდგომად.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მეფენი, დედოფალნი, ძენი და სძალნი და ასულნი მათნი, და მთავარნი, თავადნი და თავადანი, აზნაურნი, — რომელთა საუკუნოსა ცხოვრებისათვს მსახურეს მამულსა სიმართლითა და ქეშმარიტებისა სწავებითა და გლახაკთა განმდიდრებითა და კრელთა შემოსითა, საუფლო დღესასწაულებთა? მიგებებად სულიერ მზიარულებითა სათნოდ შენ, მართლმსაჯულისა ღ(მრ)თისა.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მამულისა დიდფრიად სიყვარულითა თვისთა სულთა დამღებნი ღროსა შინა განსაცდელთა და სიყმილისა, მახვილი-

\* ამ სიტყვას მოსდევს მწერლის მიერ გადახაზული შემდეგი სიტყვები: „და წმიდანი მღვდელთმოძღვარნი მსოფლიონი: წ. დიდი ვასილი, გრიგორი და ოქრობირი და შემდგომილნი მათნი — ქერის პურითა აუძლურებდენ ტომაქს თვსთა და მით ერთბაშად გვაშებსა თითოეული თვსთა. მსსგავსად მათსა დაძინებულნი — მოიხსენე, მეუფეო“.

სა და სასტიკისა კირისა, წყლულებისა\* და მძაფრისა ამბოხებისასა და წარმართთა მძლავრებისასა.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, თავდადებული მეფე დიმიტრი და იოთამ, და დავით ბოსტაძე და მეთათამეტე გიორგი მეფე<sup>8</sup>, საქართუშლოჲსა და აზიისა ქრისტიანეთი შემავედრებელი\*\* დიდისა მონარხისა პაულე პეტრეს ძისა ველთა.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, პაულე იმპერატორი<sup>9</sup>, რომელმან განგლილი მტერთაგან შვილად თჳსად მიგვიღო.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, ა\*\*\* ალექსანდრე კურთხეული მონარხი<sup>10</sup>, რომელმან აღვირ ასხა მტერთა ჩუშნთა, და იწყო აღყვავება სულიერი-თა განათლებითა და ერისა განბრწყინება სიბრძნითა და განმდიდრე-ბა გულისხმიერთა და განმრავლება თემებისა და განვრცლება\*\*\*\* საზღვართა.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, გრიგორ პატრიარქი, მოშთობილი საბერძნეთისა გამოხსნისათვის<sup>11</sup>; იოაკიმ დესპოტა მოშთობილი<sup>12</sup> და ვასილ მღვდელი მომშთავარი, ქართუშლი ვასილ მღვდელი მოშთობილი სპარს-თაგან ტფილისს; კვალად გიორგი მღვდელი, მოშთობილი გორს თურქ-თაგან; სუმონ მღვდელი, მოშთობილი ოსმალ-თურქთაგან ქუეთსა<sup>13</sup>; ზაქარია პატრიარხი იეროსალიმისა, სპარსთაგან დატყუებული<sup>14</sup>; ათანასე მღვდელი მჰსგავსი სამოელისა; გრიგორ მღვდელი, ქრისტეს მოყვარისა მჭედრობისა ცხოველისა ჯვართა წინარე მიმძლომი სპარსთა სპარაზენთა ზედა<sup>15</sup> — სამი ათასითა სამეოცდაათი ათასთა ზე, რომელნი წარიქცენ ოტებად მახლობელ ერევანისა გულოვნობითა ერეკლე 2 მეფისათა<sup>16</sup>.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მარაბდას ომში მოწყვეტილნი, დიდრიცხენი, სპარსთაგან<sup>17</sup>, და ქართაგან დანტქმულნი ალაზანსა შინა<sup>18</sup>.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მეორე ერეკლე მეფე და მკედრობა მისი, ქრისტეს სიყვარულისათვის ომებთა შინა მოწყვეტილნი, — სპარსთა, ლეკთა<sup>19</sup>, და თურქთა უკუნიმქცევლნი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, ქრისტინა მოხუცებული, რომელმან მჰადის-ჯვარს გარემოდგომილთა ბევრრიცხეთა ლეკთა შვიდგზის\*\*\*\*\* აღმებო მიჯადა, და იქმნენ დამარცხებულთ<sup>20</sup>.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მეომარნი მქისიყისანი<sup>21</sup>, რომელთა ავართა დაღისტნის მთავარი<sup>22</sup> წარიქციეს ილუსისს<sup>23</sup> მკედრობითურთ სოფელსა

\* დედანში: წყლულებისა.

\*\* დედანში: შემავედრებულნი.

\*\*\* ა=I.

\*\*\*\* ამ სიტყვის უკანასკნელი შვიდი ასო („რცელეზა“) და მომდევნო სიტყვა („საზღვართა“) ატანილია გვერდის ქვემო ნაწილიდან ზემო ნაწილში.

\*\*\*\*\* ამის მომდევნო ორი სიტყვა („ილუსალ ლამე“) დედანში გადახზულია.

შინა ბოდბესა და ძე მისი, ომარ-ხანად წოდებული, დაკოდეს და მოკვდა<sup>24</sup>, და ხარკთა ძლევისაგან განთავისუფლდა\* საქართველო.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, ყვარელის ციხისა გამამაგრებელი კახნი, რომელთა მთისა და ბარის ლეკნი, შეკოლტებულნი, ოტებად წარიქციეს, და ცხონდენ გაღმაური სოფლები მიერთვან<sup>25</sup>.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, ალის ციხისა მიმშველებელნი — მეფე ერეკლე და დიდი მეფე სოლომონ<sup>26</sup>; რომელთა აოტეს ოსმალნი და ლეკნი და აცხონეს შიდა ქართლი ალის ციხისა განრინებითა<sup>27</sup>.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, ნალეკარი, ევსტათედ წოდებული, რომელმან კავთისკეცს ცხრაასთა გარემოდგომილთა ლეკთა შეუზახა ციხითგან: „აჰა ერეკლე მეფე მოგვეახლა\*\* შეწვენად ჩუწნდა, ვაჟ თქუწნდა, ლეკნო!“ — რომლისა ჳმისაგან იწყეს ლტოლვა ლეკთა\*\*\*, და ცხონდა გარემოდგომილი ერი მეფისა სახელითა<sup>28</sup>.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, რომელმან ქუთაისით განაძო ოსმალ-თურქნი და განწმიდა იმერეთი დაპყრობილი — და მოსპო ტყუშთა გავაჰრება და განამეორა (sic) ქრისტიანობა იმერეთში, გურიაში და მენგრელიასა<sup>29</sup> შინა, და უწოდეს დიდი სოლომონ მეფე.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, ამბაკომ არხ[ი]მ[ან]დრიტი და მონოზონი იონა და მოშურენი, ზეგარდამო მადლითა აღტყინებულნი.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, სჯულისმდებელი ვახტანგ მეხუთე მეფე<sup>30</sup>.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, მალაქია, კათალიკოზი იმერეთისა, რომელმან კრება ჰყო ამაღლებად ეკლესიისა — ერისა ცხონებად<sup>31</sup>.

მოიხსენე უ(ფა)ლო, დომენტი, კათალიკოზი საქართველომსა, სულისა თვისისა დამდები წინაშე ხევანქარისა, რომელმან სამ წელ ხომალდ-სა შინა შებორკილა წინაპართა ჩუწნათავს\*\*\*\* და განაძლიერა ქრისტიანობა<sup>32</sup>.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, თალია, რომელ-მან თავი (sic) და ისწაულა განრომად ყეენის ცოლობისაგან.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, თამარ დედოფალი, დედა ერეკლე მეფისა, რომელი ორგზის მივიდა ნადირ-შაჰხთანა (sic) ედრებად, რათამცა განაძოს ოსმალნი საქართველოსაგან—და განაძვევინა\*\*\*\*\* ნეტარმან<sup>33</sup>, რომელსა ასული თვისი წარტაცა უკეთმან — ქეთევან<sup>34</sup>, გარნა აღზრულდა ქრისტიანედ\*\*\*\*\*.

\* დედანში: განთავისუფლდა.

\*\* დედანში: მოგვიახლა.

\*\*\* ეს სიტყვა დედანში გადახაზულია.

\*\*\*\* ეს ორი სიტყვა დედანში გადახაზულია.

\*\*\*\*\* დედანში შეიძლება ამოვიკითხოთ: განაძვევინა.

\*\*\*\*\* დედანში ამ სიტყვის უკანასკნელი ოთხი ასო („ანედ“) წვრილი ხელით

მოიხსენე, უ(ფა)ლო, სკომონ მეფე, სულთნისაგან მოშობილი<sup>35</sup>.  
მოიხსენე, უ(ფა)ლო, დინარ დედოფალი, რომელმან მოსპო წვა-  
ლება\*, ადგილ-ადგილ შემოტანილი ერატიკოსთაგან (sic) უწივნოთა  
ყურთა შინა რომელთამე ქართუშლოთასა<sup>36</sup>.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, ლაშა გიორგი, მომაქცეველი ფშავ-ხევისურ-  
თა<sup>37</sup>.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, ერეკლე მეფე, მომაქცეველი თუშთა —  
მღვდელთა მიცემითა.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, გაიოზ არხიეპისკოპოსი ასტარხნისა (sic),  
ბუნებით ქართუშლი<sup>38</sup>, რომელმან მოსდოქს მოსრულნი ოსნი ერთ-  
ბაშად მოაქცია ქადაგებითა და მისაცემლებითა\*\*.

მოიხსენე, უ(ფა)ლო, ოთხნი მეფენი, მოსკოვს მოსრულნი საქარ-  
თუშლომსათუს მეოხად: არჩილ, ვახტანგ, ბაქარ და თეემურაზ (sic)  
მეორე<sup>39</sup>.

მოიხსენე უ(ფა)ლო, ლეონ მეფის ძე და ანტონი პირუშლი კათა-  
ლიკოზი<sup>40</sup>, პეტრებულს (sic) მოსრულნი ხოიშნობად საქართუშლომ-  
სათუს წინაშე ეკატირენე (sic) კელმწიფისა, რომელი შეეწია ერეკლე  
მეფესა მკედრობისა მოგებითა<sup>41</sup>, და ძე მისი პავლე იმპ[ე]რ(ატორი)  
მეფეს გიორგის შემწე იყო დღეთა ოჯრებისათა.

იერომონახის იონას მიცვალებულნი წინაპარნი, მშობელნი, შო-  
ბილნი\*\*\* და მშობელნი, მამისა მკარენი, ძმანი, დანი, ბიძანი და  
ძენი და ასულნი მათნი, სულიერნი და ჯორციელნი, ერთბაშად მოხსე-  
ნებად ყოველთა კუშთათა შინა და ასამაღლებელთაცა, და უუმეტეს  
შაბათებთა შინა და სულთაობათა, მღვდელმონოზონის იონა სულიერ  
მოძღვრისგან, — უმადლესთა დედოფალთა და უგანათლებულესთა მე-  
ფეთა ძეთა და ასულთასა, — რომელი ყოველთა მომხსენებელ არს —  
მართლმადიდებლობით აღსრულებულთა; და თუსსა მოყვასთა თითო-  
ეულთა სახელდებით იხსენებს. ამად (sic) დაუვიწყებლობისათუს და-  
მაწერინა მე, სკომონ ტაბიძეს გურიულს, სულიერ მოწაფესა თუსსა პე-  
ტრებულსა შინა.

ამიერ მოხსენება მიცვალებულთა თუსთა [იონას მღვდლად] კურ-  
თხევიტგან წელსა ათას რვაას ათორმეტიტგან ოკდომბერს (sic) ათით-  
გან:

\* ამ სიტყვას მოსდევს დედანში გადახაზული სიტყვები: „სომეხთი ქართუ-  
შლოთა“.

\*\* დედანში: მისაცემლებმლებითა.

\*\*\* დედანში ეს სიტყვა გადასწორებულია თავში. შეიძლება წაკითხულ იქნეს  
როგორც „მშობელნი“-ც.

მახანტი მღვდელი	გრიგორი	ნიკოლოზოს	ანნა
დავით	ნატალია	ელისაბედ	ვარვარე
მარამ	ნიკოლოზოს	დავით	ელისაბედ
გიორგი	მარამ	თამარ	ადამ
მარიამ	თეოდორე მღვდელი	პატაპი	ვარვარე
იოზ	იოსებ	თეოდოსია	სუიონ
მარიამ	ღიმიტრი*	გიორგი	ტატანე
სოლომონ	იოთამ	მარიამ	ღიმიტრი
ანასტასია	ნათან	გიორგი	ანნა
იოსებ	მარიამ	მარამ	ზარნაბა
არსენი	ისაილ	მამანტი	გიორგი
იოანე	ელენე	პელეგია (sic)	ბართლომე
მოსე	ირინე	ფებრონია	თაღოს
უაროე	ელენე	ალრაბინა	ზაქარია
ანდრია	არჩილ	მელანია	ხიონა
ოქესტი	ელენე	როფიონ	ქრისტინა
იასონ	დარია	ოქესტი	ნაქისონ
მანუილ	ალექსანდრა	ზაქარია	პაპილა

და ყოველნი მართლმადიდებელნი და სრულიად ნათესავნი მათნი.

**მოწუაღენი ჩემნი და კეთილისმყოფელნი:**

მოიხსენე, უ(ფა)ლო, იმპერატორი ალექსანდრე, იმპერატრიცანი ელისაბედ და მარიამ<sup>42</sup>; მეფე ირაკლი; დარია დედოფალი<sup>43</sup>; ძენი და ასულნი მათნი; გიორგი მეფე; ქეთევან. ძენი და ასულნი მათნი.

ანტონი კათალიკოზი  
დავით მემკვიდრე  
იოანე მეფის-ძე  
მირიან მეფის-ძე  
გაბრიელ მეფის-ძე  
გრიგორი  
დარია  
მარიამ  
მარინე  
მატთე  
გიორგი დეკანოზი  
რაჟდენ მღვდელი

ალექსი დეკანოზი  
ზაქარია მღვდელი  
გიორგი მღვდელი  
იოანე მღვდელი  
ონისიმე მღვდელი  
შიო მღვდელი  
დავით მღვდელი  
გიორგი დეკანოზი  
მეფე სოლომონ  
კაცია დადიანი  
ანნა დედოფალი  
გრიგორ დადიანი

\* ჯერ დაუწერია „ღემეტრე“. ეს გადაუხაზავს და დაუწერია „ღიმიტრი“.



დღისითეოს არხიეპისკოპოსი  
ეფთიმე მიტრაპოლიტი  
ეფთიმე არხიმანტრიტი (sic)  
თომა არხიმანდრიტი  
გაბრიელ მღვდელმონოზონი  
პორფირი მონოზონხუცესი  
დავით ხუცესმონოზონი  
სტეფანე მღვდელი  
ონოფრე ბოდბელი  
დავით ბოდბელი  
კირილე ბოდბელი  
გერასიმე არხიმანტრიტი (sic)  
ტრიფილე არხიმანდრიტი  
იოსტოს მღვდელმონოზონი  
ქრისტესია მღვდელი  
იესე დეკანოზი  
ზაქარია დეკანოზი  
იოანე დეკანოზი  
არსენ ტფილეელი  
ვარლამ ეგზარხი  
ნიკოლოზ  
ელისაბედ  
თეკლა  
ტარიელ დადიანოვი  
ალექსანდრე დადიანოვი  
თავადი პავლე  
თავადი აბრაამ  
დავით  
მართა  
ქრისტინა  
იოსებ  
რომანოზ  
გიორგი  
სტეფანიდა  
ვასილიდა  
ზებედე მღვდელი  
ეფრემ მღვდელი  
ტიმოთე

სილიბისტრო  
ნატალია  
ნიკოლოზ  
თავადი ნიკოლოზ  
ამბროსი მიტრაპოლიტი  
მიხაილ მიტრაპოლიტი  
თეოფილაკტე ეგზარხი  
მოსე ეგზარხი  
თავადი გორდი  
ათანასე არხიმანდრიტი  
იოანე დეკანოზი  
პაფნოტი არხიეპისკოპოსი  
გრიგორ ხარკაშენელი  
იოსებ კანდელაკი  
გაბრიელ  
ეკატერინე მეფის სძალი  
ანასტასია მეფის სძალი  
ელენე მეფის სძალი  
ქეთევან მეფის სძალი  
მაქსიმე  
გრიგორი სტუდენტი  
გედეონ არხიმანდრიტი  
კოსტანტინე იერომონახი  
გიორგი საჭურისი იერომონახი  
ირინეი არქიეპისკოპოსი  
არსენი ეპისკოპოზი  
სერაფიმა ილუმენია  
იოსებ  
გაბრიელ  
თამარი  
ანნა  
თამარი  
დარია  
ბაბილა  
ეგნატი (ბუჭუა)\*  
ბარნაბა  
ავგისტინე არხიეპისკოპოსი  
გიორგი

\* ფრჩხილები დედანს ვკუთვნის.

მარიაშ  
 დიმიტრი თავადი  
 თავადი იოსებ  
 სუმონ თავადი  
 სუმეონ  
 იოანე  
 თომა  
 პაპა  
 დავით  
 დადა  
 ნინო  
 მეფის ძის ასულნი ელისაბედ და  
 ნინო  
 მართა  
 ანნა  
 იონა მიტრაპოლიტი

ევლოლი ეპისკოპოსი  
 ბატერმუფ მონოზონდიაკონი  
 ევლრაფი არხიმანდრიტ რეკტორი  
 სერგია არხიეპისკოპოსი  
 გაიოზ არხიეპისკოპოსი  
 გენადი მონოზონხუცესი  
 ზოსიმე  
 გაბრიელ მღვდელმონოზონი  
 ზაქარია მონოზონმღვდელი  
 სფირიდონ დეკანოზი  
 დავით დეკანოზი  
 პეტრე დეკანოზი  
 იოანე ახალშეძინებული  
 სუმონ ახალშეძინებული  
 მარიაშ ახალშეძინებული (ნათ-  
 ლისღებთა)\*

მცნობნი ჩემნი ქრისტეს მიერ სიყვარულითა ამიერ განსრულნი  
 ძმანი ჩემნი და დანი,

მოიხსენე, უ(ფა)ლო:

ანდრია  
 იოსებ  
 გიორგი  
 თეონა  
 იოანე  
 გიორგი  
 მარკოზ  
 ანნა  
 სუმონ  
 ლეონ  
 გრიგორ თავადი  
 ზაქარია თავადი  
 გერასიმე თავადი  
 ქრისტეფორე  
 გორდი  
 იასონ

დარია  
 იოანე  
 დავით რეკტორი  
 ზაქარია დეკანოზი  
 იოანე დეკანოზი  
 ბაბილა  
 ორესტი  
 სერაპიონ მონოზონდეკანოზი  
 დარია თავადა (sic)  
 კვალადცა დარია თავადა  
 ევსტათი თავადი  
 ვასილი  
 გიორგი  
 ნიკიფორე  
 ლალაკტიონ  
 ევმელიანა

\* ამის მომდევნო ხუთი სიტყვა („მცნობნი ჩემნი ქრისტეს მიერ სიყვარულითა“) ღედანში გადახაზულია. ფრჩხილები ღედანს ეკუთვნის.

პავლინა  
დავით  
აბრაამ  
იაკობ  
ისააკ  
სუმონ დეკანოზი  
ეფრემ დეკანოზი  
იოანე მღვდელი  
თეოფანე არხიმანდრიტი  
ნეოფიტე არხიმანდრიტი  
ვალერიანე არხიმანდრიტი  
ელეფთერ არხიმანდრიტი  
ვასილი  
პატაპი  
გობრონ  
საბა  
გიორგი  
ვასილიდა  
თეოდოტი თავადი  
იოანე კანდელაკი  
ზაქარია დეკანოზი  
რატიონ თავადი  
ნატალია თავადა  
ნიკოლოს დეკანოზი  
იოანე დეკანოზი  
გიორგი ნატყუშვარი  
მარიამ ნატყუშვარი  
გიორგი ნატყუშვარი  
გიორგი მოკლული  
სუმონ, ომში მოკლული

გიორგი, ომში მოკლული  
გიორგი, წყალში დამშთვარი  
გიორგი, ბრძოლთაგან დამწვარი  
ზაქარია, უნითგან გარდამოკუტე-  
ლებული

იროდიონ ეტლ-ტანებელი  
ბარბარე ჩჩული\*  
მანუილ ჩჩული  
ნარკისონ ჩჩული  
ნიკოლოს თავადი  
პეტრე თავადი  
ირაკლი თავადი  
ავდუთია  
პეტრე თავადი  
რომანოზ თავადი  
ზაქარია თავადი  
სუმონ მესხი  
ლუარსაბ თავადი  
ალექსანდრე თავადი  
სუმონ თავადი  
მამანტი  
იოსებ  
იოანე [და]  
იოანე\*\*  
იოანე  
დავით მამასახლისი  
დავით  
იოსებ ნაცვალი  
ნარკისონ, ომში მოკლული  
იროდიონ, ტყუშობაში მომკვდა-  
რი

და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი, — და ერთბაშად  
ჯმელთა ზედა აღსრულებულთა და ზღვათა შინა დანთქმულთა განუ-  
სვენე, უ(ფა)ლო, — აქა ყოველთა მოხსენებულთა ქრისტეს მიერ შე-  
სვენებულთა.

\* დედანში. „ჩჩ ჩჩული“ — სტრიქონის გადატანის გამო.

\*\* ორი იოანე ზედიზედ.

## ზონიზაცია

1. შირიანი — ერეკლე II-ის ძე, 1766—1814. ცხოვრობდა პეტერბურგს.

2. სინა — ქართველთა სამონასტრო კოლონია სინას მთაზე, არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში; ათონი (აიონ-ოროსი) — ივერთა მონასტერი ათონის მთაზე (საბერძნეთი); საბას ლავრა — საბა განწმედილის მონასტერი იერუსალიმთან. ქართველთა მწიგნობრობის კერა; კიევის ლავრა — კიევი-პეჩორის ლავრა კიევი; სამების ლავრა—სამება-სერგის ლავრა, მოსკოვთან; ალექსანდრეს ლავრა — ალექსანდრე ნეველის ლავრა, პეტერბურგში; გარესჯის მონასტერი — დავით გარეჯის მონასტერი, გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ცენტრი (საგარეჯოს რაიონი); ნათლიმცემის მონასტერი — საგარეჯოს რ-ში; ნინოს მონასტერი — წმ. ნინოს მონასტერი, ბოდბეში, სიღნაღის რ-ნი; ფერისცვალების მონასტერი — თბილისში; შიომღვიმის მონასტერი — ძეგვის მიდამოებში, კასპის რ-ნი; შუამთის მონასტერი — თელავის რ-ში; ქრუკის მონასტერი — საჩხერის რ-ში; ბარაკონის მონასტერი — ამბროლაურის რ-ში; მღვიმის მონასტერი — ყვირილის ხეობაში; ქვაბთაჯევის (ქვათახევის) მონასტერი — კასპის რ-ში.

3. სძლად ქრისტესა — სარწმუნოებრივ სიმბოლიკაში „ეკლესია“ (მორწმუნეთა კრებული) სძლია ქრისტესი, „სიძისა“.

4. სიბრძნით... რომელ არს შიში... უფლისა — მთავარი სიბრძნეა, რომ ღვთის შიში გქონდესო. „დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისა“ (ფს. 110, 10).

5. შვიდთა ხაიდუმლოთა დამარცხებულთა თანა არა ინებეს... ჰამა პურისა — ეს გამოძახილი ძველი საქრისტიანო წესებისა „ურწმუნოებთან“ ერთად პურისკემის შესახებ (1 კორინთ. 10. 20, 10; 21. 10, 28).

6. ხაუნჯედ (ზეცისა) განზევა — ვითომ ღმერთთან „შესანახად“, დასაუნჯებლად გაიქცა (ზეციდან საზღაურის მიღების რწმენით), კეთილის ქმნა.

7. ხაუფლო დღესასწაულნი — ქრისტეს სახელზე დანიშნულნი: შობა, ნათლისცემა, აღდგომა და სხვ.

8. დიმიტრი თავდადებული — 1271—1289 წწ. საქართველოს ხსენიანთა თავე ხელთ მისცა მონღოლებს და მათგან იწამა; იოთამ — ტიტულოვანი ფეოდალი („ამილახორი“) ზედეგინძის გვარისა. ტრადიციის მიხედვით, თავი გასწირა ქვეყნისათვის, გიორგი VIII-ისთვის (XV ს.). ამ მეფის ნაცვლად ჩაწვა სამეფო სარეცელში, თუმცა იცოდა, რომ შეთქმულების ღამეს იმ სარეცელში მწოლარეს შეთქმულთაგან სიკვდილი არ ასცდებოდა; ბოსტაძე დავით — საბუთი გვაქვს მივიჩინოთ ბოსტაშვილად, რომელმაც 1749 წ. ერეკლე ხიფათს გადაარჩინა ომში (დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია, თბ., 1941, გვ. 5). ფოლკლორში: გომბაშვილი დათუნი (ბ. უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება, გვ. 101); გიორგი XIII — გიორგი XII (1798—1800 წწ.). ფაქტობრივად მის დროს შეუერთდა საქართველოს რუსეთს, რამაც გააადვილა „აზიის ქრისტიანთა“ დაკავშირება იმპერიასთან. იოანე ხელაშვილმა ეს კარგად შენიშნა. ჩვენს ტექსტში საინტერესოა გრამატიკული შეთანხმება: „აზიის ქრისტიანეთ-ი შემავედრებელი“.

9. პავლე იმპერატორი — 1796—1801 წწ. მისი ხელმოწერილი იყო პირველი მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ.

10. ალექსანდრე I — იმპერატორი. 1801—1825.

11. გრიგორ პატრიარქი — კონსტანტინოპოლის პატრიარქი გრიგოლ. საბერძნეთის თავისუფლებისათვის თურქთა წინააღმდეგ ბრძოლის (1821 წ.) გმირი. თურქებმა ჩამოახრჩეს.

12. იოაკიმ დესპოტა — იოაკიმ „უფალი“ („დესპოტა“). მისი „დესპოტობა“ უნდა ცხადყოფდეს მის მღვდელმთავრობას. შტრ.: „ყოვლად უსამღვდლოესი მიტროპოლიტი აბტალელი დესპოტა იოაკიმ“, ტომით ბერძენი (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I. S—1. თბ., 1960, გვ. 222).

13. ჭუეთი — ჭოეთი, აღრინდელი ხორნაბუჯი, ცივის მთის სამხრეთ კიდეტან (ვახუშტი).

14. შაქარია პატრიარქი — დაატყვევეს 614 წელს ირანის შაჰის ხოსრო II-ის მიერ იერუსალიმის აღებისას.

15. გრიგორ მღვდელი — ჩანს, მონაწილე ყოფილა 1751 წელს „რევენის ომში“ ყირიზულახთან, ახალ-ხანის („სპარსთა სპარაზენთა“) წინააღმდეგ ბრძოლისა. სპარსნი — აქ სამხრეთ აზერბაიჯანის მხედრები.

16. ერეკლე II — მის „სახელოვან ომთაგან“ ავტორი ასახელებს ერევენისას, ალის ციხისას, კავთისხევი კავთის ციხის დაცვას „ლევთაგან“. იყო „მომაქცეველი თუშთა“, — თუშეთს მართავდა მეფის მოურავი.

17. მარაბდის ომი — 1624 წ. გმირული ომი, გადახდილი გიორგი სააკაძის შეთავაზებით ქართველი ხალხის მიერ შაჰ აბას I-ის ლაშქრის მოსაგერიებლად.

18. ჰართაგან დანთქმულნი ალაზანსა შინა — უნდა იგულისხმებოდნენ 1749 წ. ომის (ვარელებისა და აჯი-ჩალაბის მოსაგერიებლად) მსხვერპლნი. მაშინ ალაზანში ჩაყენილი ქართველების შესახებ (ერეკლე მეფის ჩათვლით) იხ. ფერმკრთალი ცნობა: დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია, გვ. 5: „რომელიცა მოაქვნდა წყალსა“; ჰარნი — ჰარს ჩასახლებული „ლექები“ (ავარები, წახურები). ჰარი და მისი მომიჯნავე იმდროინდელი „თავისუფალი თემები“, მათ შორის ბელაქანი, კახი, ილისუ, — დაღესტნის, თურქეთ-ირანის ფეოდალებისათვის ბაზა იყო საქართველოს სარბევად.

19. ლეკნი — ძველი ქართული ზოგადი დასახელება დაღესტნის მკვიდრთა (ავართა, წახურთა და სხვ.).

20. კრიხტინა მოხუცებული — მკადისჭერის 1754 წ. ომის გმირი (დაღესტნიდან შემოჭრილი რაზმების შესაკავებლად). დაუსახლებლად ჩანს წყაროებში (დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია, გვ. 6, 23—24), ფოლკლორში („ძველი საქართველო“, III, გვ. 6).

21. მქისიყი — ქიზიყი (კახეთს). „მქისიყი“ სახელის მცდარი ეტიმოლოგიური გარჩევის შედეგად არის მიღებული.

22. ავართა მთავარი — ნურსალ-ბეგი (ნუსალ-ხანი). ნურსალის ბოდბეზე თავდასხმა (XVIII ს. 70-იანი წწ.) ცნობილია (დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია, გვ. 13).

23. ილუხი — უნდა: ილისუ, ელისუ, ერთ დროს სასულტნო (შტრ. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 96: ალის-სულთანის); ექირა ალაზნის მარცხენა შენაკადები ინგოლოთა და სხვა სამოსაბლოკები (ილისუ, კახი, წახური) კავკასიის ქედის ძირობაზე. ახლა აზერბაიჯანის სსრ-შია.

24. ომარ-ხანი — ნურსალის ძე, ხუნძახის პატრონი (ავარიელი), დაღესტნის ფეოდალთაგან ყველაზე მავნე მტერი ქართლ-კახეთის სამეფოსი. 1785 წლის შეთანხმებით, ერეკლე II ომარ-ხანს წლურ „ჩამაგირად“ უხდიდა 5000 მ. უკანასკნელი

ბრძოლა მის უკუსაქცევად მოხდა ნიახურასთან, იორზე, რუსთა და ქართველთა შეერთებული ძალით, 1800 წ. 7 ნოემბერს.

25. ვაღაშური სოფლები — მდ. ალაზნის მარცხნივ მდებარე სოფლები, „გალ-მაშხარისანი“.

26. სოლომონ, დიდი მეფე — სოლომონ იმერთა მეფე (1751—1784 წწ.).

27. აღის ციხის განარინება — ალი (ხაშურის რ-წში) ნურსალ-ბეგის რაზმებმა აი-კლეს 1758 წ. დაცვაში თეიმურაზ II-ს ერეკლესთან ერთად მიეშველა სოლომონ იმერთა მეფეც.

28. ვესტაოედ წოდებული, ნაღეკარი — „ლეკობიდან“ (მუსლიმობიდან) ქრისტიანად მოქცეული; დაღესტნიდან მომხდურთა სააღყო რაზმებს უმკლავდებოდა კავთისხევის ციხეში (კასპის რ-წში).

29. ქუთაისით განაძო ოსმალ-თურქნი — სოლომონ I გმირია ხრესილის ომისა თურქთა წინააღმდეგ (1757 წ.).

30. ვახტანგ V ხჭულმდებელი — „მეხუთედ“ აღრიცხავდნენ ვახტანგ VI-ს. ცნობილია მის მიერ შეკრებილი ქართული და არაქართული კანონები და აგრეთვე მისგანვე შედგენილი ქართული „სამართლის წიგნი“. დიდხანს სარგებლობდნენ მას იმპერიის მოხელეებიც საქართველოში.

31. მალაქია კათალიკოსი იმერეთისა — ცნობილია მალაქიას (1531—1549 წწ.), მცხეთის და არა იმერეთის კათალიკოსის, მონაწილეობით იმერეთს გამართული საეკლესიო კრება (1543—1549 წწ.), სადაც შემუშავდა „სამართალი კათალიკოზთა და კრებისა მიერ“.

32. დომენტი კათალიკოსი — დომენტი III (1705—1741 წწ.), ძმა ვახტანგ VI-ისა. ქართლში თურქთა ბატონობის იმწვავის შესამსუბუქებლად გამოცხადდა სტამბოლში სულთნის („ხვანთქარის“) აშხედ II-ის წინაშე. აქ ის ჩარჩა 2 წელი და რვა თვე; ტენედოსის კუნძულზე ტყვეობაში იყოლიეს 9 წელს (1728—1737 წწ.).

33. თამარ დედოფალი — დედა ერეკლე II-ისა, ასული ვახტანგ VI-ისა. ნადირ-შაჰს (ირანის შაჰი, 1736—1747 წწ.) მიუცია აუდიენცია, კერძოდ, დარუბანდში 1741—1742 წწ. ნადირის ხელშეწყობით, თბილისიდან (ქართლიდან) ოსმალები განდევნილ იქნენ 1735 წელს.

34. ქეთევან — თეიმურაზ II-ისა და თამარის ასული; ნადირ-შაჰმა შერთო (1737—1738 წწ.) თავის ძმისწულს ალი-ყული-ხანს (მეფობაში ადილ-შაჰი).

35. ხვონ მეფე, ხულთნისაგან მოშთობილი — სვიმონ I, ქართლის მეფე (1558—1600 წწ), თურქთაგან საქართველოს დასაცავი ომების გმირი; მათ ტყვეობაში, „სტამბოლში მოკვდა“ (ვახუშტი). რაღაც ვერსიით, ჩანს, სვიმონი ჩამოუხრჩვიათ თუ დაუხრჩვიათ.

36. დინარ დედოფალი — ქერეთის დედოფალი, ადარნასე II-ის (გარდ. 896 წ.) ასული. იცნობს „მატიანე ქართლისა“ (XI ს.). მონოთეოზიტობას („ერატეოსთა“, ერეტეოსებს) დაუპირისპირა დიოფიზიტობა.

37. გიორგი ლაშა — თამარის ძე, იმეფა 1213—1222 წწ. „მომაქცეველი ფშავესურთა“. ჩვენი ავტორის ამ ვერსიას ეხმაურება იოანე ბატონიშვილი (კალმასობა, ტ. I, გვ. 82).

38. გაიოზ არქიეპისკოპოსი (1746—1821 წწ.). ქართველი მწიგნობარი, 1784 წლიდან რუსეთის ეკლესიის მსახური, წვერი ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გამაერელებელი, ე. წ. ოსეთის კომისისა. 1793 წლიდან „მოზღოკის და მოვარის“ ეპისკოპოსი, მოზღოკის სახალხო სკოლის ხელმძღვანელი. მისი სასწავლო წიგნები იბეჭდებოდა მოსკოვშიც, მოზღოვშიც (1797 წ.). 1808 წლიდან „ასტრახნისა და სტავროპოლის არქიეპისკოპოსი“. ხალხის მისაზიდად ქრისტიანობისკენ, სკოლისკენ, მის

განკარგულებაში იყო „მისაცემლები“; ფული, „ტილო“ (შესამოსად.) 1783 წელს იყო წვერი ქ. გეორგიევსკში ცნობილი ტრაქტატის დამდები კომისიისა.

39. არჩილ — მეფე კახეთისა (1664—1675 წწ.). მეფობდა იმერეთსაც (ხანგამოშეებით 1678—1698 წწ.). 1699 წელს ლაზინაიდა მოსკოვში პეტრე I-ის მფარველობით. შველას ითხოვდა („ხოიშნობად“) საქართველოს გასათავისუფლებლად თურქ-ირანელთა ბატონობისაგან (გარდ. 1713 წ. მოსკოვს). მისი ძმისწული ვახტანგ VI-ც, თურქთა ომში დამარცხებული, იქ გადასახლდა 1724 წელს (გარდ. 1737 წ. ასტრახანში). ვახტანგის ძე ბაქარიც, ქართლის მეფე (1717—1719 წწ.), მოსკოვში განაგრძობდა მოღვაწეობას (1724—1750 წწ.). თეიმურაზ II, ერეკლე II-ის მამა, პეტერბურგს ეწვია დიპლომატიური მისიით 1761 წელს (გარდ. 1762 წ. პეტერბურგს, დასაფლავებულია ასტრახანში).

40. ანტონ I კათალიკოზი — ბიძაშვილი („ძმა“) ერეკლე II-ისა. ლეონ ერეკლეს ძესთან (1756—1781 წწ.) ერთად ელჩად გააგზავნა რუსეთს 1772 წელს.

41. ეკატერინე პელმწიფე — ეკატერინე II, იმპერატრიცა (1762—1796 წწ.). მის მეფობაში ერეკლეს მოსდიოდა, მოკლე-მოკლე ვადით, რუსის ქარი, 1769 წ. (გენ. ტოტლებენი), 1783 წ. (პოლკ. ბურნაშოვი), 1795 წ. დეკემბერს (პოლკ. სირახნევი).

42. ელიზაბედი — იმპერატრიცა, ალექსანდრე I-ის მეუღლე. გარდ. 1825 წელს. XVIII ს-ში რუსულ „იმპერატრიცას“ ნაცვლად ზოგს მოუმარჯვნია სიტყვა „იფრადორა“ (იხ. ისტორიის ინსტიტუტის „მომომხილველი“, ტ. III, გვ. 59, შენ. 1); შარიაში — იმპერატრიცა, დედა ალექსანდრე I-ისა. გარდ. 1828 წელს.

43. ღარიბა — ღარეჯან დედოფალი (1726—1800 წწ.), ერეკლე II-ის მეუღლე. რუსული წყაროები მას უფრო ღარიბას სახელით იცნობენ.

პირველად დაიბეჭდა კრებულში: ქართული წყაროთ-  
მცოდნეობა, I, თბ., 1905.

## სამშობლოს ბედნიერების ძიებაში...

(სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 800 წლისთავი)

ქართველი ხალხის სასიქადულო წინაპართა შორის სულხან-საბა ორბელიანი დიდი შემოქმედი-მეცნიერი და მრავალმხრივ ნაამაგარი საზოგადო მოღვაწეა.

ჩვენს საბჭოთა საზოგადოებრიობას საპატიო მიზეზი აქვს ჩაღრმავებით გაიცნოს ამ შესანიშნავი ადამიანის ცხოვრება და საქმე. ორბელიანის შემოქმედებითს მემკვიდრეობას ყოველი ასაკისათვის, მეტადრე ახალგაზრდობისათვის, შეუძლია იყოს მშვენიერი წყარო, ახალი ცოდნა-გამოცდილებისა და სულიერი სიხარულის მომგვრელი. ფართო განათლება და ღვაწლი ერის საკეთილდღეოდ მას საშუალებას აძლევდა სულიერად და ინტელექტუალურად აემალებინა სანუკვარი სამშობლო.

ორბელიანის სწავლა-აღზრდის საქმეს დასაბამი მისცემია ტრადიციული უბრალოებით. მასწავლებლებად მოუწვევიათ ზედგინძე და იაშვილი (სიმღერაში). „ვიყავ სწავლისა ფრიად მოყვარეო“.

ორბელიანის ბრწყინვალე კულტურულ გარემოცვას ეკუთვნოდნენ მეფე-პოეტი არჩილი, მეფე ვახტანგი, ენციკლოპედიური ცოდნის მწიგნობარი. უმცროსი თაობიდან — ვახტანგის შვილი ვახუშტი, დიდი ისტორიკოსი და გეოგრაფი, დიდი დავით გურამიშვილი, და სხვანი, ნაკლებ „მქუხარე“ სახელის მქონე მოღვაწენი.

პატრიოტები დააწვენენ სამშობლოს ზნეობრივი განსპეტაკების საქმეს. მწერლობაში პოპულარული გახდა თემა — „ზნეთსწავლულე-ბა“. სულხან-საბა ორბელიანმა შექმნა წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“. ეს წიგნი, როგორც „ქილილა და დამანა“, უშუალოდ უპასუხებდა ახალგაზრდობის აღზრდის ინტერესებს.

მეფე არჩილი გლეხებს მიმართავს: „თავის პატრონსა დამონდით, კარგვულად, ნუ ავ-პირეთა“. არჩილივე შთააგონებს ექსპლოატატორებს: „თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“. ამ იდეას ავრცელებენ XVII—XVIII და XIX საუკუნეთა მანძილზე ვახტანგიც, დ. გურამიშვილიც, იოანე ბაგრატიონიც. ორბელიანისეულ „სიბრძნე სიცრუეშიც“, „ქილილა და დამანაშიც“ დიდი ნიჭიერებით არის გამოხატული კარგად დანაყრებული მესაკუთრის ეგოიზმი:



„მაძლარი კაცი მომემარს პურს წერილად უფშენეტდა და ზედა აყვედრიდა, რად ლორულად სჭამო“. რადგან „ყმისა ყველა — ბატონისა არის“ (ვახტანგის კანონები), ცხადია, გაბატონებულ კლასში გლეხის გამოსარჩლება მხოლოდ ღვთისა და ბატონის წყალობად იყო წარმოდგენილი. „უმეტარი ხელმწიფე იგი არს, რომელი ქვეყანათა და გლეხთა არა უარდეს“. იმიტომ რომ, თუ გლეხის შრომა არა, „ყოველი საქმე გაურიგებელი და მოშლილი დარჩების“.

ფეოდალური კაცისჭამიობის ვითარებაში ეს იყო გლეხკაცისადმი უდიდესი სიყვარულისა და მხარდაჭერის გამოხატვა.

საერთო კრიზისის სოციალურ მიზეზებს პოლიტიკურიც ზედ ერთოდა. მეფის ხელისუფლების რყევა პერმანენტული მოვლენა იყო. 1709—1715 წლებში ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული კულტურის მცველი მეფე ვახტანგი ირანში ჰყავდათ ტყვედ. ისლამის მიღებაზე უარის განცხადებისათვის ის მოაკლდა მეფობას.

მაშინ კვლავ გაღვივდა სურვილი აზიური დესპოტიის საბოლოოდ უარყოფისა. სანუგეშო გზები „ევროპისაკენ“ მიიმართებოდა. ეს გზები უკვე ნაცადი იყო დასავლეთის მიმართულებითაც (ბიზანტია, „ფრანგთა“ ქვეყანა), აღმოსავლეთითაც — რუსეთისაკენ: 1713—1715 წლებში ს.-ს. ორბელიანი, როგორც თავისი მეფის ელჩი. პარიზსა და რომში აწარმოებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებას დახმარების მისაღებად. თითქოს ეს საიმედო ნაბიჯი ჩანდა, რომში ორბელიანს თავისი ცოდნით, ყველაფრით „დიდი ხმა დაეარდნია“. პაპმაც განუცხადა: „მე შენით მრავალი საქმე მინდა გავაკეთო“. საფიქრებელია. რომ უკვე ირანში ყოფნისას იქ მოღვაწე ფრანგმა მისიონერმა რიშარმა შეაგულიანა ვახტანგიც და ორბელიანიც პარიზთან გაებათ კავშირი. მაგრამ საკითხი ბუნებრივად გადაწყდა. უფრო საიმედო გზებს ქართველი დიპლომატია მოსკოვისაკენ მიჰყავდა, სადაც მეფე არჩილის შრომით უკვე მკვიდრი საფუძველი ჰქონდა ჩაყრილი ქართულ კოლონიას. ამ კოლონიის მეშვეობით რეალური ფორმები ეძლეოდა რუსეთ-საქართველოს დაახლოების საქმეს. „დროების ნიშანი“ იყო, რომ ორბელიანი მალე (1724 წ.) ვახტანგთან და მის მრავალრიცხოვან დიდებულ ამაღლასთან ერთად, სამოცდა შვიდი წლის ასაკში, რუსეთს გადასახლდა.

დასავლეთ ევროპაში ყოფნის შედეგად მან შექმნა მშვენიერი „მოგზაურობა“, ხოლო თავისი შემოქმედების ბრწყინვალე მარგალიტი — ქართული ლექსიკონი — ევროპაში წასვლამდე ჰქონდა უკვედავ მეცნიერს შექმნილი. ხალხისაგან მოპოვებული სულიერი სიმდიდრე ორბელიანმა ისევ ხალხს დაუბრუნა.

## დავით გურამიშვილი — ქართველი ხალხის მიმატიანე

(დაბადების 250 წლისთავის გამო)

დავით გურამიშვილმა უკვდავი „დავითიანის“ ფურცლებზე მრავალმხრივი გამოსახულება მისცა თავის თანამედროვეობას (XVII ს.). მისი პოეტური ქმნილება, გადმოცემული ცოცხალი, თითქმის სასაუბრო ენით, არქიტექტონიკურადაც სიამით შესათვისებელი, სავსეა ფაქტობრივი მასალით, რომელიც საზრდოს აძლევს სხვადასხვა საკვლევი მისწრაფების მქონე მკითხველთ, მათ შორის ისტორიკოსთაც.

„დავითიანის“ საისტორიო მნიშვნელობა, საერთოდ რომ ითქვას, უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ადრინდელ მის განმხილველთაც. ნაწარმოებში დაინახეს „ისტორიული ლეგენდა“, „სურათი ერის ცხოვრებისა“ (გ. წერეთელი; 1870 წ.), „მრთელის საქართველოს ყოფნა“ (პ. უმიკაშვილი; 1880). უმიკაშვილის დასკვნით, „არჩილიანი“, „დიდმოურავიანი“, „წამება ქეთევან დედოფლისა“ გამოპხატავენ „თვითეთულის კაცის ამბავს“, ხოლო „დავითიანი“ ასახავს საქართველოს სურათს“.

დღეს, საბჭოურ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიღწევების შუქზე, დავითის, როგორც ქართველთა მიმატიანის როლი უფრო ცხადად წარმოგვიდგება. აკად. ივ. ჯავახიშვილმა სპეციალური შრომა უძღვნა ი. ქავკავაძის ღვაწლს საქართველოს ისტორიოგრაფიაში (1938 წ.). გურამიშვილის სახელიც მკიდროდ უკავშირდება ქართულ ისტორიოგრაფიას. ფაქტობრივი მასალა, რომელიც გამოირჩევა „დავითიანში“ ვახტანგ VI შესანიშნავი ხანის დასახასიათებლად, ის ვერსიები, ხან დეტალები, ამათუიმ ისტორიული მოვლენისა, რომელიც გადაურჩენია დავითს დაკარგვისაგან, საინტერესო რეალიების შედარებითი სიუხვე — ეს ყველაფერი გურამიშვილის დიდი წვლილია, XVIII ს. შესწავლის საქმეში შეტანილი.

ქართლ-კახეთის ისტორიული ცხოვრების ქრონოლოგიური ჩარჩოები „დავითიანში“ არსებითად განისაზღვრება 1722—1737 წლებით. დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ეს პერიოდი კარგად შესასწავლია. ჯერ შედარებით მშვიდობიან პირობებში გრძელდება XVII ს. დამლევდიან დაწყებული აღდგენითი მუშაობა.

ის საშინელი ტყვილები, რომელიც მიაყენეს ქვეყანას ხვანთქარს, ყაენის ან სხვა მომცრო ტიტულოვანი გააბრაგებული ფეოდალების აგრესიულმა ძალებმა XVI—XVII ს-ში, ახლა თანდათან ცხრებოდნენ.

მეტადრე კეთილისმყოფელი აღმოჩნდნენ 1703—1712-ისა და რამდენიმე მომდევნო წლის გმირული ცდები, მარჯვე პოლიტიკური და კულტურული ხელმძღვანელობით, რომელშიც „ლომის წილი“ ელო ვახტანგს (1703—1724 წწ. გარდ. 1737 წ.), ხორციელდებოდა დიდი საქმე. ვახტანგს გარდა, არჩილ II, სიბრძნისმეტყველი საბა ორბელიანი, დომენტი, უმცროსი თაობიდან მწიგნობრობის უკვდავი მესვეურები — ვახუშტი, ბაქარი, მესტამბე ანთიმოზი და ა. შ. ბურჯბად ედგნენ ქვეყანას, მნიშვნელოვანი იყო მიღწევები ეკონომიკის დარგში (ქალაქთმშენებლობა, საირიგაციო საშუალებათა გაუმჯობესება), სოციალურ ღონისძიებათა სფეროში (ვახტანგის ცნობილი კანონები), კულტურის დარგში (ეროვნული სტამბის შექმნა 1709 წ.), მეცნიერებათა დარგში (კაპიტალური შრომები — ასტრონომიული, გეოგრაფიული, ისტორიოგრაფიული, ლექსიკოლოგიური), მხატვრული ლიტერატურის დარგში (უკვდავი „სიბრძნე-სიცრუისა“) და სხვ. რაც შეეხება იმ დროის პოლიტიკურ ცხოვრებას, მას აფერადებს მაშინ (1722 წ.) მომხდარი ეპოქალური მნიშვნელობის დემონსტრაცია ქართველთა მზადყოფნისა, რომ პროგრესისათვის მებრძოლი საქართველო მჭიდროდ დაეკავშირებინათ დიდ რუს სალხთან. ეს დემონსტრაცია „საარაკო“ სახით განმეორდა 1724 წ. (მოწინავე ქართველთა დიდი ჯგუფის გადასახლება მოსკოვს).

დავით გურამიშვილმა თავის, ასე ვთქვათ, საისტორიო თხრობაში წინ წამოსწია ხანის ყველაზე უფრო დრამატული მომენტები. ჯერ საერთო ფონი, ყოველი ბატონყმური საზოგადოებისათვის განუყრელი, უკუთრებელი სენი — უძლები, ესე იგი „ყოვლის საქმით გაუძლომელი“ (ს.-ს. ორბელიანი), ფეოდალების ურთიერთ შური და გამცემლობა. ქიში იკვებებოდა და ხორციელდებოდა დამონებული გლეხის შრომის ექსპლოატაციის ნიადაგზე. ჰუმანიზმის აღმსარებელ მებატონეთა მოთხოვნებიც ყოვლად მინიმალური და უმწეო იყო. არსებითად — მოითხოვდნენ გლეხის ფიზიკური მოსაპობისაგან თავის შეკავებას. რადგან — „თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“ (არჩილი). საჭიროა, მესაკუთრემ იკმაროს ცხოვრების საუკუნეობრივი პრაქტიკით შემუშავებული, „დადებული“ ნორმები („დებულება“) გლეხის შრომის ექსპლოატაციისა. „დებულების“ (სიტყვის ძირია „დ“) წინააღმდეგი იქნება კანონით უარყოფილი „უდიერი“ (ესეც იმავე ძირიდან ნაწარმოებია).

დავით გურამიშვილმაც, როგორც იდეოლოგიურად კარგად გაწვრთნილმა მწერალმა, იცის ყველა ამის ფასი. ის სხარტად წერს:

ბატონის უპატიური ყმას არ შერჩების არროსა,  
არც ღმერთი ბატონს შეარჩენს ყმაზე საუღიაროსა.

გაბატონებული კლასისთვის თავდაცვის საშუალებააო — „რიგი — წესი, სამართალი ბატონყმური“.

პატივს იმსახურებს ყაირათიანი მესაკუთრე. დავითი წერს: „იმის-  
თანა ბატონს ვაქებ, მან ერთი ყმა განახუთოს“. ცხადია, სოფლის  
მეურნეობის ბატონობის პირობებში მიწის მუშაობის ბარაქაზეა ქვეყ-  
ნის კეთილდღეობა დამოკიდებული. ამიტომ დავითიც, სხვა მოწინავე  
ქართველ მოღვაწეებთან ერთად, ებრძვის მეზატონეთა ანარქიას.

ვახტანგს, როგორც მოწმობენ საისტორიო წყაროები, დიდი შეუ-  
პოვრობა სჭირდებოდა იმისათვის, რომ საქართველოს შეენარჩუნებინა  
უკვე ნაწილობრივ მოპოვებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონო-  
მიკური წონასწორობა. ვერაგი მოწინააღმდეგენი ქართველ ხალხს, გა-  
რეშეებს გარდა, შინაურიც ძლიერები ჰყავდა საზოგადოების ყველა  
ფენაში. დავითი წერს: „თუმც იყვნენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი  
ქნეს ვერები“. ვახუშტი და მისი თანამედროვეები ამჟღავნებდნენ ქვე-  
ყნის მოლაღატეთა, ცენტრალური ხელისუფლების ურჩ თავად-ერის-  
თავთა სახელებს. ამათგან პაპუნა დიასამიძე ჩამოაღრჩევს, ქვემო ქარ-  
თლის ერთ-ერთი მელიქი „თოფით დახვრიტეს“, მუხრანის ბატონს  
ერეკლეს „აღმოხადეს თვალნი“, უფრო დიდი ბატონი, ვახტანგის ძმა  
იესე, ერთ დროს ქართლის გადარჯულებული მეფე, პატიმრად იჯდა;  
ბევრი გამცემი სიკვდილისაგან იხსნეს უპრინციპო „შემბრალებლებ-  
მა“, დედოფალმა, კათალიკოზმა. კერძოდ, სიკვდილისაგან დახსნილი  
იქნენ, მაგრამ სამაგიეროდ „განყიდეს ოსეთს თხებთა ზედა“ ბაგრატ  
ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდისშვილი, ჯამასპი ხერხეულიძე, პაპუ-  
ნა რევაზისშვილი, ერთი ვეშაპიძე და ერთიც პლატონი (ვახუშტი).

მაგრამ არსებული, შედარებითი წონასწორობის დარღვევა ბა-  
ტონყმურ ქვეყანაში ადვილი საქმე იყო. ერთ ასეთ დარღვევას, დაწყე-  
ბული აღორძინების დიდად შემაფერხებელს, ადგილი ჰქონდა XVIII  
ს-ის ოციანი წლების დასაწყისში.

ავღანთაგან შერყეული ტახტი შაჰ-ჰუსეინისა დაიჭირა მისმა  
მემკვიდრემ შაჰ-თამაზმა (1722 წ. შემოდგომა). ირანის ერთ ნაწილზე  
გავრცელდა ავღანთ ხელისუფლება. თამაზი შეუდგა ძალების მოკრე-  
ბას. დავით გურამიშვილი თამაზის („შაჰ-თამაზის“) მეფობით იწყებს  
საქართველოს ამბავს („ქართლის არაქს“). ის ერთ საინტერესო ცნო-  
ბასაც გვაძლევს: თამაზმა საკუთარი ძალით ვერ განამტკიცა საბრძა-  
ნებელი. პირიქით, „აღძრა ოსმალო“, ავღანნიც შინ ჰყავდა მოკალა-  
თებული. მალე პეტრეს სარდლობას დაუთმო კასპიის ზღვის სანაპირო-  
ები, „ჩრდილეთის მხარეს რუსეთსა, გილანით მისცა დავღანი“. დავ-

ლა — იგივე დამლაა, რაც საქალაქო გამოსაღებსაც, გადასახადებს ნიშნავს (აქად. ბარტოლდი).

დავითი ძლიერ დაინტერესებულია ეკონომიკური მნიშვნელობის ცნობებით, იმავე თამაშმა გააძლიერა, ასე ვთქვათ, საქართველოს ეკონომიკური ბლოკადა. „დაღესტანთ ქართლსა, კახეთსა წაართო ყუმაშყავლანი“. ყუმაში წითელ ჩითს ნიშნავს, ყავლა — „მყვირალა“ ფერის სახიანი ქსოვილია (სპარსული ლექსიკონი). გამოდის, ქართლ-კახეთს აღეკვეთა სააღებმიცემო გზები დაღესტნის მშრომელ მოსახლეობასთან, შეწყდა, კერძოდ, ფართლით ვაჭრობა. მოგვეპოვება დოკუმენტური ცნობა, რომ ქართველებს შეჰქონდათ დაღესტანში, კერძოდ, ლენინ და ფარჩა (დ. მეგრელაძის გამოკვლევა). ყეენმა მათ „წაართო“ ამისი საშუალება.

ამით არ ამოიწურება „ქართლის არაკის“ დავითისეული შესავალი. იფეთქა წინათ გადატანილი ეკონომიკური კრიზისების რეციდივმა. მტრისაგან, მებატონეებისა და სპარს-თურქთა მეომრებისაგან დაწიოკებული გლეხობა დაიფანტა, დაიწყო შიმშილი, რომლის შესახებ მემატინანეებიც სწერენ. მძიმე კრიზისულ მდგომარეობას, რომელიც დაიწყო უკვე 1721 წელს, გურამიშვილი ნიშანდობლივი მოვლენებით ახასიათებს. ქვეყნის დამჩაგვრელმა ძალებმა ხალხს —

მოუგის დიდი სიყმილი, შემუსრის ძალი პურისა;

აღარეინ იყვის ღვინითა აღმესებელი ჭურისა.

შემციოდის ხართა ნახნავი, მოსწყდის ნაწველი ფურისა.

ამას დაერთო ხალხის მომქანცავი ომიანობა, ერთ ხნობით სამხედრო დისციპლინის დასუსტება. ასე გამოიხატა ქართლ-კახეთის ამბის შესავალშივე დავითისეული გამოთქმით „ქართლის ჭირი“.

„დავითიანის“ მასალაში გამოირჩევა ცნობები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ჯერ პეტრე იწვევს ვახტანგს სალაშქროდ ყეენის წინააღმდეგ — „გიჯობს მე ზურგი მომყუდო“. დგება ქართველთათვის სანატრელი დრო რუსეთის მხედრობასთან ერთად მოქმედებისა. მაგრამ საბრძოლო ამოცანა რთული იყო. ვახტანგის მიერ მოწვეულ თათბირზე უმრავლესობა სეკსისმა შეიპყრო. გურამიშვილმა შემოგვინახა მოთათბირეთა კამათის ძირითადი მოტივები (თ. 12).

წყაროებიდან ცნობილია, რომ ვახტანგმა 30 ათასი მეომარი, სომეხთა მონაწილეობით, განჯამდე ატარა (1722 წ., 10. IX). მაგრამ რუსის ლაშქარს, რომელიც მოქმედებდა კასპიის სანაპიროებზე, ის არ შეერთებია. პეტრემ ერთბაშად შეცვალა სამოქმედო გეგმა, დიდი ლაშქრობა გადადო. თუ ქართველ ჯარს ფუჭად წაუვიდა განჯასთან ორთვის დგომა, ამის მიზეზს დავითი, კერძოდ, ქართლის ხელმძღვანელთა კუნქტატორობაშიც ხედავს. ჯერ თვითსასახლის წევრებს, ვახტანგსა და ბაქარს, უთანხმოება სთიშავდა.

ორთავე შუა მტერს, ეშმაკსა, ჩამოეგდო რალაც შური;  
მისგან წახდა, დაგვიანდა საქმე კარგი დასაშური;  
(მამა-შვილმა) ვერა ნახეს რუს ხელმწიფე,  
ვერ აჩვენეს სამსახური.

დავითი მიუდგომელი ჩანს საქმის შეფასებაში. ქართველი ლაშქარი დაყოვნდა. კონსტანტინეს ჯარმა ყაზახში მტრობით, ზურგში დაარტყა ვახტანგის ჯარს. ვახტანგის ლაშქარი პარალიზებული აღმოჩნდა. საერთოდაც, მის წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანა მის შემძლეობას აღემატებოდა (სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა; XVIII ს.). ძნელი იყო შამახია-ბაქოსკენ გზის გაკაფვა.

გურამიშვილს კარგად ესმოდა რუს-ქართველთა შეკავშირების ისტორიული მნიშვნელობა. მან მშვენიერი სტრიქონები უძღვნა პეტრეს, რუს მხედრობას:

კურთხულმცა არს ღვთისაგან პეტრეს, ხელმწიფის ხსენება.  
რა საქმე ვახტანგ მეფისა სცნა, მისი შველა ენება.

არჩილიც წერდა:

თვით პეტრე ცარი — ვნახე, რაც არი,  
დიდის რუსეთის მტკიცედ მპყრობელი.

გურამიშვილი:

არს მოსაწონი მნახველთა გაწყობა რუსის ჯარისა.  
ათას ხუთას კაცთ ერთფერად, ტანთა ცმა, სხმა აბჯარისა,  
წყობ-რიგად შესვლა-გამოსვლა, ქცევა-ვით ბრუნვა ჯარისა.

გურამიშვილს ზედაველას სისხლიანი ბრძოლის (1724 წ.) გაშუქებაშიც შეაქვეს თავისი წვლილი (გვ. 55).

დასკვნა: „დავითიანი“ მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა. ის საგრძნობლად ადევებს იმ ხარვეზს, რომელიც აჩვენია ქართულ ისტორიო-გრაფიულ ძეგლებს სოციალურ-ეკონომიკური თუ სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების გადმოცემაში.

„დავითიანის“ სათანადო ნაწილი, „ქართლის ჭირი“, რომ გავათავისუფლოთ მისი პოეტური ფორმისაგან, უთუოდ მივიღებდით საქმის ცოდნით შედგენილს XVIII ს. ქართულ მატრიანეს. დავით გურამიშვილის დიდი ქმნილება ამ მხრივაც იქცევის მკითხველის ყურადღებას და მოითხოვს ჩაღრმავებულ კვლევას.

## ქართული კულტურის მკვლევარი

(ნიკო მარის დაბადების 100 წლისთავი)

აკადემიკოს ნ. მარის სახელი ჩვენს მეცნიერთა დიდებულ მატრი-  
ნეში ძვირფასი თვალისთვით ბრწყინავს. მან ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნა-  
ზიაში სწავლის წლებში გამოამჟღავნა დაუცხრომელი მაძიებლის ნე-  
ბისყოფა და ინტენსიური შემოქმედებითი შრომის უნარი. პეტერბურ-  
გის უნივერსიტეტში (აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი) სახარჯოდ გა-  
ჰყვა ოლქის სტიპენდია და სულიერ საგზლად — საუცხოო მომზადე-  
ბა, რევოლუციურ-განმათავისუფლებელი იდეები და სამშობლო სა-  
ქართველოს სიყვარული.

1888 წელს სტუდენტმა მარმა „ივერიაში“ გამოაქვეყნა პირველი  
წერილი — „ბუნება და თვისება ქართულის ენისა“. ამის შემდეგ მან  
გააჩალა ტიტანური საისტორიო-ფილოლოგიური და საენათმეცნიერო  
მუშაობა.

ნიკო მარმა საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისა  
და ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი შეასრულა. მის მიერ შექმნი-  
ლია სამაგალითო შრომები კავკასიისმცოდნეობის ყოველ დარგში.  
ჩვენც მივყვით მათ — „გემო ვიხილოთ წმიდათაგან წყართა“.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ატეხილმა კამათმა გაამძაფრა  
„ქართლის ცხოვრების“ და საქართველოს ისტორიის შესწავლის ინ-  
ტერესი.

მაშინდელ ქართველმცოდნეთა წრეში (თ. უორდანი, მ. ჯანაშვი-  
ლი, ე. თაყაიშვილი და სხვ.) ნ. მარს იმთავითვე ყველაზე დიდი შემო-  
ქმედებითი შესაძლებლობანი აღმოაჩნდა როგორც წყართმცოდნეს,  
მათ გამომქვეყნებელს, მკვლევარს. მას ხელს უწყობდა ბუნებრივი  
ნიჭი, დიდი განათლება, დაუცხრომელი შრომისუნარიანობა. ივანე ჯა-  
ვახიშვილი (1937 წ.) წერდა „ვინც-კი აკად. ნ. მარის ნაშრომების თუნ-  
დაც მარტო სიას გადასინჯავს, შეუძლებელია მისი შემოქმედების ნა-  
ყოფიერებით მისდამი განცვიფრებისა და პატივისცემის გრძნობა არ  
აღეძრას“.

ნ. მარი თავისუფლად ფლობდა მრავალ ენას... ძველმცოდნეობის და  
ძველქართული ენების მისეული „გრამატიკები“, პუბლიკაციები მწერ-

ლობის ძეგლებისა „გარეგანი კრიტიკით“ — ქრონოლოგიური კალკულაციებით, პალეოგრაფიული, ტექსტოლოგიური. ლექსიკოლოგიური მონაპოვრებით, — ყოველივე ეს ჩვენს დიდ სამეცნიერო დოვლათს შეადგენს.

1905—1906 წლებში ნ. მარის უკვე დიდი მასშტაბის ავტორიტეტის მქონე მკვლევარია. იმდროინდელი მისი „კურიკულუმ ვიტე“ დამუშევრებულია მონაცემებით: იგი ავტორია ცხრა ათეულზე მეტი ფუძემდებლური ნაშრომისა ქართველთა, სომეხთა და ერთობლივ კავკასიის მკვლევანობაში. 1892 წლიდან ხელმძღვანელობს ანისის გათხრებს, 1902 წ. ი. ჭავჭავიძელთან ერთად ქართულ სიძველეთა შესასწავლად ჩაატარა ექსპედიცია სინას მთაზე და იერუსალიმს („წინასწარი ანგარიში“, 1903 წ.), იმგზავრა ათონზეც (1899 წ.) და ა. შ. 1900 წლიდან იგი უნივერსიტეტში შექმნილი სომხურ-ქართული ფილოლოგიის კათედრის პროფესორია. 1912 წელს არჩეულ იქნა მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. მის კათედრასთან დასპეციალისტდნენ ივ. ჭავჭავიძელი, აკაკი შანიძე, ი. ყიფშიძე, იუსტ. აბულაძე, ს. კაკაბაძე, გ. ჩიტაია და სხვ. შეიქმნა დიდებული სერები: „ტექსტები და ძიებანი სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში“ (13 ტომი), „ბიბლიოთეკა არმენო-გეორგიკა“, „ქრისტიანული აღმოსავლეთი“ (6 ტომი), „ანისის სერია“ და სხვ.

რევოლუციური მოძრაობით გამხნეებული, მოწინავე იდეებით შეიარაღებული ნიკო მარის საქართველოს ტრადიციული ისტორიის განახლების საქმეს შეუდგა, კონსერვატულად განწყობილ პირებს გაბედულად შეეჭიდა. 1906 წ. გამოაქვეყნა „საქართველოს ისტორია. კულტურულ-ისტორიული მონახაზი“. ამ წიგნს ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, მასში დიდი მეცნიერი საყოველთაოდ ნათელს ჰფენდა ძველ ქართულ კულტურას და მისი შემქმნელების სიცოცხლისუნარიანობას. მარის, ამ შრომაში მოცემულ ახალ ისტორიულ კონცეფციას თავისი როლი უთამაშნია ქართულ ისტორიოგრაფიაში. 1907 წ. დაიბეჭდა მარის „საქართველოს ეკლესიის ისტორიის ნარკვევი“ („საეკლესიო უწყებანი“, № 3, დამატება), 1908 წ. გამოქვეყნდა მისი რეცენზია ი. ჭავჭავიძელის შრომაზე — „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობილება“. რეცენზიაში წერილობით წყაროებთან ერთად გაშუქებულია ნივთიერი კულტურის ძეგლების გამოყენების სკიოტხები.

ნ. მარმა გამოსცა გიორგი მერჩულეს (X ს.) სწორუბოვარი შრომა („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“). ამ გამოცემის საბაზით მარმა ადგილზე გაიციო შავშეთ-კლარჯეთის მხარე, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ასპარეზები. წიგნმა დიდად შეუწყო ხელი VIII—X საუკუნეების საქართველოს ისტორიის გამოკვლევას. მარის პუბლიკაციებ-



ში დიდად არის შეფასებული „პეტრე ივერის ცხოვრება“, „წმ. გრიგოლის მიერ მოქცევა სომეხთა, ქართველთა, აფხაზთა და ალანთა“ (არაბული ვერსია). ნიკო მარმა ათონიდან, იერუსალიმიდან და სინა-დან ჩამოიტანა ხელნაწერები, დაბეჭდა მათი აღწერილობანი; საფუძველი ჩაუყარა რუსთველოლოგიას, დაბეჭდა „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილი. აღსანიშნავია მეცნიერის ნოვატორული სწრაფვა— ქართულ ისტორიოგრაფიაში საისტორიო წყაროებს გაუწიოს გარეგანს გარდა ე. წ. შინაგანი კრიტიკა, შეაფასოს მათი საზოგადოებრივ-კლასობრივი არსი. ცნობილია ოდესღაც ნამსხვრევად ქცეული და მარისგან დიდი გამჭკრიახობით აღდგენილი, ანისში ქართული ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი საქართველოს კათალიკოსის ეტიფანეს 1218 წლის წარწერა, რომელიც გადმოგვცემს ანისში ქართველ ხუცესთაგან მრევლზე გაწერილ უჩურო გადასახადებით გამოწვეულ კონფლიქტს. მარი ქართულ ძეგლებს ჩვეულებრივ გამოსცემდა გამოკვლევის, შენიშვნებისა და ლექსიკონების დართვით. დასაანია, რომ თვითონ მარის მეცნიერული მემკვიდრეობა დღემდე მთლიანად სათანადოდ არ არის გამოცემული, ქართულ ენაზე არ არსებობს მისი შრომების არც ერთი კრებული.

ნიკო მარი ფართო ერუდიციის მეცნიერი იყო. მას 600-მდე მეცნიერული შრომა აქვს გამოქვეყნებული და მრავალი მოწაფე ჰყავს აღზრდილი, რომელთაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ქართული ისტორიოგრაფიისა და ფილოლოგიის განვითარებაში. მისი ღვაწლი ჩვენი ხალხის კულტურული წარსულის შესწავლის საქმეში მეტად დიდია, მის ამაგს შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს.

პირველად დაიბეჭდა ნაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, 28.I.1985, № 5.

## აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

### ჯიჩო მოგონება

დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი — ის ვინც, სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული, მარადის ერთგულად ემსახურებოდა ქართველი ხალხის დიდებულ შვილთა უკვდავყოფის წმიდა საქმეს, თავისთვის არასოდეს ითხოვდა პატივს, საწუთრო ხარკს, მაგრამ ვფიქრობთ, ჩვენს დაუვიწყარ მეცნიერს, შოთა რუსთველის შემოქმედების ერთ საუკეთესო დამფასებელთაგანს და მოყვარულს, არა მცირედს ნუგეშს სცემდა შოთას გენიალური პოემის სიტყვები: „მიღწვიან, მომიგონებენ...“ დიალაც სავსე არიან ცანი და ქვეყანა „მისი მომგონებლებით“.

ამ სტრიქონების ავტორიც უზიარებს აქ მკითხველს თავის მოგონებათაგან ამ რამდენიმეს, შერჩეულს ივანე ჯავახიშვილის 90-წლიანი თარიღის აღსანიშნავად. ეს თარიღი ემთხვევა უკვდავი რუსთველის 800 წლისთავს, და ამიტომ ჩვენ პირველად ყოვლისა წინ გვეხატება, მთელი თავისი მიმზიდველობით, 1937—1938 წლების ივანე ჯავახიშვილი, როგორც აქტიური, დაუღალავი (და, ამავე დროს, ძალზე გადაღლილ-გადატვირთული) ხელმძღვანელი და ორგანიზატორი რუსთველის პოემის 750 წლის იუბილისა.

აი მასთან ჩვენი ერთ-ერთი შეხვედრა მაშინ საქართველოს მუზეუმის იმ დარბაზში, სადაც ეწყობოდა საიუბილეო გამოფენა მხატვრობის, მწიგნობრობის ნიმუშებისა. ცივ დარბაზში იგი, უკვე რამდენადღე გაცივებული, პალტოჩაცმული და ქუდდახურული, ძალზე გამხდარი, ფიქრისა და ზრუნვის გამომხატველი სახით, სასმენელი აპარატით ყურში, უწყვეტლივ ადგილს ინაცვლებს სხვადასხვა რიგის ექსპონატების შესამოწმებლად. დარბაზში შესვლისას, სადაც ჩვენი დიდი და სათნოიანი ბატონი მეგულვებოდა, ჯერ იროდიონ სონღულაშვილს წავაწყდი და მივესალმე, შემდეგ იქით კუთხეში — დმანისის კერამიკულ ფრაგმენტებზე მოფუსფუსეს, მიმზიდველი თავაზიანობით ჩემდა შემოგებებულ მშვიდ ლევან მუსხელიშვილს და — „გზის“ ბოლომდე გავლის შემდგომ — თვითონ ჩვენს საერთო მასწავლებელს.

მისი სიტყვა ყოველთვის ენერგიული, ხშირად იუმორით შეზავებული იყო, ზოგჯერ შეკავებული წყრომისა თუ საყვედურის გამოთქმაც იცოდა.

ამ შეხვედრაზე მის ხმას გაცივების შედეგად, ემჩნეოდა მცირედი ხრინწი, საუბარს რამდენადმე მინორული ტონი დაჰკრავდა. სიტყვა შეეხო, კერძოდ, მხატვარ ალაჯალოვას (ლენინგრადი) მიერ ჩემი მშვეობით ი. ჯავახიშვილისგან შეკვეთილი ლენინგრადის ფონდებში ძველ ქართულ-ბიზანტიურ ხელნაწერში დაცული მინიატურების პირების გადაღებას. დამათვალეირებინა ქსოვილების ნიმუშები, რომელთა შორის შევნიშნე ერთი მახინჯად წაკითხული აფორიზმი ნაქარგად: „მიეც გლახაკთა საკურტლე, ანთავისუფლე მონები“. შევიცხადე მშვენიერ ნახელავზე უადგილო ნარით გამოყვანილი „ანთავისუფლე“. თითქოს ეამა ჩემი სიფხიზლე და ღიმილით წარმოთქვა: „ტრადიცია...“

აგერ დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის გელათური ფრესკის პირები. ამის შესახებ შევეკითხე: არ იქნება-მეთქი, თამარის ნავარაუდები საფლავის მსგავსად დავითისაც გაითხაროს? ამას დაესძინე: შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ დავითის ეპიტაფია იმეორებს მისივე სეხნიის ძველი დავითის ფსალმუნს (ფს. 131, 14). ეს უეჭველს უნდა ხდიდეს იმ საფლავის დავითისობას, არგუმენტაცი: მოეწონა, მაგრამ ეს არ კმაროდა. იქვე შენიშნა დიდი ზრუნვით: რატომ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ საფლავი დღემდე შემონახულია ხელუხლებლად... და ორიოდ წინადადებით გამოთქვა, თუ რასათუთად ეპყრობა ხალხის გული ეროვნულ სიძველეებს.

ჩემგან იცოდა, რომ სახელმწიფო ერმიტაჟისგან; აკად. ი. ორბელისგან წინადადება მქონდა მოცემული რუსულად მეთარგმნა რუსთაველის ეპოქის ქართული საისტორიო ძეგლი. ი. ჯავახიშვილს ეამა ეს და, ჩემდა გასახარელად, საკუთარი ინიციატივით შემომთავაზა გადასათარგმნელად, ხელნაწერის სახით მის მიერ აღდგენილი ტექსტი ბასილი ეზოსმოდვრის შრომისა — „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“. მალე გამოქვეყნებულ თარგმანს მოწონებით შეხვდა. ამასთან დაკავშირებით ერთ დღეს თავშეკავებით ვკითხე, რატომ არ იქნება-მეთქი, გამოაქვეყნოთ თამარის ანონიმური ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანიც“ (მას ამის გამოცემაც ჰქონდა განზრახული). მის თვალბში რალაც ჩანადიქრი გამოშუქდა და მიპასუხა: „კორნელი კეკელიძეც აპირებს მის გამოქვეყნებას და ჯერ მან გამოსცეს-ო“. იმდღევანდელ ჩვენს საუბარში ეს მივიჩნიე ყველაზე საინტერესოდ.

სარუსთველო ზეიმი თბილისში უკვე გადახდილი იყო, და 1938 წლის დამლევს პირველად მომიხდა ივანე ჯავახიშვილის ოჯახში — მისგანვე მიპატიებულს — ფეხის შედგმა. მივეუქვე მის საწერ მაგიდას. გადმოიღო რამდენიმე უკვე დაბეჭდილი თაბახი თავისი კაპიტალუ-

რი შრომისა ქართული და კავკასიური ენების შესახებ და დაიწყო წიგნის მეორე კარის მკაფიო კითხვა, მეთოდოლოგიის საკითხების წინ წამოწევით. კითხვამ დიდხანს გასტანა. საუბარი გაგრძელდა გაშლილ სუფრასთან. საჩივარი თქვა სახლმმართველის შესახებ, რომელსაც რემონტი დაეგვიანებინა, და ამის გამო ივანე ჯავახიშვილს ჰქერი ჩამოქცეოდა ზედ საწერ მაგიდაზე. ჰქერის მოხეტქილობამ დამარწმუნა, რომ ბედზე გადარჩენოდა ვინ იცის რა ზომის დაშავებას, რადგან ჩამოქცევის დროს მაგიდასთან არ მჯდარა.

სუფრას ამშვენებდა მენიუს მრავალფერობა და სიუხვე, თუმცა მასპინძელსა და მის ძმას გიორგის მარტო მე ვემატებოდი. იდგა სასმელებიც. უფრო ის მეუცხოვებოდა, რომ მასპინძელი, რომელსაც მის დღეში წვეთი ღვინო და არაყი არ დაელია, არ ლალატობდა ქართულ წესსა და საკვირველი ლაზათით მაწოდებდა ხან რას და ხან რას. საჭმელზე არ ვიტყვოდი უარს, მით უფრო სასმელზე, მაგრამ პარტნიორი არ მყავდა და ამიტომ მხოლოდ ერთი ჭიქა ღვინო „ვიხმიე“ ოჯახის დასალოცად. ამას მოჰყვა მასპინძლის შეკითხვა — რუსეთში არაყს არ დაეჩვიეთ?

სასმელი რომ ეს ვიკმარე (გალიზიანებული მადის ჩახშობით), ჰამა სულ აღარ ეგებოდა, რადგანაც გაცხოველებული საუბარი გაიბა ლენინგრადის ამბებზე, მეტადრე აკად. ნიკო მარის მღელვარე ცხოვრება-მოღვაწეობის ამბებზე, მის სამეცნიერო გარემოცვაზე, მის მტერ-მოყვრებზე, ბოლოს გარდაცვალების და პომპეზური დაკრძალვის შესახებ. მასპინძლის სასმენელი აპარატი მოითხოვდა ხმამაღლა მელაპარაკა. რადგან ნაამბობს დიდი ყურადღებით ისმენდა, მეც ღონეს არ ვიშურებდი. ისმენდა ღრმა ფიქრებში წასული, იდაყვზე თავის დაბჯენით. მთელი ხანგრძლივი სუფრასთან ჯდომის ვითარებაში ბატონ გიორგის ხმა არ გაუღია, იქდა თეფშზე თავდახრილი და თავის კერძს შეექცეოდა.

ჩვენი მეცნიერების ისტორიაში უთუოდ მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის მეტად შინაარსიანი და მრავალწლოვანი ურთიერთობა. ამ ურთიერთობის გრძელს ამბავს საინტერესოს ზღის ორივე მხარე: ოფიციალურიც და შინაურ-ინტიმურიც.

რადგან ნ. მარის სახელს ვახსენებთ, მოვიგონებ ივანე ჯავახიშვილის სამგლოვიარო გამოძახილს, რომელიც აისახა წერილობით გიორგი (იური) ნიკოლოზის ძის მარის უდროოდ გარდაცვალების გამო. აქ გამოგვადგება სათანადო პირადი წერილის (1935. 12. XII) შემდგომი ადგილი:

„...გაგებულნი გექნებათ საწყალი იური (ფრიდონ) მარისის გარდაცვალების ამბავი, სამწუხაროა, რომ ასეთი ნიჭიერი ჰაბუკი ასე

უდროვით დადუმდა და ვერ მოასწრო თავისი ზრახვებისა და დაწყებული მთავარი ნაშრომების გამოქვეყნება. უბედური მისი დედა<sup>1</sup>, რომელსაც ამ სიბერის დროს ამოდენი მწუხარება არაგუნა ულმობელმა ბედმა. გული მიკედება, რომ მე, რომელიც თავის დროზე ასე დაახლოებული ვიყავი, მას შემდგომ მომხდარი ამბების გამო, ჩუმი, გულში ჩაკლული, თანაგრძნობის გარდა, არაფერი დამრჩენია“.

ეს მკაფიო დოკუმენტური გამოხატულებაა დიდი ივანეს ქებული გულითადობისა, ადამიანურობისა.

პირველად დაიბეჭდა გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, 22.IV. 1906, № 17.

---

<sup>1</sup> შამა კი, ნიკო, ამ დროს ერთი წლის გარდაცვლილ იყო (1934).

## გამოჩენილი მეცნიერი და მოქალაქე

(აკადემიკოს იოსებ ორბელის დაბადების 80 წლისთავის გამო)

საბჭოთა საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს სწავლული ორიენტალისტის, თვალსაჩინო არმენოლოგისა და კავკასიოლოგის, აკადემიკოს იოსებ აბგარის ძე ორბელის დაბადების 80 წლისთავს. მნიშვნელოვანმა სამეცნიერო შრომებმა და ორგანიზატორულმა ნიჭმა საერთო აღიარება მოუპოვეს მეცნიერს.

იოსებ ორბელი დაიბადა 1887 წლის 8 (20) მარტს ქალაქ ქუთაისში, ოჯახში, რომელმაც საბჭოურ მეცნიერებას — კიდევ ორი მეკლევარი შექმნა — აკადემიკოსი ლეონ ორბელი და პროფესორი რუბენ ორბელი.

თბილისის მე-3 გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1904 წ.), ი. ორბელი ჩაირიცხა სტუდენტად პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1911 წელს ერთდროულად ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის კლასიკური განყოფილებისა და აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-სპარსული ენების განხრით. ბრწყინვალე ისტორიულმა და ფილოლოგიურმა სკოლამ, ს. ენ-ბელიოვის, ნ. მარის, ს. ოლდენბურგისა და სხვების სახით, მრავალმხრივი და საფუძვლიანი ცოდნით შეაიარაღა ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა.

ნაქალაქარ ანისში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები, რომელთაც აკადემიკოსი ნიკო მარი ხელმძღვანელობდა, შესანიშნავი სკოლა იყო მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტ ი. ორბელისათვის. მას შემდეგ არ შემწყდარა მისი სისტემატური, გულდასმითი კვლევითი საქმიანობა აუდიტორიაში, სამუშაო კაბინეტში თუ ერმიტაჟის დარბაზებში, ხშირად პირდაპირ ველზეც, სადაც ხდებოდა ძველი წერილობითი წყაროების, სალექსიკონო თუ ფოლკლორული მასალების პირველადი დამუშავება.

იოსებ ორბელმა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გააცნო სომხურ და ქართულ სიძველეთა დამფასებლებს თავისი პირველი მეცნიერული გამოკვლევები.

ი. ორბელის შრომების შესახებ 1924 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელსაც, ხელს აწერდნენ ნ. მარი, ს. ოლდენბურგი და

ე. კრაჩკოვსკი (ი. ორბელის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად წარდგენასთან დაკავშირებით), კერძოდ, მაღალი შეფასება დაიმსახურა მის მიერ სამაგალითოდ შესრულებულმა პუბლიკაციამ (1916 წ.) მეფე სარდურის ვრცელი ურარტული წარწერისა, რომლის აღმოჩენისა და ამოკითხვის პატივი თვით მეცნიერს ეკუთვნოდა.

რევოლუციური პროგრესისათვის ბრძოლის ატმოსფეროში აღზრდილმა ი. ორბელმა იმავეითვე დაიკავა მისთვის შესაფერისი ადგილი კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელ ორგანოებში. 1919 წელს ის არჩეულ იქნა მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის წევრად — სომხეთისა და საქართველოს არქეოლოგიისა და ხელოვნების დარგის ხელმძღვანელად. მოგვიანებით, 1934—1951 წლებში, სახელმწიფო ერმიტაჟის დირექტორი იყო; 1935 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს. ამავე დროს ის სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზატორი და პირველი პრეზიდენტი (1943 წ.). შემდეგ ი. ორბელი არჩეულ იქნა ლონდონის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრად (1944 წ.) და ირანის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად (1945 წ.).

ერმიტაჟში მუშაობა ფართო გასაქანს აძლევდა ი. ორბელის შემოქმედებით მისწრაფებებს, საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხებთან (ტაჯიკებთან, უზბეკებთან) მის კავშირურთიერთობებს.

მეცნიერმა საგანგებოდ დაამუშავა და შეადგინა ქურთული ლექსიკონი, შექმნა ერმიტაჟში აღმოსავლეთის განყოფილება. ი. ორბელის მიერ იყო მოწყობილი ერმიტაჟში შესანიშნავი საიუბილეო გამოფენები ფირდოუსის, შოთა რუსთაველის, ნიზამისა და სხვათა პატივსაცემად. ამავე დროს, მკვლევარს არასოდეს შენელებია ინტერესი მშობლიურ სომხურ სიძველეთა მიმართ.

სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ინახავდა იგი თბილ მოგონებებს თბილისსა და ქუთაისზე, აგრეთვე სოფელ ორბელზე (გეოგრაფიული პუნქტი ლეჩხუმში), საიდანაც იყვნენ წარმოშობით მისი წინაპრები. ის კავშირს არ წყვეტდა თავის უნივერსიტეტულ მეგობრებთან — ივ. ჭავჭავიძელთან, ი. ყიფშიძესთან, ვუკ. ბერიძესთან, გ. ჩუბინაშვილთან, ა. შანიძესა და სხვებთან.

ი. ორბელს ბედნიერება ჰქონდა ენახა თუ მისი შეუწინაღებელი შრომის შედეგად როგორ იქმნებოდა თვისებრივად ახალი სომხური ეპიგრაფიკა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მან ტექსტების აწყობის ტექნიკაც აითვისა და ბევრ რთულ ტექსტს საკუთარი ხელით აწყობდა სტამბაში. მისი ჩანახატების მიხედვით ჩამოსხმულ იქნა საგანგებო შრიფტი ანისის და სხვა ლაპიდარული წარწერების გარეგნული სახის ზუსტად გადმოსაცემად.

ი. ორბელის მაღალხარისხოვანი თარგმანების მეშვეობით გამოვიდა სომხური ეპოსის საუკეთესო ნიმუშები: „შუა საუკუნეთა სომხეთის იგავ-არაკები“, „სომხური საგმირო ეპოსი“ (1956 წ.).

თანამედროვეობის რუსთველოლოგიური ინტერესების წინაშეც მოიხადა ვალი ი. ორბელმა და შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით თავისი რედაქტორობით გამოსცა საგანგებო კრებული „რუსთაველის ეპოქის ძეგლები“ (ლენინგრადი, 1938 წ.), სადაც მოათავსა რამდენიმე საკუთარი საინტერესო გამოკვლევა, რომლებშიც განიხილა პოემაში დასმული სოციალური საკითხები. მანვე, როგორც რედაქტორმა, შესავალი წაუშმძღვარა პეტრენკოს მიერ რუსულად თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“.

იოსებ ორბელს — საბჭოთა კავშირის შესანიშნავ მოქალაქეს — დიდ დამსახურებად ჩაეთვალა ერმიტაჟის საგანძურის დაცვის, ევაკუაციისა და წარმატებითი რეევაკუაციის ორგანიზაცია.

პირველად დაიბეჭდა რუსულად, გაზ.

«Вечерний Тбилиси», 1967, 20.III. № 67.



## მაქსიმე ღავითის ძე ბერძნიშვილი

წინამდებარე კრებულის რედაქცია ამ მოსახსენებელს დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით უძღვნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის მაქსიმე ღავითის ძე ბერძნიშვილის სახელს — უმწიკვლო სახელს დაუღალავი მუშაყისას სამეცნიერო და საგანმანათლებლო სარბიელზე, ნათელ ხსოვნას სახელოვანი მოღვაწისას პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე.

მაქსიმე ბერძნიშვილი დაიბადა 1889 წ. 13 (26) აგვისტოს. 1899 წ-დან დაწყებული მან შეასრულა დაწესებული კურსი თბილისის სასულიერო სასწავლებლისა და მერმე სასულიერო სემინარიისა, ხოლო უმაღლესი განათლება მიიღო ვარშავის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის ისტორიის განყოფილებაზე (1912—1916 წწ.).

თავის დარგში კარგად დასპეციალებული და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების მქონე, მაქსიმე ბერძნიშვილი 1917 წლიდან თბილისში იწყებს ენერგიულ სამსახურებრივ საქმიანობას. მ. ბერძნიშვილის კურიკულუმ ვიტე შეიცავს იმის მოწმობას, რომ ცარიზმის დამხობისა და საქართველოში ეროვნული სახელმწიფოს აღორძინების პირობებში იგი იყო ერთ-ერთი აქტიური მუშაყი, რომელსაც თავისი წვლილი შეჰქონდა მაშინ ახლად შექმნილ დაწესებულებებში საადმინისტრაციო აპარატის გაეროვნულება-განმტკიცების მნიშვნელოვან დარგში. სახალხო განათლების სამინისტროში იგი იყო საერთო საქმეთა მდივანი, სხვა დროს — შრომის სახალხო კომისარიატში საქმეთა მმართველი, თბილისის აღმასკომში სახალხო განათლების განყოფილების კანცელარიის გამგე. 1925—1934 წლების მანძილზე მაქსიმე ბერძნიშვილი ხელმძღვანელ როლს ასრულებდა საქართველოს წიგნის პალატაში, — გარკვეულ დროს იყო მისი დირექტორიც. საადმინისტრაციო საქმიანობას ყოველთვის კარგად უთავსებდა პრაქტიკულ-მეცნიერულ მუშაობას. როგორც განათლების განყოფილების კანცელარიის გამგემ, მან დიდი ზრუნვა გამოიჩინა ქართული საკანცელარიო ტერმინოლოგიის შექმნაზე; წიგნის პალატაში გადმოაქართულა წიგნის შესახები ტექნიკური ტერმინოლოგია, საფუძველი ჩაუყარა ქართულ ენაზე წიგნის ბიბლიოგრაფიულ დამუშავებას, თვით წიგნის პალატის

ორგანოს „ბიბლიოგრაფიის შიშვენი“; იქვე დააარსა ჟურნალები „წიგნის მატთან“ და „გაზეთის მატთან“. ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის შექმნის პირველი ცდის განხორციელებისას (1932—1934 წწ.) იგი იყო სასიტყვანო განყოფილების გამგე.

ასეთმა ნაყოფიერმა საქმიანობამ, რომლის კვალი და გამოძახილები პრესაშიც იჩენდა თავს და სამეცნიერო გამოცემებშიც, მაქსიმე ბერძნიშვილს ნდობა და სიმპათია მოუპოვა ჩვენი დიდი ისტორიკოსების თვალში, სპეციალისტთა წრეებში. 1943 წელს მას თბილისის უნივერსიტეტში ძველი ისტორიის კათედრა იწვევს ძველი აღმოსავლეთისა და საბერძნეთ-რომის ისტორიის კურსების წასაკითხავად. ამ დროიდან მაქსიმე ბერძნიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა იმავე პროგრამით რიგ სხვა უმაღლეს სასწავლებელშიც გაიშალა (თბილისის სამასწავლებლო ინ-ტი, გორის, სოხუმისა და ზუგდიდის ინ-ტები). 1945 წლიდან სიცოცხლის მთელ მანძილზე მაქსიმე ბერძნიშვილი უფ. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას ასრულებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში.

აკადემიურ მუშაობაში უშუალოდ ჩაბმამ სტიმული მისცა მ. ბერძნიშვილს ახალი კონკრეტული გამოვლინება ეპოვნა თავისი სამეცნიერო ინტერესებისათვის, წარმატებული მცდელობა არ მოჰკლებოდა მის საქმეს — საუნივერსიტეტო კურსებში საკუთარი გარჯით მოპოვებული ახალი მასალა, ახალი სიტყვა გამოეყენებინა, საერთოდ მეცნიერებაში თავისი ძალისაებრი წვლილი შეეტანა. ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მ. ბერძნიშვილის მონაპოვარი ანტიკური ხანის საქართველოს სპეციალური კვლევის საქმეში. ჩვენ ვგულისხმობთ, პირველ რიგში, მ. ბერძნიშვილის მიერ ერთ-ერთი უძველესი ქალაქის — ფოთის ისტორიულ-გეოგრაფიულ შესწავლას. მ. ბერძნიშვილმა, კარგად ორიენტირებულმა კერძოდ კლასიკურ ფილოლოგიაში, ამოცანად დაისახა კონკრეტულ საისტორიო მასალაზე შეემოწმებინა ერთხელვე, ზოგადი მოსაზრების საფუძველზე, საყოველთაოდ გაზიარებული ცნობა, რომ ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური წყაროების ქ. ფაზისი — ეს მერმინდელი ფოთია. წარმატებულმა ძიებამ მ. ბერძნიშვილს საშუალება მისცა შეექმნა მონოგრაფიული შრომა — „ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის“ (არსებობს სათანადო თეზისებიც). ამ შრომის გარკვეული ნაწილი თავის დროზე გამოქვეყნდა ავტორის სპეციალური სტატიების სახით: „ფაზისის ლოკალიზაციისათვის“ და „ლეონდის (VIII ს.) ცნობა ფოთის შესახებ“.

ნარატიული წყაროების შესწავლა-შეჯამებამ და თანამედროვე ფოთის მიდამოების ადგილზე გაცნობამ ავტორი მიიყვანა რიგ მტკიცე დასკვნამდე. კერძოდ, მან დაადგინა, რომ სიზუსტით გამოირჩევა ერა-

ტოსტენეს ცნობა ფაზის-დოსკურას შორის მანძილის შესახებ, რომელიც ეტოლება ფოთ-სოხუმის მანძილს და ფაზის გვაგულისხმებინებს ფოთის მახლობელ ხაზზე; სტრაბონის, არიანეს და პროკ. კესარიელის მითითებანი ადასტურებენ მდ. ფაზის იგივეობას აწინდელ რიონთან; ირკვევა ქ. ფაზის მდებარეობა მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, და ა. შ. სომეხთა ისტორიკოსის ლევონდის (იგივე ლევონდის) სათანადო ცნობების ვადასინჯვა მ. ბერძნიშვილის მხრივ არ განსაზღვრულა ნაშრომის პასიური გამოყენებით. ლევონდის წაკითხვამ მკვლევარს აღუძრა მრავალი წყაროთმცოდნეობითი საკითხი, გამოათქმევინა საინტერესო მოსაზრებები, კერძოდ, ლევონდის ცხოვრების ქრონოლოგიური ჩარჩოების შესახებ და ამასთან დაკავშირებით — ლევონდის თანამედროვე შაპუს რომელობის შესახებაც. მ. ბერძნიშვილმა პირველწყაროთა შეჯერებით გარკვეული შუქი შეიტანა ლევონდთან მოთხრობილ ამბავში ზოგი სომეხი დიდებულის (სუმბატი და სხვ.) VIII ს-ში ფოთს (სომხურ ტრანსკრიფციაში — ფუფთ) დროებით დასახლების შესახებ და სხვ.

მაქსიმე ბერძნიშვილის კალამს ეკუთვნის საყურადღებო დებულებები შუა საუკუნეთა მწიგნობრის იოანე ვარაზ-ვაჩეს ვინაობის, აგრეთვე პირობით მონავატელად წოდებული გიორგის და ზოგ სხვა ისტორიულ პირთა ვინაობის შესახებ.

მაქსიმე ბერძნიშვილის სამეცნიერო ინტერესთა წრეში მთავარი ადგილი მანც XIX ს-ის საქართველოში საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საკითხებს ეკუთვნის. ჩვენი მკვლევარის ერუდიტობა, მახვილი დაკვირვებები, ცნობათა სიზუსტე სწორედ სამაგალითო იყო. მისი მონაპოვრები ამ დარგში მეტადრე ეფექტიანი ჩანს 1832 წლის ცნობილი შეთქმულების ისტორიისადმი მიძღვნილ იმ ნაშრომებში, რომლებსაც მათი ავტორი, მაქსიმე ბერძნიშვილი წლიდან წლამდე ავსებდა; დასაბეჭდად ამზადებდა. ის ერთი ნაწილი, ჩანაფიქრი დიდი გამოკვლევისა, რომლის შესრულებაც ავტორმა თავის სიცოცხლეში მოასწრო, უკვე მოცემული სახითაც დამოუკიდებელ შემეცნებით ინტერესს წარმოადგენს. მასში სანიმუშო სიტუაქიზთა და გამკრიახობით შესწავლილია სათანადო პერსონალია, კრიტიკულად ნაბიჯ-ნაბიჯ განხილულია შეთქმულების მთელ რიგ მონაწილეთა ცხოვრება-მოღვაწეობა იდეოლოგია, ოფიციალური საგამომძიებლო კომისიის მიერ შეკრებილ მასალათა სანდოობისა და საზოგადოდ მათი ღირებულების საკითხები, შეთქმულთა გენეალოგია, სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობა და სხვ. შესწავლილ პირთა შორის წინ დგებიან ცნობილი ქართველი მოღვაწენი სოლ. დოდაშვილი, იონა ხელაშვილი, გლ. ჭილაშვილი, ალექსანდრე, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები, სოლ. რაზმაძე და მრავალი სხვა. მთელ რიგ შემთხვევებში მ. ბერძნიშვილის ძიე-

ბანი ამ დარგში წარმოდგენენ პირველ ცდას. ამასთან ერთად ზოგჯერ შეფასებულია ცალკეული მწიგნობრების მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თვალსაზრისითაც (ალ. ყიფშიძე, ალ. ორბელიანი). ყურადღებას იპყრობს მ. ბერძნიშვილის ნაშრომი — „ორი სამეცნიერო საისტორიო სკოლა პირველი რევოლუციის წლებში“ და ა. შ.

მ. ბერძნიშვილის არქივში ცალკე დაცულია ენციკლოპედიური მნიშვნელობის მქონე ვრცელი ისტორიულ-ბიოგრაფიული კრებული, XIX ს-ის დიდთა თუ მეორე-მესამეხარისხოვან მოღვაწეთადმი მიძღვნილი მისი უხვი და ფაქიზად წარმოდგენილი დოკუმენტაციით. მაქსიმე ბერძნიშვილი დიდი მონდომებით წერდა წერილებს — სპეციალურად ქართულ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიისათვის — XIX საუკუნის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების შესახებ.

ჩვენი ქვეყნის სასკოლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში უშუალო მონაწილეობამ, უმაღლეს სკოლებში სამეცნიერო-პედაგოგიურმა ხანგრძლივმა მუშაობამ გააძლიერა მ. ბერძნიშვილის ზრუნვა საქართველოში სწავლა-აღზრდის ისტორიის შესწავლის საქმეზე, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის საკურო ლიტერატურის შემატებაზე. მის შრომათა სიაში ყურადღებას იქცევს, კერძოდ, სათაურები: კ. მამაცაშვილი და მისი პროექტი სოფლად სახელოსნო სკოლათა დაარსების შე-  
'ახებ; იოანე ქართველიშვილის „ქართული გრამატიკა“; ტარასი მესხიევის „ქართული ანბანი“; „ქართული აკადემიური შრიფტის ისტორიისათვის“ და სხვ.

უმაღლესი სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობისათვის და ფართო მკითხველისათვის მ. ბერძნიშვილს დიდად შეუწყვია ხელი ზოგი სპეციალური ლიტერატურის კარგ ქართულ ენაზე გადათარგმნითაც. ქართველი ინტელიგენცია, ჩვენი სტუდენტობის თაობები მას იცნობდნენ როგორც პროგრესული მეცნიერების გავრცელებისათვის, პოზიტიური ცოდნის დანერგვისათვის დაუღალავ მუშაკს. მაქსიმე ბერძნიშვილი, განათლებული აღმზრდელი და მკვლევარი, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე პატრიოტული ერთგულებით ემსახურებოდა საქვეყნო საქმეს, უყვარდა შრომა, ხელნაწერების ჩხრეკა, გარდასულ და მის თანამედროვე მოღვაწეთა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმიანობის ძიება. მაქსიმე ბერძნიშვილი მის უახლოეს საზოგადოებრივ გარემოცვაში აღიარებული იყო როგორც XIX ს-ის საზოგადოებრივი ცხოვრების „ცოცხალი ენციკლოპედია“. მას ჰქონდა სამავალითო მეხსიერება, რის საილუსტრაციოდ ამ სტრიქონების ავტორი ნებას აძლევს თავს წინამდებარე წერილი დაასრულოს შემდეგი მოგონებით. ეს იყო 1946 წელს. ქალბატონი ელისაბედ ერისთავის დიდ ოჯახში თბილისს, სადაც მაშინ კიდევ იხილებოდა დიასახლისის მამისა და პაპის, უკვდავი მწერ-

ლების—დავითისა და გიორგი-გლუხარჩის დროინდელი ერისთავიანთ საოჯახო რელიქვიები (პორტრეტები და სხვ.), ელისაბედ დავითის ასულმა წინ გაშალა დიდი ზომის ფურცელი, რომელზეც გამოხატული იყო ერისთავიანთ გენეალოგიური მუხასავით დიდი ხე მისი სათანადო ძირფესვებით, შტოებით და ა. შ. საჭირო აღმოჩნდა ისტორიკოსის კონსულტაცია ხეზე გამოკიდულ წინაპართა ვინაობის დასაზუსტებლად. მაშინვე ვიგარძენი უმაქსიმობა. ამას მოჰყვა მაქსიმე ბერძნი-ჰილის პირველი (და ვგონებ, უკანასკნელი) ვიზიტი, ჩემი თანხლებით იმავე ოჯახში. მაქსიმე ბერძნიშვილი ისე სხარტად „ადიოდა-ჩადიოდა“ ამ ხის ხშირ შტო-ტოტებზე, თითქოს მისი დარგული ყოფილიყოს. ქ. ელისაბედი კმაყოფილების ღიმილით, ხოლო სხვები თვალის ცეცებით ისმენდნენ მაქსიმე ბერძნიშვილის ექსპრომტად შესრულებულ საკვირვლად ზუსტ განმარტებებს.

ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილება მადლიერების გრძნობით აღნიშნავს მაქსიმე ბერძნიშვილის ნათელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასეთ მხარეებს და ვარაუდობს საკუთარ საგგემო საქმიანობაში ჯეროვანი ადგილი დაუთმოს თავის — უკანასკნელ დრომდე განუშორებელის — ღვაწლმოსილი თანამშრომლის მაქსიმე ბერძნიშვილის დაუბეჭდავი შრომების გამოქვეყნების თადარიგს.

მეცნიერული საზოგადოებრიობა ფაქიზად დაიცავს ძვირფასი მაქსიმეს ნათელ ხსოვნას.

პირველად დაიბეჭდა კრებულში „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, თბ., 1909.

## საქართველოს ისტორიის მემბრანა

### (ნიკო ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო)

შესანიშნავი ქართველი მეცნიერი ისტორიკოსის, გამოჩენილი მკვლევრისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბერძენიშვილის სახელი დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს და ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ბერი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა ნიკო ბერძენიშვილმა ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და უაღრესად საჭირო მეცნიერებაში — ისტორიაში, არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა მან ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლას.

ნიკო ბერძენიშვილი ღირსეული გამგრძელებელია საქართველოს ისტორიის მკვლევართა ბრწყინვალე პლეადისა, ისეთებისა, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები მარი ბროსე, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია და სხვები, რომელთა ნაშრომები საძირკველი გახდა ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიისა.

ნიკო ბერძენიშვილი დაიბადა 1894 წლის 28 დეკემბერს (1895 წ. 9. I) ახლანდელი ჩონატაურის რაიონის სოფელ გოგოლეისუბანში. შავი რეაქციის მძიმე წლებში, 1905 წლის რევოლუციის შემდეგ რომ დადგა, როცა თავისუფლების იდეებისა და პროგრესისადმი თანაგრძნობის გამო მოზარდებიც კი იდეენებოდნენ, ნიკო ბერძენიშვილი ბათუმის გიმნაზიიდან გარიცხულთა შორის აღმოჩნდა.

ეს იყო მომავალი სწავლულის საბრძოლო ნათლობა. სიმწიფის ატესტატი მან მხოლოდ ცარიზმის დამხობის შემდეგ მიიღო.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნ. ბერძენიშვილი ერთ ხანს ჩონატაურში პედაგოგობდა, 1920 წელს კი თბილისის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. აქ ახალგაზრდას ფართო გზა გაეხსნა მეცნიერების სამყაროში. მომავალი მკვლევრის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ივანე ჯავახიშვილმა, რომლის ხელმძღვანელობითაც მუშაობდა ნიკო ბერძენიშვილი.

ძველი ენების შესწავლამ მისთვის მისაწვდომი გახდა საქართველოს ისტორიის პირველწყაროები, ძველ ხელნაწერთა საიდუმლოება-

ნი, რაც ესოდენ სანუკვარია მეცნიერისათვის. ბევრი მისცა ახალ-გაზრდა ისტორიკოსს დაძაბულმა, რულუნებითმა შრომამ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივში ისეთ სპეციალისტთა გვერდით, როგორებიც იყვნენ მოსე ჯანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი. 1929 წლიდან ნ. ბერძენიშვილი იწყებს საქართველოს ისტორიის ლექციების კურსის კითხვას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ამავე დროს, ს. ჯანაშიასთან, გ. ჩიტაიასთან, ს. ყაუხჩიშვილთან ერთად ის იწყებს საქართველოს მარქსისტული ისტორიის მეცნიერულ დამუშავებას, გეგმავს მისი სწავლების მეთოდიკას, მუშაობს ახალ სასწავლო და დამხმარე სახელმძღვანელოთა შესაქმნელად. თავის სამეცნიერო საქმიანობაში ნ. ბერძენიშვილი ძირითად ყურადღებას ამახვილებს ქართველი საზოგადოების სოციალური განვითარების პრობლემებზე. მისი დიდი დამსახურებაა დამუშავება საქართველოში ფეოდალიზმის ჩასახვისა და განვითარების პროცესის ერთიანი სქემისა, სადაც მან გადასინჯა და შეავსო ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიასა და სხვა მკვლევართა რიგი მოსაზრებანი ადრეული ფეოდალიზმის არსის შესახებ. ახლებურად აშუქებს ფეოდალური საქართველოს ისტორიის ბევრ საკითხს შოთა რუსთაველის ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობათა ნ. ბერძენიშვილისეული ღრმა ანალიზი.

დიდი ერუდიციის მქონე მეცნიერი ნ. ბერძენიშვილი ძველი ტექსტებისა და საქართველოს წარსულის წერილობით ძეგლთა ერთ-ერთი ხაუკეთესო მცოდნეა. ის სამართლიანად ითვლება ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური სკოლის დიდი ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლად, უბაღლო ტექსტოლოგად და არქეოგრაფად.

მეცნიერის შემოქმედებით საქმიანობას ახასიათებს ნათელი განმავითარებელი აზროვნება, მოვლენათა კარგად მოფიქრებული სინთეზი და ფაქტების ამომწურავი ანალიზი, დაფუძნებული დიდ კვლევით გამოცდილებასა და წინამორბედ მკვლევარ ქართველოლოგთა შრომების შესწავლაზე.

მრავალი წლის მანძილზე ნიკო ბერძენიშვილი ეძიებდა, კრებდა, ახარისხებდა და ბოლოს აქვეყნებდა ფრიად მნიშვნელოვან დოკუმენტებსა და ისტორიულ მასალებს. მის განსაკუთრებით საყურადღებო პუბლიკაციებიდან დაეასახელოთ კრებული — დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობანი (XV—XIX სს.). ორ ტომად (1940, 1953 წწ.), რომელიც შეიცავს 676 დოკუმენტს, და „მცხეთის საბუთი XI საუკუნისა“.

1938—1955 წლებში ნ. ბერძენიშვილმა სამ წიგნად გამოსცა „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“. მოგვიანებით,

1957 წელს, გამოქვეყნდა მისი დამატება — „ლექსიკონი და საძიებლები“ (შეადგინა მამისა ბერძნიშვილმა).

საქართველოს ისტორიის ძირითად პრობლემათა უფრო ღრმად და სრულად დამუშავებისათვის აუცილებელი ახალი წყაროების ძიებისას ნ. ბერძენიშვილმა ხელი მიჰყო განსაკუთრებული სამეცნიერო დისციპლინის — ისტორიული გეოგრაფიის პრობლემების კვლევას. ნ. ბერძენიშვილის ნაშრომებში ამ დისციპლინამ სრულიად ახალი მიმართულება მიიღო, აღწერიითი მეცნიერებიდან იქცა კომპლექსურ მეცნიერებად, რომელიც ძირითად ამოცანად ისახავს მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლას გარკვეული ეპოქებისა და რაიონების მიხედვით, იმ მრავალრიცხოვანი გეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, რომლებიც ასახავენ საზოგადოების ყოფასა და კულტურას წარსულში.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელსაც იკვლევს ნ. ბერძენიშვილი, არის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორია, მოძმე ხალხების ურთიერთობისა და მეგობრობის ისტორია.

საქართველოს ისტორიის დარგში ნ. ბერძენიშვილის მეცნიერულ ძიებათა მთელი მიმართულება დღის წესრიგში აყენებდა საბჭოური არქეოლოგიის მონაპოვართა უფრო საფუძვლიანად გაცნობის აუცილებლობას. მან უდიდესი შრომა გასწია უმდიდრესი არქეოლოგიური მასალის შესწავლისა და საქართველოს ტერიტორიაზე გათხრების შემდგომი განვითარებისათვის, იმ საქმის გასაგრძელებლად, რომელიც წამოიწიეს ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა, გ. ნიორაძემ, ივ. ჭავჭავაძეშვილმა, ს. ჯანაშიამ.

შემოქმედებითი ძალებითა და ენერჯით აღსავსემ გადააბიჯა ნ. ბერძენიშვილმა თავისი ცხოვრების მეშვიდე ათეულ წელს. აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჭავჭავაძეშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს. აქ მისი ხელმძღვანელობით მუშავდება უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო პრობლემები. მეცნიერის კალამს ეკუთვნის 60-ზე მეტი უაღრესად ფასეული გამოკვლევა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოური ისტორიული მეცნიერების განვითარებაში.

ნ. ბერძენიშვილი საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეა, დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით. კვლევით საქმიანობას ის წარმატებით უთავსებს საზოგადოებრივ მოღვაწეობას: არჩეულია საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარედ, რამდენიმეჯერ იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1963 წლიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.



ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა მხურვალედ ულოცავს  
შესანიშნავ საბჭოთა მეცნიერ ისტორიკოსს დაბადების 70 წლისთავს  
და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნა-  
ხევარსაუკუნოვან იუბილეს.

**ბირელად დაიბეჭდა რუსულად. გ.ზ.**

**„Заря Востока“, 1985, 12.VI, № 137.**

## ზოგიერთი სიტყვის ახსნა

- აღაჯა (თურქ. აღაჯა) — ზოლებიანი ქსოვილი, შეტადრე — ჭრელი ზოლებიანი ჩითი. *ზ.*, I, გვ. 84.
- არმოანი — არამი, არა ჰალალი (ზედსართავის ასეთი წარმოება დამახასიათებელი ჩანს ავტორისათვის. *შღრ.* მაგროვანი (54, 193, 4; 70, 310, 3), თავმდაბლოვანი 33, 45, 1), ბერწოვანი (58, 227, 3). სიტყვა არმოანი შეედღობით გაგებული იყო როგორც გეოგრაფიული სახელი.
- ასამალღებელი — დოცეების ბოლო სიტყვები, რომელთაც მღვდელი ხმის ამალღებით (ხაზგასმით) ღაღადჰყოფს „წ. სამების“ პატივსაცემად.
- აღნადგინები — სარგებელი, თავნის მინამატი.
- ბეხკეი — ბეხკი, ძონძები.
- ბეგლარბეგი (თურქ. ბეგლარ-ბეგ) — ბეგთა ბეგი, რამდენიმე საბეგოს შემცველი ოლქის უფროსი. *ზ.*, I, გვ. 205.
- ბობლანი — დაფი, ტყაისაგან შემზადებული საკრავი, ო. ბერძ. ტვიმანონ. იხ. ი. ჭავჭავაძის, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 211—212.
- ბურშეტი (აზერბ.) — უხეში წითელი შიტკალი. *ბუძ.* I, გვ. 671, სიტყვასთან: შილე; ნარმა შეღებილი. *ყყრ.*
- განკაფულნი — დაოსებულნი, ღონემიხილნი (შრომით).
- გვამანსარი — კომისარი\*.
- დავლა — იგივე დამლა (იხ.).
- დამართვა — დაბეზღება. *შღრ.* ჩ.
- დამლა (სპ.-თურქ. დამლა) — საქალაქო გადასახადი, *ბ.* გვ. 34; ბაჟი, *ზ.*, I.
- დანასალა — ნასალი (იხ.) უყო.
- დაყვეს — გაკრიჭეს. ვახტ., გვ. 21, 93, 3. *შღრ.* ჩ., სიტყვასთან: დაყვენვა.
- ღევანი (სპ. ღივანი; მხ. რ. ღივანი) — ღივანი (საქდომი). *ზ.*, II, გვ. 448.
- ღიაჩოქი (რუს. Дьячок) — კერძო ღიაკონი, მღვდელითნე.
- ღივანი (არ. ღივანი) სენარტი, ტრამბუნალი, *ბუძ.*, I, გვ. 582; სამსაქულო, „სამღივნოს სახლი“, ვ. გაბ., გვ. 179. *შღრ.* ღევანი.
- ეთმანდოლე (არ. ეთიმად აღ-დოულე) — „სახელმწიფოს ბურჯი“, ირანის უპირველესი ვეზირის ტიტული. ვ. ფ., გვ. 468. გურამიშვილთან იგულისხმება ირანის უპირველესი ვეზირი ფათ-ალ-ხანი.
- ელ (თურქ. იილ) — ხალხი, ტომი (მომთაბარე) *ბუძ.*, I, გვ. 203; ვ. ფ. გვ. 468.
- ერვისივი — „მწერი მოსავლის მავნე“, ჩ. *შღრ.* სომხ. ერვეილ.
- ერთაქამა — პურობა, საქარო პურისქამა (საყეთილდღეოდ თუ სასამძიმროდ).
- ეტკობა — ეტიკის ანუ მეგზურის დანიშნულების შესრულება. *შღრ.* ივ. გ. სიტყვასთან: ეტიკი.

\* ს.-ს ორბელიანის განმარტებით, „სამოწმო წერილსა [ეწოდება] სვისტატიკოსი, რომელსა თურქნი გვამანსარს უწოდებენ“ (სიტყვასთან: წერილი. რედ.).

- ე ქ ე ს ო რ ი ო ბ ა — ექსორიაში, გასახლება-დევნილებაში მყოფის მდგომარეობა, ვალი (არ. ვალი) — გამგებელი, პატრონი. გ. წ., გვ. 293; ვ. ფ., 477; საქ. ისტ., I, გვ. 299.
- თ ა ვ ა დ ა — თავადი ქალი. \* მღვდრობითი სქესის მაჩვენებელი ნაწილაკი ხელოვნურად შეტანილია ქართულში უცხო ენებიდან. შღრ. მონაზონა (იხ. მონაზონი).
- თ ა ვ ს ი დ ე ბ დ ნ ე ნ — ითმენდენ.
- თ ა ჟ ი (სპ. თაჟ) — გვირგვინი, Γφ., I, გვ. 141; БУД., I, გვ. 330.
- თ ო შ ა რ ი (ბერძ. ტომარ) — გრაგნილი, დახვეული ქალაღი. Γφ., I, გვ. 193. \*გრაგნად გადაბმული წერილი", ო. (სიტყუასთან: წერილი).
- თ ო ფ რ ი (თურქ. თოფჩი) — მეზარბაზნე, არტილერისტი (თოფ — ქვემეხი): Маг., სვეტი, 1062; Γφ., I, გვ. 190.
- თ ო ფ რ ი ბ ა შ ი (თურქ. თოფჩიბაში) — მეზარბაზნეთა (არტილერისს) უფროსი. იხ. თოფჩი.
- ქ ა რ ა ვ - ს ე ვ ა ნ ი — იხ. სევანი.
- ქ ე ფ ი — „წერილთა ფურცელი“, ო.
- ლ ა ე რ ა — დიდი მონასტერი.
- მ გ რ ა გ ნ ე ლ ი — „ქუა ფოთლის შემკმელი“, ო.
- მ დ ი ე ა ნ ბ ე ვ ი (სპ. დიენბევი) — სამოქალაქო საქმეთა მოსამართლე. БУД., I, გვ. 582. შღრ. ვ. ფ., გვ. 470; „თავი მოსამართლე“, სამღივნო სახლის გამგებელი. ვ. გაბ.
- მ ე უ ლ ა ბ ნ ო ე (მამა) — მონაზონი, უკაცურ-უღაბნო ადგილს თავშეფარებული ასკეტი. განთქმული იყო უღაბნო გარეჩისა.
- მ ე ფ ს ა ლ შ ე ნ ე — „ფსალმუნ მთქმელი“, ო. ბიბლიური მეფის, დავითის ეპითეტი. იხ. ფსალმუნი.
- მ ი ლ თ ო ნ ი — მლოთონ, ელური, „ბასურმანი“, ბარბაროსი. Маг., გვ. 503.
- მ ი მ ბ ა შ ი (თურქ. მინბაში) — ათასისთავი (თანამდებობით), ციხისთავი. ვ. ფ., გვ. 470.
- მ ი მ გ ლ დ ე ლ ი — წამრთმევი, (ტანზე) გამზღელი.
- მ ი კ ლ ა — მიზღა (გახღა), წართმევი.
- მ ქ ა ლ ი — ქალა.
- მ ო გ ე ბ ა — მოცემა.
- მ ო მ ლ ე ბ ი — გამომრთმევი, წამლები.
- მ ო ნ ო ზ ო ნ ი — უნღა: მონაზონი. მონასტრის „ძმობის“, „თემის“ საასკეტო წესების დამცველი წევრი. „მონაზონა“ — იგივე მღვდრობითი სქესისა.
- მ ო ნ ო ზ ო ნ დ ი ა კ ო ნ ი — შემონაზუნებული დიაკონი, იეროდიაკონი. მღვდელ-მონაზონი — იერომონაზი, შემონაზუნებული მღვდელი.
- მ ო რ ჩ ი ლ ი — მონასტრის „შეგირდი“, რომელიც „ძმობას“ მსახურად აუყვანია და სამონაზუნოდ ამზადებს.
- მ ო ქ ა ლ ა ქ ე — ძველ თბილისში თავისუფალ მწარმოებელთა და ვაქართა მღიღარი ზღაფენის, პრივილეგირებული უმცირესობის წარმომადგენელი, „მოქალაქის“ წოდებით აღკურვილი. საქ. ისტ., გვ. 316.
- მ ო ქ ე ნ ე ო ბ დ ე ნ — ითხოვდენ.
- მ ო შ უ რ ნ ე — მაღალი სურვილის მქონე, დიდი ოცნებების აღსრულებას მოწყურებული.
- მ რ წ ე მ ო ბ ა — უმცროსობა; მორჩილება.
- მ ს ხ ე მ ი — იხ. მწირი.
- მ ღ ვ დ ე ლ მ ო ნ ო ზ ო ნ ი — იხ. მონაზონი.

მყრელობა — ბატონის მიერ მისგან გაქცეული გლეხების აყრა მათი ახალი ადგილსამყოფელიდან ე. წ. „მყრელების“ მეშვეობით — მათ უკუსაქცევად. ორივე ტერმინი ნახარია ისტ. საბ., გვ. 9, 24; საქ. ისტ., გვ. 331. „მყრელობა“ უნდა გამოდგეს გლეხთა ნებისმიერი აყანყებითი აყრა-გაქცევის აღსანიშნავად.

მწირი — უცხოებაში მყოფი, უთვისტომო; უმწეო, ღარიბი. სინონ.: მსხემი — არამკვიდრი, გადახვეწილი, წარმავალი.

მწირულნი — მღვდელმსახურნი (წირვა — ლიტურგია, მღვდელმსახურება გარკვეული „პროგრამით“).

ნაიბი (არ. ნაიბ) — მოადგილე, ნაცვალის, მმართველი. გ. წ., გვ. 268.

ნასალი (არ. ნასაქ) — სასჯელი. ГФ., II, გვ. 861; სხეულებრივი სასჯელი, მოკვეთა ცხვირისა, ყურისა და სხვ. ა. შანიძე. „მნათობი“, 1942, № 11—12, გვ. 218—221.

ნაყოფნი — შრომის, მეცადინეობის შედეგი, შენაძენი.

ნიწველი — მოზარდი 10-დან 15 წლამდე.

ნუზლი (არ. ნუზლ) — სურსათი. Z., II, გვ. 909; საგზალი. ჩ., შდრ. Мил., გვ. 562; სამასპინძლო (ბინაც, საქმელიც, მოვლაც).

ნუზლის ქერა — ნუზლის (იხ.) ძარცვა, ტაცება.

ოშარანი (არ. ოშარა, მხ. რ. ამირ) — მბრძანებელი, მმართველი, თავადნი; სარღლები. ГФ., I, გვ. 66; БУД., I, გვ. 95.

პონამარი (რუს. понамарь) — მნათე, ეკლესიის მსახური.

რაცამი (არ. რაქამ) — მეფის ბრძანება, ბეჭედდასმული სიგელი. ГФ., I, გვ. 388; ვ. ფ., გვ. 472.

როქი (ახალბერძ. როვა) — საბოძვარი, ქამაგირი. ჩ.; შდრ. Далн, III, სვეტი, 1730: Руга.

როქიკი (სპ. როზიქი) — დღიური სარჩო. გ. წ., გვ. 82; ულუფა, ქამაგირი, ფული. ჩ., შდრ. სომხ.: პროქიკი.

საბლარდელი — შესახვევი, სამოსი.

სამასპინძლო — „მასპინძლობის ძღვენი“, ო.; გასამასპინძლებელი, სავალდებულო მიღება — გამასპინძლებისთვის გასაწევი ხარჯი.

საქულბაქო — ქულბაქზე (იხ.) შეწერილი გადასახადი, იგივე „სადუქნე“.

საშინელი — ძლიერი (ღმერთი).

სეიანი (სპ. სუან) — კარავი. Bros., II, 2, გვ. 25.

სერი — ცხვართ ყურის დაქდევნი. ო.; სათანადო ქდე. გენთ.

სეფე — „დიდებულთათვის“. ო.; კარი (მეფისა), მეფე. ЭМ., გვ. 234; უფალი. ივ. ჯ., II, ნაკვ. 2, გვ. 393; საბატონო. ივ. გ., გვ. 365. შდრ. ს. ჯანაშია. შრომები, I, გვ. 285.

სინანული — ცოდვათა მონანიება.

სპარაზენი — მეომარი მძიმედ შეკუთრებული.

სულთაობა — მიცვლილების სულების მოგონების დღე (საეკლესიო კალენდარში).

სუნა (არ. სუნათ) — მუჰამადის რჩული, კანონი. ГФ., II, გვ. 474; გ. წ., გვ. 101.

ტარულა (მონღ. დარულა) — ბაზრის ზედამხედველი (ირანში), პოლიცემისტერი (დიდ ქალაქებში), ქალაქის მოურავი, ГФ., I, გვ. 317; БУД., I, გვ. 547.

ტომაქი — სტომაქი („სტომახოს“, ბერძ. კუჭი). ტომაქი — კახური, იონასთვის მშობლიური დიალექტიდანაა.

უსუვარი — უსუარი, ბავშვი 5-დან 10 წლამდე.

- ფერთმარშალი (გერმ. ფელდმარშალ) — ფელდმარშალი, უმაღლესი სამხედრო წოდება.
- ქოლა (თურქ. ქოლე) — მონა, მსახური. *Mag.*, სვეტი 615.
- ქულბაქი (საშ. სპ. ქულბაქ. აბ. სპ. ქულბე) — ბაზარი, ღუქანი. *ო. შტრ. Z.*, II, გვ. 757 (სომხ. კულბაქ).
- ყავლა (სპ. — თურქ. ღოულაი) — მყვირალა; ფერადსახიანი ჩითი. *Милл.*, გვ. 360.
- ყაფიჩი (თურქ. კაფიჩი) — კარისკაცი; მკარე, მსახური (ყაფი — კარი. *შტრ. ალაყაფი. Z.*, II, გვ. 691; *Буд.*, II, გვ. 4, 37—38; *Гф.*, II, გვ. 617.
- ყორული (თურქ. კორუქ) — ადგილი დაკავებული. *К.*, გვ. 981; გარემოცვა. *Буд.*, II, გვ. 52.
- ყულარაღასი (თურქ.-აზერბ. ყულარაღასი) — ყულების „აღა“, უფროსი (იხ. ყული), მეფის მცველების უფროსი. *ვ. ფ.*, 287; *ვ. გაბ.*, გვ. 200—201.
- ყული (თურქ.-თათრ. კულ) — მონა. *Буд.*, II, გვ. 88, *Гф.*, II, გვ. 635. ისტორიულად: მოლაშქრე მონათაგანი. *Mag.*, სვეტი 621.
- ყუმაში (არ. კუმაშ) — ქსოვილი. *Буд.*, II, გვ. 64; *Гф.*, II, გვ. 633. წითელი ან ლურჯი ჩითეული. *П.*
- ყუმაშ-ყავლანი — ყუმაში (იხ.) და ყავლა (იხ.). შეედომით გაგებულა როგორც გეოგრაფიული სახელები (იხ. იორ., გვ. 344, და *Зр.*, გვ. 34, 4; გვ. 215, *შენ.* 17).
- შებორკილა — ბორკილებში მჭდარა „წინაპართა ჩუშნათვის“, ქართველობისთვის.
- შემოყორულეს — გარემოიყვეს, ირგვლივ შემოერთყუნენ (იხ. ყორული).
- შილინგი (სპ. შალიქ) — ზალბი, ბათქი. *Гф.*, II, გვ. 509; სალუტი. *ფ. გ.*, გვ. 374.
- ცხონდენ — ცოცხალი დარჩენენ, ამოყლტას გადარჩენენ.
- წვალეზა — ერესი (ეკლ.).
- ჭირვეულნი — ჭირში მყოფნი.
- ჭრელი — ლამაზი.
- ხალათი (არ. ხილათ) — საპატიო სამოსელი. *Гф.*, I, გვ. 297; *გ. წ.*, გვ. 66.
- ხვასტაგი — ხედაგი; საქონელი; ფული.
- ხოიშანი (ხეაიშანი) — თხოვნა; ხოიშნობად — სათხოვრად.
- ქორციელი (ერი) — საერონი, არასასულიერონი.
- ჩაბადარბაში (თურქ.-სპ. ჩაბადარბაში) — ჩაბადართ თავი, უფროსი. იხ. ჩაბადარი.
- ჩაბადარი (თურქ.-სპ. ჩაბადარ) — აბჯროსანი (მეომარი). *Милл.*, გვ. 147; *Буд.*, I, გვ. 432. ზედამხედველი „ჩაბახანისა, არსენალისა“. *უშ.*, გვ. 191; *ფ. გ.*, გვ. 380.
- ჩანიშინი (სპ. ჩანეშინ) — მოადგილე, ნაცვალი. *Гф.*, I, გვ. 206; *ვ. ფ.*, გვ. 476.
- ჩილა (თურქ. ჩილა) — ქოჩორი, სავარცხელი (ფრინველისა); აღმასებით მოოქვლი ფრთა შაპის გვირგვინზე. *Гф.*, I, გვ. 214; „დიდებულთ თავსარქობი“, *ო.*
- ჩოში — ქასაკით დასრულებული, „გასრულებულსავეთ“. *ო.*

## უმიოკლებანი

- ბ. წ. — გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951.
- ვახტ. — ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1947.
- ვ. ბაბ. — ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1942.
- ვ. ფ. — ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურაძემ, თბ., 1955.
- ივ. ბ. — დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1958. ზედდართული ლექსიკონი ივ. გიგინეიშვილისა.
- ივ. ჯ. — ივ. ჭავჭავაძე, ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, ნაკვ. 2, თბ., 1929.
- ივრ. — დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1931. ზედდართული ლექსიკონი ს. იორდანიშვილისა.
- ისტ. საბ. — ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. V, ტფ., 1913.
- მმსთ. — სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.
- მ. — ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფ., 1928.
- საქ. ისტ. — საქართველოს ისტორია, I. დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1958.
- შმ. — დასტურლამალი ვახტანგ VI-ისა, რედ. პ. უმიკაშვილი, ტფ., 1886.
- ჩ. — დ. ჩუბინოვი (ჩუბინაშვილი), ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ., 1887.
- Б. — В. В. Бартольд, Персидская надпись на стене Анийской мечети Манучэ. Анийская серия, № 5, СПб., 1911.
- Буд. — Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I—II, СПб., 1869—1871.
- Гф. — М. А. Гаффаров, Персидско-русский словарь, т. I—II, М., 1914—1927.
- Дагб. — А. Дагбашян, Полный армяно-русский словарь, Тфл., 1911.
- Даль — В. Даль, Толковый словарь живого великорусского языка, т. 1—4 изд. 4, СПб., 1912—1914.

- Эм. — История Армении Моисея Хоренского, перевод Н. Эмпа, М., 1893.
- Зб. — Давид Гурамишвили, Давитиани, перевод Н. Заболоцкого, Тб., 1953.
- Маг. — Д. Магазаник, Турецко-русский словарь, под ред. В. Гордлевского, М., 1931.
- Мил. — Б. В. Миллер, Персидско-русский словарь, М., 1953.
- Чуб. — Д. Чубинов (Чубинашвили), Русско-грузинский словарь, СПб., 1886.
- П. — М. Полиевков, посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию, Тифлис, 1926.
- Bros. — Histoire de la Géorgie, trad. du géorgien par. M. Brosset, t. II, livr. II, SPb., 1857.
- К. — D. Kélékian, Dictionnaire turc-français, Constantinople, 1911.
- Z. — J. Zenker, Dictionnaire turc-arabe-persan, t. I—II, Leipzig, 1866.

## საძიებლები

### პირთა სახელები\*

- აბასი, შაჰ-თამაზის ძე — 126  
 აბას I — 53, 74, 80, 163, 177.  
 აბას II — 53, 66, 68  
 აბაშიძე ი. — 26  
 აბრაშიშვილი სვიმონ — 125  
 აბულაძე იუსტ. — 188  
 ადილ-გირეი (ბაყიშვილი) — 146, 147  
 ავალიშვილი გიორგი — 18  
 ავალიშვილი სოლომონ ივანეს ძე — 18  
 აზაღ-ხანი — 177  
 ათანასე — 145  
 აკოფ შემახეცი — 52  
 ალაჯალოვა, მხატვარი — 191  
 ალექსანდრე I, რუსეთის იმპერატორი — 162, 163, 169, 172, 177  
 ალექსანდრე II, კახთ ბატონი — 106  
 ალექსანდრე V, იმერთა მეფე — 5, 11, 14  
 ალექსანდრე არჩილის ძე — 51  
 ალექსანდრე, გიორგი XI-ის ძმისწული — 63  
 ალექსი შიხეილის ძე — 50  
 ალი-ყული-ხანი (ადილ-შაჰი) — 178  
 ალი-ხან 122  
 ამბაკოშ არხიმანდრიტი — 170  
 ამილახვარი ალექსანდრე — 16, 20  
 ამილახვარი (ამილახორი) გივი — 120, 123  
 ამილახვარი ედიშერ — 154  
 ამილახვარი ვახტანგ აეთანდილის ძე — 147, 148, 151  
 ანა ივანეს ასული, რუსეთის დედოფალი — 125—127  
 ანთიმოზ ქართველი — 14, 37, 74, 183  
 ანნა, ვახტანგ ამილახვრის ასული — 148  
 ანდრია, სოლ. ლიონიძის შაჰა — 18  
 ანტონ I — 16, 17, 19, 20, 30, 74, 165, 171, 172, 179  
 არიანე — 199  
 არისტოტელე — 18, 20  
 არსენი, არქიეპისკოპოსი — 151  
 არსენი, არქიმანდრიტი — 148, 149  
 არჩილი — 7, 12, 13, 20, 29, 31, 42, 44, 51—53, 65, 66, 86, 90, 91, 114, 133—136, 138, 171, 179, 180, 181, 183, 186  
 ასათიანი ლ. — 26  
 ასტეფანტური — 99  
 აქსაკოვი — 144, 145  
 აღა-მაჰმად-ხანი — 23, 161  
 აჟარიანი ჰრ. — 66  
 აჭი-ჩალაბი — 177  
 აჰმედ II — 178  
 ბაგრატ ბაგრატიონი, გიორგი XII-ის ძე — 20, 134, 161  
 ბაგრატიონი პეტრე — 162  
 ბაღურაშვილი (ბაღურაოვი) — 151  
 ბარათაშვილი იესე — 19  
 ბარათაშვილი მამუკა — 21  
 ბარათაშვილი ნიკოლოზ — 17, 162  
 ბარამიძე ალ. — 25, 26, 53  
 ბარტოლდი ვ. — 185  
 ბასილი ეზოსმოდგვარი — 191  
 ბაუმეისტერი — 20  
 ბაქარ ვახტანგის ძე — 7, 13, 31, 66, 68, 92, 93, 100, 110, 117, 120, 125—

\* საძიებელში გათვალისწინებული არ არის იონა ხელაშვილის „მოსახსენებელ წიგნში“ შეტანილ დაუდგენელ პირთა სახელები.



- 128, 135, 144—146, 171, 179, 183, 185
- ბაყიშვილი (ბეკოვიჩი) — 146. იხ. აგრეთვე ადილ-გირეი
- ბელოკუროვი ს. — 138
- ბეჟანი (ბეზანი) — 150, 151
- ბერძენი ვუკ. — 195
- ბერძენიშვილი ნ. — 26, 27, 65, 70, 95, 114, 139, 202—204
- ბერძენიშვილი შამისა — 204
- ბერძენიშვილი შაქსიმე — 177—201
- ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი) — 21, 52
- ბოსტაძე (ბოსტაშვილი) დავით — 169, 176
- ბროსე მ. — 25, 26, 68, 83, 84, 121, 138, 146, 150, 158, 202
- ბუდალოვი ლ. — 66, 69
- ბურნაშოვი — 179
- ბუტკოვი პ. — 27, 105
- ბაბაშვილი ვ. — 62
- გაბაშვილი ტიმოთე — 20, 67, 68
- გაიოზი — 19, 140, 152, 171, 178
- გერბერი ი. გ. — 142
- გერმანე — 9, 14
- გიგინეიშვილი ივ. — 26, 65
- გილანენცი სარგის — 99
- გიორგი, არაგვის ერისთავი — 82
- გიორგი VIII — 176
- გიორგი XI — 3, 4, 38, 63, 65, 72, 77, 78, 94, 133, 134
- გიორგი XII — 20, 47, 135, 159, 169, 171, 172, 176
- გიორგი ლაშა — 171, 178
- გიორგი მერჩულე — 188
- გიორგი მთაწმინდელი — 157
- გიორგი მონაგატელი — 199
- გორგიჯანიძე ფარსადან — 65, 68, 76, 78
- გორდლეცკი ვ. — 58
- გრიგოლ — 145
- გრიგოლ ხანძთელი — 188
- გრიგორ მღვდელი — 169, 177
- გრიგორ პატრიარქი — 169, 177
- გურამიშვილი დავით — 13, 20, 21, 24—29, 31—34, 37, 38, 40, 42, 44, 46—62, 64, 70—75, 77, 85, 88, 92—
- 94, 97, 98, 101, 104, 106, 107, 109—129, 135, 141, 180, 182—186, 206
- ღვით აღმაშენებელი — 191
- დავით 11, იმამყულიხანი — 3, 75, 91, 92, 96
- დავით ალექსის ძე მესხიშვილი — 18
- დავით ბაგრატიონი, გიორგი XII-ის ძე — 20, 135, 154, 161, 177
- დავით, ერეკლე I-ის მამა — 55, 57, 58
- დავითი, კონსტანტინე კახთა მეფის ძმა — 103
- დავითი (ბიბლ.) — 9, 54, 55, 58, 59, 116, 191, 206
- დათუნა, არაგვის ერისთავის სახლის წევრი — 82
- დალი ვ. — 150
- დარეჯან (დარია) დედოფალი — 23, 172, 179
- დასამიძე პაპუნა — 184
- დიმიტრი თავდადებული — 169, 176
- დიმიტრი სვიმონის ძე ბაგრატიონი — 154
- დინარ დედოფალი — 171, 178
- დოდაშვილი სოლ. — 154, 199
- დომენტი კათალიკოსი — 13, 31, 43, 81, 83, 85, 93, 123, 170, 178
- მენატაშვილი ბერი — 10, 30, 74
- ექსტათი, ნალეკარი — 161, 170, 178
- ეზოვი გ. — 146
- ეკატერინე II — 51, 171, 179
- ელენე, ერეკლე I-ის ასული — 14
- ელენე, ვახტანგ ამილახვრის მეუღლე — 148
- ელისაბედ, რუსეთის დედოფალი — 172, 179
- ერატოსენე — 198
- ერეკლე I — 3, 14, 55, 57, 75, 77, 78, 96, 133, 165, 177
- ერეკლე II — 16—23, 28, 38, 44—46, 52, 77, 96, 101, 124, 126, 127, 135, 159, 161, 169—171, 176, 178, 179, 184.
- ერეკლე, მუხრანის ბატონი — 184
- ერისთავი გიორგი, გულუხარბი — 201
- ერისთავი დავით — 201
- ერისთავი ელისაბედ — 200, 201

მახტანგ VI — 3—14, 21, 24, 29, 31, 32, 37—44, 53—55, 57, 59—66, 68, 70, 71, 73, 74, 76, 77, 79—96, 98—111, 114—118, 120, 125—128, 130—137, 139—148, 152, 170, 171, 178—186

ვახტანგ, ერეკლე II-ის ძე — 135  
ვახუშტი ბაგრატიონი — 10, 11, 19, 27, 30—33, 36, 39, 40, 65, 72, 73, 75—77, 81, 83, 84, 86, 88, 91, 92, 95, 101, 104, 107, 109, 111—119, 121, 122, 124, 130, 180, 183, 185

ვოლინსკი — 6, 142

ვოლტერი — 15

ვოლფი — 20

ზაბოლოცკი ნ. — 26, 114

ზაქარია პატრიარქი — 169, 177

ზედგინიძე — 180

შალია — 161, 170

თამარ დედოფალი, ერეკლეს დედა — 161, 170, 178

თამარ მეფე — 191

თაყაიშვილი ე. — 156, 187, 203

თამაზბ II (შაჰ-თამაზი, შახ-თამაზი) — 53, 112, 113, 126, 184, 185

თეიმურაზ I — 31, 55, 75

თეიმურაზ II — 28, 30, 71, 96, 101, 115, 124, 126, 127, 140, 152, 171, 178, 179

თეიმურაზ, ვახტანგ VI-ის ძმა — 81, 134

თეიმურაზ ბაგრატიონი, გიორგი XII-ის ძე — 20

თეიმურაზ ერისთავი — 150

თემურ ლენგი — 11

თეოდორე ივანეს ძე — 77, 141

თურქისტანიშვილი ბაადურ — 104

თაშვილი — 180

თესე (ბიბლ.) — 54, 59

თესე, ვახტანგ VI-ის ძმა — 4, 5, 7, 40, 71, 74, 81, 82, 88, 92, 93, 99, 100, 109, 115, 117, 118, 122, 123, 184

თოანე ბაგრატიონი — 20, 33, 47, 48, 135, 154, 178, 180

თოანე ვარაზ-ვაჩე — 199

თოანე პეტრიწი — 20

თოთამ ზევედგინიძე — 169, 176

თონა, არქიელი — 151

თოროკიმ დესპოტა — 169, 177

თორდანიშვილი ს. — 26, 65

თოსები — 145

თოსელიანი პ. — 83, 84

თსაყ-ფაშა — 123

თუღინი პ. — 152

თულონ ბატონიშვილი — 135

თუსუფ-ფაშა — 123

თაკაბაძე ს. — 67, 188

თაკელიძე კ. — 25, 26, 32, 53, 55, 150, 191

თონსტანტინე, კახთა მეფე (მაჰმად-ყული-ხანი) — 7, 8, 21, 55—59, 70—72, 75, 76, 98—100, 103, 109, 111, 114—124, 142, 186

თოსარიკი დმ. — 26, 37

თრაქოვესკი ე. — 195

ლაზარე პავლეს ძე — 151

ლარაძე პეტრე — 31

ლაშა გიორგი — იხ. გიორგი ლაშა

ლევან (ლეონ), ვახტანგ VI-ის მამა — 3, 53, 81, 88, 92, 134

ლევან, გიორგი XI-ის ძმა — 63

ლევაშოვი — 131

ლევონდი (ღევონდი) — 199

ლეონ ერეკლეს ძე — 179

ლეონიძე გ. — 26, 85

ლიონიძე სოლ. — 18

ლომონოსოვი მ. 20, 51

ლუი XIV — 5

მაგაზანიკი დ. — 66

მათე — 41, 58

მალაქია, იმერეთის კათალიკოსი — 170, 178

მამაცაშვილი კ. — 200

მამუკა — 102

მარი გიორგი (იური) — 192

მარი ნიკო — 140, 156, 187—189, 192—194

მარიამ, გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე —

18

- მარიამ, რუსეთის დედოფალი — 172, 179  
 მაღალაშვილი იასე — 43  
 მაჰმადი (მუჰამედი, მამადი, მოჰმედი) — 58, 63, 74, 75, 78, 79, 85, 106  
 მაჰმად-ყული-ხანი — იხ. კონსტანტინე კახთა მეფე  
 მეგრელაძე დ. 185  
 შილერი — 66  
 შირ-ვეისი — 78  
 შირიან ირაკლის ძე — 157, 165, 176  
 შირიან მეფე — 80, 163  
 შიხაილ სტეფანიშვილი — 14  
 შონტესკიე — 15, 16  
 მუსხელიშვილი ლევან — 190  
 ნადირ-შაჰი (ნადირ-ყული, თაჰმასბ-ყული-ხანი) — 8, 18, 32, 96, 100, 113, 117, 124—128, 170, 178  
 ნაპოლეონი — 15, 163  
 ნატროშვილი გ. 25, 26  
 ნიზამი — 195  
 ნიკოლოზ I — 162, 163  
 ნიკოლოზ არქიეპისკოპოსი — 144  
 ნიორაძე გ. — 204  
 ნურსალ-ბეგი (ნუცალ-ხანი) — 161, 177, 178  
 ოთარ ერისთავი — 150  
 ოლდენბურგი ს. — 194  
 ომარ-ხანი — 161, 170, 177  
 ორბელი იოსებ — 191, 194—196  
 ორბელი ლეონ — 194  
 ორბელი რუბენ — 194  
 ორბელი რუსუდან — 153, 158  
 ორბელიანი ალექსანდრე — 199, 200  
 ორბელიანი გრიგოლ — 199  
 ორბელიანი დავით — 21, 22  
 ორბელიანი ელიზბარ — 144, 146  
 ორბელიანი ვახტანგ — 138, 199  
 ორბელიანი მამუკა — 150  
 ორბელიანი ნიკოლოზ — 14  
 ორბელიანი პაპუნა — 19, 31, 122  
 ორბელიანი სულხან-საბა — 4, 5, 9, 10, 11, 13, 17, 24, 30, 36, 38, 52, 55, 64, 67, 74, 78, 79, 85, 88, 89, 92, 120, 124, 125, 130, 162, 180, 181, 183, 206  
 პავლე რუსეთის იმპერატორი — 161, 162, 169, 171, 177  
 პაიჭაძე გ. — 148  
 პატკანიანი ქ. (პატკანოვი) — 96  
 პახომი, არქიმანდრიტი — 144  
 პეტრე I (დიდი) — 6, 7, 13, 21, 32, 50—53, 85, 89, 95, 98, 100, 102—112, 114, 138, 139, 142, 148, 149, 179, 184—186,  
 პეტრე II — 146, 149  
 პეტრენკო — 196  
 პეტრუშევსკი ი. — 36, 101, 103  
 პლატონი, ბერძენი ფილოსოფოსი — 20  
 პლატონი (ვენეცი) — 184  
 პოლიევქტოვი შ. — 138  
 პოტიომკინი — 17  
 პროკლე — 20  
 პროკ. კესარიელი — 199  
 შებელიოვი ს. — 194  
 უორდანი თ. 187  
 ყელენი ბ. — 26  
 რადლოვი — 66  
 რაზმაძე სოლ. — 199  
 რევაშვი — 66  
 რევაზისშვილი პაპუნა — 184  
 რეჯებ-ფაშა — 123  
 რიშარი — 181  
 რომანოზ გიორგის ძე — 149, 150  
 როსტომ მეფე — 14, 62, 66, 68, 70  
 როსტომ, ვახტანგ VI-ის ძმა — 102  
 როსტომ, რაჭის ერისთავი — 23  
 რუსთაველი შოთა — 25, 29, 30, 49, 70, 86, 121, 151, 190, 191, 195, 196, 203  
 რუსუდან დედოფალი (ვახტანგ VI-ის მეუღლე) — 133, 146  
 რუხაძე ვ. — 85  
 რუხაძე ტ. — 26  
 სააკაძე გიორგი — 31, 75, 177  
 სააკაძე იოსებ — 31  
 საითნოვა — 22  
 სარიდანი — 150, 151  
 სარდური — 195  
 სვიმონ I — 171, 178

სვიმონ (ვახტანგ VI-ის ძმა) — 4, 14, 82, 144, 145, 147  
სვიმეონ ჩულფელი — 20  
სიმანგულაშვილი — 45  
სიროხნევი — 179  
სოლომონ I — 16, 21, 22, 165, 170, 178  
სოლომონ (ბიბლ.) — 54, 67  
სონდულაშვილი იროდიონ — 190  
სულხან-საბა ორბელიანი — იხ. ორბელიანი სულხან-საბა  
სტრაბონი — 199  
სულეიმან, ირანის შაჰი — 53, 77  
სუმბატ ბაგრატიონი — 54  
სუმბატი (სომეხი დიდებული) — 199  
სურხაიხანი — 95, 102—105, 109

თაბიძე სვიმონ — 156—158, 165  
ტატიშვილი — 44  
ტლაშაძე იესე — 13, 31  
ტოლოჩანოვი — 151  
ტოტლებენი — 21, 52, 179  
ტუსიშვილი საბა — 22

შლულბეგი — 11  
უმიკაშვილი პ. — 27, 32, 38, 182

შაღენიშვილი — 13, 31  
ფათალი-ხანი — 114, 206  
ფალავანიშვილი ფეშანგი — 95, 184  
ფეშანგი — 65, 67, 68  
ფირდოუსი — 195  
ფონ შენგდენი — 143, 146, 147, 151  
ფუფურიძე ვ. — 67

ჭაიხოსრო ლევანის ძე — 4, 63, 81, 134

ქალბალი-ხანი — 133  
ქამარბეგი — 94  
ქართველიშვილი იოანე — 200  
ქეთევან დედოფალი — 31  
ქეთევან (თეიმურაზ II-ის ასული) — 170, 172, 178  
ქერიმ-ხანი — 95  
ქიტიაშვილი (ქიტეივი) ბერო — 151  
ქრისტე — 55—60, 74, 79, 83—85, 105, 106, 167—169, 175, 176  
ქრისტინა — 161, 169, 177

ქუჩუქა (ქუჩუქოვი) — 86, 131, 132, 137

ქუჩუქოვი ბამატ — 131  
ქუჩუქოვი მულარ — 131

ჰათოზაშვილი ფილიპე — 19  
ყაფლანიშვილი ერასტი — 123  
ყაფლანიშვილი ტეტია — 128  
ყაფაროვი მ. — 66  
ყაუხჩიშვილი ს. — 203  
ყიფშიძე ალ. — 200  
ყიფშიძე ი. — 188, 195  
ყუბანეიშვილი ს. — 26

შვეთელი იოანე — 140  
შამს ელ-დინ საჰი — 66  
შანიძე ა. — 157, 188, 195  
შანშე დავითის ძე ერისთავი — 5, 149  
შარაშიძე ქ. — 26  
შაჰუ — 199

ჩაბრუხაძე — 140  
ჩიტაია გ. — 188, 203  
ჩიქოვანი მ. — 26  
ჩიქოვანი ს. — 26  
ჩუბინაშვილი გ. — 195  
ჩუბინაშვილი დ. — 65  
ჩხეიძე სეხნია — 10, 31, 68, 70, 102, 103, 105, 107, 109, 111, 117, 130, 140, 147, 148, 186

ცაგარელი ა. — 27, 152  
ციმაკურიძე — 45  
ცინცაძე ი. — 27, 138  
ციციშვილი ადამ — 128  
ციციშვილი ბაგრატ — 95, 184

წერეთელი გ. — 27, 32, 182

ჭაქვაიაძე გარსევან რევაზის ძე — 17, 18  
ჭაქვაიაძე ი. — 17, 33, 73, 162, 182  
ჭაქვაიაძე რევაზ — 17  
ჭილაშვილი გლ. — 199

ხელაშვილი იონა — 80, 152—157, 159—165, 171, 176, 199

ხერხეულიძე ომან — 19  
ხერხეულიძე ჩამასპი — 95, 184  
ხოლოფა (ხულუფა) — 82, 83, 126  
ხოსრო II — 177

ჭავჭავიძე გიორგი — 192  
ჭავჭავიძე ივანე — 27, 139, 156, 182,  
187, 188, 190—193, 195, 202—204

ჯანაშია ს. — 202—204  
ჯანაშვილი შ. — 187, 203  
ჯიქია ს. — 66

შამერი — 121, 122, 123  
პერკულესი — 18  
ქუსეინ, ირანის შაჰი — 36, 53, 65, 76,  
87, 94, 106, 112, 184

### გეოგრაფიული სახელები

ბელაბარი — 7, 116  
აელანეთი — 4  
აზერბაიჯანი (ადრიბეჯანი) — 6, 76  
95, 96, 100, 103, 104, 106, 125, 126,  
163, 177

აზია — 169, 176  
აზოვი — 51  
ათონის მთა — 179, 188, 189  
ალაზანი მდ. — 161, 169, 177, 178  
ალაზნის ხეობა — 94, 95  
ალგეთის ხეობა — 74  
ალექსანდრია — 166  
ალის ციხე — 161, 170, 177, 178  
ამბროლაურის რ. — 176  
ამიერკავკასია — 6, 8, 36, 94—98, 102,  
117, 145

ანისი — 188, 189, 194, 195  
ანტიოხია — 166  
ანჩისხატი — 18  
არაბეთის ნახევარკუნძული — 176  
არაგვი მდ. — 90, 133  
არაგვის ხეობა — 94  
არზრუმი — 7  
ასპინძა — 52  
ასტრახანი — 112  
ასტრახანი (აშტრახანი) — 6, 7, 89, 95,  
100, 101, 104, 109, 125, 127, 128,  
138—152, 170, 178, 179

ატენი — 123  
აღჯაყილა — 122  
ახალქალაქი — 163  
ახალციხე — 150, 163  
ახალციხის მახრა — 113  
ახლო აღმოსავლეთი — 126, 138

ბათუმი — 202  
ბარაკონი — 23, 166, 176  
ბარდა — 63, 95  
ბაქო — 6, 105, 112—114, 125, 127,  
144, 146, 150, 151, 186

ბელაქანი — 177  
ბელორუსია — 50  
ბიზანტია — 181  
ბოდბე — 176, 177  
ბოლნისი — 23  
ბრაგუნე — 131  
ბუხარა — 127

ბანჯა — 6, 95, 96, 98, 100, 102—104,  
109—111, 118, 122, 126, 127, 145,  
163, 185

გელათი — 14  
გეორგიევსკი — 179  
გილანი — 112, 143, 144, 151, 184  
გირიშვი — 63  
გოგოლისუბანი — 202  
გორი — 88, 117, 121—123, 169, 198  
გურია — 165, 170  
გურჯისტანი — 62, 64  
გუფთა — 122, 123

ფარუბანი — 6, 100, 105, 109, 112—  
114, 125, 127, 143, 144, 151, 178  
დასავლეთ ვეროპა — 5, 11, 15, 16  
დაღესტანი — 5, 37, 43, 93—95, 104,  
112, 113, 120, 125, 127, 140, 169,  
177, 178, 185  
დვალეთი — 90, 132—134  
დიგორი — 133  
დიდი ლიახვი მდ. — 90, 133

დიოსკურია — 199  
დმანისი — 190  
დოესი — 122  
დუნაი მდ. — 143  
დუშეთი — 23

მგვიბტე — 18  
ედილი (ატალა) — 140, 141. იხ. აგრეთვე — ვოლგა  
ედილისპირეთი — 125  
ვეროპა — 11, 16, 17, 38, 79, 85, 89, 181  
ერევანი — 76, 96, 100, 116, 122, 169, 177  
ეჩმიადინი — 100

ჰარშავა — 197  
ვაჭირი — 155  
ვლადიმირი — 139  
ვლახეთი — 14  
ვოლგა (ატალა, ედილი) მდ. — 139, 140, 141  
ვოლგის მხარე — 104  
ვოლგისპირეთი — 141  
ვსესვიატსკოე — 144

ჯაკვი — 42  
ზედაველა — 121—123, 186  
ზრამაგა — 133  
ზუზოვკა — 21  
ზუგდიდი — 198

თავრიზი — 63, 112  
თბილისი — 3—8, 11, 14, 18, 19, 21—23, 32, 38—40, 56, 74, 76, 81, 82, 86, 92, 93, 95, 98, 100, 102, 104, 106, 109, 110, 113, 116—118, 120, 123, 127, 132, 155, 161, 162, 164, 169, 176, 178, 191, 194, 195, 197, 198, 200, 202—204  
თედოწმინდა — 121  
თელავი — 18, 19, 23, 118—120, 155, 164  
თერგა, ციხე-სიმაგრე — 139, 147  
თერგი მდ. — 139, 141  
თერგის მხარე — 100  
თერგის ხეობა — 95  
თვალცი — 119, 120

თიანეთის წყალი — 119  
თრიალეთი — 43  
თურქეთი — 7, 36, 41, 93, 126, 127, 138, 143, 177. იხ. აგრეთვე ოსმალეთი  
თურქესტანი — 87  
თუშეთი — 177

თისა — 21  
იერუსალიმი — 155, 165, 169, 176, 177, 188, 189  
ივერია — 163  
ივრის ხეობა — 94, 95  
ილისუ, ელისუ — 177  
იმერეთი — 4, 5, 36, 76, 133, 165, 170, 178, 179  
ინდოეთი — 13, 18  
იორი მდ. — 178  
ირანი — 3—8, 15, 17, 21—23, 31, 33, 36, 50, 52, 61—64, 67, 74, 75, 77, 78, 80—82, 87, 88, 90—95, 97—104, 106, 107, 111, 112, 114, 124—126, 130, 131, 134, 136, 141—143, 160, 163, 177, 178, 181, 184, 195, 206, 208  
ისპაანი — 4, 72, 73, 76, 81, 83, 86, 88, 90—92, 101, 102, 112, 130, 131, 133, 135—137

ქავთისხევი — 170, 177, 178  
კავკასია — 6, 32, 94, 95, 102, 103, 126, 127, 141—147, 165, 177, 178  
კალუგა — 139  
კარალეთი — 121  
კარდანახი — 96  
კასპიის აუზი — 95  
კასპიის ზღვა — 141, 142, 184  
კასპიისპირეთი — 100, 109, 125, 126, 143—145, 150  
კასპიის სანაპირო — 6, 8, 104, 185  
კასპის რ. — 176, 178  
კახეთი — 3—5, 8, 13, 21, 31, 32, 36, 43, 47, 56, 57, 60—62, 65, 74—76, 80, 81, 94, 95, 97—99, 103, 109, 112—116, 118—121, 123, 127, 142, 143, 145, 161, 163, 177, 179, 182, 185  
კახი — 177

კედლა — 133  
 კიევი — 176  
 კიშინიოვი — 21, 139  
 კლარჯეთი — 188  
 კონსტანტინეპოლი — 166  
 კრემენჩუგი — 21, 139  
 კუდარო — 133.  
  
 ლეკეთი — 5  
 ლენინგრადი — 157, 191, 192, 196  
 ლეჩხუმი — 195  
 ლიახვი მღ. — 121, 122  
 ლიახვის ხეობა — 122, 124  
 ლიხთ-იმერეთი — 11, 162  
 ლიხის გზა — 133  
  
 მანანდარანი — 112  
 მამისონის გადასასვლელი — 90, 133  
 მარაბდა — 156, 169, 177  
 მაშავერა — 39  
 მხლობელი აღმოსავლეთი — 6  
 მენგრელია — 165, 170  
 მეტეხი — 23, 112, 116, 117  
 მიჩგოროლი — 21, 37, 50, 139  
 მოზდოკი — 147, 152, 178  
 მოფარი — 178  
 მოსკოვი — 7, 10, 21, 37, 50, 51, 77,  
 89, 125, 128, 136, 139, 141—145,  
 147, 149, 159, 153, 171, 176, 178,  
 179, 183  
 მტკვარი მღ. — 6, 118, 122, 142  
 მუხრანი — 24, 184  
 მცხეთა — 14, 91, 116, 120, 178  
 მჰადისწყარი — 23, 169  
  
 ნარიყალა — 23, 116  
 ნიახურა — 178  
 ნიჟნი-ნოვეგოროდი — 139  
  
 ორბელი — 195  
 ოსეთი — 82, 95, 133, 178, 184  
 ოსმალეთი — 8, 15, 17, 78, 93, 95, 97,  
 102, 104, 105, 107, 112, 125, 126.  
 იხ. აგრეთვე — თურქეთი  
  
 პარიზი — 181  
 პეტერბურგი — 18, 20, 125, 126, 128,  
 139, 141, 143, 147, 148, 153—156,  
 158, 164, 171, 176, 179, 187, 194

პოლტავა — 51  
 პოლტავის ოლქი — 21  
  
 შელის-ხევი — 133  
  
 რაქა — 23, 88, 118, 133, 140  
 რეშტი — 112  
 რიონი მღ. — 199  
 რომი — 181, 198  
 რუსის მთა — 121  
 რუმინეთი — 14  
 რუსეთი — 6—8, 11, 13, 15, 17, 18,  
 21, 25, 32, 37, 38, 39, 49, 50—54,  
 85, 89, 90, 94, 95, 98, 100, 101, 103,  
 104, 107, 108, 111—114, 117, 118,  
 120, 125, 127, 128, 135—143, 145—  
 148, 152, 153, 155, 160—164, 176—  
 179, 181, 184—186, 192, 204  
  
 ხაბარათიანო — 122  
 საბერძნეთი — 169, 177, 198  
 საგარეჯო — 118, 119  
 საგარეჯოს რ. — 22, 176  
 საგურამო — 96  
 სამცხე — 36, 88  
 სარატოვი — 139  
 საფრანგეთი — 5, 11  
 საქართველო — 3—5, 10, 11, 13—20,  
 23—25, 27, 29—33, 36—38, 40—44,  
 49, 50, 52, 56, 58—64, 66, 68, 72—  
 76, 79—82, 85, 86, 89, 90, 92—96,  
 98, 100—103, 105, 109, 114, 116—  
 118, 120, 124—128, 130, 132, 133,  
 134, 136—145, 149, 152—155, 161—  
 164, 166, 169—171, 176—179, 181—  
 185, 187, 188, 190, 195, 197—199,  
 202—204  
  
 საყიზი — 67  
 საჩხერის რ. — 176  
 სინას მთა — 176, 188, 189  
 სიღნაღის რ. — 155, 176  
 სომხეთი — 95, 103, 124—126, 145, 195  
 სომხითი — 12, 94  
 სოხუმი — 198, 199  
 სპარსეთი — 69, 96  
 სტაეროპოლი — 178  
 სტამბოლი — 178

სულაკი მდ. (სოლადი) — 6, 104, 113, 114,  
127, 140, 141, 148  
სულაკის ხეობა — 95  
სუნჯა — 131

ტაბახმელა — 116  
ტენდოსი (თენდოსი) — 123, 178  
ტიუმენი მდ. — 139

უკრაინა — 20, 21, 25, 37, 128

უზისი — 198, 199  
ფაწა მდ. — 122  
ფერეიდანი (ფეროეთი) — 80, 163  
ფიცი — 42  
ფოთი — 163, 198, 199  
ფშავ-ხევისურეთი — 119

ძართლი — 3—8, 13, 21, 22, 31, 32,  
36, 38—43, 49, 52, 56, 57, 60—63,  
65, 70, 74—77, 81—83, 86, 88, 92,  
93, 95—100, 102—105, 109, 112—  
116, 118, 120—123, 127, 131—133,  
135, 136, 142, 143, 145, 146, 148,  
162, 177, 178, 182, 184, 185

ქვაბთახევი — 166, 176  
ქვახერელი — 122  
ქვემო ქართლი — 184  
ჭიზიუი (მქისიუი) — 161, 169, 177  
ჭიოსის კუნძ. — 67  
ჭირმანი — 81, 86, 92, 130, 131  
ქოლაგირის ციხე — 23  
ქუთაისი — 170, 178, 182, 194, 195  
ქცია მდ. — 39  
ქციის ხეობა — 74

შაბარდო — 145  
ყაზახი — 17, 74, 103, 104, 109, 111,  
115, 116, 186  
ყაზანი — 139, 152  
ყანდარი — 63  
ყარაბაღი — 143, 145  
ყვარლის ციხე — 161, 170  
ყიზლარი — 147  
ყირბულახი — 177

შავი ზღვა — 143  
შავშეთი — 188  
შაისტაბტი — 116  
შაშქორი — 109  
შაშადილუ — 103, 104, 111, 116, 122  
შაქი — 163  
შემახა (შამახია) — 100, 104, 105, 125,  
127, 186  
შილა კახეთი — 118  
შილა ქართლი — 170  
შირვანი — 6, 76, 94, 95, 104—106, 111  
შუა აღმოსავლეთი — 138  
შუამთა — 166  
შუშა — 163

ჩერქეზის ქვეყანა — 140  
ჩოხატაურის რ. — 202  
ჩრდილეთი — 50  
ჩრდილო კავკასია — 6, 131

ცარიცინი — 140, 141, 152  
ცივის შთა — 177  
ციმბირი — 18, 147  
ცხინვალი (ქცხინვალი) — 117, 133

ძეგვი — 176

წახური — 177  
წესი — 23  
წმ. ჯვრის ციხე — 144, 145, 150

შარი — 161, 177  
ქუეთი (კოეთი) — 169, 177

ხაღა — 90, 132—134  
ხაზარეთი — 140  
ხაშურის რ. — 178  
ხეფინის-ხევი — 133  
ხიდისთავი — 122  
ხორასანი — 126  
ხორნაბუჯი — 177  
ხრესილი — 178  
ხუნანი — 39, 115, 122  
ხუნძახი — 177

ჰერეთი — 178



## შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში	3
ქართული კულტურა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში	15
დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია	24
ვახტანგ VI პოლიტიკური ორიენტაციის ძიებაში	130
რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ ისტორიულ ტრაქტებზე	138
პეტერბურგის ქართული კოლონიის საისტორიო-სამწიგნობრო მემკვიდრეობა. იონა ბელაშვილის „მოსახსენებელი წიგნი“	153
სამშობლოს ბედნიერების ძიებაში (სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავი)	180
დავით გურამიშვილი — ქართველი ხალხის მემკვიდრე (დაბადების 250 წლისთავის გამო)	182
ქართული კულტურის მკვლევარი (აკად. ნიკო მარის დაბადების 100 წლისთავი)	187
აკადემიკოსი ივანე ჭავჭავაძე. მცირე მოგონება	190
გამოჩენილი მეცნიერი და მოქალაქე (აკად. იოსებ ორბელის დაბადების 80 წლისთავის გამო)	194
მაქსიმე დავითის ძე ბერძენიშვილი	197
საქართველოს ისტორიის მემკვიდრე (აკად. ნ. ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო)	202
ზოგიერთი სიტყვის ახსნა	206
შემოკლებანი	210
საძიებლები	212

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

■

სბ 2800

გამომცემლობის რედაქტორი დ. ბ ა ქ რ ა ძ ე  
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე  
მხატვრული რედაქტორი ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე  
ტექნიკური რედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე  
კორექტორი ნ. ფ ი ფ ი ა

გადაეცა წარმოებას 9.7.1984; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.10.1985;

ქალაქის ზომა 60X90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 1; ბეჭდვა მაღალი;

გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 14.0;

პირ. საღ. გატ. 14.1;

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.3;

უე 01717;

ტირაჟი 2500;

შეკვეთა № 2327;

ფასი 2 მან. 10 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19